




იბერია-კოლხები

საქართველოს კლასიკური და ადრემედიციური პერიოდის
არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევანი

IBERIA - COLCHIS

Researches on the Archaeology and History of Georgia
in the Classical and Early Medieval Period



№ 4

2008

საქართველოს ეროვნული მუზეუმის
ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრის
გამოცემის – «ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში» დამატება

GEORGIAN NATIONAL MUSEUM
Of Otar Lordkipanidze Centre of Archaeology
Supplement to – "Researches On The Archaeology of Georgia".



იბერია-კოლხეთი

საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის
არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევანი

IBERIA-COLCHIS

Researches on the Archaeology and History of Georgia
in the Classical and Early Medieval Period

4

თბილისი 2008 Tbilisi

ISSN 1512.4207

UDC 94(479.22)+902. 0-315

მთ. რედაქტორი: გელა გამყრელიძე

სარედაქციო-სარეცენზიო საბჭო:
ზურაბ ბრაგვაძე, დევიდ ბრაუნდი,
დარეჯან კაჭარავა, გურამ კვირკველია, დავით მინდორაშვილი,
თემურ თოდუა, გოდერძი ნარიმანიშვილი,
ვახტანგ შატბერაშვილი, მაია ჩარკვიანი

Editor-in-Chief: Dr. Prof. Gela Gamkrelidze

Editorial & Reviewers Board:

Dr. Z. Bragvadze, Dr. D. Braund (UK), Dr. Prof. D. Kacharava,
Dr. Prof. G. Kvirkvelia, Dr. D. Mindorashvili, Dr. Prof. T. Todua,
Dr. G. Narimanishvili, Dr. V. Shatberashvili,
Dr. M. Charkviani

Address: Otar Lordkipanidze Centre of Archaeology
14, D. Uznadze str. Tbilisi, 0102

Georgia

e-mail: iberiacolchis@yahoo.com

© საქართველოს ეროვნული მუზეუმი. 2008

შინაარსი

CONTENTS

ნანა გოგიბერიძე, საკინძების და ილარების ზოგიერთი ტიპის თარიღისათვის.....	5
Nana Gogiberidze, For Dating of Some Types of Pins and Ear-cleaners	
ელენე გიგოლაშვილი, ვერა თოლორდავა, მარინე ფირცხალავა, ბრინჯაოს ქანდაკება და ბრინჯაოს ნარმოების ნაშთები ვანის ნაქალაქარზე	14
Elene Gigolashvili, Marine Pirtskhala, Vera Tolordava, Bronze Statuary and Bronzeproduction in the Ancient city Site of Vani	
გიორგი დუნდუა, სამონეტო მიმოქცევა იბერიაში ძ.წ. V-I საუკუნეებში	19
George Dundua, Monetary Circulation in Iberia of 5 th – 1 st cc. B.C	
ტარიელ ებრალიძე, შოთა მამულაძე, ჭრაქები გონიო-აფსაროსიდან.....	32
Tariel Ebralidze, Shota Mamuladze, Lamps from Gonio-Aphsaros	
თემურ თოდუა, ოქროს ფალერა „გონიოს განძიდან“	40
Temur Todua, Golden Phalerae from "Gonio Hoard"	
ნანა კაპანაძე, წინსოფლის (ჯიეთის) ნამოსახლარი	43
Nana Kapanadze, The Settlement of Tsinsopeli (Jeti)	
ამირან კახიძე, ირანული მინის ჭურჭელი ფიჭვნარის ძ.წ. V საუკუნის ბერძნული ნეკროპოლიდან....	49
Amiran Kakhidze, Iranian Glass vessels from the 5 th Century Greek Necropolis of Pitchvnari	
ემზარ კახიძე, შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაციის საერთო და განმასხვავებელი ნიშნები.....	54
Emzar Kakhidze, Common and different signs of greek colonization of the Black Sea littoral	
თეა კინტურაშვილი, ყულევის მინის ჭურჭლის სპექტრო-ფოტომეტრული გამოკვლევა.....	61
Tea Kintsurashvili, Spectral-Photometrical research of the Glass Vessel from Kulevi	
ქეთევან ი. რამიშვილი, ფრთოსანი ღვთაების (სრაუშის) გამოსახულება სასანურ გლიპტიკაში და მისი კავშირები დასავლურ სამყაროსთან	65
Ketevan I. Ramishvili, The Depiction of the Winged Deity Sraush in Sassanian Glyptic	
გიორგი მანჯგალაძე, რომაული ხანის მოჭიქული თიხის ჭურჭელი საქართველოში	72
George Manjgaladze, Roman Glazed Pottery in Georgia	
ქეთევან რ. რამიშვილი, ვერძის გამოსახულებები მდ. არაგვის ხეობიდან.....	76
Ketevan R. Ramishvili, Depictions of the Ram from Aragvi Gorge	
ნინო სულავა, მინანქრიანი ფიბულები საქართველოში	86
Nino Sulava, Enamelled Fibulae from Georgia	
თამარ შალიკაძე, ამოტიფიფრულორნამენტიანი სასმისები გონიო-აფსაროსიდან	90
Tamar Shalikadze, Beakers with Imprinted Ornament from Gonio-Aphsaros	
კახი წერეთელი, საქართველოს ადრეული სამეცნიერო ბაზილიკების ტიპოლოგია - კლასიფიკაციის საკითხისათვის	94
Kakhi Tsereteli, For Typology and Classification of Early Georgian Three Churched Basilicas	
სულხან ხარაბაძე, ქვედა გორას „განძი“	110
Sulkhan Kharabadze, The Hoard of "Kveda Gora"	

გიორგი ქავთარაძე, კავკასია და „კართაგენელები“.....	112
Giorgi Leon Kavtaradze, The Caucasus and the "Carthaginians"	
† ალექსანდრე გამყრელიძე, ლათინური წარწერა ფარსმან მეფის შესახებ ოსტიიდან	122
† Alexander Gamkrelidze, The latin inscription of iberian king Parsman from Ostia	
დიმიტრი ახვლედიანი, ვანი ვანიდან (ექსპრეს-ინფორმაცია)	129
Dimitri Akhvlediani, A Hoard from Vani (Express-information)	
გელა გამყრელიძე, ციალა ღვაპერიძე, რეცენზია გიორგი და თედო დუნდუას ნაშრომზე "ქართული ნუმიზმატიკა", I, თბ., 2006 წ., გამომცემლობა „არტანუჯი“, გვ. 3-311, 18 ტაბულა მონეტების ფოტორეპროდუქციით, რეზიუმე ინგლისურ ენაზე	130
Gela Gamkrelidze, Ziala Ghvaberidze, George and Tedo Dundua "Georgian Numismatics", I, Tb., 2006, Artanuji Publishers	
Maia Charkviani, Coins from richly furnished burial of the village Khovle	134
Nino Mitsishvili, On the kingly titles in ancient Georgia.....	136
Vakhtang Shatberashvili, Weapons of 4 th -1 st cc. b.c from Kvemo Kartli, statistical data, typological analysis	140
Gela Gamkrelidze, About the military-political situation in Georgia in the 4 th cent. BC – 2 nd cent. AD., Written Sources and archaeological evidence	144
ილუსტრაციების აღნიშვნა	155
DESCRIPTION OF PLATES	161
ილუსტრაციები	167
ILUSTRATIONS	
SUMMARIES	201
შემოკლებათა განხარტება	211
ABBREVIATIONS	
ავტორთა საყურადღებოდ	212

საკინძეპის და ილარეპის ზოგიართი ტიპის თარიღისათვის

საქართველოში სულ ერთი საუკუნის ნინჯერ კიდევ ხმარებაში იყო პირისასაფარებო ნივთების ასხმები, რომელთაც ქამარზე შებმულს ატარებდნენ. კომპლექტში შედიოდა ჩქიფები, კბილისა და ყურის საწმენდები და პირადი ჰიგიენისათვის საჭირო სხვა წვრილი ნივთები [4, გვ. 123]. როგორც ირკვევა, ეს ტრადიცია საქაოდ ძველია. ძენჯვებზე შეკიდული ამგვარი ნივთების აღმოჩენის ფაქტები ხშირია საქართველოს ანტიკური ხანის არქეოლოგიურ ძეგლებზე, მათ შორის ტახტიძის სამაროვანზეც (ძირითადად ილარები) და დღეს უკვე არსებობს საკმარისი მონაცემები ზოგიერთი მათგანის აბსოლუტური ქრონოლოგიის განსაზღვრისათვის.

პირველ რიგში განვიხილავთ საკინძებს. ესაა ოთხნახნაგა პრიზმის ფორმის და დაღარული ბურცობებით შემკული ცილინდრულ-თავიანი საკინძები.

სადღეისოდ ამ მხრივ საქმაოდ ინფორმატიულია საკინძები ოთხნახნაგა პრიზმის ფორმის თავებით (სურ. 1), რომლებსაც, როგორც წესი, ძენჯვების რგოლები ახლავს და, შესაძლოა, სულაც არ არის ტანსაცმლის აქსესუარი, როგორც ეს აქამდე იყო მიჩნეული, მით უფრო, რომ შავსაყდარას №65 სამარხში მასთან ერთად ილარიც აღმოჩნდა. უფიქრობთ, რომ ამ ტიპის საკინძების გავრცელების ქრონოლოგიური დიაპაზონის დასადგენად დღეს უკვე საკმარისი მონაცემები არსებობს.

ამგვარი ნივთები დადასტურებულია ბეჭთაშენის სამაროვნის №№1, 13, 36, 39 და 61 ქვაყუთებში, აქედან №39 – ნუკილად შეკიდული [3, გვ. 132, სურ. 475], კამარახევის სამაროვნის №№1, 2, 26, 59, 66, 73, 76, 103, 107, 147, 156 ორმოსამარხებში, [15, სურ. 931, 938 1017, 1132, 1133, 1173, 1188, 1209, 1210, 1218, 1220, 1293, 1294, 1307, 1308, 1389, 1405, 1406, 1458, 1459, 1508, 1509], კავთისხევის „ქასრა-ანთ მინების“ №3 ორმოსამარხში [1, გვ. 15], პაპიკორის სამაროვნის №№6, 10, 21, 69 და

73 ორმოსამარხებში (I ჯგუფი ს. მარგიშვილის კლასიფიკაციით) [7, გვ. 27, ტაბ. CXIX, 1, 2], შავსაყდარა I №№36 და 65 ქვაყუთებში [7, ტაბ. CXIX, 1, 2]. აქვეა თავმომრგვალებული, ირიბი ჯვრისებურნაჭდევიანი საკინძი (სურ. 2) და ბრტყელი ილარი.

ორნამენტის მხრივ მათ სახესხვაობას ნარმოადგენს საკინძები ბადისებურად დაღარული თავით (სურ. 3). ასეთები აღმოჩნდა ბეჭთაშენის სამაროვნის №23 [3, გვ. 126, ტაბ. XII] და კამარახევის №№1 და 155 ქვაყუთებში [15, სურ. 118, 931, 1496].

ამ სამაროვნებზე სხვა სახის საკინძებიც გვხვდება, თუმცა დათარიღებისათვის მყარი საფუძველი მხოლოდ კუბურთავიანი საკინძებისათვის გაგვაჩნია. ბეჭთაშენის №13 სამარხში ამგვარ საკინძთან ერთად აღმოჩნდა ბრინჯაოს თავდაბრტყელებული სამაჯური [19, სურ. 6-19], რომლის ანალოგიები დადასტურებულია ვანის №11 სამარხში და, შესაბამისად, ამ ტიპის სამაჯურების თარიღი განისაზღვრა ძვ.წ. V ს-ის შუა ხანებით [19, გვ. 46, სურ. 7]. საკვლევი საკინძისა და ზემოხსენებული ტიპის სამაჯურების ერთ არქეოლოგიურ კომპლექსში თანაარსებობის საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამ საკინძების გავრცელების ხანა მოიცავს აღნიშნულ ქრონოლოგიურ მონაკვეთს. რაც შეეხება ზედა ქრონოლოგიურ ზღვარს, აღსანიშნავია, რომ კამარახევის სამაროვნის №1 და №2 სამარხებში ამგვარ საკინძებთან ერთად აღმოჩნდილი სამაჯურები მიეკუთვნება სამაჯურების იმ ჯგუფს, რომლის თარიღი კამარახევის №9 სამარხის ცხოველისთავიანი სამაჯურების ორნამენტაციის საფუძველზე (დაღარული ბურცობი ყელის არეში აქვს) განისაზღვრა ძვ.წ. IV ს-ის შუა ხანებით [19, გვ. 20, 47, სურ. 22], თუმცა №№1 და 2 სამარხების ცხოველისთავებიან სამაჯურებს ამგვარი ბურცობები არა აქვს და, საფიქრებელია, ისინი წინ უნდა უსნებდნენ №9 სამარხის სამაჯურებს და ძვ.წ. V ს-ის ბოლო ხანებით ან IV ს-ის დასაწყისით

უნდა თარიღდებოდეს. შესაბამისად, პრიზ-მულთავიანი საკინძების გავრცელების ხანა ძვ.წ. V ს-ის შუა ხანებისა და IV ს-ის ფარგლებში უნდა თავსდებოდეს. ნიშანდობლივია, რომ საკვლევი საკინძების თანმხლები პრინჯაოს ყველა სამაჯური ექცევა იმ ჯგუფში, რომლის ქრონოლოგიური დიაპაზონი ძვ.წ. V ს-ის შუა ხანებითა და IV ს-ის პირველი ნახევრით განისაზღვრა [19, გვ. 48-49, სურ. 27-36].

თვალშისაცემია ზემოთჩამოთვლილი სამარხეული კომპლექსების ინვენტარის მსგავსება, მიუხედავად სამარხის ტიპისა (14 ქვა-ყუთი და 13 ორმოსამარხი, მათ შორის ქვის ფილებით გადახურული სამარხებიც). როგორც წესი, მათ ახლავს პრინჯაოს ძენკვები, პრინჯაოს ოვალურზურგიანი, ცხოველისთავებიანი სამაჯურები და მათ შორის არც ერთი არ არის ზურგშედრეკილი. 27 კომპლექსიდან რვაში აღმოჩნდა ბოლოვახვრეტილი სასაფეთქლე რგოლები. კერამიკული მასალისათვის დამახასიათებელი ფორმებია ცალყურა ტუჩიანი დოქები. სამ შემთხვევაში დადასტურდა ჩაიდნისებური ჭურჭელი - ბეშთაშენის №12 [20, სურ. 378]; პაპიგორის №№6 და 10 სამარხები [2, ტაბ. XII, 11; XXII, 5] (გ. ნარიმანიშვილის კლასიფიკაციის I და II ქრონოლოგიური ჯგუფი; ძვ.წ. V-III სს.) [20, სურ. 514-527]. ხშირია ცალყურა და უყურო ქოთნები. თითქმის ყველა კომპლექსში, ბეშთაშენის გარდა, აღმოჩნდა გვერდნიბორიანი ფიალები: პაპიგორა, სამარხები №6 და №69 [7, ტაბ. XIX, 5; XXIX, 6 — I ქრონოლოგიური ჯგუფი, ძვ.წ. V-IV ს-ის პირველი ნახევარი; 20, გვ. 53, სურ. 899-900], ქასრაანთ მიწების №3 [1, ტაბ. XII, 5] და კამარახევის №№26, 59, 60, 73, 147 სამარხებში; [15, სურ. 1014, 1129, 1172, 1208, 1454]. ეს არის იმ ძირითადი ნივთების ჩამონათვალი, რომლებიც დამახასიათებელია პრიზმულთავიანი საკინძების შემცველი კომპლექსებისათვის. როგორც დავინახეთ, ეს კომპლექსები საკმაოდ მსგავსია და მათი ქრონოლოგია არ ენინააღმდეგება ჩვენს მიერ თავის დროზე შესაბამისი სამაჯურებისათვის შემოთავაზებულ თარიღებს, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საკვლევი კომპლექსების ზედა ქრონოლოგიური ზღვარი IV ს-ის დასაწყისს არ უნდა სცილდებოდეს და მათი გავრცელების ხანა

უნდა თავსდებოდეს ძვ.წ. V ს-ის შუა ხანებსა და IV ს-ის დასაწყისს შორის.

მეორე, ქრონოლოგის თვალსაზრისით საკმაოდ ინფორმატიულ ობიექტს წარმოადგენს პრინჯაოს საკინძები, რომელთა ცილინდრული ფორმის თავები შემკულია სალტერების შორის მოქცეული ორი, ვერტიკალურად დალარული ბურცობებისაგან შედგენილი ორნამენტით (სურ. 4). პრიზმულთავებიანი საკინძების მსგავსად, ისინიც ძენკვებზეა შეკიდული და ხშირად წყვილად გვხვდება. ამგვარი ნივთებიდადასტურებულია ვარსიმანთავარის სამაროვნის №№26, 44, 50 და 170-175 სამარხებში [21], ღართისკარის სამაროვნის №31 [16, სურ. 164], კავთისხევის „დატრილების“ სამაროვნის №№23 და 24 ქვევრსამარხებში [1, ტაბ. XXXIII, 9; XXXV, 7], კამარახევის სამაროვნის №№7, 17, 60, 65, 70, 85, 146, 150, 153 სამარხებში [15, სურ. 955, 980, 1138-1139, 1162, 1196-1197, 1236, 1450, 1473, 1490].

საინტერესოა, რომ კამარახევში, სადაც პრიზმულთავებიანი საკინძებიცაა აღმოჩენილი, ამ ორი ტიპის თანხვედრის ფაქტი არ დაფიქსირებულა. კომპლექსებში ცილინდრულთავიან საკინძებს თან ახლავს მასიური ოვალურზურგიანი სამაჯურები ბოლოებზე ცხოველის თავების სტილიზებული გამოსახულებებით, რომლებიც ტიპოლოგიური თვალსაზრისით ახლოს დგას ჩვენი კლასიფიკაციის I. 2. 03-04 სამაჯურებთან. ამუკანასკნელთა თარიღი განისაზღვრა ძვ.წ. IV ს-ის დასაწყისით [19, გვ. 48, სურ. 23, 24] კომპლექსებისათვის დამახასიათებელია მუცელდანეული ხელადები, თეთრი, ყვითელი და ფირუზისფერი მინის მოხვეული მძივები და ბურცობებითა თუ კბილანებით შემკულ რკინის სამაჯურები, რომელთა გავრცელები ქრონოლოგიური დიაპაზონი თავის დროზე განისაზღვრა ძვ.წ. IV ს-ის პირველი ნახევრი სა და III ს-ის პირველი ნახევრის ფარგლებში მათ შორის ზურგმომრგვალებული ცალება ამგვარი სამაჯურების უადრეს ნიმუშებს მოვაკუთვნეთ (ძვ.წ. IV ს-ის პირველი ნახევარი [19, გვ. 67] და სწორედ ამგვარებია დადაცურებული საკვლევი საკინძების თანმხლე კომპლექსების შემადგენლობაში თხუთმეტი დან ექვს შემთხვევაში: კამარახევის №№6

85, 146, 153 [15, სურ. 1159-1160, 1237, 1447, 1488-1489], ვარსიმაანთკარის №№170-175 ([21, ტაბ. XII, 5, 224, 225, 231] და №26 სამარხებში. აღსანიშნავია, რომ მათი თანმხლები ბრინჯაოს სამაჯურები ყველა ოვალურზურგიანია, მასიური, ბოლოებზე ცხოველის თავების სტილიზებული გამოსახულებებით. გამონაკლისია კამარახევის №65 სამარხის ზურგშედრეკილი სამაჯური [15, სურ. 1156], რომელიც სიგანეში განზიდული ფორმის გამო ამგვარი სამაჯურების ადრეულ ჯგუფს მიეკუთვნება (ძვ.ნ. IV ს-ის პირველი ნახევარი) [19, გვ. 66]. ამდენად, საფიქრებელია, რომ ცილინდრულთავიანი საკინძების გავრცელების ზედა ქრონოლოგიური ზღვარი ძვ.ნ. IV ს-ის პირველი ნახევრის ფარგლებს არ უნდა სცილდებოდეს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განხილული ნივთების გავრცელების არეალი აღმოსავლეთი საქართველოს საზღვრებით შემოიფარგლა.

პირის საფარეშო ნივთების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს შეადგენდა ყურის სანმენდი ნივთი – ილარი. ეს ნივთები დიდი ხანია მკვლევართა ყურადღების ცენტრშია, საგანგებო კვლევის საგნადაა ქცეული და ნაწილობრივ გამოქვეყნებულიც [4; 9].

ტახტიძის სამაროვნის მასალებში სამი სხვადასხვა ტიპის ილარი დადასტურდა: ვერძის ორმაგი პროტომით, იხვის და ოფოფის მსგავსი ფრინველების და ზურგშეწყვილებული არნივების (ე.ნ. „თუთიყუშებიანი“) [11, გვ. 62] გამოსახულებებით შემკული ცალები.

I. ვერძის ორმაგი პროტომით შემკული ილარები (სურ. 5) ცნობილია ვარსიმაანთკარის სამაროვნიდან [9, გვ. 134, ტაბ. I, 9, 10, 11]. ამ ნივთებისათვის შემოთავაზებული პარალელები ძვ.ნ. IV-III სს-ითაა დათარიღებული, ხოლო თვით ვარსიმაანთკარული ცალების თარიღი შესაბამის კომპლექსებში წითლად შედებილი და წითლად მოხატული მუცელდანეული ხელადების, ბრინჯაოს ზურგშედრეკილი სამაჯურების, რკინის ზურგდაკეჭნილი სამაჯურებისა და ოვალურფარაკიანი ბეჭდების საფუძველზე ძვ.ნ. IV ს-ის მეორე ნახევრითაა განსაზღვრული, თუმცა ზემოთჩამოთვლილი ნივთები, ჩვენი აზრით, უფრო ძვ.ნ. IV

ს-ის შუა ხანებისათვისაა დამახასიათებელი. ამგვარად შემკული ილარები დადასტურებულია, აგრეთვე, სამადლოს, წინანდლის [19, სურ. 184] და თოხლიაურის მასალებში.

ტახტიძის №5 სამარხში აღმოჩენილი ბრინჯაოს ილარის ღეროზე მოთავსებულია სალტების შორის მოქცეული ბურცობი. ჩვენი დაკვირვებით, ამ ორნამენტით შემკული ნივთები თავსდება ძვ.ნ. V ს-ის შუა ხანებსა და III ს-ის დასანყის შორის, თუმცა წინანდლის ილარის შესაფერის თარიღად ძვ.ნ. IV ს. მიგვაჩნდა [19, გვ. 62]. აღსანიშნავია, რომ ტახტიძის №5 სამარხში დადასტურდა ვერცხლის წყვილი სამაჯური წახნაგოვანი ღეროთი და ბოლოებზე დაღარული ბურცობით. მის ზუსტ ანალოგიას წარმოადგენს ყანჩაეთის ვერცხლის სამაჯური, რომლის თარიღი ჩვენს მიერ ძვ.ნ. IV ს-ის ბოლო მეოთხედითაა განსაზღვრული [19, გვ. 62, სურ. 112]. აღსანიშნავია, რომ ტახტიძის №5 სამარხში სამი მიცვალებულის ჩონჩხი აღმოჩნდა, მათ შორის ერთი – მცირენლოვანი ბავშვისა. თანმხლები ინვენტარი საკმაოდ მდიდრულია. ორმოსამარხს ხის სახურავი უნდა ჰქონოდა.

დავუბრუნდეთ ვერძისთავებიანი ილარების თარიღის. ჩვენთვის ზოგადად მისაღებია 6. მუხიგულაშვილის აზრი მათი გავრცელების ხანასთან დაკავშირებით (ძვ.ნ. IV-III სს.), თუმცა ვფიქრობთ, რომ იგი IV ს-ის ჩარჩოებს არ უნდა სცილდებოდეს. სამადლოს კომპლექსი, როგორც ცნობილია, ზოგადად ძვ.ნ. IV-III სს-ითაა დათარიღებული [17, გვ. 72-76, სურ. 6]. იგივე თარიღია შემოთავაზებული კომპლექსში შემავალი ბრინჯაოს ცილინდრული ზარაკებისათვისაც [13, გვ. 105]. დღეს ამ კომპლექსის ზოგიერთი ნივთის უფრო ზუსტად დასათარიღებლად უკვე არსებობს საკმაოდ მყარი საფუძველი. ასე მაგალითად, ვერცხლის თანაბარლეროიანი, დაღარული ბურცობებით შემკული გვერგვი თავსდება ჩვენი კლასიფიკაციის იმ ჯგუფში, რომელიც ძვ.ნ. IV ს-ის შუა ხანებით დათარიღდა [19, გვ. 74, სურ. 163]. სამადლოური გრეხილი გვერგვი ჩვენს მიერ შეტანილი იყო ოთხნახნაგა გრეხილეროიანი გვერგვების ჯგუფში და ამ ჯგუფის ზოგად თარიღად შემოთავაზებული იყო ძვ.ნ. IV ს-ის მეორე ნახევარი – III

ს-ის პირველი ნახევარი [19, გვ. 75, სურ. 172], სადაც ქვედა თარიღი სწორედ სამადლოური გვერგვის შესაბამისად მიგვაჩნდა. ამავე კოლექციაში შემავალი ბრინჯაოს ცხვრის მინიატურული ქანდაკებების [18, ტაბ. XI, 32, 33] ახლო ანალოგია დადასტურებულია თაღიტახტის აქემენიდური ხანით დათარიღებულ მასალებში [23, გვ. 217, სურ. 7]. ამგვარად, გვაქვს საფუძველი, სამადლოში შემთხვევით აღმოჩენილი ნივთების ეს ჯგუფი და, შესაბამისად, ცხვრისგამოსახულებიანი ილარიც ძვ.წ. IV ს-ით დავათარიღოთ.

აღსანიშნავია, რომ ტახტიძირის სამაროვნის №5 სამარხში, რომლის თარიღზეც ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი და რომელიც ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარსარუნდა სცილდებოდეს, ცხვრისთავებიან ილართან ერთად აღმოჩენდა ზუსტად ისეთივე ცილინდრული და ნახევარსფერული ზარაკები, როგორც სამადლოს ზემოხსენებულ კომპლექსში. მოყვანილი ფაქტების გათვალისწინებით ვფიქრობთ, რომ ცხვრის ორმაგი პროტომით შემკული ილარების გავრცელების თარიღი ძვ.წ. IV ს-ის ფარგლებს არ სცილდება.

მეორე ტიპში გაერთიანდა ტახტიძირის სამაროვნის №№16, 17, 19 და 20 სამარხებში აღმოჩენდა ფრინველის გამოსახულებით შემკული ილარები. როგორც ირკვევა, ეს მოტივი საკმაოდ გავრცელებულია საქართველოში და ამგვარმა ნივთებმა თემატურად რამდენიმე ჯგუფი შეადგინა.

II.1. მეორე ტიპის პირველ ქვეტიპად გამოიყო ფრინველის გამოსახულებები მოკაუჭებული ნისკარტით და ამ ქვეტიპში ორი ვარიანტია გაერთიანებული.

II.1.ა. პირველი ვარიანტის გამოსახულებას მარაოსებურად გაშლილი, დაბრტყელებული კუდი აქვს. ამგვარი ილარები დადასტურდა ტახტიძირის №16 და №19 ორმოსამარხებში (სურ. 6), კამარახევის სამაროვნის №60 და №70 ქვაყუთებში [15, სურ. 1198], პაპიგორის №49 ქვევრსამარხში [7, ტაბ. IX, 14, 17], „დაჭრილების“ სამაროვნის №14 ქვევრსამარხში (ორი ცალი) [10, ტაბ. XXXIV, 4, 6]. მათგან ტახტიძირის №19 და კამარახევის №60 სამარხების [15, გვ. 160] ეგზემპლარებს, როგორც აღნერილობიდან ჩანს, თავზე

ბიბილოც უნდა ედგას. ილარების ამ ტიპის თარიღის დასადგენად საინტერესოა, რომ კამარახევის №60 სამარხში საკულევ ნივთს თან ახლავს ცილინდრულთავიანი საკინძები და ბრინჯაოს ოვალურზურგიანი თავდაბრტყელებული სამაჯურები [15, სურ. 1191-1198], მინის თვალედი და ბრინჯაოს მძივები, მუცელგამობერილი, ყელგამოყვანილი, პირგადაშლილი კოჭობი. ასეთივე ნივთები გვხვდება კამარახევის №70 სამარხშიც [15, სურ. 1193-1200]. „დაჭრილების“ №14 სამარხში აღმოჩენდა პასტის დაბალცილინდრული მძივები, რომელთაც ანალოგები ეძებნება ფიჭვნარის ძვ.წ. V ს-ით დათარიღებული კოლეური სამაროვნის №239 და №124 სამარხებსა [6, სურ. 19, 43] და ტახტიძირის №38 სამარხში, რომლის თარიღი, ჩვენი აზრით, ძვ.წ. IV ს-ის პირველ ნახევარში თავსდება. აქვეა ოვალურფარაკიანი ბეჭდები და ოთხსხივიანი ვარსკვლავის ფორმის ღილი, რომელსაც ანალოგიები ეძებნება ნინარე ხანის არქეოლოგიურ კომპლექსებშიც, მაგალითად, „ქასრაანთ მინების“ ძვ.წ. VI-IV სს-ით დათარიღებული სამაროვნის ქვის ფილით გადახურულ №24 ორმოსამარხში [1, გვ. 22, ტაბ. XXI, 8], რომლის თარიღი ძვ.წ. V ს-ს არ უნდა სცილდებოდეს. აქედან გამომდინარე, „დაჭრილების“ №14 სამარხის შესაფერის თარიღად ძვ.წ. IV ს-ის პირველი ნახევარი მიგვაჩნია.

ასეთივე ილარი აღმოჩენდა პაპიგორის №49 ქვევრსამარხშიც ცხენისგამოსახულებიან და თავდაკუჭნილ საკინძებთან ერთად, ერთ ასხმაში (სამარხში მოზარდია დაკრძალული). ინვენტარის შემაღენლობაში შედის წითლად შეღებილი ხელადა, ვერცხლის ბეჭდის ფარაკი მზის გრავირებული გამოსახულებით, რომლის მსგავსი ამშვენებს ბეჭედს ბოგვისხევის სამაროვნის №1 ქვის სამარხიდან, რომელიც სტრატიგირაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით ძვ.წ. V ს-ითაა დათარიღებული [5, გვ. 129; 3, გვ. 140]. პაპიგორის კომპლექსში შედის, ასევე, ბრინჯაოს ნახვრეტებიანი ფირფიტა (ე.წ. „კალენდარი“), ბრინჯაოს ორმაგი მილაკი, ნახევარსფერული, ცილინდრული და კონუსური ზარაკები. ვფიქრობთ, რომ პაპიგორის №49 ქვევრსამარხი ამ სამაროვნის ძვ.წ. IV ს-ის შუა ხანებით და ამავე საუკუ-

ნუს მეორე ნახევრით დათარიღებულ სამარხთა ჯგუფს [7, გვ. 131], უფრო ზუსტად კი, ამ ჯგუფისათვის მიღებული თარიღის ქვედა ზღვარს შეესაბამება.

ტახტიძირის №16 სამარხის ილარზე (სურ. 6) ფრინველს რელიეფური თვალები აქვს. მასთან ერთად აღმოჩნდა ზურგშენყვილებული არნივების გამოსახულებებით შემკული ილარიც, რომელიც ცალკე ტიპიდ გამოიყო (იხ. ქვემოთ). აქვეა ვერცხლის დაღარული ბურცობებით შემკული ორნილადი ფიბულა, მინის თვალედი და მოხვეული მძივები, ოქროს გოფრირებული მძივები, ვერცხლის ოვალურ და მრგვალფარაკიანი საბეჭდავიბეჭდები და ქვის სხვადასხვაგვარი მძივები, ასევე, ნითლად შეღებილი მუცელდანეული დოქი და ორი კოჭობი. მათ შორის ერთს ყელზე და მხარზე ნითელი წერნაქით დატანილი ბადისებრი ორნამენტი ამკობს. ტახტიძირის №19 სამარხში ასეთივე ილართან ერთად აღმოჩნდა ვერცხლის ოვალურფარაკიანი ბეჭდი და მაღალი ხარისხის თიხისაგან დამზადებული, წერნაქით მოხატული, წვერით ქვემოთ მიმართული სამკუთხედებისაგან შედგენილი ორნამენტით შემკული ხელადა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ №16 სამარხში 7 ნლის ბავშვი იყო დაკრძალული, ხოლო №19-ში – 35 ნლის მამაკაცი. საინტერესოა, რომ ვარსიმაანთკარის სამაროვნის მონაცემების მიხედვით მეომარი მამაკაცების სამარხებში დადასტურდა თითო ილარი, ბავშვების სამარხებში კი – ორი ან მეტი, რასაც 6. მუხივულაშვილი ამ ნივთების მაგიური დანიშნულებით ხსნის [9, გვ. 135]. როგორც ვხედავთ, მსგავსი სურათი იკვეთება ტახტიძირის სამაროვანზეც.

II.1.3. მეორე ვარიანტში გამოიყო მოკაუჭებულნისკარტიანი ფრინველის გამოსახულება განვრილებული კუდით კამარახევის №65 სამარხიდან (სურ. 3), რომლის თარიღი კომპლექსში შემავალი ნივთების საფუძველზე (ცილინდრულთავიანი საკინძები, ბრინჯაოს განზიდული ფორმის სამაჯურები, რკინის ზურგმომრგვალებული ბურცობებიანი სამაჯურები, მინის მოხვეული და თვალედი მძივები და სხვ.) შეიძლება ძვ.ნ. IV ს-ის პირველი ნახევრით შემოიფარგლოს.

ზემოთგანხილული კომპლექსების ანა-

ლიზმა ცხადყო, რომ ასორტიმენტის მხრივ ისინი ძალზე ახლოს დგანან ერთმანეთთან და მათი ქრონოლოგიური საზღვრები ძვ.ნ. IV ს-ის პირველ ნახევარსა და ამავე საუკუნის შუა ხანებს შორის მერყეობს. ამდენად, მეორე ტიპის პირველი ქვეტიპის ილარების ძირითადი გავრცელების ხანა ამავე ქრონოლოგიურ მონაკვეთში თავსდება

II.2. ფრინველის გამოსახულებიანი ილარების მეორე ქვეტიპში გაერთიანდა იხვისებური ფრინველების გამოსახულებებით შემკული ილარები, რომელთაც სპეციფიკური წაგრძელებული ნისკარტი და განვრილებული ან მომრგვალებული კუდი ახასიათებს. ამ გამოსახულებებში სამი განსხვავებული ვარიანტი გამოიყო.

II.2.ა. პირველ ვარიანტს წარმოადგენს ილარი (სურ. 8) ნატახტარი II-ის №31 სამარხიდან [16, გვ. 87, სურ. 164]. სამარხის თარიღი ზოგადად ადრეელინისტური ხანითაა განსაზღვრული.

II.2.ბ. მეორე ვარიანტი შეადგინა იხვისებურნისკარტიანი კუდმომრგვალებული ფრინველის გამოსახულებებმა. ამგვარები აღმოჩნდა ტახტიძირის სამაროვნის №20 (სურ. 8) და „დაჭრილების“ სამაროვნის №14 [6, ტაბ. XXXIV, 5] სამარხებში. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, „დაჭრილების“ №14 სამარხის თარიღი ძვ.ნ. IV ს-ის პირველი ნახევრით უნდა განისაზღვროს. რაც შეეხება ტახტიძირის №20 სამარხს, მასში სამი ბავშვი იყო დაკრძალული. სამარხი ხის სახურავიანი უნდა ყოფილიყო. სამარხში აღმოჩნდა ვერცხლის გრეხილლეროიანი გვერგვი. ამგვარი გვერგვებისათვის შესაფერის თარიღად თავის დროზე ძვ.ნ. IV ს-ის მეორე ნახევარი – III ს-ის პირველი ნახევარი მივიჩნიეთ, სადაც ყველაზე ახალგაზრდად ახალგორული გრეხილი გვერგვი ვიგულისხმეთ [19, გვ. 75, სურ. 172], ტახტიძირის №20 სამარხის თარიღთან დაკავშირებით კი უნდა ითქვას, რომ მის ინვენტარში შემავალი ნივთები – ოქროს გოფრირებული მძივები, ბოლოგახვრეტილი საყურე რგოლები და ოვალურფარაკიანი ბეჭდები გვაფიქრებინებს, რომ ამ სამარხის თარიღი უნდა განისაზღვროს პერიოდით არაუგვიანეს ძვ.ნ. IV ს-ის მესამე მეოთხედისა.

II.2.გ. მესამე ვარიანტს წარმოადგენს ტახ-
ტიძირის №17 სამარხის ილარი (სურ. 10). აქ
ფრინველის მოგრძო, ოდნავ შემსხვილებული
კუდი ზეანეულია. სამარხეულ ინვენტარში შე-
დის ოქროს გოფრირებული მძივები, რომლე-
ბიც, ჩვენი დაკვირვებით, ადრეანტიკური ხა-
ნის კომპლექსებისათვისაა დამახასიათებელი
(ვანის და საირხის მდიდრული სამარხები) და
გიშრის კასრისებური და მინის მოხვეული მძი-
ვები. აქვეა ვერცხლის ბეჭდის ფარაუი სოლა-
რული გამოსახულებით, რომელსაც ანალოგე-
ბი ექვნება პაპიგორის №49 ქვევრსამარხსა
და ბოგვისევის ძვ.ნ. V ს-ით დათარიღებულ
№1 სამარხში [7, ტაბ. IX, 10; 5, სურ. 3] აქვეა
ნერნაქით მოხატული პატარა ხელადა.

III. მესამე ტიპად ერთიანდება ილარები
დაბრტყელებული, განიერი, მოოთხკუთხო,
ნახვრეტებიანი თავით (სურ. 11-13). ზოგიერთ
ეგზემპლარზე იკითხება ზურგშეტყუპებული
ფრინველების გამოსახულებები, რომლებ-
შიც ჯ. ნადირაძე თუთიყუშებს ხედავს. ჩვენი
აზრით, მათზე არნივებია გამოსახული, რაც
კარგად ჩანდა მცხეთიჯვრის ილარზე [11, გვ.
62]. გამოსახულებებს მკაცრი კანონიკურო-
ბა ახასიათებს. გამოსახულებების ზედაპირი
უმეტესნილად მოგლუვებულია და სიუჟეტი
ძნელად იკითხება, თუმცა თავის ფორმა და
ნახვრეტების განლაგება ყველაზე ერთნაირია.
მცირე განსხვავებები შეინიშნება მხოლოდ
შუა ნახვრეტის ფორმაში. იგი შეიძლება იყოს
სამკუთხა, მრგვალი ან ოვალური. თავზე სულ
ექვსი ნახვრეტია: ორი – ქვედა ნაწილში, სა-
მი – ზედაში, რომელთაგან შუა ყუნწის როლს
ასრულებდა. ერთი, შედარებით დიდი ნახ-
ვრეტი მოთავსებულია გამოსახულების შუა
ნაწილში. იგი ზურგშექცეული ფრინველების
გამყოფ არეს ნარმოადგენს. ნაკლებადაა გა-
დაცვეთილი გამოსახულებები საირხის №1 და
№9 სამარხების ილარებზე, რომლებზეც ირი-
ბი ნაჭდევებით ფრთხებია გადმოცემული [11,
ტაბ. XXXIII, 9, XXXV, 7]. იგივე ხერხია ნახმარი
ტახტიძირის №20 სამარხის ილარის გაფორ-
მებაშიც (სურ. 11). ამ ტიპის ილარები დადას-
ტურებულია ალგეთის მდიდრული სამარხის
[3, ტაბ. XIII, 4], საირხის №1 და №9 სამარხების
[11, გვ. 76, ტაბ. XXXV, 7; გვ. 62, ტაბ. XXXIII, 9]
ინვენტარში, „დაჭრილების“ სამაროვნის №9

ქვევრსამარხში [10, გვ. 40, ტაბ. XXIX, 2] და
ტახტიძირის სამაროვნის №6, 12, 16, 40 და №41
სამარხებში (სურ. 11-13). ჩამოთვლილი კომ-
პლექსების ქრონოლოგიური შეკალა შემდეგ-
ნაირად გამოიყურება: ალგეთის მდიდრული
სამარხის ბურცობებიანი სამაჯურების ანა-
ლიზის საფუძველზე სამარხის თარიღი ძვ.ნ. IV
ს-ის ბოლო მეოთხედით განისაზღვრა [19, გვ.
61] და იგი, ჩვენი აზრით, ამ ტიპის ილარების
გავრცელების ზედა ქრონოლოგიურ ზღვარს
ნარმოადგენს. „დაჭრილების“ სამაროვნის თა-
რიღი ზოგადად ძვ.ნ. IV-III სს-ითაა განსაზღ-
ვრული. №9 სამარხის კომპლექსში შემავალი
მუცელდანეული ცალყურა ხელადა, რკინის
ბურცობებიანი სამაჯურის ფრაგმენტები,
ორნილადი ფიბულა და რკინის ოვალურფარა-
კიანი ბეჭედი გვაფიქრებინებს, რომ სამარხი
ძვ.ნ. IV ს-ის შუა ხანებზე გვიანი არ უნდა იყოს.
საირხის №9 სამარხი ჩაშვებული იყო №8 სა-
მარხის ქვაყრილში და ამიტომ იგი ძვ.ნ. IV ს-ის
მეორე ნახვრით ან მისი დასასრულითაა და-
თარიღებული [3, გვ. 64], თუმცა მასში დადას-
ტურებული მსხლისებურტანიანი ცალყურა
ხელადა, ვარდისფერი, ნაპრიალები ცალყურა
კოჭობი, განსაკუთრებით კი სალტებს შორის
მოქცეული დაღარული ბურცობებით შემკუ-
ლი ფიბულა, რომლის ანალოგები ფიჭვნარის
ძვ.ნ. IV ს-ით დათარიღებულ კოლხურ სამარ-
ხანზეა დადასტურებული [6, გვ. 86, 91, სურ.
82], გვაფიქრებინებს, რომ სამარხი IV ს-ის მე-
სამე მეოთხედზე გვიანი არ უნდა იყოს.

დაღარული ბურცობებით შემკული ოქ-
როს ფიბულები ცნობილია ვანის №11 და №6
სამარხებიდან და საიუველირო ხელოვნების
შესანიშნავ ნიმუშებს ნარმოადგენს [14, ტაბ.
XXXVI, სურ. 50, 51; 19, გვ. 54]. ამგვარადვეა
დეკორირებული ტახტიძირის №16 სამარ-
ხში ნაპრიალები ვერცხლის ფიბულაც, რომელიც
შესრულების მანერით განსხვავებულია ვა-
ნური ეგზემპლარებისაგან, თუმცა-ლა ისიც
საკმაოდ ნატიფია. ფიჭვნარის და საირხის
ზემოხსენებული ფიბულები ძალიან ჰგავს
ერთმანეთს. ისინი დაუდევრადაა ნაკეთები,
ბურცობები თითქმის არ იკითხება კბილა-
ნისებურ სალტებს შორის, მაგრამ მთავარი
ისაა, რომ მოდა ამ სახის სამკაულზე, რო-
გორც ჩანს, გასული არ არის, მით უფრო, რომ

ფიქვნარულ ცალს თან ახლავს ტეხილხაზოვანი ორნამენტის რამდენიმე რიგი, რაც ასე დამახასიათებელია ძვ.წ. IV ს-ის შუა ხანების ბურცობებიანი ორნამენტით დეკორირებული სამკაულისათვის [19, გვ. 54-64].

საირხის №1 სამარხისათვის სავსებით შესაფერისია, ჩვენი აზრით, შემოთავაზებული თარიღი – ძვ.წ. IV-III სს. მიჯნა [11, გვ. 70]. მისი ინვენტარის ახალგორის განძთან სიახლოვის გამო (ოქროს ბურთულებისაგან შედგენილი სამკუთხა საკიდები, გოფრირებული ფირფიტისაგან დამზადებული ოქროს საყურე, რომელიც ახალგორული ბურთულებიანი საყურების შიდა რკალს შეესაბამება). აქვეა ოვალური ფორმის გოფრირებული მძივიც [11, ტაბ. XXXIV, 2, 8, 7; 18, ტაბ. I, 10; II, 14ა, ბ], გოფრირებული ფირფიტა გამოყენებული ალგეთის მდიდრული სამარხის ელექტრუმის სამაჯურის გარსაკრავებადაც [3, ტაბ. XI, 2].

ტახტიძირის №6 სამარხის თარიღი, ჩვენი აზრით, ძვ.წ. IV ს-ის მესამე მეოთხედს არ უნდა სცილდებოდეს, რადგან მასში აღმოჩენილი ნივთების ასორტიმენტი სწორედ ამ ხანის კომპლექსებისათვისაა დამახასიათებელი. სამარხში აღმოჩენდა ოქროს მინიატურული ნახევარმთვარისებრი საკიდი, ბრინჯაოს «კალენდარი», ბრინჯაოს ცილინდრული და კონუსური ზარაკები, რკინის ფარაკიანი ბეჭდები და რკინის სადა სამაჯურის ფრაგმენტები. კერამიკული მასალიდან აღსანიშნავია ბერძნული შავლაკიანი კანთაროსი, რომლის თარიღი ი. გა-გოშიძის მიერ განისაზღვრა ძვ.წ. IV ს-ის ბოლო მესამედით. აქვეა წვერით ქვემოთ მიმართული სამკუთხედებით მოხატული, მაღალხარისხოვანი თიხის მოზრდილი და მინიატიურული ორი ხელადა, ასევე მუცელდანეული მოყვის-ფრო ხელადა, ცალყურა კოჭობი, პირმოყვილი ბრტყელძირა ჯამი და რკინის თოხი. სამარხში ექვსიოდე ნლის ბავშვი იყო დასაფლავებული.

ტახტიძირის №12 სამარხშიც ბავშვის ძვლები აღმოჩენდა. აյ ბრინჯაოს ილარს თან ახლავს თავებშემსხვილებული სამაჯურები, რომელთა მსგავსები ძვ.წ. IV-II სს-ის ფარგლებში თავსდება [19, გვ. 65, სურ. 120-126]. მოცემულ შემთხვევაში თარიღის დასაზუსტებლად გამოდგება ოქროს მოგრძო გოფრირებული მძივები, ასევე მოხატული ხელადა

და კოჭობი, რომლებიც ამ კომპლექსს IV ს-ის მასალებსა აახლოებს და, ამდენად, ვფიქრობთ, მისი თარიღი ძვ.წ. IV ს-ის მესამე მეოთხედს არ უნდა სცილდებოდეს.

ტახტიძირის №16 სამარხში მესამე ტიპის ილარი თანხვდება ბოლოდაბრტყელებული ფრინველის გამოსახულებიან ილარს (II ტიპი), რომელთა გავრცელების ხანა ძვ.წ. IV ს-ის პირველი ნახევრით და ამავე საუკუნის შუა ხანებით შემოიფარგლა (იხ. ზემოთ), ამდენად მიგვაჩნია, რომ №16 სამარხის თარიღიც ძვ.წ. IV ს-ის მესამე მეოთხედით უნდა განისაზღვროს.

მესამე ტიპის ილარი აღმოჩენდა ტახტიძირის №40 სამარხის შემავსებელ მინაში, თუმცა, ვფიქრობთ, რომ იგი აქ შემთხვევითაა მოხვედრილი №41 სამარხიდან, რომელიც №40 სარკოფაგის ჩადგმის დროს დაზიანდა და რომელშიც სამი ბავშვის ჩონჩხი აღმოჩენდა. მათ შორის ორის ძვლები ერთის ფეხებთან იყო მიხვეტილი და, თუ ნ. მუხიგულაშვილის ვარაუდი იმასთან დაკავშირებით, რომ ილარებს ავგაროზის ფუნქციაც ეკისრებოდა და მათ ძირითადად ბავშვებს ატანდნენ [9, გვ. 135], სწორია, საფიქრებელია, რომ ორივე ეს ილარი №41 სამარხიდან მომდინარეობს. სამარხის კიდეში მიხვეტილ ჩონჩხებს ახლდა თვალედი და მოხვეული მძივების ასხმები, ცილინდრული გვერდშეჭრილი ზარაკები, შაბიამნისფერი მინის პირამიდული საკიდი, ბრინჯაოს ჩქიფის ფრაგმენტი და ძვლის სფერული მინიატიურული ჭურჭელი. კერამიკული მასალიდან აღსანიშნავია ნითლად შეღებილი, განიერ-მუცლიანი, ფართოძირიანი, ცალყურა, პირგადაშლილი, ყელგამოყვანილი ხელადა, რომელსაც ყურის თავზე ვერძის სკულპტურული გამოსახულება აქვს დაძერნილი, ასევე მხრებდაქანებული, ოდნავ პირგადაშლილი, ღია ფერის ხელადა, ნაცრისფერი ყელგამოყვანილი ჭურჭელი სფერული კანელირებული მუცლით და პირგადაშლილი კოჭობი წრიული ფორმის ყურით. ცხვრის გამოსახულებიან და კანელირებულ ჭურჭელს ანალოგიები ვერ მოეძებნა, თუმცა ვერძის პროტომის გამოსახულებიანი ნითლად შეღებილი დოქის ფრაგმენტი აღმოჩენდა სამადლოს ელინისტური ხანის მასალებში [17, გვ. 87, ტაბ. III], ხოლო კანელირებულ ჭურჭელს გ. ნარიმანიშვილი თავისი კლასიფი-

კაცის მეორე ქრონოლოგიურ ჯგუფში ათავსებს (ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარი – III ს-ის დასაწყისი) [20, გვ. 59]. სტრატიგრაფიული მონაცემები მეტყველებს იმაზე, რომ ძვ.წ. III ს-ის სარკოფაგმა, რომელშიც ამ ხანის ბერძნული შავლაკიანი პალმეტებიანი ჯამი აღმოჩნდა, დააზიანა ხის სახურავიანი ორმოსამარხი, სადაც თავის დროზე ჯერ ორი ბავშვი, შემდეგ კი მესამე, მოზარდი ჩაუსვენებიათ. ბავშვების დასაფლავება უნდა მომხდარიყო ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარში, მძივების და სამკაულის მიხედვით, უფრო მის მესამე მეოთხედში.

ამგვარად, ზურგშენყვილებული არწივების სტილიზებული გამოსახულებებით შემკული ილარების შემცველი ყველა ზემოხსენებული კომპლექსი ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარში თავსდება. მხოლოდ ერთ შემთხვევაში ისინი თანხვდება ბოლოდაბრტყელებული ფრინველის გამოსახულებას (ტახტიძირის სამარხი №16) და ამ უკანასკნელის გავრცელების ზედა ქრონოლოგიური საზღვრის მაჩვენებლად გვევლინება.

ზოგადი დასკვნების სახით შეიძლება ითქვას, რომ ძენკვებზე შეკიდული საკინძების სამარხებში ჩატანების ტრადიცია საკმაოდ ძველია და ძვ.წ. VI-V ს-დან ფიქსირდება (მაგალითად, "ქასრაანთ მიწების" ორმოსამარხი №24) [1, გვ. 22, ტაბ. XXI, 6, 11], ხშირად ჩქიფთან ერთად, თუმცა ჩქიფები უფრო ადრეულ კომპლექსებშიც გვხვდება. თავდაპირველად, როგორც ჩანს, კომპლექტს შეადგენდა სხვადასხვა ტიპის საკინძებიდა ჩქიფები. ძვ.წ. V ს-დან ჩნდება კუბურთავიანი საკინძები. V საუკუნეშივე მათ დაემატა დუღმისებურთავიანი ბრტყელი ილარები [4, გვ. 133, ტაბ. I, სურ. 1-6], რომლებიც მომდევნო ქრონოლოგიური ჯგუფის დაღარულბურცობებიან, ცილინდრულთავიან საკინძებთან ერთად გვხვდება. ამ ტიპის საკინძების გავრცელების ხანა კი, როგორც ეს კვლევამ გვიჩვენა, ძვ.წ. IV ს-ის პირველ ნახევარს არ სცილდება. ამის შემდგომ ამგვარი საკინძები კომპლექსებიდან ქრება და მათ ადგილს იკავებს ილარები ცხოველებისა და ფრინველების გამოსახულებებით.

ცხოველების და ფრინველების გამოსახულებებით შემკული ილარები ჩნდება ძვ.წ. IV ს-დან და შემდეგი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ლაგდება:

I. ვერძის გამოსახულებიანი ილარებისათვის ვიზიარებთ 6. მუხსიგულაშვილის მიერ შემოთავაზებულ თარიღს – ძვ.წ. IV-III სს., თუმცა ტახტიძირული ეგზემპლარისათვის იგი ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარს არ უნდა სცილდებოდეს.

II. 1. ილარები, რომლებზეც გამოსახულია ფრინველი ბრტყელი, გაშლილი კუდით, ხშირად თანხვდება ცილინდრულთავიან საკინძებს და მათი გავრცელების თარიღი ერთმანეთს ემთხვევა – ძვ.წ. IV ს-ის პირველი ნახევარი და ამავე საუკუნის შუა ხანები.

II. 2. მოკაუჭებულნისკარტიანი ფრინველის გამოსახულებით შემკული ილარების შემთხვევაშიც ქრონოლოგიისათვის ძირითადი საყრდენია ცილინდრულთავიანი საკინძები, შესაბამისი კომპლექსები კი ძვ.წ. IV ს-ის პირველ ნახევარში თავსდება.

II. 3. იხვისებურნისკარტიანი ფრინველის გამოსახულებებიანი ილარების შემცველი კომპლექსების და, შესაბამისად, თვით ილარების თარიღი ძვ.წ. IV ს-ის შუა ხანებით შემოიფარგლა.

III. შენყვილებული არწივების გამოსახულებებით შემკული ილარები შეადგენენ ან სახის ნივთების ყველაზე ახალგაზრდა ჯგუფს და მათი გავრცელების ხანა ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარს ემთხვევა.

აღსანიშნავია, რომ ტახტიძირის სამაროვანზე, ისევე, როგორც ვარსიმანთკარში, ილარები ძირითადად ბავშვების სამარხებში გვხვდება. უმრავლეს შემთხვევაში ისინი ელაგა პატარა ზარდაბშებში ზარაქებთან, თვლებთან, მძივებთან და სხვა მცირე ზომის ნივთებთან ერთად, რომლებიც მიცვალებულებს ხელში ეკავათ. ამ ნესის სხვა სამაროვანებზე არსებობის თვალის გადევნება ვერ ხერხდება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განხილული საკინძების გავრცელების არეალი აღმოსავლეთ საქართველოს საზღვრებით შემოიფარგლა. პირველი ორი ტიპის ილარები მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს ძეგლებზეა დადასტურებული, ხოლო მესამე ტიპის ილარები – აღმოსავლეთ საქართველოსა და ზემო იმერეთში.

ლიტერატურა

1. ბერაძე ე. ადრეანტიკიური ხანის ორმოსამარხები „ქასრანთ მიწების“ სამაროვნიდან, კავთისხევის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1980, გვ. 14-27.
2. გაგოშიძე ი. ადრეანტიკიური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, თბ., 1964.
3. დავლიანიძე ც. ადრეანტიკიური ხანის ძეგლები ქვემო ქართლიდან, სსმმ, 32-В, 1976, გვ. 118-148.
4. თორთლაძე ზ. ილარები ქვემო გოსტიბეს სამაროვნიდან, შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის ნარკვევები, X, თბ., 2005, გვ. 123-131.
5. თუშიშვილი ნ. ბოგეისხევის ადრეანტიკიური ხანის სამაროვანი, მაცნე, ისტ. სერია, №3, 1970, გვ. 127-140.
6. კახიძე ა., ვიკერსი მ. ფიჭვნარი, I, ბათუმი, 2004.
7. მარგიშვილი ს., ნარიმანიშვილი გ. ალგეთის ხეობის ანტიკიური ხანის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 2004.
8. მენაბდე მ., დავლიანიძე ც. თრიალეთის სამაროვნები, კატალოგი, I, თბ., 1968.
9. მუხიგულაშვილი ნ. ვარსიმაანთეარის სამაროვნის ბრინჯაოს ილარები, ძიებანი, 17-18, 2006, გვ. 133-137.
10. ნაკაიძე ნ. რვ.ნ. IV-III სს-ის ქვევრსამარხები „დაჭრილების“ სამაროვნიდან. კავთისხევის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1980, გვ 28-40.
11. ნადირაძე ჯ. საირხე – საქართველოს უძველესი ქალაქი, 1, თბ., 1990.
12. რამიშვილი რ. კამარახევის სამაროვანი, მსკა, II, 1959, გვ. 5-53.
13. ჭანიშვილი თ. ზარაკების ტიპოლოგია-ქრონოლოგის საკითხები დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური მასალების მიხედვით, იბერია-კოლხეთი, III, 2007, გვ. 97-108.
14. ჭუმნია ა. ოქროს სამკაული ვანის ნაქალაქარი-დან, ვანი, IV, 1981.
15. ჯლარკავა თ. კამარახევის სამაროვანი, მცხეთა, IV, თბ., 1982, გვ. 139-190.
16. აპაკიძე ა., ნიკოლაიშვili ვ., ნარიმანიშვili გ., დავლიანიძე რ., სადრაძე ვ., ხეცურიანი ლ., ირემაშვili შ., ნონეშვili ა. მცხეთის არქეოლოგიური მუზეუმის მიერთებულ მუზეუმის მიხედვით, იბერია-კოლხეთი, III, 2007, გვ. 97-108.
17. გაგოშიძე ი. სამაროვანი, მცხეთა, მცხეთა, 1981.
18. გაგოშიძე ი. სამაროვანი, მცხეთა, მცხეთა, 1981.
19. გოგიბერიძე ნ. ბრასლეტები და გრიფები V-I საუკუნეების გვ. 2003.
20. ნარიმანიშვili გ. კერამიკა კარტლი V-I საუკუნეების გვ. 1991.
21. რამიშვili რ., ჯორბენაძე ვ., ჩიკოვანი მ., გლონთi მ., გოგიური გ., ციტლანაძე ლ., მუხიგულაშვili ნ., ჩიხლაძე ვ., რობაკიძე ც., ლომიძე ც., ციკლაური ი., რეულიშვili გ., ცერეტელი კ., მარგველაშვili მ., კალანდაძე ზ., ბუჩუკური ა., გამეზარდაშვili ზ., ციკლაური დ. აადაბებების აღმინათ არამარტინის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1987, გვ. 74-89.
22. სმირნოვ ი. ახალგორის კლადი, თბ., 1934.
23. Stronach David. Pasargadae. A report of the excavations conducted by the British Institute of Persian Studies from 1961 to 1963, Oxford.1978.

პრიცეს ქანდაკება და პრიცეს ნარმორბის ნაშთები ვანის ნაქალაქარზე

ვანის ნაქალაქარზე წლების მანძილზე ნარმორბული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებულია სხმული ბრინჯაოს ნაწარმის ათასამდე ფრაგმენტი და უკვე კარგად ცნობილი ტორსი. სრულიად თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ანტიკური ხანის ბრინჯაოს ქანდაკებების უნიკალური კოლექცია, ვინაიდან დღემდე ცნობილი ბერძნული ქანდაკების უმეტესი ნაწილი ქვისაა და არა ბრინჯაოსი და ისიც, რაც არის, მეტნილად ნაკლულია ან სულაც ფრაგმენტული. ფრაგმენტებად ქცეული ბრინჯაოს ქანდაკება, თავის მხრივ, უნიკალური წყაროა ანტიკური (ელინისტური) ხანის ბრინჯაოს სკულპტურის ნარმორბის ტექნოლოგიური პროცესის შესწავლისათვის. ამდენად ყოველი აღმოჩენა სხმული ბრინჯაოს ქანდაკებისა ან მისი ფრაგმენტებისა, იქნება ეს საბერძნეთში, თუ მის ფარგლებს გარეთ, დიდ მნიშვნელობას იძენს. ამასთან, ბრინჯაოს შემორჩენილი ქანდაკებების დიდი ნაწილი რომაული კოპიოებია. ვანში კი, როგორც ირკვევა, ორიგინალუბთან გვაქვს საქმე. უფრო მეტიც, არის მონაცემები, რომ ამ ქანდაკებების ერთი გარკვეული ნაწილი მაინც ადგილზეა ჩამოსხმული.

ვანის ნაქალაქარის ცენტრალურ ტერასაზე, მის ჩრდილოეთ ნაწილში, გამოვლენილია ბრინჯაოს სამსხმელო სახელოსნოს ნაშთები, ნარმოდგენილი სამსხმელო ორმოთი და მასთან მიერთებული არხებით (ტაბ. I, 1-3. სახელოსნოს ძირითადი ელემენტი – სადნობი ქურა – გამქრალია, მაგრამ მისი არსებობა უეჭველია). საბერძნეთში არსად არ არის შემორჩენილი ლითონის სადნობი ქურა – ქურატიგელი ან ქურა-შახტა. როგორც ცნობილია, სალლობი ქურა აღიმართებოდა სამსხმელო ორმოსთან ახლოს, ორივე დროებით კონსტრუქციას ნარმოადგენდა და გამოყენების შემდეგ მაღეუქმდებოდა [7, გვ. 377; 9, გვ. 31].

საბერძნეთში მიკვლეულია ძირითადად მხოლოდ სამსხმელო ორმოები, ისევე, როგორც ვანის სამსხმელო სახელოსნოს შემთხვევაში [10, გვ. 28; 11, გვ. 789-790]. როგორც ბერძლინის ცნობილ ნითელფიგურულ კილიკზე იღუსტრირებული სახელოსნოს სცენა მოგვითხრობს, ცილინდრული სადნობი ღუმელის თავზე მოთავსებულ თასში ლღვებოდა ლითონი და მიღებული ბრინჯაოს შენადნობი იღვრებოდა ყალიბში [9, გვ. 231]. გარსაცმით დაფარული ყალიბი თავსდებოდა სამსხმელო ორმოში, რომელიც სადნობ ქურაზე ბევრად დაბლა და ღრმად იყო ამოკვეთილი, რათა გაადვილებულიყო მძიმე, გამლლვარი ლითონის ჩასხმა ყალიბში. ყალიბი იდგმებოდა საგანგებო ბაზისზე, რომელიც ორმოს ფსკერზე იდო. გარსაცმიანი ყალიბის თავზე ძაბრი ანუ სასხამი მაგრდებოდა გამლლვარი შენადნობის მისაღებად, ხოლო ძირზე კეთდებოდა არხი, რომლიდანაც გამლლვარი ცვილი გამოედინებოდა. არხი ცვილის გამოდენის შემდეგ იხურებოდა [9, გვ. 16-18, 226]. ყალიბის ირგვლივ ცეცხლი ინთებოდა ცვილისა და ყოველგვარი სინოტივის გამოსაწვავად. სწორედ სამსხმელო ორმოა ნაპოვნი ვანის სამსხმელო სახელოსნოს ნაშთებთან. მის ძირზეც ძლიერი ცეცხლის კვალია. ის ნარმოადგენს თირში ამოკვეთილ ოვალურ ორმოს, საფეხურისებურად ჩაჭრილს (ტაბ. I, 2), რომელიც NS მიმართულებითაა ნაგრძელებული (1,5 მ ხ 1 მ); მისი კედლები ბრტყელი კრამიტითაა ამოკვანილი. კრამიტები განლაგებულია ზურგით ქვემოთ. სამსხმელო ორმოს შიდა სივრცისკენ კრამიტები აკეცილი ნაპირებითაა მიკეუული. სივრცე კრამიტსა და კრამიტს შორის თიხითაა ამოვსებული. თიხითვე ყოფილა შელესილი გარე კედლები. შელესილობის კვალი კედლებს შიგნითაც ემჩნევა. სამსხმელოს შემორჩენილი სიმაღლეა 1 მ. ეს მოიცავს 13-14 ბრტყელ კრამიტს. კედელი დასავლეთით

უკეთაა შემორჩენილი. სამსხმელო ორმოს ორი მხრიდან – ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან – თირში ამოკვეთილი ღარები – არ-ხები ახლავს (ტაბ. I, 1), მსგავსად ბერძნული სამსხმელო ორმოებისა [9, გვ. 20].

როგორც ითქვა, ვანის სამსხმელო ორ-მოს ძირი ძლიერ დამწვარია. მის ცენტრში კი ქვის ფილა – ყალიბის ბაზისი – დევს (ტაბ. I, 3). სამხრეთის მხრიდან არხი უფრო დაბალია, ჩრდილოეთის მხრიდან კი ღრმა. სივრცე ორ-მოსა და არხს შორის ქვითაა ამოქოლილი. გარდა ქვის ბაზისისა, ორმოს შიგნით ჩარჩენილი იყო თიხის ყალიბების ფრაგმენტები (ტაბ. II, 2).

ეს მოვლენა ხშირად ფიქსირდება ანტიკური ხანის ბერძნულ სამსხმელო ორმოებში – ჩამოსხმის შემდეგ ყალიბი იმსხვრეოდა და ორმოები ივსებოდა ყალიბის ნატეხებით, სასხამთა სისტემის ფრაგმენტებით, აგურით, ბრინჯაოს ნაღვენთებით, საქშენი მილების ნაწილებით და ა.შ. [9, გვ. 226]. ვანის ყალი-ბების ნატეხები, ბერძნულ სახელოსნოებთან ნაპოვნი ნიმუშების მსგავსად [7, გვ. 377], ორი (ზოგჯერ სამი) შრისაგან შედგება: შიდა ფენა შედარებით უკეთესი ხარისხისაა, კარგად განლექილია, რათა სრულად დაეფარა ცვი-ლის მოდელის ყველა ნაწილი, გარეთა შრები კი მსხვილმინარევებიანი თიხისაა, რაც ამცი-რებდა გამოწვისას ბზარების გაჩენის რისკს. სახელოსნოს უნდა ეკუთვნოდეს აგრეთვე მის პარალელურად განლაგებული, ბრტყელი კრამიტებით შემოზღუდული პატარა სათავ-სოები ($0,8 \times 0,8$ მ), რომელთა შიდა სივრცეს ძლიერი ცეცხლის კვალი ემჩნევა. ვანის სამ-სხმელო ორმოს მიმდებარე ფართობიდან ასევე აიკრიფა ყალიბების ფრაგმენტები, უამრავი ბრინჯაოს შლაკი, ძაბრის – სასხამის ნაწილი (ტაბ. II, 1), ბრინჯაოს წვეთები – ე.ნ. ნაღვენთები. ეს ნაღვენთები განსაკუთრებით დიდი რაოდენობით აღმოჩნდა იმავე ცენტრა-ლურ ტერასაზე, ე.ნ. თორმეტსაფეხურიან სა-კუთხეველთან (ტაბ. II, 6, 7) და აღმოსავლეთ ფერდობზე, სადაც მოოქრული ჩანართი ფირ-ფიტებიც იყო. ისინი ხშირად იქ იჩენს თავს, სადაც ლითონია შეგროვებული ხელახლი გადადნობისათვის [9, გვ. 235]. ჩამოსხმის დე-ფუქტების დაფარვას ემსახურებოდა ბრინჯა-

ოს თხელი (1-2 მმ სისქის), ოთხკუთხა ან პო-ლიგონალური მოყვანილობის ფირფიტები, რომლებიც სამას ცალამდეა ნაპოვნი ვანში.

ქანდაკების ჩამოსხმის შემდეგ ჰაერის ბუშტები და რკინის საყრდეულები (რკინის საგანგებო ლერაკები, გარჭობილი ცვილში გულარის შიგნით ყალიბის მდგრადობის უზ-რუნველსაყოფად) მის ზედაპირზე ნარმოქ-მნიდნენ ფოსოებს, ე.ნ. ნიუარებს. ამ ნაპრა-ლების შესავსებად მათ ჯერ შემოჭრილნენ და ძირს გაუქლიბავდნენ, შემდეგ კი ლითონით შეავსებდნენ და ისე აპრიალებდნენ, რომ ნაკ-ლოვანებანი სრულიად შეუმჩნეველი ხდებო-და [8, გვ. 385-386]. ასე რომ ვანში ბრინჯაოს ნარმოების მონაცემების მთელი ერთობლიო-ბა გვაქვს: სამსხმელო სახელოსნოს ნაშთები სამსხმელო ორმოს სახით; ყალიბის ბაზისი და თიხის ყალიბის ფრაგმენტები მის შიგნით; ყალიბების ფრაგმენტები, ბრინჯაოს შლაკი, ძაბრის, საქშენი მილის (ტაბ. II, 4), ტიგელისა (ტაბ. II, 3, 5) და თიხის საყრდენების ფრაგმენ-ტები სამსხმელო ორმოს მიმდებარე ტერი-ტორიაზე და წვეთები, ე.ნ. ნაღვენთები, ასევე საყრდეულების ანაბეჭდიანი ნატეხები.

სტრატიგრაფიული მონაცემების საფუძ-ველზე ბრინჯაოს სამსხმელო სახელოსნო ძვ.ნ. II-I სს-ით თარიღდება.

ძნელია თქმა იმისა, თუ რა ტიპის ქანდაკე-ბა იყო ჩამოსხმული ამ სამსხმელოში, რადგან ყალიბების ფრაგმენტების ცუდი დაცულობა ამის საშუალებას არ გვაძლევს. მაგრამ ყალი-ბისა და სასხამის მასშტაბების მიხედვით აქ დიდი სკულპტურა ჩამოისხმებოდა. სამსხმე-ლო ორმოს ზომები ამის უფლებას გვაძლევს – დიდი ქანდაკება ხომ ნაწილებად ჩამოისხმე-ბოდა და შემდეგ ხდებოდა მისი ანუბა. ამ სა-ხელოსნოში თუ ნაქალაქარის სხვა რომელიმე უბანზე უნდა შექმნილიყო ჭაბუკის ბრინჯა-ოს ტორსი, რომელიც აკადემიკოსმა ოთარ ლორთქითანიძემ განსაზღვრა, როგორც ელინისტური ეპოქის ე.ნ. კლასიციისტური ხელოვნების შესანიშნავი ნიმუში, რომელიც „მკაცრ სტილზე“ ორიენტირებული [1, გვ. 27-28] და მისი ვანში დამზადება ივარაუდა [1, გვ. 29]. ამ მოსაზრებას განამტკიცებს ქეროლ მატუშის მიერ გამოყოფილი ზოგიერთი ტექ-ნიკური ხასიათის ნიშანი, რომელიც ჭაბუკის

ქანდაკებას ბერძნულისაგან განასხვავებს და ბერძნულისთვის უჩვეულო შენადნობის შემადგენლობა, რომელიც შეიცავს 88% სპილენძს, 10% კალას, 1,5% ტყვიას, უმცირესი რაოდენობის ვერცხლს, რკინას და დარიშხანს [12, გვ. 213-214; 1, გვ. 29].

რაც შეეხება ვანის ქანდაკების ფრაგმენტებს, მათზე დაკვირვებით ირკვევა, რომ ისინი ეკუთვნის სხვადასხვა მასშტაბის (ადამიანის ნატურალური ზომის, ნატურალურის ერთი მესამედის, ნახევრის და ერთნახევარი ზომის) ღრუ სხმულ ქანდაკებებს, რომელთა შორისაა როგორც უსახო ნატეხები, ასევე შესანიშნავად მოდელირებული ე.ნ. კლასიცისტური სტილის ქალის ქანდაკების ხელი იდაყვას ქვემოთ, მუხლი და ტერფი; ცხოველის ფაფარს ჩავლებული მამაკაცის ხელი; თმის კულულები, ბეწვი, ღრმანაოჭიანი სამოსის ნანილები, ფოჩებით დაბოლოებული ვერტიკალურნაკეცებიანი აბჯრის ფრაგმენტები და მრავალი სხვა.

ფრაგმენტებს შორისა გველის სკულპტურული გამოსახულებები – ორი თავი და დახვეული ტანის ოთხი ფრაგმენტი, რომელთაც დამუშავებული აქვთ მხოლოდ ერთი ან ორი მხარე. ისინი მთლიანად სხმულია და ამდენად ღრუ ქანდაკების ნაწილად არ ჩაითვლება; ალბათ, უფრო რაიმე საგნის მორთულობა იქნებოდა, პედესტალისა ან საკურთხევლის – ამაზე მიუთითებს გველის ტანის ორი ფრაგმენტი, ნამოშვერილი ერთი საფუძვლიდან, და ასევე ორი გველის შეწყვილებული ფიგურა, სადაც ერთ მხარეს ჩამოსხმისას მიღებული ღარი და ბურცობია, რაც მოწმობს, რომ ეს მხარე ბრინჯაოს სხმული საგნის შიდაპირია, ხოლო გველის ტანის ორი განშტოება – მისი სკულპტურული მორთულობაა. მცირე ფორმის საკურთხევლების გველის ფიგურით შემკობა ცნობილია ელინისტურ სამყაროში და მათ სიმბოლური დატვირთვა აქვთ: ბრინჯაოს მცირე ზომის საკურთხევლის მორთულობადაა მიჩნეული გველის დახვეული ფიგურა კორინთოდან, გველის გამოსახულებას ვხვდებით ტერაკოტულ საკურთხევლებზე კომ-ეშ-შუკაფას კატაკომბებიდან [15, გვ. 29-32, სურ. 74]. უნდა ვითიქროთ, რომ ასეთივე საგნის ნაწილია ბრინჯაოს პილასტრის ორი

პანია ფრაგმენტი ვანიდან, იონიური ბაზისითა და კანელირებული სვეტით (ტაბ. II, 8). ზემოხსენებული ალექსანდრიული ტერაკოტული საკურთხევლების კიდეებზე სწორედ ბაზისებიანი პილასტრებია ნარმოდგენილი, თუმც რამდენადმე განსხვავებული ტიპისა.

ქანდაკების დეტალებს შორისაა თხელი ფურცლისაგან დამზადებული ბრინჯაოს ორი, და ერთი ვერცხლის (ტაბ. II, 9) თვალის ქუთუთო, ნამწამებით დაბოლოებული. ქუთუთოების ცალკე დამზადება ანტიკურ ქანდაკებაში ცნობილი მოვლენაა და სკულპტურის თვალების ინკრუსტაციას უკავშირდება. ანტიკურ ხანაში მოქანდაკენი ხშირად მიმართავდნენ თვალის ინკრუსტირებას. ვერცხლის, გაუმჯობესებულე მინის, ძვირფასი ქვების და სპილოს ძვლის ჩადგმული თვალები მეტად ხშირია ბრინჯაოს სკულპტურებზე. რომაული ნარწერებიდან ირკვევა, რომ საგანგებო ხელობაც კი არსებობდა ქანდაკებისათვის თვალის დამამზადებელი ოსტატისა – *faber ocularis* [4, გვ. 146-160]. ვერცხლის ქუთუთოს ბრინჯაოს მომწვანო ფერის პატინა აქვს შერჩენილი, რაც იმას მოწმობს, რომ ის ბრინჯაოს ქანდაკებისა იყო.

თითქმის შეუძლებელია ნამსხვრევებად ქცეული ბრინჯაოს ქანდაკების და სხმული საგნების შექმნის თარიღზე გადაჭრით რაიმეს თქმა, ერთია უდავო, რომ ისინი ნაქალაქარზე ელინისტური ხანის კულტურულ ფენებსა და კომპლექსებშია ნაპოვნი. მასალის ერთი ნაწილი, ამისდა მიუხედავად, მისი ქრონოლოგიური ჩარჩოების განსაზღვრის საშუალებას გვაძლევს.

პირველ რიგში ესაა ბრინჯაოს მოქრული ფირფიტები, შემკული გრავირებული მცენარეული ორნამენტით; მოოქვრა, ისევე როგორც ინკრუსტაცია, სხმული ბრინჯაოს თანმხლები მომენტებია [6, გვ. 36-38]. ერთია პალმეტის გამოსახულებიანი ფირფიტა: პალმეტის განიერი ცენტრალური ღეროს ორივე მხარეს ოთხ-ოთხი ფურცელია სიმეტრიულად განლაგებული; ფურცლების წვეროები ღეროსკენაა დახრილი (ტაბ. I, 4). პალმეტის ეს სახე ძვ. ნ. II საუკუნიდან ჩანს არქიტექტურულ დეკორსა და ტორევტიკულ ძეგლებზე (3, გვ. 181).

მეორე მოოქრულ ფრაგმენტზე გამოსახულია აკანთის ღერო, დამახასიათებელი განატოტებითა და ბაფითით. მესამე ფირფიტაზე ასევე აკანთის ღეროა გამოსახული, რომელიც ერთერთი შტოს მეშვეობით აკანთის ორნამენტისთვის დამახასიათებელ ხვიას ქმნის (ტაბ. I, 5). მსგავსი ორნამენტი, შექმნილი აკანთის მოტივის უსასრულო რიგით, ღეროთა ანალოგიური მოდელირებით, პოპულარული მოტივია ელინისტური ხანის ვერცხლისა და ოქროს ნაკეთობებზე. ის შეადგენს ორნამენტის ფალე ჯგუფს, ე.წ. „აკანთის არშიას“, რომელიც გახვდება ოქროს დიადემებზე, ოქროს ფირფიტებზე, ვერცხლის ჭურჭელზე, არქიტექტურულ დეტალებზე [14, გვ. 248-258, სურ. 122, 129; 13, გვ. 145-146, სურ. 39-40].

ამავე ქრონოლოგიურ ჯგუფში ექცევა ფრაგმენტები ჩლიქისა, რომლის სკულპტურული ნარმოსახვა უახლოეს ანალოგიებს ჰქონებს ცხენის ბრინჯაოს ქანდაკებასთან არტიმისიონთან ჩაძირული გემიდან – ძვ.წ. II-I სას-ით რომ არის დათარიღებული.

ასე რომ სხმული ბრინჯაოს ნაწარმის ერთი ნაწილი უყოყმანოდ შეიძლება მიეკუთვნოს გვიანელინისტურ ხანას.

ფრაგმენტირებული სხმული ბრინჯაოს სახით ხელთა გვაქვს უნიკალური მასალა ჩარმოების პროცესისთვის თვალის გასადევსებლად. ფრაგმენტების შიდაპირზე ყოველთვის ასახულია, თუ რომელი მეთოდითაა ჩამოსხმული ქანდაკება, რომელსაც ესა თუ ის ფრაგმენტი ეკუთვნის. ვანის ღრუ ქანდაკების ყველა ნიმუში ე.წ. ცვილის მოდელის დაკარგვის წესითაა ჩამოსხმული, მისი პირდაპირი თუ არაპირდაპირი მეთოდით: ნატეხების ერთი ჯგუფი ხასიათდება არათანაბარი შიდაპირით და საკმაოდ სქელი კედლებით, რაც პირდაპირი მეთოდის გამოყენებაზე მიგვანიშნებს. სხვა ფრაგმენტები შიდაპირზე ატარებენ ნიშნებს, რომელთა მიხედვით ჩანს, თუ როგორ ხდებოდა ცვილის დატანა ფუნჯით ყალიბზე არაპირდაპირი მეთოდის გამოყენების შემთხვევაში. ასე რომ ფრაგმენტები სხვადასხვა მოცულობით ფორმას ეკუთვნის. მასმტკაბების მიხედვით ადამიანის სულ ცოტა ათი ქანდაკება შეიძლება ვივარაუდოთ.

ვანის ბრინჯაოს ნაწარმი ძლიერაა და-

ქუცმაცებული. ის საგანგებოდ არის დამტვრეული. დარტყმის კვალი აჩნია ჭაბუკის ტორსასაც, რომელსაც თავი და კიდურები აქვს მომტვრეული. უდიდესი ნაწილი ამ ნატეხებისა კონცენტრირებული იყო ნაქალაქარის ცენტრალური ტერასის ორ უბანზე, ნგრევის ფენებში - თორმეტსაფეხურიან საკურთხეველთან და აღმოსავლეთ ფერდობზე თეთრი ქვით ნაგები შენობის ნანგრევებში. შესაძლებელია, ქანდაკება მტრის მიერაა დამსხვრეული ადგილობრივი კულტის ან მმართველის შეურაცხყფის და ამავე დროს გაძარცვის მიზნით - გავიხსენოთ, მართალია, ქრონოლოგიურად ბევრად დაცილებული (ძვ.წ. 714 წ.), მაგრამ მეტველი სცენა მუსასირის ტაძრის გაძარცვისა, გამოსახული სარგონის სასახლის რელიეფზე, სადაც ასურელები ბრინჯაოს დიდ ქანდაკებას ადგილზევე ამსხვრევენ ცულებით [5, გვ. 22]. ლითონის ძიების მიზნითვეა ამოყირავებული თორმეტსაფეხურიან საკურთხეველზე მიღმული სწორკუთხა ბაქნის ქვიშაქვის კვადრები, რომლებიდანაც რკინის სამაგრებია ამოგლეჯილი. საგულისხმოა მეორე ვერსიაც: ბრინჯაოს სხმული ფრაგმენტები, სხვადასხვა ქანდაკებისა და საგნისა, თავმოყრილი იყო მათი ხელახალი გადადნობის მიზნით. ეს მოვლენა, როგორც ითქვა, კარგადაა ცნობილი ბერძნულ სამყაროში. დასაშვებია ორივე ვერსიის ერთდროულობაც. ასეა თუ ისე, ხელთა გვაქვს მასალა, რომელიც ცხადჰყოფს, რომ ელინისტურ ხანაში ვანის ნაქალაქარზე ჩამოისხმებოდა ბრინჯაოს დიდი ქანდაკება, ბერძნული თავისი ხასიათით. ამის მოწმობაა აგრეთვე სასხამში და სარინ არხებში გამოყონილი ლითონის უფორმო ფრაგმენტები, ე.წ. წვეთები, რომლებსაც ქანდაკებას ჩამოსხმის შემდეგ აჭრიდნენ (ტაბ. II, 6,7). არ უნდა გაგვაკვირვოს იმან, რომ ბრინჯაოს ნარმოების ნაშთები საკულტო კომპლექსის სიახლოეს იყო ფიქსირებული. პირიქით, პრაქტიკულად სწორედ მოსახერხებელი იყო დიდი ქანდაკების ჩამოსხმა იქ, სადაც ის უნდა აღმართულიყო. ამას გვიდასტურებს სია იმ ბერძნული სამსხმელოებისა, რომლებიც ტაძრებთან და საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობებთან იყო გამართული [7, გვ. 346 და შემდ.].

რაც შეეხება ვანის სკულპტურების ბერძნულ ხასიათს, ცნობილია, რომ ოსტატები და მოდელები ბერძნულ ცენტრებს ძლიერ დაშორებულ ქვეყნებში მოგზაურობდნენ და ასე ვრცელდებოდა კანონიკური მხატვრული სახეები ელინისტური სამყაროდან მოწყვეტილ რეგიონებში. ამ კონტექსტში საინტერესო იქნება ხაზგასმა იმისა, რომ წმინდა ბერძნულ ქანდაკებას ვანში არ მოჰყვა ბერძნული ტიპის ტაძარი: არც ერთი საკულტო არქიტექტურული ნაგებობა ვანში (და არც საქართველოში) არ წარმოადგენს ბერძნული ტაძრის გეგმარებითი სქემის ანასახს.

ზემოთმოტანილი მონაცემები მონმობს, რომ ანტიკური ხანის საქართველოში კარგად იცნობდნენ ბრინჯაოს ღრუ ქანდაკების ჩამოსხმის ხელოვნებას, რომელიც საბერძნეთში ძვ. წ. VII საუკუნის დასასარულიდან ჩნდება [9, გვ. 30]. და არა მხოლოდ კოლხეთში – საინტერესოა ქართული საისტორიო წყაროს, „მოქცევაი ქართლისაის“ პირდაპირი მინიშნება ღრუ სხმულ სკულპტურაზე მცხეთაში: და იტყოდეს დამბადებელად ქვათა და ძელთა, და სპილენძსა და რკინასა და რვალსა, გამობერვით განჭედილსა, ღმრთად თავ-ყუანის – სცემდეს“ [2, გვ. 120].

7. Mattusch C.C. Bronze – and Ironworking in the Area of the Athenian Agora, *Hesperia*, 1977, v. 46, №4, p. 340-379.
8. Mattusch C.C. Corinthian Metal working: The Forum Area. *Hesperia*, 46, 1977, №4. p. 380-389.
9. Mattusch C.C. Greek Bronze Statuary, from the beginnings through the fifth century B.C., London, 1988.
10. Mattusch C.C. An Athenian Foundry. The Problem of Bronze Statuary in Greece during the 4th Century B.C., *Bulletin of the Metals Museum*, v. 14, 1989.
11. Mattusch C.C. The Production of Bronze Statuary in the Greek world. Das Wrack. Der antike Schiffsfund von Mahdia. Band 2, 1994, Köln, p. 789-799.
12. Mattusch C.C. Classical Bronzes. The Art and Craft of Greek and Roman Statuary, Cornell University Press, Ithaca and London, 1996.
13. Meurer M. Das Griechische Akanthusornament und seine Natürlichen Vorbilder, *JDG*, B. XI, 1896.
14. Riegl A. Stilfragen. Grundlegungen zu einer Geschichte der Ornamentik, Berlin, 1993.
15. Schreiber T. Expedition Ernst von Sieglin. Ausgrabungen in Alexandria, B. I, Die Necropole von Kom esch-Schuka (T. Schreiber), Leipzig, 1908.

ლიტერატურა

1. ლორთქიფანიძე თთ. ვანი – „ოქრომრავალი“ კოლხეთის უძველესი რელიგიური ცენტრი, I. Jahrbuch des Römisch-Germanischen Zentralmuseums, Mainz, 42 Jahrgang, 1995 (1996), S. 353-401.
2. მოქცევაი ქართლისაი, ძველი აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I (V-X სს.), ილია აბულაძის რედაქციით, თბ., 1963, გვ. 120.
3. Марченко М.Ю. О терракотовых антепилях Пантикея, Археология и история Боспора, т. I., Симферополь, 1962.
4. Трейстер М.Ю. Новые данные о художественной обработке металла на Боспоре, ВДИ, 1984, № 1, с. 146-160.
5. Azarpay G. Urartian Art and Artifacts. Berkeley and Los Angeles, 1968.
6. Charbonneau I. Greek Bronzes, New York, 1962.

სამოხატო მიმოქცევა იპერიაში ქ3.ნ. V-I საუკუნეებში

თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე საქართველო, სამონეტო საქმისა და სამონეტო მიმოქცევის თვალსაზრისით, ორ დიდ „ნუმიზმატიკურ პროვინციად“ იყოფა – დასავლეთ (კოლხეთის) და აღმოსავლეთ (იბერიის) საქართველოდ. სამონეტო ემისია და სამონეტო ცირკულაცია კოლხეთის ტერიტორიაზე გაცილებით ადრე იწყება, ვიდრე იბერიაში [21, გვ. 12; 22, გვ. 37; 23, გვ. 66]. ამ კონკრეტულ შემთხვევაში იბერიის ქვეშ მთელი აღმოსავლეთ საქართველო იგულისხმება.

ნინამდებარე წერილის მიზანია სამონეტო მიმოქცევის ზოგადი მიმოხილვა აღმოსავლეთ საქართველოს ფარგლებში ქ.ნ. V-I საუკუნეებში. მაგრამ ვიდრე ამ საკითხს შევეხებოდე, საჭიროდ მიმაჩნია შევჩერდე იბერიის სამეფოს პოლიტიკური ცენტრის ლოკალოზაციის პრობლემაზე. საქმე ისაა, რომ, თუ ქართლის (იბერიის) სამეფოს გენეზისის თარიღი – ქ.ნ. IV ს-ის დასასრული, ან III ს-ის დასაწყისი [14, გვ. 435-438, 444] თითქმის ერთხმადაა გაზიარებული მკვლევართა მიერ, ამ სახელმწიფოს პოლიტიკური ცენტრის ლოკალიზაციის საკითხი დისკუსიის საგანია. მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ ასეთად უნდა მივიჩნიოთ თანამედროვე მცხეთა თავისი მიმდებარე ტერიტორიით [იხ. 2; 3; 4; 14, გვ. 444-445], მეორე ნაწილის მოსაზრების თანახმად კი, იბერიის დედაქალაქი სამადლო-ნასტაკისის მიდამოებშია საძიებელი (მცხეთიდან დაახლოებით 15 კმ-ის მოცილებით, რკინიგზის სადგურ ქსნის ზონაში) და შეიძლება გაიგივებული იქნას ქართულ წყაროებში მოხსენიებულ „ძუელ მცხეთასთან“ [6, გვ. 5-26; ნასტაკისის არქეოლოგიური გათხრების შესახებ იხ. 5, გვ. 36-45; 17, გვ. 93-102 და სხვ.]. ერთ-ერთ არგუმენტს ამ უკანასკნელი ჰიპოთეზის სასარგებლოდ

წარმოადგენს ის გარემოება, რომ სამადლოს საქალაქო ცხოვრების აყვავების ხანა მოდის ქ.ნ. IV ს-ის ბოლოსა და III ს-ის დასაწყისზე, ე.ი. ემთხვევა ქართლის ადრესახელმწიფო პრივ პერიოდს. მცხეთაში ქ.ნ. IV-III სს-ის მასალა წარმოადგენილი არაა, ან წარმოადგენილია ნაკლებ აფექტურად [20, გვ. 100].

განსახილველი საკითხისათვის გარეული მნიშვნელობა აქვს იბერიის დედაქალაქის ზუსტ ლოკალიზაციას, ვინაიდან ქვეყნის პოლიტიკური ცენტრი, ამავე დროს, არ შეიძლება არ ყოფილიყო უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური ცენტრიც. ამდენად სახელმწიფოში სამონეტო მიმოქცევის სურათი სწორედ ამ პუნქტიდან მომდინარე მასალაში უნდა იყოს ასახული.

სამწუხაროდ, არც მცხეთა (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა) და, მით უმეტეს, არც სამადლო-ნასტაკისის ზონა არ იძლევა ქ.ნ. IV-III სს-ის ნუმიზმატიკურ ძეგლებს. მეტად დამაფიქრებელია, რომ ამ პერიოდის არც ერთი მონეტა არაა მიკვლეული სამადლოში, სადაც მისი აღმავლობის პერიოდში, ქ.ნ. IV-II სს-ში, როგორც ჩანს, მდებარეობდა საკმაოდ ვრცელი ქალაქის აკროპოლისი [20, გვ. 66]. მით უფრო, რომ სამადლოში გამოვლენილია ადრეელინისტური ხანის შესანიშნავი არქეოლოგიური მასალა და ივარაუდება მისი მჭიდრო კავშირი ელინურ სამყაროსთან, კერძოდ, ელინიზირებულ მცირე აზიასთან [20, გვ. 61].

თუ ამ ფაქტს შემთხვევითი ხასიათი არა აქვს, მაშინ, ეჭვს გარეშეა, უნდა ვივარაუდოთ სამონეტო მიმოქცევის უაღრესად სუსტი განვითარება ქ.ნ. IV-III სს-ის იბერიაში. ეს განსაკუთრებით ითქმის ადრეანტიკურ ხანაზე – ქ.ნ. V-IV საუკუნეებზე.

მაინც რას გვაძლევს ამ მიმართებით კონკრეტული ნუმიზმატიკური მასალა?

აღმოსავლეთ საქართველოს ფარგლებში ძვ.წ. V-IV სს-ის მხოლოდ ორი უცხოური მონეტაა აღმოჩენილი: 1. 1856 წ. სურამის მიდამოებში II ტიპის კოლხურ ნახევარდრაქმებთან ერთად იპოვნეს ძვ.წ. VI-IV სს-ის აქემენიდური სიკლი, რომელიც პეტერბურგის ერმიტაჟის ნუმიზმატიკურ კაბინეტს გადაეცა [32, I, 1926, გვ. 36, №2; 24, გვ. 56, №24]. სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით კოლხური მონეტების არც ზუსტი რაოდენობა და არც ზუსტი ქრონოლოგია; 2. 1939 წ. ბაშკიჩეთის რნის სოფ. კომკათელასთან (ამჟამად დმანისის რ-ნი, სოფ. საკირე) შემთხვევით აღმოჩნდა ძვ.წ. V-IV სს-ის, ე.წ. „ძველი სტილის“ ათენური ტეტრადრაქმა, რომელიც პირადად ნახა და განსაზღვრა ე. პახომოვა.

ამით ამოიწურება აღმოსავლეთ საქართველოში აღმოჩენილი ძვ.წ. V-IV სს-ის უცხოური მონეტების სია. ამასთან დაკავშირებით, უნდა მოვიხსენიოთ კიდევ სპილენძის ოლბიური მონეტა, რომელიც 1956 წ. იპოვნეს სოფ. ნიჩბისში (მცხეთის რ-ნი) და რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ძვ.წ. IV ს-ით იყო დათარიღებული [28, გვ. 143, №6; 19, გვ. 53, №88, ტაბ. IV, №64; 22, გვ. 36, №20]. დღეს ამ მონეტის ემისიის ხანად ძვ.წ. 180-170 წლებია მიჩნეული, ამიტომ მის შესახებ სათანადო ადგილას ვისაუბრებთ.

შეიძლება თუ არა რაიმე დასკვნის გამოტანა იმ ორი აღმოჩენის საფუძველზე, რომელიც ზემოთ მოვიხსენიეთ? მასალა ძალიან მნირია, მაგრამ ზოგიერთი ვარაუდის გამოთქმის საშუალებას მაინც იძლევა. უპირველეს ყოვლისა, ხაზგასასმელია ერთი საინტერესო დეტალი: ეს მონეტები ქრონოლოგიურად წინ უსწრებს სამეფოხელისუფლების წარმოქმნას აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, რასაც, როგორც ვარაუდობენ, ძვ.წ. IV-III სს-ის მიჯნაზე ჰქონდა ადგილი. ხომ არ უნდა აიხსნას ეს გარემოება იმით, რომ ტრანსკავკასიური სავაჭრო-სატრანზიტო გზის ათვისება, რომელიც შევის ზღვის აუზის ქვეყნებს ინდოეთთან აკავშირებდა [12, გვ. 377-382] და რომელიც იძერიაზე გადიოდა, მართლაც

ელინისტურ ხანამდე განხორციელდა. ყოველ შემთხვევაში, ცხადზე უცხადესია, რომ, და ამაზე სამართლიანადა გამახვილებული ყურადღება სამეცნიერო ლიტერატურაში, ხსენებული გზის ცალკეული მონაკვეთები, რომელთაც თავდაპირველად ლოკალური მნიშვნელობა ჰქონდა, ისახებოდა ჯერ კიდევ წინარეელინისტურ ხანაში [12, გვ. 382]. ამაზე სრულებით აშკარად მიუთითებს აქემენიდური სიკლის პოვნის ფაქტი სურამის მიდამოებში. უდავოა ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ ის აქ უცილობლად კოლხეთის საზღვრებიდანაა შემოსული მდ. ფაზისის არტერიით, ვინაიდან კოლხური მონეტების განძთან (?) ერთადაა აღმოჩენილი. მით უმეტეს, რომ დასავლეთ საქართველოში კიდევაა დადასატურებული კოლხური ნახევარდრაქმებისა და აქემენიდური ვერცხლის მონეტის ერთობლივი აღმოჩენა, კერძოდ, ვანის რაიონის სოფ. სულორში მიკვლეულ განძის შემადგენლობაში [8, გვ. 82-83; 13, გვ. 206; 36, გვ. 155-158]. გარკვეული აზრით, იგივე შეიძლება ითქვას დმანისში აღმოჩენილი ათენური ტეტრადრაქმის შესახებ. ამჯერად პრინციპული მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს იმ გარემოებას, რომ დმანისის რაიონი რამდენადმე მოცილებულია ძირითად ტრასას. პირიქით, ის შეიძლება იმის საბუთადაც კი გამოდგეს, რომ სამონეტო მიმოქცევა ისახებოდა არა მარტო სავაჭრო მაგისტრალის გასწვრივ, არამედ ქვეყნის შიგნითაც. თუმცა, მონეტათა აღმოჩენის სიმცირე გვაიძულებს გავაკეთოთ დასკვნა, რომ ფულადი მეურნეობა აღმოსავლეთ საქართველოში ძვ.წ. V-IV სს-ში, მეტი რომ არ ვთქვათ, ჯერ კიდევ ჩანასახოვან მდგომარეობაში იყო.

აღმოსავლეთ საქართველოში აღმოჩენილი ელინისტური ხანის მონეტები, დიფერენცირებული საუკუნეების მიხედვით, ასე გამოიყურება – ძვ.წ. IV-III სს.:

1. 1951 წ. 12 მაისს მცხეთაში, თ. ხუბიეროვის სახლის სარდაფში (ჯაფარიძის ქ. №9), შემთხვევით მიკვლეულ სამარხში აღმოჩნდა ალექსანდრე მაკედონელის (ძვ.წ. 336-323 წწ.)

სტატური [26, გვ. 172; 32, VIII, 1959, გვ. 11, №1909; 7, გვ. 53, №4; 22, გვ. 43-44]. სტატური დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილების განხების ფონდში №7798 (შემდეგში მხოლოდ – გ.ფ.), ნ. – 8,77 გრ., ზ. – 18/20 მმ. სამარხეული კომპლექსი გვიანდელია. სტატურთან ერთად აქ იყო ავგუსტუსის დენარი (ძვ.ნ. 27-ახ.ნ. 14 წწ.) და ე.ნ. გოტარზეს დრაქმა (40/1-51 წწ.).

2. 1996 წელს შიდა ქართლის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. ი. გაგოშიძე), ქარელის რ-ნის სოფ. ტახტიძირში მიკველეულ მდიდრულ სამარხში (№8), სადაც რამდენიმე მიცვალებული იყო დაკრძალული, ალექსანდრე მაკედონელის სტატურიც აღმოაჩინა, რომელიც ბავშვს პირში ედო. გამოხრელი სამარხს ძვ.ნ. III ს-ის დასაწყისით ათარიღებს [34, გვ. 57]. მონეტა ჩემს მიერაა განსაზღვრული (სურ. 1). მისი აღნერილობა ასეთია:

გ.ფ. №25238. ნ. – 8,52 გრ., ზ. – 18/19 მმ.

შუბლი – ქალღმერთათენას გრძელთმიანი თავის გამოსახულება კორინთულ მუზარადში მარჯვნივ, მუზარადზე დაკლაკნილი გველია გამოხატული; ზურგი – გრძელ ქიტონში ჩაცმული მარცხნივ მიმავალი ფრთოსანი ნიკეს გამოსახულება მთელი ტანით. მარჯვენა ხელში მას გვირგვინი უჭირავს, მარცხნაში – სტილიდა. მარჯვენა ხელს ქვემოთ მოთავსებულია მონოგრამა, ქალღმერთის უკან ბერძული ზედნერილი: **ΑΛΕΞΑΝΔΡΟ[Υ]**.

სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, ალექსანდრე მაკედონელის ოქროს მონეტები, რომელებზედაც მონარქი მეფის ტიტულის გარეშემა მოხსენიებული, ძვ.ნ. 329 წელზე უფრო ადრეულია [იხ. 7, გვ. 61, აქვეა სათანადო ბიბლიოგრაფია].

3. XX ს-ის 80-იან წლებში ნიჩბისში მცხოვრებმა ივანე მერაბიშვილმა მაჩვენა ბრნყინალედ დაცული ალექსანდრე მაკედონელის სახელით მოჭრილი ტეტრადრაქმა, რომელიც, მისივე სიტყვებით, უპოვნიათ ამავე სოფელში 10-15 წლის ნინათ. მონეტა მანვე დაიტოვა, მე შემომრჩა მისი აღნერილობა და მეტროლოგიური მონაცემები:

ნ. – 15,80 გრ., ზ. – 24/26 მმ.

შუბლი – მარჯვნივ მიმართული ჰერაკლეს პროფილი ლომის ტყავში, რომელსაც ალექსანდრე მაკედონელის სახის ნაკვთები აქვს. მარცხნივ შემორჩენილია ნერტილოვანი რკალის ფრაგმენტი; ზურგი – მარცხნივ მიმართული ტახტზე მჯდომი ზევსის გამოსახულება, მარჯვენა ხელზე მას არნივი უზის, არნივს ქვემოთ – ყურძნის მტევანი, გამოსახულების უკან ბერძნული ზედნერილი – **ΑΛΕΞΑΝΔΡΟΥ**. გარშემო შეერთებული ნერტილობისაგან შემდგარი რკალი.

ამრიგად, ზემოთაღწერილი ტეტრადრაქმაც ადრეულია. რამდენად ზუსტია ინფორმაცია ამ მონეტის აღმოჩენის შესახებ სოფ. ნიჩბისში, ძნელი სათქმელია.

4. გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს მე მაჩვენეს ალექსანდრე მაკედონელის კიდევ ერთი ტეტრადრაქმა, რომელიც თითქოს ნაპოვნი იყო თბილისში, ელიას მთაზე. სამწუხაროდ, ინფორმატორმა არც თავისი სახელის გამხელა ისურვა და არც მონეტის აღნერის საშუალება მომცა. მას მხოლოდ მისი ფასი აინტერესებდა.

5. ალექსანდრე მაკედონელის დრაქმა შემთხვევით აღმოჩნდა კაჭრეთის რაიონში. გ.ფ. №9713, ნ. – 4,00 გრ., ზ. – 15/17 მმ. [7, გვ. 57, №18; 22, გვ. 47, №21].

6. კასპის რ-ნის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. ზ. მახარაძე) 2002 წელს, კავთისხევის „ციხიაგორას“ სამაროვნის დარღვეულ ფენაში, ზედაპირულად მოიძია საკმაოდ ცუდად დაცული ალექსანდრე მაკედონელის დრაქმა (გ.ფ. №25237, ნ. – 8,4 გრ., ზ. – 18/19 მმ.). მონეტა ჩემს მიერაა განსაზღვრული, იგიჩვეულებრივი ტიპისაა: ჰერაკლეს პროფილი ლომის ტყავში – ტახტზე მჯდომი ზევსი. ზედნერილი ცუდად იკითხება.

7. 1987 წ. დედოფლის გორის (არადეთის ორგორა) არქეოლოგიური გათხრების დროს (ხელმძღვ. ი. გაგოშიძე), ძვ.ნ. I ს-ის მეორე ნახევარში დამწვარ ეზოში აღმოჩნდა ლისიმაქეს (ძვ.ნ. 306-282 წწ.) სტატური, რომელიც ცეცხლში მოხვედრის გამო დაზიანებულია.

გ.ფ. №26280, ნ. – 3,9 გრ., ზ. – 16 მმ. [35, გვ. 172] (სურ. 2). მონეტა განსაზღვრულია ჩემს მიერ, გამოუქვეყნებელია, ამიტომ ვიძლევი მის აღნერილობას:

შუბლი – ალექსანდრე მაკედონელის თავის გამოსახულება დიადემაში და ამონის რეიტ მარჯვნივ; ზურგი – ტახტზე მჯდომი ათენა პალადა მარცხნივ. მარცხენა ხელში მას შუბი უჭირავს და ფარს ეყრდნობა. მის განვდილ მარჯვენა ხელზე დგას ნიკე. გამოსახულების უკან ბერძნული ზედნერილი: **ΒΑΣΙΛΕΩΣ, Ενο - ΛΙΣΙΜΑΧΟΥ.** გამოსახულების ქვემოთ BY, უფრო ქვემოთ – სამთითა, მის ქვემოთ – A. სტატერი ყოველგვარი ეჭვის გარეშე მოჭრილია პიზანტიონში ლისიმაქეს გარდაცვალების შემდეგ, ალბათ, ძვ.წ. 195 წლის ახლო ხანებში [22, გვ. 89, აქვეა სათანა-დო ლიტერატურა]. გამომდინარე აქედან, ამ მონეტას გამოვიყენებ ძვ.წ. II ს-ის სამონეტო მიმოქცევის გაშუქების დროს.

8. 1940 წ. თ. გურგენიძემ ს. ჯანაშია სააქართველოს სახელმწიფო მუზეუმს გადასცა ეგვიპტის მმართველის პტოლემაიოს III-ის (?) (ძვ.წ. 247-222 წწ.) სპილენძის მონეტა, რომელიც აღმოჩნდა ხიდის მშენებლობის დროს ზემო ავჭალის რეინიგზის სადგურის ახლოს. გ.ფ. №2262, ნ. – 19.84 გრ., ზ. – 30 მმ. (აღნერილობა იხ. 22, გვ. 144, №5). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ე. პახომოვი ამ მონეტას ზოგადად ერთ-ერთ პტოლემაიოსს მიაკუთვნებს [32, IV, 1949, გვ. 13, №1019].

9. 1938 წ. არმაზის არქეოლოგიური გათხების დროს აღმოჩნდა ჩვეულებრივი ტიპის კოლხური ნახევარდრაქმა [26, გვ. 165]. სამნუხაროდ, სადაა ეს მონეტა ამჟამად ჩემთვის უცნობია.

10. კოლხური ნახევარდრაქმა შემთხვევით იპოვნეს აგრეთვე ახალციხის რ-ნის სოფ. ანურში. გ.ფ. №729, ნ. – 2,14 გრ., ზ. – 11/12 [22, გვ. 136, №3, გვ. 144, №3].

11. კოლხური ნახევარდრაქმები (5 ცალის რაოდენობით) აღმოჩნდა სოფ. წნისში (ახალციხის რ-ნი) არქეოლოგიური გათხების დროს (გ.ფ. №№23306-23310), სადაც მიკ-

ვლეული იქნა ძვ.წ. IV-III სს-ს 45 სამარხი. ორ შემთხვევაში მონეტები მიცვალებულს პირში ედო [10, გვ. 31-32].

12. უაღრესად საინტერესო სპილენძის მონეტა აღმოჩნდა 1950 წ. 12 დეკემბერს სამხრეთ ოსეთის სამარშრუტო ექსპედიციის მუშაობის დროს (ხელმძღვ. ბ. კუფტინი). "კვაის-მშენის" ბაზის ტერიტორიაზე ექსპედიციამ მიაკვლია ჩაშვებულ სამარხს, სადაც იყო ზემოხსენებული მცირე ზომის სპილენძის მონეტა (გ.ფ. №9347, ნ. – 2,0 გრ., ზ. – 10/11,5 მმ.). მისი სქემატური აღნერილობა ასეთია: შუბლი – დაფნისგვირგვინიანი თავის გამოსახულება მარჯვნივ (აპოლონი?); ზურგი – ასევე მარჯვნივ მიმართული ხარის თავის გამოსახულება, მის რქებს შორის მოთავსებულია რამდენიმე ასო, რომელთაც ბ. კუფტინი და დ. კაპანაძე არამეულად მიიჩნევდნენ [27, გვ. 144, შენიშვ. 26, გვ. 146, შენიშვ. 40]. ჩემი აზრით, წარწერა ბერძნულია, არც ერთ და არც მეორე შემთხვევაში მისი ამოკითხვა ვერ ხერხდება. ბ. კუფტინი და დ. კაპანაძე თვლიდნენ, რომ ეს მონეტა იბერიაში მოიჭრა. ბ. კუფტინი მას ძვ.წ. III-II სს-ით ათარიღებდა. სამნუხაროდ, ამ მონეტის ანალოგი ვერც ერთ პუბლიკაციაში ვერ მოვიძიე და ვერც უცხოელმა სპეციალისტებმა შეძლეს მისი ატრიბუცია [22, გვ. 144, №6].

ამრიგად, აღმოსავლეთ საქართველოს ფარგლებში ძვ.წ. IV-III სს. მონეტების პოვნის 12 შემთხვევაა დადასტურებული (სულ 16 ცალი). მაგრამ გამოდგება თუ არა ყველა მათგანი იმის დასტურად, რომ სინქრონულად სხენებულ რეგიონში სამონეტო მიმოქცევა ინტენსიურ ხასიათს ღებულობს? განვიხილოთ თითოეული მათგანის სანდოობის საკითხი ამ კუთხით.

მცხეთაში აღმოჩნილი ალექსანდრე მაკედონელის სტატერი (№1) მოძიებულია გვიანდელ სამარხში, ამდენად გაურკვეველია როდის შემოვიდა ის იბერიის ტერიტორიაზე. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ სტატერი მაინცდამაინც I ს-შია აქ მოხვედრილი. ოქროს მონეტადიდი ხნის განმავლობაშიინარჩუნებს

თავის სრულფასოვან ფუნქციას, ასე რომ, გამორიცხული არაა მისი ცირკულაციაში მოხვედრა ადრეულ ეპოქაში. ამ თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია ტახტიძირში მიკვლეული ალექსანდრე მაკედონელის სტატერი (№2). ის ძვ.წ. III ს-ის დასაწყისის სამარხშია ნაპოვნი და მისი გამოყენება ჩემი მიზნისათვის უაღრესად ფასეულია. რაც შეეხება ამ მონარქის ვერცხლის მონეტებს (№№3-6), ყველა მათგანმა ჩემს ხელში გაიარა და მათი რეალობა ეჭვს არ იწვევს. რამდენად სანდოა ინფორმაცია ორი მათგანის ნიჩბისა და ელიას მთაზე აღმოჩენის შესახებ (№№3-4), ძნელი სათქმელია. აღმოსავლეთ საქართველოში ამ მონეტების შემოსვლის ქრონოლოგიის დასადგენად არაფერს იძლევა აგრეთვე კაჭრეთისა და კავთისხევის „ციხიაგორას“ სამაროვნის დარღვეულ ფენაში ნაპოვნი ალექსანდრე მაკედონელის დრაქმები. მაგრამ, მიუხედავად გარკვეული სკეპტიკიზმისა, თუ ამ მასალას ერთ კონტექსტში, მთლიანობაში განვიხილავთ, არ შეიძლება არ ვაღიაროთ ალექსანდრე მაკედონელის მონეტების გარკვეული როლი იბერიის სამონეტო მიმოქცევაში ძვ.წ. III ს-დან მაინც.

ალექსანდრე მაკედონელის სტატერები ფართოდ იყო გავრცელებული კოლხეთში [7, გვ. 52-57; 22, გვ. 43-47]. ამიტომ ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ იბერიაში მათი შემოსვლა სწორედ ამ გზით მოხდა. რაც შეეხება ალექსანდრე მაკედონელის ტეტრადრაქმებსა და დრაქმებს, ისინი უაღრესად აქტიურ როლს თამაშობდნენ სომხეთისა და ალბანეთის სამონეტო ცირკულაციაში [30, გვ. 237; 31, გვ. 62; 33, გვ. 13-14]. ოქროს მონეტები იქ არ გვხვდება. ჩემი აზრით, იბერიაში აღმოჩენილი ალექსანდრე მაკედონელის ვერცხლის მონეტების შემოსვლის გზა ამ ქვეყნებშია საძიებელი.

შევხოთ დანარჩენ მონეტებსაც: დედოფლის გორაზე აღმოჩენილი ლისიმაქეს სტატერი (№7) მოჭრილია მისი სიკვდილის შემდეგ, ძვ.წ. 195 წლის მომდევნო ხანაში, ამიტომ ის ძვ.წ. II ს-ის ვითარებას ასახავს.

იბერიის ფარგლებში ნაპოვნი ეგვიპტური მონეტა, მართალია, პტოლემაიოს III (ძვ.წ. 247-222 წწ.) მივაკუთვნეთ, მაგრამ მისი ატრიბუცია გარკვეულ ეჭვს იწვევს. აქედან გამომდინარე, ჯერჯერობით, ამ აღმოჩენას გარკვეული სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ. თუმცა აქვე შევნიშნავთ, რომ ის ძვ.წ. II ს-ზე უფრო გვიან მოჭრილი არ შეიძლება იყოს.

რაც შეეხება კოლხური თეთრის პოვნის ფაქტებს აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (№№9-11), ეს რამდენიმე ასპექტით იქცევს ყურადღებას: სამეცნიერო ლიტერატურაში მრავალგზის იყო მითითებული, რომ კოლხური თეთრი ლოკალური მნიშვნელობის ჯგუფია, რომელიც, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არ გადის დასავლეთ საქართველოს ფარგლებს გარეთ [იხ. მაგ., 22, გვ. 17, 167, შენიშვ. 9. აქვეა სათანადო ლიტერატურა]. ამ თვალსაზრისით კოლხური თეთრის ნახევარდრაქმების აღმოჩენის გახშირება აღმოსავლეთ, განსაკუთრებით სამხრეთ საქართველოში, მრავლისმთქმელია (არც ის უნდა დაგვავინყდეს, რომ 1856 წელს სურამის მიდამოებში, სამეცნიერო ლიტერატურაში დაცული ცნობების მიხედვით, კოლხური თეთრი აღმოჩენილა. მაგრამ გაუგებარია რაზეა აქ საუბარი, კოლხური ნახევარდრაქმების განძზე, თუ ცალკეულ ცალებზე [იხ. 32, I, 1926, გვ. 36, №2; 24, გვ. 56, №24]. შეიძლება დავეთანხმოთ სოფ. ნნისის გამთხრელის სამართლიან გამონათქვამს, რომელიც აქ კოლხური თეთრის პოვნასთან დაკავშირებით წერს: „ამ ფაქტის გადაუჭარბებლად შეფასება ძალზედ ძნელია, რადგან იგი მოგვცემდა ერთის მხრივ, როგორც ეთნიკური ტრადიციების ერთობას, ასევე კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობის მყარ მაგალითს აღმოსავლურ-ქართულ და დასავლურ ქართულ მატერიალურ თუ სულიერ კულტურათა შერწყმის სფეროში“ [10, გვ. 32].

თითქოს უფრო ინტენსიურ ხასიათს ღებულობს სამონეტო მიმოქცევა იბერიაში ძვ.წ. III ს-ის დასასრულსა და II საუკუნეში. შესაბამისი პერიოდის მონეტების სია ასე გამოიყურება:

1. XIX ს-ის 50-იან წლებში გორის მიდამოებში აღმოჩნდა ძვ.ნ. III-II სს-ის პართული მონეტების განძი, რომელიც მპოვნელმა ვაჭარს მიყიდა. ამ უკანასკნელთან ი. ბართოლომეიმ გადაათვალიერა 30 ეგზემპლარი [32, II, 1938, გვ. 11, №328; 22, გვ. 148, №29].

2. დედოფლის გორაზე აღმოჩნილი ლისიმაქეს სტატერის შესახებ მე უკვე ვწერდი. ის ძვ.ნ. 195 ნ. შემდგომ ხანებშია მოქრილი.

3. 1956 ნ. სოფ. ნიჩბისში, ძველ ნანგრავებში, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობას აბანოს ნაშთად მიაჩნდა, იპოვეს სპილენძის ოლბიური მონეტა. ის დათარიღებული იყო ძვ.ნ. IV ს-ით და არც მისი აღწერილობა იყო მთლად ზუსტი [28, გვ. 143, №6; 22, გვ. 36, №20]. ამჟამად ეს მონეტა თარიღდება ძვ.ნ. 180-170 წლებით. ვიძლევით მის აღწერილობას (გ.ფ. №9562, ნ. - 8,80 გრ., ზ. - 11/12 მმ): შუბლი - მარჯვნივ მიმართული დემეტრეს თავის გამოსახულება, რომლის უკან დელფინია მოთავსებული; ზურგი - დელფინზე მჯდომი არწივი მარცხნივ. გამოსახულების ქვემოთ ბერძნული ასოები: ΒΣΕ, მარცხნივ - Η, ზემოთ - ΟΛΒΙΟ [16, გვ. 111, №303, ტაბ. XIX, №303].

4. ნასტაკისის არქეოლოგიური გათხრების დროს (ხელმძღვ. ალ. ბოხოჩაძე), 1977 ნ. №6 სამარხში აღმოჩნდა კაპადოკიის მეფის არიარატ IV-ის (ძვ.ნ. 220-163 წწ.) დრაქმა, მოქრილი ძვ.ნ. 187 ნ. გ.ფ. №16914, ნ. - 3,98 გრ., ზ. - 16/17 მმ. [22, გვ. 159, №58].

5. გორის მიდამოებში შემთხვევით იპოვნეს მითოდატე I-ის (ძვ.ნ. 171-138 წწ.) პართული დრაქმა. აღმოჩნის თარიღი უცნობია. დაცულია გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში - საინვენტარო №8065/1 [1, გვ. 130, №3; 22, გვ. 148, №30].

6. ასეთივე მონეტა აღმოჩნდა ნასტაკისში არქეოლოგიური გათხრების დროს 1979 ნ.; სამარხი №5(29). ნ. - 3,54 გრ., ზ. - 19 [22, გვ. 163, №102].

7. 1939 ნ. დილომში შემთხვევით იპოვნეს დემეტრე I სოჭეროსის (ძვ.ნ. 150-145 წწ.)

სპილენძის სირიული მონეტა. გ.ფ. №8707 [22, გვ. 145, №7].

8. 1943 ნ. თემბილ ძუკაევმა ცხინვალში, თავის საკარმიდამო ნაკვეთში იპოვნა სირიული ტეტრადრაქმა ანტიოქიის ევერგეტისა (ძვ.ნ. 138-129 წწ.). დაცულია ცხინვალის მუზეუმში - საინვენტარო №ДП 98/98 [32, IV, 1949, გვ. 15-16, №1346; 22, გვ. 145, №8].

9. გორის მიდამოებში (როდის და რა ვითარებაში უცნობია) აღმოჩნდა მითოდატე II-ის (ძვ.ნ. 123-88 წწ.) პართული დრაქმა. დაცულია გორის მუზეუმში, საინვენტარო №8052/10 [1, გვ. 130, №4; 22, გვ. 148, №31].

10. ასეთივე მონეტა 1951 ნ. იპოვნეს ზნაურის რ-ნის სოფ. სხლიტში [1, გვ. 130, №6; 22, გვ. 148, №32].

11. ასეთივე მონეტა აღმოჩნდა 1967 ნ. მცხეთაში მინის სამუშაოების დროს მიკვლეულ ქვევრსამარხში. დაცულია მცხეთის მხართმცოდნეობის მუზეუმში, საინვენტარო №9411 [1, გვ. 130, №7; 22, გვ. 148, №33].

12. ასეთივე მონეტა აღმოჩნდა მცხეთაში არქეოლოგიური გათხრების დროს 1976 ნ. №12 სამარხში. საველე №01:6-1-76. ნ. - 2,35 გრ., ზ. - 18/21 მმ [22, გვ. 148, №34].

13. იმავე წელს ასეთივე მონეტა აღმოჩნდა მცხეთაში არქეოლოგიური გათხრების დროს №11 სამარხში. საველე №01-12-1-76. ნ. - 3,24 გრ., ზ. - 18/20 [22, გვ. 148, №34].

14. ასეთივე მონეტა აღმოჩნდა 1977 ნ. აღაიანში არქეოლოგიური გათხრების დროს №6 სამარხში. გ.ფ. 16912, ნ. - 3,87 გრ., ზ. - 18/19 მმ [22, გვ. 159, №59].

15. 1979 ნ. ნასტაკისის არქეოლოგიური გათხრების დროს №39(63) სამარხში აღმოჩნდა რომის რესპუბლიკური დენარი, მოქრილი ძვ.ნ. 118 ნ. ნ. - 3,91 გრ., ზ. - 18/19 მმ [22, გვ. 164, №118].

16. XIX ს-ის 70-იან წლებში, თბილისში ქალთა გიმნაზიის მშენებლობის დროს, იპოვნეს 6 ბაქტრიული მონეტა. მათი ზუსტი თარიღი და ადგილსამყოფელი ცნობილი არაა [32, II, 1938, გვ. 10, №319; 22, გვ. 145, №10].

17. თბილისში XIX ს-ის 90-იან წლებში შემთხვევით უპოვნიათ კილიკიის ქალაქ სოლის მონეტა, რომელიც ძვ.ნ. II-I სს-ით თარიღდება [18, გვ. 761; 22, გვ. 145, №11].

18. 1951 წ. აგვისტო-სექტემბერში, ახალციხე-ბოგდანოვების (ნინონმინდა) გზატკეცილზე, კ. ნიკოლაიშვილმა შემთხვევით იპოვნა მითრიდატე VI ევპატორის (ძვ.ნ. 120-63 წწ.) ეპოქის ქ. ამისოს სპილენძის მონეტა. გ.ფ. №7438, ნ. – 12,49 გრ., ზ. – 26 მმ [22, გვ. 145, №13].

19. მცხეთაში არქეოლოგიური გათხრების დროს 1939 წ. აღმოჩნდა ძალიან ცუდად დაცული, პონტოს ერთ-ერთი ქალაქის სპილენძის მონეტა, რომელიც თარიღდება ძვ.ნ. 111-105 ან 105-90 წწ. გ.ფ. №10020, ნ. – 2,0 გრ., ზ. – 17 მმ [22, გვ. 145, №14].

20. 1938 წ. სამთავროს სამაროვანზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩნდა ძვ.ნ. 111-105 ან 105-90 წლებით დათარიღებული სინოპური ტეტრაბალკი. გ.ფ. №9959, ნ. – 7,55 გრ., ზ. – 19/20 მმ [22, გვ. 145, №15].

21. 1968 წ. მცხეთაში არქეოლოგიური გათხრების დროს, ქალაქის ძველ კარიბჭესთან იპოვნეს პონტოს ერთ-ერთ ქალაქში, ძვ.ნ. 111-105 ან 105-90 წლებში მოჭრილი სპილენძის მონეტა. დაცულია მცხეთის მხარეთ-მცოდნეობის მუზეუმში, საინვენტ. №11250 [22, გვ. 146, №15a].

22. 1961 წ. თბილისში, მტკვრის კალაპოტში, იპოვნეს ქ. ამასტრიის სპილენძის მონეტა, მოჭრილი ძვ.ნ. 105-90 წლებში. გ.ფ. №10556, ნ. – 8,45 გრ., ზ. – 20/21 მმ [22, გვ. 146, №17].

რა დასკვნა გამომდინარეობს აღმოსავლეთ საქართველოში აღმოჩნდილი ძვ.ნ. III ს-ის დასასრულისა და II ს-ის I ნახევრის მონეტების ანალიზის საფუძველზე?

შეიძლება მხოლოდ სინანული გამოითქვას იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენ არ ვიცით ზუსტი შემადგენლობა გორის მიდამოებში აღმოჩნდილი პართული მონეტების განძისა (№1). მაგრამ ის ფაქტი, რომ ი. ბართოლომე-იმ პირადად გადაათვალიერა ამ განძის 30 ეგ-

ზემპლარი და თავისი კოლექციისათვის რამდენიმე ცალიც კი შეიძინა, გვაფიქრებინებს, რომ ის არ უნდა ყოფილიყო მცირერიცხოვანი. ძვ.ნ. II ს-ის დასაწყისიდან მაინც, პართული დრაქმების ცირკულაცია იბერიის ტერიტორიაზე არ უნდა იწვევდეს არავითარ ეჭვს. ამას მონმობს აგრეთვე გორში და ნასტაკისში ნაპოვნი მითრიდატე I-ის (ძვ.ნ. 171-138 წწ.) დრაქმებიც (№5, 6).

უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს დეოფლის გორაზე ძვ.ნ. II ს-ის დასაწყისში ბიზანტიონში, ლისიმაქეს სახელით მოჭრილი სტატერის აღმოჩნდის ფაქტს (№2). საქმე ისაა, რომ ეს პირველი შემთხვევაა იბერიის ტერიტორიაზე ამ მონეტის აღმოჩნდისა. აქამდე მისი გავრცელების არეალი მხოლოდ დასავლეთ საქართველოს ფარგლებით შემოისაზღვრებოდა [7, გვ. 59; 22, გვ. 52]. ცხადია, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ოქროს მონეტა აქ კოლხეთიდან შემოვიდა.

იგივე უნდა ითქვას ნასტაკისსა და ნიჩბისში ნაპოვნი მონეტების შესახებ (№№3-4). როგორც ადრეული კაპადოკიური დრაქმა, კერძოდ, არიარატ IV-ისა (ძვ.ნ. 220-163 წწ.), რომელიც ძვ.ნ. 187 წელსაა მოჭრილი, ასევე ძვ.ნ. 180-170 წწ. დათარიღებული სპილენძის ოლბიური მონეტა, პირველად ჩნდება იბერიის ტერიტორიაზე. კაპადოკიური მონეტების გავრცელების ძირითადი სფერო ჩვენში დასავლეთ საქართველოა, თუმცა ასეთი ადრეული ცალი იქაც არ აღმოჩნდილა [22, გვ. 124; 9, გვ. 26, 75]. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ არიარატ IV-ის დრაქმა ნაპოვნია სომხეთში [32, VI, 1954, გვ. 17, №15108; 30, გვ. 239], თუმცა მარტო ამ ფაქტზე დაყრდნობით რაიმე დასკვნის გამოტანა არ იქნებოდა მართებული.

ასევე განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ნიჩბისში აღმოჩნდილი ძვ.ნ. II ს-ის დასაწყისის სპილენძის ოლბიური მონეტა. საერთოდ, ჩრდილო შავიზღვისპირათის მონეტები, ძირითადად, კოლხეთის სანაპირო ზოლშია გავრცელებული, ცენტრალურ რაიონებში ისინი იშვიათად აღწევენ (ერთადერთ

გამონაკლის წარმოადგენს ვანში 2004 წელს აღმოჩენილი, ძვ.ნ. IV ს-ის 40-30-იანი წლებით დათარიღებული პანტიკაპეიონის ვერცხლის მონეტა [9, გვ. 25, 75]), მით უმეტეს აღმოსავლეთ საქართველოში. იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ ნიჩბისში ნაპოვნი მონეტა სპილენძისაა, რაც კიდევ უფრო ზრდის მისდამი ინტერესს, ვინაიდან, საზოგადოდ, იბერიის სამონეტო ცირკულაციაში სპილენძის მონეტების ხვედრითი წონა ძალიან უმნიშვნელოა.

ძვ.ნ. II ს-ის დასასრულსა და I ს-ის დასაწყისში აღმოსავლეთ საქართველოში უკვე ისახება სამონეტო ბაზრის ჭრელი სურათი, რომელიც რელიეფურად იკვეთება უკვე ძვ.ნ. I ს-ის 90-80-იან წლებიდან. ჯერ შევეხები ძვ.ნ. II ს-ის მეორე ნახევრისა და I ს-ის დასაწყისის მასალას.

იბერიის სამონეტო ბაზარზე გამოჩნდა სირიული მონეტები: დემეტრე I სოტერნის (ძვ.ნ. 150-145 წწ.) სპილენძის მონეტა (№7) და ანტიოქიოს ევერგეტის (ძვ.ნ. 138-129 წწ.) ტეტრადრაქმა (№8). ცხადია, რომ ორივე მათგანი იბერიაში შემოვიდა მეზობელ სომხეთიდან, ან ალბანეთიდან, სადაც სირიული მონეტები ფართოდ მიმოიქცეოდა [30, გვ. 238; 31, გვ. 67; 33, გვ. 15]. იგივე შეიძლება ითქვას მითრიდატე II-ის (ძვ.ნ. 123-88 წწ.) პართული დრაქმების შესახებ. ყოველგვარი ეჭვის გარეშე, ეს მონეტები სომხეთიდან ან ალბანეთიდანაა აქ მოხვედრილი. ამ რეგიონში პართული დრაქმები უაღრესად აქტიურ როლს თამაშობდა სამონეტო ბაზრის ფორმირებაში სწორედ მითრიდატე II-ის დროიდან [30, გვ. 239; 31, გვ. 69; 33, გვ. 21]. იბერიაში მათი აღმოჩენის ტოპოგრაფია ასე გამოიყურება: გორის მიდამოები (№9), ზნაურის რ-ნი (№10), მცხეთა (№№11-13), აღაანი (№14). იბერიის სამონეტო ბაზრისათვის სრულიად ახალი და უჩვეულო კომპონენტია მითრიდატე VI ევპატორის ეპოქის სამხრეთ პონტოს ქალაქების (ამისო, სინოპე, ამასტრია) სპილენძის მონეტების აღმოჩენა, რომლებიც ძვ.ნ. 111-105 ან ძვ.ნ. 105-90 წლებით თარიღდება (№№18-22), სულ 5 ცალი. ეს მონეტები ფართოდ იყო გავრცე-

ლებული დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, ვანში და ასევე დიოსკურიის მიდამოებში [22, გვ. 124-127; 9, გვ. 26, 75-76]. სომხეთსა და ალბანეთში ეს მონეტები აღმოჩენილი არ არის. რა თქმა უნდა, იბერიაში სამხრეთ პონტოს ქალაქების ტეტრახალკები დასავლეთ საქართველოს გზითაა შემოსული.

ამრიგად, იბერიის სამონეტო ბაზარი ძვ.ნ. II ს-ის მეორე ნახევარსა და I ს-ის დასაწყისში ორი ეკონომიკური არტერიით იკვებება: აღმოსავლეთ ამიერკავკასია (სომხეთი, ალბანეთი) და დასავლეთ საქართველო.

ამჯერად, გვერდს ვულით იმ მონეტებს, რომლებიც თითო-თითო ცალადაა წარმოდგენილი, ან მათი დათარიღების საკითხი საეჭვოა, ან გაურკვეველი.

აღმოსავლეთ საქართველოში აღმოჩენილი ძვ.ნ. I ს-ის მონეტების სია ასე გამოიყურება (აქვე უნდა შევნიშნო, რომ ამ შემთხვევაში გარკვეულად ვარღვევ ქრონოლოგიურ პრინციპს: ჯერ შევეხები ადრეულ და ცალკეულად წარმოდგენილ ეგზემპლარებს, ხოლო შემდეგ დავაჯამებ უფრო მრავალრიცხოვან რომის რესპუბლიკურ დენარებსა და პართულ დრაქმებს:

1. მცხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. აკად. ა. აფაქიძე) ქალაქის ძველ კარიბჭესთან 1968 წ. აღმოაჩინა კაპადოკიის მეფის არიობარძანე I-ის (ძვ.ნ. 96-63 წწ.) დრაქმა. დაცულია მცხეთის მუზეუმში, საინვენტ. №11244 [22, გვ. 145, №12].

2. 1945 წ. ბაგინეთის არქეოლოგიური გათხრების დროს იპოვნება ქ. ამისოს სპილენძის მონეტა რევერსზე არწივის გამოსახულებით [26, გვ. 165]. ასეთი მონეტები ძვ.ნ. 80-70-იან წლებით თარიღდება. სადაც ის დაცული ამჟამად ჩემთვის უცნობია [22, გვ. 146, №18].

3. იმავე 1945 წ. არმაზის გათხრების დროს თითქოს აღმოჩენილია ამისოს სპილენძის მონეტა ზურგზე ირმის გამოსახულებით. დ. კაპანაძე მას ზოგადად ძვ.ნ. I ს-ით ათარიღებდა [26, გვ. 165; 32, V, 1949 წ., გვ. 15, №1342; VII, 1957, გვ. 12, №1707; 22, გვ. 146, №16]. მისი ადგილსამყოფელი ჩემთვის უცნობია.

4. 1958 წ. მცხეთაში იპოვნეს სამხრეთ პოსტოს ერთ-ერთ ქალაქში მოჭრილი დიხალ-კა, რომელიც ძვ.წ. 80-70 წე-ით თარიღდება. გ.ფ. №11004, წ. – 4,07 გრ., ზ. – 18/19 მმ [22, გვ. 146, №19].

5. 1977 წ. აღაიანის არქეოლოგიური გათხ-რების დროს (სამარხი №7) აღმოჩნდა პონტოს შეფის მითოდატე VI ევპატორის (ძვ.წ. 121-63 წე.) ტეტრადრაქმა, მოჭრილი ძვ.წ. 72-71 წე-ში. გ.ფ. №16916, წ. – 16,08 გრ., ზ. – 31/34 მმ [22, გვ. 160, №63].

6. იმავე აღაიანში 1977 წ. (სამარხი №4) იპოვნეს სომხეთის მეფის ტიგრან II-ის (ძვ.წ. 95-55 წე.) 2 ტეტრადრაქმა, მოჭრილი ძვ.წ. 83-66 წე-ში ორონთის ანტიოქიაში. გ.ფ. №№16878-16879. წ. – 15,05 გრ., 14,80 გრ., ზ. – 24/25 მმ., 24/25 მმ [22, გვ. 156-157, №№26-27].

7. ასეთივე მონეტა იყო იმავე აღაიანში №8 სამარხში. გ.ფ. №16917, წ. – 13,59 გრ., ზ. – 23/26 მმ [22, გვ. 160, №64].

7a. 1959 წ. ფასანაურთან ახლოს ტურისტებმა იპოვნეს ძვ.წ. I ს-ის სოლდური მონეტა, ევტიდემას ტეტრადრაქმის მინაბაძი [25, გვ. 120; 22, გვ. 145, №9]. მონეტა დაცულია მოსკოვის ისტორიულ მეზეუმში.

რომის რესპუბლიკური დენარები:

8. რესპუბლიკური დენარი, მოჭრილი ძვ.წ. 93-92 წე. იტალიის ზარაფხანაში, აღმოჩნდა აღაიანის არქეოლოგიური გათხრების დროს (სამარხი №4). გ.ფ. №16883, წ. – 3,42 გრ., ზ. 20 მმ [22, გვ. 156, №22].

9. რომაული დენარი, მოჭრილი რომის ზარაფხანაში ძვ.წ. 87 წ. 2 ცალის რაოდენობით, იპოვნეს აღაიანის №4 სამარხში. გ.ფ. №16876, წ. – 3,60 გრ., ზ. – 17/18 მმ.; გ.ფ. №16877, წ. – 3,67 გრ., ზ. – 17/18 მმ [22, გვ. 156, №№23-24].

10. იმავე ნლით დათარიღებული რომის ზარაფხანაში მოჭრილი დენარი აღმოჩნდა აღაიანის №2 სამარხში 1978 წ. გ.ფ. №18807, წ. – 3,32 გრ., ზ. 16/19 მმ [22, გვ. 161, №75].

11. რესპუბლიკური დენარი მოჭრილი ძვ.წ. 86 წ. რომში, აღმოჩნდა აღაიანის №4 და №7 სამარხებში 1977 წ. გ.ფ. №16881, წ. – 2,96

გრ., ზ. – 15/20 მმ; გ.ფ. №16927, წ. – 3,27 გრ., ზ. – 17/19 მმ [22, გვ. 156, №25; გვ. 160, №62].

12. რომის ზარაფხანაში ძვ.წ. 72 წ. მოჭრილი დენარი შემთხვევით იპოვნეს აღაიანში 1978 წ. გ.ფ. №18831, წ. – 3,27 გრ., ზ. – 19/20 [22, გვ. 162, №101].

13. 1926 წ. ქარელის რ-ნის სოფ. არადეთში, ორგორას ბორცვზე, შემთხვევით იპოვნეს რომში ძვ.წ. 67 წ. მოჭრილი დენარი. დაცულია შ. ამირანაშვილის სახ. საქართველოს ხელოვნების ისტორიის მუზეუმში, საინვენტარო ნიგნი A, კოლექცია №№124-146. წ. – 3,08 გრ., ზ. – 18 მმ [22, გვ. 146, №20].

14. 1965 წ. მარნეულის რაიონში აღმოჩნდა ძვ.წ. 60 წ. რომში მოჭრილი დენარი. გ.ფ. №11647. წ. – 3,55 გრ., ზ. – 19/20 მმ [22, გვ. 146, №21].

15. იმავე ნელს რომის ზარაფხანაში მოჭრილი დენარი იპოვნეს აღაიანში 1978 წ. №2 სამარხში. გ.ფ. №18806, წ. – 3,96 გრ., ზ. – 16/17 მმ [22, გვ. 61, №76].

16. 1948 წ. თბილისში, ნიკოლაძის ჩიხის №5-ში ხის დარგვის დროს შემთხვევით იპოვნეს ძვ.წ. 59 წ. რომში მოჭრილი დენარი. გ.ფ. №8250. წ. – 3,5 გრ., ზ. – 19/20 მმ [22, გვ. 147, №7].

17. რომაული დენარი მოჭრილი გალიის ზარაფხანაში ძვ.წ. 54-51 წე. აღმოჩნდა აღაიანში 1977 წ. (სამარხი №4). გ.ფ. №16882, წ. – 3,39 გრ., ზ. – 19 მმ [22, გვ. 157, №28].

18. ქარელის რ-ნის სოფ. აბისში 1934 წ. შემთხვევით იპოვნეს რომში ძვ.წ. 47 წ. მოჭრილი დენარი [32, III, 1940, გვ. 26, №761; 24, გვ. 70-71, №129]. გ.ფ. №8699, წ. – 3,74 გრ., ზ. – 18/19 მმ [22, გვ. 147, №23].

19. კასპის რაიონის სოფ. კავთისხევში შემთხვევით იპოვნეს ძვ.წ. 46 წ. რომში მოჭრილი დენარი [32, IV, 1949, გვ. 14, №1022; 22, გვ. 147, №24], გ.ფ. №10162, წ. – 3,5 გრ., ზ. – 16 მმ.

20. 1967 წ. მცხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ქალაქის ძველ კარიბჭესთან მიაკვლია ძვ.წ. 36-29 წე. რომში მოჭრილ დენარს, რომელიც მცხეთის მეზეუმშია დაცული, სა-

ინვენტარო №11247, ზ. - 19 მმ [22, გვ. 147, №25].

21. 1978 წ. აღაიანში მიმდინარე არქეოლოგიური გათხრების დროს №2 სამარხში აღმოჩნდა რომის ზარაფხანაში ძვ.წ. 39 წ. მოჭრილი დენარი. გ.ვ. №18808, ნ. - 3,88 გრ., ზ. - 17/18 მმ [22, გვ. 161, №78].

22. ძვ.წ. 32-31 წნ-ში აღმოსავლეთის ზარაფხანაში მოჭრილი 3 დენარი აღმოჩნდა აღაიანში 1977 წ. (სამარხი №4) გ.ვ. №№16884-16886. ნ. - 3,50 გრ., 3,64 გრ., 3,90 გრ. ზ. - 15/17 მმ., 16/17 მმ., 17 მმ [22, გვ. 157, №№30-32].

23. იმპერატორ ავგუსტუსის (ძვ.წ. 27-ახ.წ. 14 წ.) დენარი, მოჭრილი გალიის ზარაფხანაში ძვ.წ. 14-12 წნ-ში, იპოვნეს აღაიანში 1977 წ. (სამარხი №5). გ.ვ. №16890. ნ. - 3,77 გრ., ზ. - 17/18 მმ [22, გვ. 158, №№47].

24. 1900-იან წლებში გორის მახლობლად, მიწის სამუშაოების დროს, რამდენიმე მონეტა აღმოჩნდა, რომელთა შორის ერთი, ე. ვახომოვის ატრიბუციით, ანტიოქიაში ძვ.წ. I ს-ის 30-იან წლებში მოჭრილი, ანტონიუსისა და კლეოპატრას ტეტრადრაქმა იყო [32, I, 1926, გვ. 39, №28; 24, გვ. 78-79, №171; 22, გვ. 147, №26].

25. თბილისიდან 17 კმ-ის დაცილებით, ტყეში გზის გაყვანის დროს იპოვნეს ოქტავიანეს დენარი მოჭრილი ძვ.წ. 29-27 წნ-ში. მონეტა განსაზღვრა ა. ზოგრაფმა. სადაა ეს მონეტა ამჟამად ჩემთვის უცნობია [32, III, 1940, №782; 24, გვ. 70-71, №121; 22, გვ. 147, №27].

26. ნასტაკისის არქეოლოგიური გათხრების დროს 1979 წ. აღმოჩნდა ესპანეთის რომელიღაც ზარაფხანაში ძვ.წ. 19-16 წნ-ში მოჭრილი დენარი (სამარხი №39(63)). ნ. - 3,38 გრ., ზ. - 18 მმ [22, გვ. 164, №119].

27. ძვ.წ. 19-12 წნ-ში რომში მოჭრილი დენარი აღმოჩნდა იმავე სამარხში. ნ. - 3,99 გრ., ზ. - 18 მმ [22, გვ. 164, №120].

ამრიგად, იძერით ფარგლებში სულ აღმოჩნდილია ძვ.წ. I ს-ის რესპუბლიკის დენარი 24 ც. რაოდენობით.

პართული დრაქმები:

ვინაიდან პართული მონეტები აღმოსავლეთ საქართველოში დიდი რაოდენობითაა ნაპოვნი, სტატიის მოცულობის გაზრდის თავიდან აცილების მიზნით, ვიძლევი შემაჯამებელ ტოპოგრაფიულ ჩამონათვალს სათანადო ლიტერატურის მითითებით (ნუმერაციას ვაგრძელებ).

28. არტაბან II-ის (ძვ.წ. 88-77 წნ.) დრაქმები ნაპოვნია: მცხეთაში - 4 ცალი, წინამურში - 1, ხაშურის რაიონში - 2, გურჯაანის რ-ნში - 1, აღაიანში - 3 [22, გვ. 137, №21, აქვეა ბიბლიოგრაფია].

29. სინატრუკის (ძვ.წ. 77-70 წნ.) მონეტები: მცხეთაში - 2, დილომში - 1, ზნაურის რ-ნში - 2, აღაიანში - 4 [22, გვ. 137, №24].

30. ფრაატ III (ძვ.წ. 70-57 წნ.) დრაქმები: მცხეთაში - 10, წინამურში - 1, ქარელის რ-ნში - 1, ზნაურის რ-ნში - 1, აღაიანში - 3 [22, გვ. 137, №27].

31. მითრიდატე III-ის (ძვ.წ. 57-54 წნ.) მონეტები: მცხეთაში - 5, ვავის რ-ნში - 1 [22, გვ. 137, №32].

32. ოროდ II-ის (ძვ.წ. 57-38/7 წნ.) დრაქმები: მცხეთაში - 53, აღაიანში - 40, კასპის რ-ნში - 5, გორში - 8, კოჯორში - 1, ხაშურის რ-ნში - 1, ახმეტის რ-ნში - 1, თბილისში - 3, ზნაურის რ-ნში - 2, დმანისში - 1, ბოლნისში - 1, ურბნისში - 1, უფლისციხეში - 4, ზღუდერში - 1, მარნეულის რ-ნში - 1, თელავში - 2 [22, გვ. 137, №33].

33. ფრაატ IV-ის (ძვ.წ. 38/7-3/2 წნ.) მონეტები: თბილისში - 2, გორის რ-ნში - 2, კასპის რ-ნში - 2, მცხეთაში - 2, აღაიანში - 4, ნასტაკისში - 3 [22, გვ. 138, №33^a].

ამრიგად, აღმოსავლეთ საქართველოში ძვ.წ. I ს-ის 176 პართული დრაქმა ნაპოვნი, აქედან ყველაზე მეტი (119 ც.) მიეკუთვნება ოროდ II-ს. მათი გავრცელების არეალი უფრო ფართოა, ვიდრე რომის რესპუბლიკის დენარებისა.

მოტანილი მასალის ანალიზი შემდეგ სურათს იძლევა: ძვ.წ. I ს-ის 80-იან წლებში იძერით ტეტრიტორიაზე, კოლხეთის გზით, კვლავ

მემოდის სამხრეთ პონტოს ქალაქების სპილენძის მონეტები, რომლებიც ძვ.წ. 80-70-იასთან სლებით თარიღდება (№№ 2-4). გარდა ამისა, მცხეთასა და ალაიანში თავსი იჩენს სრულებით ახალი ნუმიზმატიკური ერთეულები: მითრი-დატე VI ევპატორის ტეტრადრაქმა (ემისიის თარიღი ძვ.წ. 72-71 წ.), ტიგრან II-ის სამი ტეტრადრაქმა, მოქრილი ორონთის ანტიოქიაში ძვ.წ. 83-66 წე-ში (№№ 5-7), სოლდური მონეტა, ევტიდემას ტეტრადრაქმის მინაბაძი (№ 7) და კაპადოკიის მეფის არიობანძანე I-ის (ძვ.წ. 96-63 წე.) დრაქმა. ჩემი აზრით, აღმოსავლეთ საქართველოში ეს მონეტები სომხეთიდანაა შემოსული (ამის დასაბუთებას ქვემოთ შევეცდები).

ძვ.წ. I ს-ის 90-80-იან წლებიდან იბერიის ტერიტორიაზე განსაკუთრებულად აქტიურ როლს პართული დრაქმები და რომის რესპუბლიკური დენარები თამაშობს.

რომის რესპუბლიკური დენარები იბერიის ფარგლებში, როგორც უკვე გვქონდა აღნიშ-ხული, აღმოჩენილია 24 ცალის რაოდენობით (№№ 8-27). მათი ემისიის წლებია: ძვ.წ. 93-92, 87, 72, 67, 60, 59, 54-51, 47, 46, 36-29, 39, 32-31, 14-12, 29-27, 19-16, 19-12; უმრავლესობა მოქრილია რომში - 15 ც. (№№ 9-16, 18-21, 27), აღმოსავლეთის ზარაფხანაში - 3 (№ 22), გალიაში - 2 (№№ 17, 23), იტალიის რომელიდაც ზარაფხანაში - 1 (№ 8), ანტიოქიაში - 1 (№ 24), ესპანეთის რომელიდაც ზარაფხანაში - 1 (№ 26), გაურკვეველი ზარაფხანა - 1 (№ 25). რესპუბლიკური ხანის რომაული დენარების გავრცელების არეალი საკუთრივ ქართლის ტერიტორიით შემოიფარგლება: აღაიანი - 14 (., აბისი - 1, არადეთი - 1, გორი - 1, კავთის-ხევი - 1, თბილისი - 2, მცხეთა - 1, მარნეული - 1, ხასტაკისი - 2).

იბერიის სამონეტო ბაზარი შესაბამის პერიოდში, შეიძლება ითქვას, დაპყრობილი აქვს პართულ დრაქმებს, განსაკუთრებით ოროდ II-ის (ძვ.წ. 57-38/7 წე.) ეპოქიდან (№ 32). აღმოსავლეთ საქართველოში მათი შემოსვლის გზა ჯერ კიდევ ა. ზოგრაფმა მოხაზა: „კასპიის ზღვის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროს გას-

ნვრივ აზერბაიჯანსა და სომხეთში, იქიდან მტკვრის საშუალებით საქართველოში“ [24, გვ. 42]. ამ დასკვნას არ შეიძლება არ დაეთანხმო, მაგრამ ჩემი აზრით, აღაიანის მასალაზე დაყრდნობით, შესაძლებელია უფრო დაკონკრეტდეს იბერიაში არა მარტო პართული, არამედ დანარჩენი მონეტების შემოსვლის გზაც. საქმე ისაა, რომ აღაიანში მიკროსკოპულ ფართობზე გათხრების შესახებ ის. [15]) აღმოჩენილი ნუმიზმატილური მასალის ძირითადი ნაწილი თითქმის სინქრონულია (აღაიანში მიკვლეული მონეტების სია სამარხების მიხედვით ის. [22, გვ. 154-162]), მათ განძის შემადგენლობის ტოლფასოვანი ღირებულება აქვს და არ ტოვებს არავითარ ეჭვს, რომ ეს მონეტები აქ ერთიდამავე დროს მიმოიქცეოდა და მათი გარკვეული ნაწილი რომელიდაც ერთ საერთო ცენტრიდანაა შემოსული. ხოლო აღაიანის მასალის ანალიზის საშუალებით მიღებული დასკვნა, გარკვეული მოცულობით უნდა გავრცელდეს ნასტაკისისა და მცხეთის მიმართაც, ვინაიდან ეს პუნქტები ერთ ეკონომიკურ ზონას წარმოადგენს.

თუ აღაიანში აღმოჩენილ მასალას **მთლიანობაში** განვიხილავთ და შევუდარებთ მეზობელი რეგიონების, კერძოდ, დასავლეთ საქართველოს, ალბანეთისა და სომხეთის სამონეტო ბაზარს, ადვილად დავრწმუნდებით, რომ მეტ სიახლოესის სომხეთში აღმოჩენილ მონეტებთან ამჟღავნებს. ნათქვამის საილუსტრაციოდ საკმარისია დავასახელოთ 1945 წ. სოფ. სარნაკუნკში (სისიანის რ-ნი) ნაპოვნი განძი, რომელიც 373 ერთეულისაგან შედგება (განძის შესახებ ის. [29]). ამ სამონეტო კომპლექსის ქრონოლოგიური დიაპაზონი ძალიან ფართოა - ძვ.წ. IV-I სს. და მონეტათა გენეზისის თვალსაზრისით არაერთგვაროვანი. ჩვენთვის ამჯერად ისაა ყველაზე მნიშვნელოვანი, რომ მის შემადგენლობაში შედის თითქმის ყველა ის სამონეტო ჯგუფი, თუ ცალკეული ცალები, რომლებიც აღაიანშია ნაპოვნი. ესენია პართული დრაქმები

(რომლებიც პრაქტიკულად არავითარ როლს არ თამაშობდა დასავლეთ საქართველოს ეკონომიკაში), ტიგრან II-ის ტეტრადრაქ-მები, მოჭრილი ორონთის ანტიოქიაში ძვ.წ. 83-69 წწ.-ში, კაპადოკიის მეფეთა დრაქმები, მითრიდატე VI ევპატორის ტეტრადრაქმა დათარიღებული იმავე ძვ.წ. 72-71 წლებით, რესპუბლიკური ხანის რომაული დენარები - ზოგიერთი ტიპოლოგიურად აღაიანის ცალების იდენტურია.

ძველი მსოფლიოს სავაჭრო მაგისტრალების შესწავლის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი წყაროს ნარმოადგენს ახ.წ. IV ს-ში რომაელი გეოგრაფიის კასტორიუსის მიერ შედგენილი საგზაო რუკა, ე.წ. „პევტინგერის ტაბულა“, რომელიც უფრო ადრეულ ვითარებასაც ასახავს [11, გვ. 101]. ამ დოკუმენტის მიხედვით, სომხეთის დედაქალაქი არტაშატი მჭიდროდ იყო დაკავშირებული სავაჭრო გზით იქერიასთანაც. ჩვენთვის ამჟამად გზის ის მონაკვეთია საინტერესო, რომელიც იწყებოდა ქ. არტაშატთან და გაივლიდა შემდეგ პუნქტებს: დილიუანი-ალსტაფა-ყაზახი-რუს-თავი-თბილისი-მცხეთა [11, გვ. 118] სხვათაშორის, ძველი ბერძენი ისტორიკოსისა და გეოგრაფის სტრაბონის (დაახლოებით ძვ.წ. 64 – ახ.წ. 24 წწ.) მოწმობით, სწორედ ამ გზით იღაშქრა ძვ.წ. 65 წ. სომხეთიდან იქერიაში რომის სარდალმა გნეუს პომპეუსმა [11, გვ. 118]. გზის ამ მონაკვეთით უნდა მოხვედრილიყო იქერიის ტერიტორიაზე ელინისტური აღმოსავლეთის, მცირე აზიისა და რომის რესპუბლიკური დენარები. უფრო ადრეული ცალების გარკვეული ნაწილი, ალბათ, დამოუკიდებელი სავაჭრო-ეკონომიკური არხებით, ხოლო დანარჩენი – პომპეუსის მოლაშქრეთა საშუალებით.

არც ის უნდა დაგვავინყდეს, რომ პლუტარქეს ცნობის თანახმად, ძვ.წ. 69 წ. ტიგრან II-ისა და მითრიდატე VI პონტოელის მოკავშირედ რომაელების ნინააღმდეგ ბრძოლებში, თვით სომხეთის ტერიტორიაზე, იქერებიც გამოდიან (Plut., Lucull., XXVI). ცხადია, მონეტების ერთი ნაწილი არ შეიძლება უკან დაბ-

რუნებული მოლაშქრების შემოტანილი არ იყოს იქერიაში. საერთოდაც, უნდა ვივარა-უდოთ, რომ პომპეუსის ლაშქრობამ გარკვეულად ხელი შეუწყო სამონეტო მიმოქცევის ინტენსიფიკაციას აღმოსავლეთ საქართველოში.

ლიტერატურა:

1. აბრამიშვილი თ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის პართული მონეტების კატალოგი, თბ., 1974.
2. აფაქიძე ან. მცხეთა – ქართლის სამეფოს ძველი დედაქალაქი, თბ., 1959.
3. აფაქიძე ან. ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, I, თბ., 1963.
4. აფაქიძე ან. ანტიკური ხანის საქართველოს კულტურა, სინ, ტ. I, თბ., 1970.
5. ბოხოჩაძე ალ. ნასტაკისი, სარქინე, ძალისი, ძმ, №33, 1973.
6. ბოხოჩაძე ალ. „ძუელი მცხეთის“ ლოკალიზაციის საკითხები, კრ. ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, III, თბ., 1978.
7. დუნდუა გ. საქართველოში გავრცელებული ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმაქეს სახელით მოჭრილი მონეტები, მაცნე, ისტ. სერია, №1, 1973.
8. დუნდუა გ. ანტიკური ხანის უცხოური მონეტების განძები კოლხეთიდან (ძვ.წ. IV-ახ.წ. IV სს.), კრ. გურია, II, თბ., 1997.
9. დუნდუა გ. ვანი და გარე სამყარო ელინისტურ ხანაში ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით. კრ. შავიზღვისპირეთი ელინისტური სამყაროს სისტემაში, ეძღვნება აკადემიკოს თოარ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 75 წლისთავს. შავიზღვისპირეთის ძველი ისტორიისა და არქეოლოგიის XI საერთაშორისო სიმპოზიუმი. ვანი 2005 წლის 26-29 სექტემბერი, მოხსენებათა მოკლე შინაარსები, თბ., 2005.
10. კვიუინაძე კ. წნისისხევის ადრელინისტური ხანის სამარხები, ძმ, №63, 1983.
11. ლომოური ნ. ძველი საქართველოს სავაჭრო გზების საკითხისათვის. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. IV, ნაკვეთი I, 1958.

12. ლორთქიფანიძე ოთ. ანტიკურ ხანაში ინდოეთი-
ლან შავიზლვისპირეთისაკენ მიმავალი ხავაჭრო-
სატრანზიტო გზის შესახებ, სმამ, XIX, 1973.
13. ლორთქიფანიძე ოთ. ძველი ქართული ცივილი-
ზაციის სათავეებთან, თბ., 2002.
14. მელიქიშვილი გ. ქართლი (იბერია) ძვ.წ. VI-IV
საუკუნეებში, სინ, ტ. I, თბ., 1970.
15. მირიანაშვილი ნ. შიდა ქართლის მატერიალური
კულტურის ისტორიიდან (აღაინის არქეოლო-
გიური ძეგლები), თბ., 1983.
16. აнохин В.А. Монеты античных городов Северо-
Западного Причерноморья, Киев, 1989.
17. Бохочадзе А.В. Настакиси, Саркине, Дзалиси –
города Иберии античной эпохи (некоторые
результаты полевых исследований), КСИА, 151,
1977.
18. Брашинский И.Б. К истории экономических связей
Восточного Причерноморья в античную эпоху по
нумизматическим данным), სმამ, XLVII, № 3, 1967.
19. Бурачков Л. Общий каталог монет, принадлежавших
эллинистическим колониям, существовавшим в
древности на Северном берегу Черного моря в
пределах нынешней Южной России, Одесса, 1884.
20. Гагошидзе Ю.М. Самадло, Тб., 1979.
21. Дундуа Г.Ф. Монетное дело и монетное обращение
в Грузии в античную эпоху (VI в. до н.э. – IV в. н.э.).
Автореферат диссертации на соискание ученой
степени доктора исторических наук, Тб., 1982.
22. Дундуа Г.Ф. Нумизматика античной Грузии, Тб.,
1987.
23. Дундуа Г.Ф. Нумизматика Грузии античного
периода (общий обзор). საერთაშორისო სამეც-
ნოერთ კონფერენცია „კავკასიის არქეოლოგია,
ეთნოლოგია, ფოლკლორისტიკა,“ ეძღვნება
აქადემიკოს ანდრია აფაქიძის დაბადებიდან 90
წლის იუბილეს, მოხსენებათა მოკლე შინაარსე-
ბის კრებული, Тб., 2004.
24. Зограф А.Н. Распространение находок античных
монет на Кавказе, ТОНГЭ, т. 1, Ленинград, 1945.
25. Казманова Л.Н. Подражание тетрадрахмам
Евтидема в собрании ГИМ, ВДИ, № 3, 1961.
26. Капанадзе Д.Г. Монетные находки Мцхетской
экспедиции, ВДИ, № 1, 1955.
27. Капанадзе Д.Г. Грузинская Нумизматика, М., 1955.
28. Капанадзе Д.Г. К вопросу об экономических
связях Северного и Восточного Причерноморья в
античную эпоху, ПИСП, М., 1959.
29. Мушегян Х.А. Монетные клады Армении, Ереван,
1973.
30. Мушегян Х.А. Денежное обращение в Армении (V
в. до н.э. – XIV в. н.э.), Ереван, 1983.
31. Мушегян Х.А. История нумизматики Армении,
Ереван, 1997.
32. Пахомов Е.А. Монетные клады Азербайджана и
других республик, краев и областей Кавказа, вып.
I-IX, Баку, 1926-1966.
33. Раджабли А. Нумизматика Азербайджана (очерки
истории монетного дела и денежного обращения
Азербайджана), Баку, 1997.
34. Gagoshidze J. Neuer archäologischer Befund im
Bezirk Karel, Schida Kartli. Archäologische Mittei-
lungen aus Iran und Turan, Band 32, Berlin, 2000.
35. Gagoshidze J. The Royal Palace of the Ferst Century
B.C. – First Century A.D. At Dedoplis Gora. Journal of
Georgian Archaeology. The Journal of the Otar Lord-
kipanidze Centre for Archaeological Studies Georgian
Academy of Sciences, Tbilisi, 2004.
36. Lebanidze L. Le trésor Monetaire de Sulori. Actes du
VII^e Symposium de Vani, Paris, 1999.

შრაქაბი გონიო-აფსაროსიდან

გონიო-აფსაროსის იმპორტულ ნაკეთობათა რიცხვს განეკუთვნება ჭრაქები. როგორც ცნობილია, ისინი საზოგადოებრივი, საცხოვრებელი და სხვა ნაგებობების (ღია შენობები, პრიმიტიული სახლები, კურორტები, თეატრები, თერმები, ტაძრები, სასაფლაოები და ა.შ.) გასანათებლად გამოიყენებოდა. განსაკუთრებით ბევრი სინათლე დღესასწაულებზე იყო საჭირო.

სამეცნიერო ლიტერატურაში ისინი სათანადოდაა შესწავლილი. აღსანიშნავია: ზ. ლიონქეს, ჰ. უოლტერსის, ჰ. გოლდმანის, დ. ივანის, ი. შეიბლერის, ე. ალრამ-შტერნის, ჰ. მენცელის, ი. მარცადეს, ა. ჰეიმერლის, უ. დენეუვეს, ჯ. პელცვაიგის, თ. ვააგეს, თ. ვალდგაუერის, ტ. იოფას, ვ. კადეევის, ნ. კილურაძის და სხვათა ნაშრომები.

ქვისა და ბრინჯაოს ჭრაქები მიკენის აკროპოლისის ფენებში და კვიპროსის ბრინჯაოს ხანის სამარხებშია აღმოჩენილი [35, გვ. 40-42]. თიხის ჭრაქებს ძვ. წ. VII ს ამზადებდნენ. არის ოქროს ან მარმარილოს ჭრაქების აღმოჩენის შემთხვევები. ნაპოვნია, აგრეთვე, რკინისგან, ტყვიისგან და მინისგან დამზადებული ნიმუშები [30, გვ. 10-15].

საქართველოში ძვ.წ. VI ს. იმპორტული ჭრაქები დადასტურებულია ფასისის მიდამოებში, კოლხურ დასახლება „სიმაგრეზე“ [9, გვ. 211]. ადგილობრივი ჭრაქის ნატეხი აღმოჩნდა კვაშტის ძვ.წ. V ს. ნამოსახლარზეც [7, გვ. 69].

ჭრაქები ფართოდ ვრცელდება ელინისტურ ხანაში. ძვ.წ. III ს-ში ხდება მათი ყალიბში დამზადება. ტექნოლოგია არ იყო რთული და ძირითადად ერთგვაროვან საწარმოო პროცესს ეყრდნობოდა. ჭრაქებს აკეთებდნენ სამეთუნეო ჩარჩო, მორგვზე ან საგანგებო ყალიბებში. უფრო მეტად ეს უკანასკნელი მეთოდი იყო გავრცელებული. ყალიბები ჩვე-

ულებრივად ორსაგდულიანი იყო. მისი ორივე ნაწილი თიხის თხელი მასით იღესებოდა. ნახევარი საათის შემდეგ ეს მასა გამოხმებოდა. ამის შემდეგ ხდებოდა ყალიბიდან გამოღება. საჭირო იყო მათი ერთი დღე გაჩერება, შემდეგ კი შეერთება. დარჩენილი ნაკერი მუშავდებოდა მოდალური შტამპით. ჰერზე გაშრობის შემდეგ ჭრაქს ღუმელში გამოწვავდნენ. გახმობის შემდეგ ხდებოდა მისი სხვადასხვა ორნამენტით დაფარვა [30, გვ. 17-18].

პატრუქი ჭრაქისათვის ლერწმის ღულისგან, პაპირუსისგან მზადდებოდა. უნდა ვივარუდოთ, რომ კოლხეთში ამ მიზნით სელსა და კანაფსაც იყენებდნენ [9, გვ. 214].

საწვავად გამოიყენებოდა თხილის, ყაყაჩის, წიფლისა და სელის ზეთები. ასევე ზეითუნის ზეთი ან ქონი. ჩვენში შესაძლებელია ნავთობი ეხმარათ. ამის სასარგებლოდ მეტყველებს ქ. ფოთის მიდამოებში აღმოჩენილი სამი ამფორა და მათ ფსკერზე დადასტურებული ნავთობპროდუქტის ნარჩენები. ნავთობი სხვადასხვა მიზნით, მათ შორის გასანათებელ საშუალებად (ჭრაქ-ლამპებში, საზღვაო შუქურებში, სხვადასხვანაირ ჩირალდნებში და ა.შ.) გამოიყენებოდა [1, გვ. 26-30].

საქართველოს ტერიტორიაზე ელინისტური ხანის ჭრაქები დადასტურებულია ვანში, საყანჩიას ნამოსახლარზე [10, გვ. 64], ოჩამჩირეში [8, გვ. 146] და ნოქალაქევში [6, გვ. 72].

თიხის ჭრაქებისაგან განსხვავებით, ბრინჯაოს ცალები საკმაოდ ძვირი იყო. ჯაჭვების საშუალებით სპეციალურ საკიდებზე ჩამოკიდებული ასეთი ჭრაქები მდიდრულად განყობილ ოთახებს ამშვენებდნენ.

რომაულ ხანაში ჭრაქები კიდევ უფრო ფართოდ ვრცელდება. მათ დიდი რაოდენობით ამზადებდნენ ანტიკური სამყაროს მთელ რიგ ტრადიციულ კერამიკულ სახელოსნოებში, როგორც შიდა მოთხოვნილების და-

საკმაყოფილებლად, ისე საექსპორტოდაც, რაც საგარეო ბაზარზე მათზე დიდი მოთხოვნილებით იყო განპირობებული. სწორედ ამ ფაქტორმა გამოიწვია იმ სპეციალიზებული სახელოსნოების წარმოშობა ეფესოში, პერგამონში, სამოსზე, ათენში, რომში, კართაგენში, ალექსანდრიაში და სხვაგან, სადაც საგარეო ბაზრისათვის დიდი რაოდენობით ამზადებულენენ ჩვენთვის საინტერესო პროდუქციას. ელინისტური ხანის ჭრაქებისაგან განსხვავებით, ამ პერიოდში ხმარებაში ჭრაქების გარეული, ჩამოყალიბებული სახე იყო, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში რომაული ტიპის ჭრაქების სახელწოდებითაა ცნობილი. მათვის დამახასიათებელია ცილინდრული ტანი, მომცრო საპატრუქე და საზეთე, ორლულიანი ან დაღარული მარყუჟისმაგვარი ყური და ბრტყელი ძირი.

აფსაროსში მოპოვებულია ბრინჯაოს რამდენიმე ჭრაქი, რომელთა შორის ყურადღებას სამფეხა, ცილინდრულტანიანი, მაღალ-კონუსურ-საპატრუქემილიანი ცალი იქცევს. მისი ტანი ორ ფრიზადა დაყოველი. ქვედაზე მოცემულია წარწერა: *c. coh. avr. c.r.*, რაც შემდეგნაირად იკითხება: *c. coh (ors) avr (elius) c (ivium) r (omanorum)*. იგი აღმოჩნდა კასტელუმის ცენტრალური ნაწილის (პრინციპია) ახ. ნ. II ს. დათარილებულ კულტურულ ფენაში [11, გვ. 92-94]. ცნობილია, რომ ბრინჯაოს თუ სხვა ძეირფასი ლითონისაგან დამზადებული ჭრაქები გაჩუქრების საგანსაც წარმოადგენდნენ.

გონიო-აფსაროსის ჭრაქების უმრავლესობა თიხისაა. მათი ძირითადი ნაწილი რომაულ ხანას (I-III სს.) განეკუთვნება. გვხდება ადრებიზანტიური პერიოდის (VI-VII სს.) ნიშანებიც. ამჯერად განვიხილავთ რომაული ჭრაქების ჭრაქებს.

ტიპი I. ამ სახის ნაკეთობათა ყველაზე ადრეულ ნიმუშს განეკუთვნება ზღუდის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში SW XII სექტორის 25-კვადრატში აღმოჩნდილი წითელლავიანი ჭრაქის ფრაგმენტი (ტაბ. I, 1), რომლის ჩაზუტებილ ფარავზე მოცემულია ცხენის გამოსახულება.

მსგავსი გამოსახულებიანი ჭრაქები ბევრგანაა დადასტურებული, რომელთა ფარავზე ეტლში შებმული ცხენები, ფრთოსანი ცხენი თუ მასზე ამხედრებული მხედარია გამოსახული. აღმოჩნდილია კართაგენში [21, გვ. 80-81, სურ. 606/607], ვინდონიზაში [25, გვ. 228, ტაბ. X/156, 470, 609], ათენის აგორაზე [28, გვ. 81, სურ. 4, 99]. დაცულია მაინცის ცენტრალურ მუზეუმში [26, გვ. 33, ტაბ. 28/1, 2, 3; 32/1, 2, 3, 14, 15] და ა.შ.

პარალელური მასალა, ჭრაქის კეცისა და ლაკის ხარისხი საფუძველს გვაძლევს იგი დასავლეთ ევროპის რომელიმე საწარმოო ცენტრს დავუკავშიროთ.

მისი დათარილებისათვის მეტად მნიშვნელოვანია აღმოჩნდის ადგილი, თანმხლები არქეოლოგიური მასალები (მათ შორის ნერონის (54-68 წწ.) მონეტა), რომელთა გათვალისწინების საფუძველზე აფსაროსის ჭრაქის ფრაგმენტს ახ.ნ. I ს-ის მეორე და მესამე მეოთხედით ვათარილებთ.

ტიპი II. ჯგუფში განვიხილავთ პერგამულ ნაკეთობებს. ეს ცენტრი ერთი ტიპის ჭრაქების ათი სახეობითაა წარმოადგენილი.

ა) ამ ქვეჯგუფში შედის ერთადერთი ჭრაქი (ტაბ. I, 2). იგი თითქმის მთლიანია, აკლია ყურის ნაწილი, ფარაკი გვერდისაგან რგოლითაა გამოყოფილი და ჩაზნექილია. მასზე მოცემულია ფართოქუსლიანი ჭურჭელი - მაღალძირიანი, მომრგვალებულტანიანი, მაღალცილინდრულყელიანისურა-პირიოდნავ გადაშლილი აქვს, მხრის არიდან ვერტიკალურად აზიდულია მაღალი ყური, რომელიც პირთან ახლოს მკვეთრ კუთხეს ქმნის. აქ მომრგვალებული, რელიეფური დანაძერნის არსებობა შეინიშნება. ჭურჭლის ტანი კანელურებით ყოფილა შემკული, როგორც ჩანს, იგი უნდა წარმოადგენდეს ვერცხლისა თუ მინის ჭურჭლის იმიტაციას. მის ფონზე გამოსახულია ხელ-შუბი პილუმი, რომელსაც კარგად ემჩნევა სამკუთხამოყვანილობის პირი და მრგვალი, ცილინდრისებრი მოყვანილობის ბოლო. საპატრუქესთან ფარავის გვერდზე მოცემულია ორი ვოლუტისებრი ხვია.

ჭრაქის ფარავზე მოცემულ გამოსახულებას უშუალო პარალელი არ ეძებნება. საერთოდ კი, ვოლუტებით გაფორმებული ჭრაქები ძალზედ ფართოდ ჩანს გავრცელებული. მაგალითად, ქერსონესში [12, გვ. 188-189. სურ. 40], ოლბიაში [14, გვ. 281-284], ათენის აგორაზე [29, გვ. 57, ტაბ. 45-46], სამოსის ჰერაიონზე [34, გვ. 58, ტაბ. 51], კარნინტუმში [18, გვ. 141-142, ტაბ. 18]. დაცულია მაინცისა [26, გვ. 36-42, ტაბ. 31-33] და ტრიერის [30, გვ. 35] მუზეუმებში. ფარავებზე სხვადასხვა სცენაა მოცემული. ზოგიერთ მათგანზე ვოლუტები მკვეთრადაა გამოხატული, ზოგჯერ ზემოდანაა დაძერწილი. არის ასეთივე ფორმის ბრინჯაოს ჭრაქებიც [32, გვ. 7-145]. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამ ტიპის ჭრაქები დამახასიათებელია რომაული სამხედრო ბანაკებისათვის [33, გვ. 45-46]. ა. ჰეიმერლის განხილული აქვს მსგავსგამოსახულებიანი ნიმუშები. ერთ-ერთი კრატერადაა მიჩნეული, რომელსაც პერგამონის სანარმოო ცენტრს უკავშირებს და ახ.წ. I ს-ის მესამე მეოთხედით ათარიღებს [23, გვ. 53, ტაბ. V/183].

აფსაროსის ჭრაქს ახ.წ I ს-ის მესამე მეოთხედს ვაკუთვნებთ. იგი აღმოჩნდა კარგად დათარიღებულ ფენაში (№2 კოშკში) ნითელლაკიან ჯამებს (ტიპი IV), კოჭობებსა (ტიპი XVII) და სხვა მასალებთან ერთად [4, გვ. 33-36]. აქვე იყო ნარმოდგენილი რომაული ხანის სპილენძის მონეტაც.

მსგავსი ვოლუტებით გაფორმებული ჭრაქი აფსაროსში ადრეც აღმოჩნდა [19, გვ. 184, სურ. 10]. მას აქვს მომრგვალებული და კედელზე გადმოკეცილი გვერდები. ფარავი ჩაზნექილია და გვერდებისაგან ორი ნირული ღარითაა გამოყოფილი. ქუსლი მომრგვალებული, ოდნავ შიგნით შენეულია. ჭრაქის ჩაზნექილ ფარავზე მოცემულია ეროტიკული სცენა (ტაბ. I, 3).

მსგავსგამოსახულებიანი ჭრაქები საქართველოსა თუ ჩრდილო შავიზღვისპირეთის მასალებში არაა ნარმოდგენილი. ფართოდ ჩანს გავრცელებული დასავლეთ ევროპაში. აღმოჩნდილია ვინდონიზაში [25, გვ. 219, ტაბ.

VIII/422], დაცულია ტრიერისა [30, გვ. 85, ტაბ. 208-209] და ბრიტანეთის [17, გვ. 66-71, ტაბ. 69-73] მუზეუმებში. დაფიქსირებულია კართაგენშიც [21, გვ. 81].

შესაძლებელია ჩვენი ნიმუში აფსაროსში სწორედ ევროპიდან, ლეგიონების გადაადგილების დროს მოხვდა. მხედველობაში გვაქვს, ვესპასიანეს (69-79 წწ.) ზეობისას პანონიიდან ორი ლეგიონის XII Fulminata და XV Apolinaris კაპადოკიაში გადმოყვანა. ქრონოლოგიურად აღნიშნული ჭრაქი სწორედ ამ პერიოდით თარიღდება.

ბ) კიდევ ერთ ადრეულ ნიმუშს აკლია ფარავის, გვერდისა და საპატრუქეს ნაწილი (ტაბ. I, 4). ფარავი ჩაზნექილი, გვერდისაგან ორი ნირული ზოლითაა გამოყოფილი. მასზე მოცემულია ადამიანის რელიეფური ფიგურა. მარცხენა ფეხი უკანაა მოქცეული, მარჯვენა მუხლში მოხრილი და წინ გადადგმული. მარცხენა ხელი წინ გაწვდილი, მარჯვენა უკან აქვს შემართული. ნაკვთებისა და კიდურების განლაგების, გამოსახულების შესრულების მანერიდან გამომდინარე იგი თითქოს მზადაა, გაქცეულ მტერს ესროლოს შები. ჭრაქის ყური მარყუჟისებური, ერთდარიანია, გვერდები მომრგვალებული და ტანზე გადმოშლილი, ხოლო ქუსლი ბრტყელი და ოდნავ შიგნით შენეული.

ჭრაქის ფარავზე მოცემული ფიგურა სრულიად სამართლიანად მიჩნეულია მსუბუქად შეიარაღებული მეომრის ექსპრესიულ გამოსახულებად [3, გვ. 69].

რომაულ ხანაში ფარავზე სხვადასხვა გამოსახულებების დატანა ფართოდ იყო გავრცელებული. მათზე უფრო ვრცლად სხვა ნიმუშების განხილვის დროს ვისაუბრებთ. რაც შეეხება აღნიშნულ ჭრაქზე მოცემულ გამოსახულებას, მას უშუალო პარალელი არ ეძებნება. ფორმით მსგავსი ჭრაქები ცნობილია როგორც ჩრდილო შავიზღვისპირეთის, ისე ანტიკური სამყაროს სხვა რიგი ძეგლებიდან.

გ) ყურადღებას იპყრობს მომდევნო ჭრაქი (ტაბ. I, 5), რომლის ჩაზნექილ ფარავზე მოცემულია მცენარეული ორნამენტი, კერძოდ,

სტილიზებული გადაბმული პალმეტი, ცენტრში საზეთეთი. საპატრუქე ჩაზნექილია, გვერდები მომრგვალებული, ტანზე გადმოშლილი. ქუსლი ბრტყელი. ყური მარყუისებური, ერთლარიანი.

მცენარეული ორნამენტით შემკული ჭრაქები მრავლადაა წარმოდგენილი რომაული ხანის კულტურულ ფენებში. გარკვეულ მსგავსებას პოულობს მაინცის ცენტრალურ მუზეუმში დაცულ ჭრაქებთან, რომლებიც იმპორტულ წანარმადაა მიჩნეული [26, გვ. 44, სურ. 34/9]. ქ. თესალონიკში აღმოჩენილი მსგავსგამოსახულებიანიჭრაქიც ახ.ნ. II ს. დათარიღებული [27, გვ. 148-152, სურ. 60/3].

აფსაროსის ჭრაქის ფორმა, საზეთესა და საპატრუქეს მიმართება, კეცისა და ლაკის ხარისხი, აგრეთვე, მისი ახ.ნ. I-II სს-ით დათარიღებულ ფენაში აღმოჩენა საფუძველს გვაძლევს ეს მონაპოვარი I ს-ის ბოლო - II ს-ის დასაწყისით დავათარიღოთ.

დ) ამავე ჯგუფში ერთიანდება კიდევ ერთი ახალი მონაპოვარი (ტაბ. I, 6). აქვს ღია მოვარდისფრო, მოჩალისფრო კეცი. ყური მინიატურული, ერთლარიანი. საპატრუქეს ეტყობა გამოყენების კვალი (შებოლილია). სიგრძე 8,5 სმ, სიმაღლე 2,2 სმ. მომრგვალებულ-ჩაზნექილ ფარაკზე, მოცემულია ძალლის გამოსახულება ნახტომ პოზაში (იქმნება შთაბეჭდილება, რომ იგი მსხვერპლს მისდევს).

აღნიშნული ჭრაქი საქართველოს არქეოლოგიურ მასალებში ჯერჯერობით ერთადერთია.

ჩრდილო შავიზღვისპირეთში, კერძოდ, ქერსონესში აღმოჩენილი ჭრაქის ფარაკზე ლომი, ძირზე კი დამღა, მარჯვენა ფეხის ანაბეჭდია მოცემული. გაერთიანებულია შცირეაზიურ, პერგამულ ჯგუფში [15, გვ. 162, სურ. 4].

დასავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის თანადროულ ძეგლებზე გვხდება ჭრაქები, რომელთა ფარაკზე ძალლი, ერთდროულად მონადირე და ძალლი, ან კიდევ სხვა სიუჟეტებია მოცემული [26, გვ. 32, ტაბ. 27/18; 30, გვ. 45; 25, გვ. 39, ტაბ. XIII/506].

ა. ჭეიმერლი თავის ნაშრომში „რომაული ხანის ჭრაქები პერგამონიდან“ გაინხილავს როგორც იმპორტულ, ისე ადგილობრივ ჭრაქებს. ერთ-ერთ პერგამული წარმომავლობის ჭრაქზე ძალლია გამოსახული. თარიღდება ახ.ნ. I ს-ის მეორე ნახევარით, II ს-ის პირველი ნახევარით [23, გვ. 125, ტაბ. 8/337].

გონიო-აფსაროსში აღმოჩენილ ცალს თანმხელები მასალების მიხედვით ახ.ნ. I ს-ის ბოლო, II ს-ით ვათარიღებთ.

ე) ამ სახეობის ჭრაქის გვერდები შემკულია ექვს-ექვსი რელიეფურ-სფეროსებური მოზრდილი, მრგვალი მარცვლისებური გამოსახულებებით (ტაბ. I, 7).

ამ გამოსახულებასაც უშუალო პარალელი არ ეძებნება. ჭრაქი ფორმისა და კეცის მიხედვით ძალზე ჰგავს ჩვენს მიერ გამოყოფილ გ ქვეტიპის ჭრაქს. აქვე შეიძლება გავაერთიანოთ კიდევ ერთი ნიმუშიც (გ. ა. 1999. 1881).

ვ) ამ სახეობაში ექცევა ჭრაქის გვერდისა და ფარაკის ფრაგმენტი (ტაბ. I, 8). ჩაზნექილი ფარაკის შემორჩენილ ნაწილზე მოცემულია ორი ადამიანის ფიგურა. მათი ურთიერთმიმართების საკითხის გარკვევა ფრაგმენტულობის გამო ძნელდება.

როგორც ცნობილია, წითელლაკიან ჭრაქებზე, განსაკუთრებით რომაულ ხანაში, ფართოდ იყო გავრცელებული ფარაკზე სხვადასხვა გამოსახულებების დატანა. ესენია: მეომარი (გლადიატორი), მწყემსი, ცხოველი, ერთდროულად ადამიანისა და ცხოველის გამოსახულება, მითოლოგიური თუ ეროტიკული სცენა და სხვ., რომლებიც ქრონოლოგიურად ახ. ნ. I-III სს-ით თარიღდება.

აფსაროსში აღმოჩენილი ჭრაქის ფრაგმენტი ახ.ნ. I ს-ის ბოლო - II ს-ის წანარმად მიგვაჩინა.

ზ) წარმოდგენილია ჭრაქის გვერდის ფრაგმენტი, რომელზეც მოცემულია პატარ-პატარა მძივების მსგავსი სამი რიგი (ტაბ. I, 9).

ჩვენი ნიმუში გარკვეულწილად ემსგავსება ათენის აგორაზე აღმოჩენილ ჭრაქს. ჰ. რობინზონი მას ახ.ნ. III ს-ის შუა ხანებით ათარი-

ლებს [29, გვ. 101, ტაბ. 46]. ასევე საინტერესოა თესალონიკის ჭრაქიც. ფარაკზე ცხოველთა ბრძოლის სცენაა მოცემული, გვერდები კი აფსაროსის ჭრაქის მსგავსადაა გაფორმებული [27, გვ. 148-152, სურ. 160].

თანმხლები მასალების (ვინწოყელიანი თუ ყელნიბოიანი ამფორების ფრაგმენტები, სინოპური ლუთერიის თუ სხვა) მიხედვით აღნიშნული ჭრაქი ახ.ნ. II ს-ით თარიღდება.

თ) მოცემული გვაქვს ჭრაქის ფარაკის, გვერდისა და ყურის ფრაგმენტი (ტაბ. II, 1). ფარაკსა და გვერდზე დატანილია მცენარეული ორნამენტი. მისი ფრაგმენტულობის გამო ძნელდება ზუსტი გამოსახულების დაჭერა.

კეცის მიხედვით ჩვენს მიერ ზემოთ აღნერილი ჭრაქების მსგავსია. საინტერესოა ის გარემოება, რომ ლაკის ხარისხით ძალზედ ჰეგავს წითელლაკიანი კერამიკის იმ ტიპის ჭურჭლებს, რომლებიც მინაძერნებითაა გაფორმებული (ტიპი IV). ისინი ახ.ნ. I-II სს-ით თარიღდებიან და პერგამონის საწარმოო ცენტრს უკავშირდებიან [4, გვ. 34-35]. ცნობილია, რომ ერთი და იგივე ცენტრი ანარმოებდა როგორც წითელლაკიან კერამიკას (სუფრის ჭურჭელს), ისე ჭრაქებსაც [15, გვ. 160-161]. ამავე პერიოდისაა თანმხლები არქეოლოგიური მასალაც.

ი) არის კიდევერთი სახეობის ჭრაქი, რომლის ფარაკი რელიეფური დეკორით გაფორმებული და ვოლუტისებური ხვიებით ყოფილა დაბოლოებული (ტაბ. II, 2).

როგორც ზემოთაც გვქონდა საუბარი, მსგავსვოლუტებიანი ჭრაქები ახ.ნ. I ს-ის მესამე მეოთხედით და II ს-ით თარიღდებიან. ამ ჭრაქის ზომები კი ცოტათი განსხვავებულია. ვოლუტებიც შედარებით ნაკლებადაა შესამჩნევი და უფრო დიდი ზომისაა.

ის აღმოჩნდა აბანოს ერთ-ერთი კედლის ნაშთის დონეზე, რომელიც სტრატიგრაფიულად უძველესი ჩანს და ახ.ნ. II-III სს-ით თარიღდება.

კ) ჭრაქის ფარაკის, ტანისა და საპატრუქეს ნანილი (ტაბ. II, 3). ფარაკი ჩაზნექილია, გვერდები მომრგვალებული. აქვს ჩიბუხის

მოყვანილობის საპატრუქე მილი. ფარაკსა და საპატრუქეს შორის ორი პატარა კოპია მოცემული. იგი გარკვეულ მსგავსებას პოულობს ბიჭვინთისა [9, გვ. 216] და ჩრდილო შავიზღვისპირეთის [12, გვ. 192] მასალებთან. ყველგან ისინი ახ.ნ. III ს-ით თარიღდებიან.

აფსაროსის კულტურული ფენა, სადაც ეს ჭრაქი აღმოჩნდა II-III სს-ითაა დათარიღებული.

გვხვდება ჭრაქის სხვა ფრაგმენტებიც, რომლებიც კეცის, ლაკის ხარისხით, საერთო იერითა თუ მოყვანილობით ისინი ჩვენს მიერზემოთ აღნერილი ჭრაქების მსგავსია.

ტიპი III. ამ ჯგუფში სამოსური ნაკეთობები ექცევიან. ჩვენს ხელთაა ორი ჭრაქი და ერთი სასანთლე.

ა) ჭრაქის ფარაკის ფრაგმენტი (ტაბ. II, 4). ვფიქრობთ, მასზე ეროტია გამოსახული, რომლის მოხრილი, ზემოთკენ ანეული მარცხენა ხელი თითქოს რაღაცას ეყრდნობა, მარჯვენა კი გაშლილი აქვს. თავი ოდნავ მარჯვინივ მიბრუნებული. საზეთე მოთავსებულია მარცხენა ხელთან. ეროტი ოდნავ მარცხნივ ჩანს გადახრილი.

ეროსი (ეროს, ეროტოს), რომაელთა ამორი (ამური), კუპიდონი, ოქროს ფრთოსანი ლამაზი ბიჭუნა, სიყვარულის ძეველი ღვთაება, სამყაროს საწყისი, ბუნების შემოქმედებითი ღმერთია. იგი მშვილდ-კაპარჭით აღჭურვილი ბავშვის სახით აღიქმებოდა, რომელიც ყველა სფეროში აღნევს. მისგან დაუჭრელი არცერთი ცოცხალი არსება არ რჩება დედამინაზე, ცაში, ზღვაში და ქვესკნელში. მისი კულტი განსაკუთრებით ძლიერი იყო თესპიაში, ათენში, კრეტაზე, სამოსზე, მეგარაში და ა.შ. ხელოვნებაში აღბათ ასე ხშირად არავინ უხატავთ. მისი ატრიბუტებია მშვილდ-ისარი, კაპარჭი, ჩირალდანი [2, გვ. 176-177].

მსგავსგამოსახულებიანი ჭრაქი საქართველოს ტერიტორიაზე ჯერჯერობით ერთადერთია. სხვაგან ფართოდ ჩანს გავრცელებული. ზოგიერთზე ერთდღრულად ორი ეროტია მოცემული [20, გვ. 356-358. ტაბ. 23/241]. აღმოჩნდილია ჩრდილო შავიზღვის-

სარეკომენდი, კერძოდ, ქერსონესში [13, გვ. B477-478, 12, გვ. 81, სურ. 49], ათენის აგორაზე [28, ა. 14-116, სურ. 16, 17], ტარსუსის [22, გვ. 132], კართაგენის [21, გვ. 81, ტაბ. 936], პერგა-მისის [23, გვ. 57-61], ვინდონიზას [25, გვ. 219, ტაბ. V/22], კარნინტუმის [18, გვ. 356-358] და სხვა ძეგლთა კულტურულ ფენებში, სადაც ისინი ახ. ნ. I ს-ის ბოლო - II ს-ის პირველი ნა-ხევრით თარიღდებიან.

აფხაროსის ჭრაქის ფრაგმენტი ციხის გა-რე ტერიტორიაზე აღმოჩნდა. კულტურულ ფენებში აღნიშნულთან ერთად წარმოდგე-ნილი იყო კაპადოკიის კესარიაში მოჭრილი ხერონის ტემიდრაქმა, რომლის რევერსზე ვიქტორიას ფიგურაა მოცემული. ამ ტიპის მონეტები, როგორც ჩანს, კორბულონის არ-შენიაში ლაშქრობასთან დაკავშირებით 58-60 წე-მია გამოშვებული [5]. აქვე იყო ნითელლა-ჯიანი ჯამის პირის ფრაგმენტები რელიეფუ-რი შინაძერნებით (ტიპი IV) და სხვა ახ. ნ. I ს მასალა [4, გვ. 62-63. სურ. 44]. მოკლედ, ერო-ტის გამოსახულებიანი ჭრაქი ახ. ნ. I ს მეორე-მესამე მეოთხედით თარიღდება.

ბ) თითქმის მთლიანი ჭრაქია (ტაბ. II, 5), აქლია ყურის ნანილი, რომელიც გვერდზე ყოფილა დაძერნილი. გვერდები მომრგვალე-ბული, ფარაკი ჩაზნექილი – ცენტრში საზე-თუთი. ქუსლი არაა გამოყოფილი, ოდნავ შიგ-ნით შენეული.

მოყვანილობით მსგავსია ქერსონესში აღ-მოჩენილი ჭრაქისა, რომელიც სამოსის სა-ნარმოო ცენტრის ნანარმადაა მიჩნეული და ახ. ნ. II ს-ით თარიღდება [15, გვ. 161, სურ. 3]. თანმხლები მასალები (მინის სანელსაცხებ-ლის, კინროყელიანი ამფორისა და სხვ.) სა-მუალებას გვაძლევს აღნიშნული ჭრაქი ახ. ნ. II ს-ით დავათარიღოთ.

გ) ფართო თეთვისებრი ჭურჭელი, რომე-ლიც პირობითად სასანთლედ გვაქვს მიჩნე-ული (ტაბ. II, 6). კონუსურად ძირშედრეკილი, ჩელმი გამოყვანილი. მაღალ, მრგვალგანივ-კებულიან დეროს ბოლოში თავი და გვერდი მო-ტეხილია. გარე და შიდა ზედაპირზე ნითელი ლაქის ხარჩები აქვს.

აღნიშნულ ნივთს ნითელლაკიან კერამი-კასთან დაკავშირებულ ჩვენთვის ხელმისაწ-ვდომ სამეცნიერო ლიტერატურაში ანალოგი არ ეძებება. კეცისა და ლაკის ხარისხის მი-ხედვით იგი სამოსური ნანარმი უნდა იყოს. აბანოების უბნის ახ. ნ. II-III სს-ის კულტურულ ფენებში აღმოჩენის გამო მის სავარაუდო თა-რიღად ეს პერიოდი მიგვაჩნია.

ტიპი IV. ერთიანდება სრულიად განსხვა-ვებული ფორმისა და კეცის ჭრაქი (ტაბ. II, 7), რომელიც ერთადერთი ეგზემპლარითაა ნარმოდგენილი. ყური ნაკლულია. იქვე დატა-ნილია პატარა ორმაგი ოვი. ფარაკი გვერდე-ბისაგან გამოყოფილია და შემკულია წყვილი გულისებრი ღარით, რომლებიც შებოლილ საპატრუქესთან ვოლუტებით ბოლოვდება. ბრტყელი ქუსლი ფოთლის თუ გულის მოყვა-ნილობის ღარითაა შემკული. ნითელი მდარე ხარისხის მქრქალი ღაკი აქა-იქ ემჩნევა.

იგი გარკვეულ მსგავსებას პოულობს ქ. მაინცის ცენტრალურ მუზეუმში დაცულ ჭრაქთან, რომელიც მიჩნეულია ეგვიპტის ერთ-ერთ სანარმოო ცენტრის ნანარმად [26, გვ. 48, ტაბ. 38/1]. ასეთივე ჭრაქი წარმოდ-გენილია ტიუბინგიის უნივერსიტეტის არ-ქეოლოგიური ინსტიტუტის ანტიკური ხანის თიხის ჭრაქების კოლექციიაში. იგი აღექსან-დრის სანარმოო ცენტრის ნანარმადაა გან-საზღვრული და ახ. ნ. III ს-ით თარიღდება [20, გვ. 363, ტაბ. 26/261].

აფხაროსის ნიმუში შიდა ციხის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში (83-ე კვ.), ახ. ნ. II-III სს-ის მასალებთან ერთად აღმოჩნდა.

ტიპი V. ერთადერთი ეგზემპლარია აღ-მოჩენილი (ტაბ. II, 8). ფარაკი წრისებურად, მკვეთრად ჩაღრმავებული. გვერდები ფარა-კისაგან გამოყოფილია მკვეთრი რელიეფური ნიპოთი, რომელიც წრისებური მოყვანილო-ბისაა და გაგრძელებულია საპატრუქე მილის ზედა მონაკვეთზე. ჭრაქის გვერდების საპი-რისპირო მხარეს დაძერნილია წყვილი შვერი-ლი. ტანი თითქმის სწორკედლიანია, ძირი სა-და, ბრტყელი. საქართველოს ტერიტორიაზე მსგავსი ნიმუში არაა აღმოჩენილი.

ამ ტიპის ჭრაქები საკმაო რაოდენობითაა გავრცელებული დასავლეთ ევროპაში. მაგალითად, მსგავსი ჭრაქები გერმანიაში, კერძოდ კი, ტრიერის სახელმწიფო მუზეუმშია დაცული. ისინი ცნობილია მკვეთრი განათებით. მიჩნეულია კიოლნის პროდუქციად [30, გვ. 120]. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ისინი ჯერ კიდევ ელინისტურ ხანაში ფართოდ გავრცელებული ატიკური ჭრაქების მიბაძვით მზადდებოდა (როგორც თიხის, ისე ბრინჯაოს) [31, გვ. 89].

ჩვენი ჭრაქი შეესაბამება ლიონშევს კლასიფიკაციის IX-X ტიპს. მსგავსი ფორმის ჭრაქები თავდაპირველად ჩრდილო იტალიაში (აკვილეა) კეთდებოდა. მათ ამზადებდნენ, აგრეთვე, გალიაში, გერმანიაში, ვინდონიზაში და ა.შ. [25, გვ. 257, ტაბ. 11]. აღმოჩენილია პანონიაში [24, გვ. 260-265, ტაბ. XVIII], კარნინტუმში [18, გვ. 180-183, ტაბ. 28], დაცულია ქ. მაინცის მუზეუმში [26, გვ. 65-66, ტაბ. 52-53]. ა. ჰეიმერლი ასეთ ჭრაქებს პერგამონში ჩრდილო იტალიიდან შემოტანილად მიიჩნევს [23, გვ. 62, ტაბ. 22]. არაა გამორიცხული, რომ ზემოთ აღნიშნული ჭრაქების მსგავსად, აფსაროსში ესეც ევროპიდან იყოს მოხვედრილი ახ.ნ. I-II სს-ში.

ტიპი VI. ჭრაქის ჩაზნექილ ფარავზე გამოსახულია მრგვალი კონტურის მქონე პალმეტის სტილიზებული გამოსახულება (ტაბ. II, 9). მას გარშემო წყვილი რელიეფური რელების ორი ურთიერთმოშორებული რიგი უკლის. საპატრუქეზე თითქოს ვოლუტისებური გამოსახულებები უნდა ყოფილიყო მოცემული. ჭრაქი თავისი გაფორმებითა და მოყვანილობით ერთობ საინტერესოა.

ამ ჭრაქს პირდაპირი ანალოგი არ ეძებნება. გარკვეულ მსგავსებას პოულობს ქერსონესის [12, გვ. 188, სურ. 40], ათენის აგორასა [29, გვ. 110, ტაბ. 46] თუ ბულგარეთში, კერძოდ, ადგილ რადომირში [16, გვ. 26-37, სურ. 20] აღმოჩენილ ნიმუშებთან. საინტერესოა ქ. სამსუნის მუზეუმში გამოფენილი რომაული ხანის ერთ-ერთი ჭრაქიც, რომელიც ჩვენ ნიმუშს ემსგავსება. აფსაროსის ჭრაქს ახ.ნ. II-III სს-ით ვათარიღებთ.

როგორც ვნახეთ, გონიო-აფსაროსში აღმოჩენილი ჭრაქები ქრონოლოგიური თვალსაზრისით ახ.ნ. I-III სს-ს განეკუთვნებიან. უმრავლესობას პერგამონის ნაკეთობანი შეადგენენ. გვხვდება სამოსის სანარმოო ცენტრის ერთეული ნიმუშებიც. ბოლო დროს თავი იჩინა დასავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის პროდუქციამაც. სხვათა სანარმოო ცენტრის ზუსტი განსაზღვრა ჯერჯერობით გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული.

ლიტერატურა

1. გამყრელიძე გ. ნავთობის ტრანსპორტირების შესახებ ფასის-ფოთში (არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით), ძიებანი, დამატებანი, IV, (ანტიკური ხანის კოლხეთის არქეოლოგიის საკითხები), თბ., 2001, გვ. 26-30.
2. გელოვანი ა. მითოლოგიური ლექსიკონი. თბ., 1983.
3. გძელიშვილი ი., ხახუტაიშვილი დ. რკინის წარმოების უძველესი კერა ჭოროხის ქვემო დინებაში და არქეოლოგიური დაზვერვები გონიო-აფსაროსში, სდსბ, I, თბ., 1964, გვ. 59-96.
4. ებრალიძე ტ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი გვიანელინისტურსა და რომაულ ხანაში (სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი იმპორტული კერამიკის მიხედვით), გონიო-აფსაროსი VI, ბათ., 2006.
5. ვარშალომიძე ი. სამონეტო მიმოქცევა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ახ.ნ. I საუკუნიდან 1453 წლამდე (საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი), თბ., 2001.
6. ზაქარაია პ., ლომოური ნ., ლექვინაძე ვ., გვინჩიძე გ. ციხეგოჯი – ნოქალაქევი, თბ., 1984.
7. კახიძე ა., მამულაძე შ. აჭარისწყლის ხეობის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები, ბათუმი, 1993.
8. კაჭარავა დ. გიენოსი ანტიკურ ხანაში (საკანდიდატო დისერტაცია), თბ., 1972.
9. კილურაძე ნ. ჭრაქები ბიჭვინტის ნაქალაქარიდან, დიდი პიტიუნტი II, თბ., 1977, გვ. 211-222.

- 10.** ლიჩელი ვ. ქველი ვანი, სამეურნეო უბანი, თბ., 1972.
- 11.** მამულაძე გ., ხალვაში გ., ასლანიშვილი ლ. აფხაზოსის ომაული გარნიზონები, კავკასიის მაცნე 2, თბ., ვ. 91-95.
- 12.** Белов Г. Д., Стржелецкий С. Ф., Якобсон А. Л. Квартал XVIII (раск. 1941, 1947, 1948 гг), МИА 34, М-Л., 1953. с. 160-237.
- 13.** Вольдгауэр О. Атичные глиняные светильники, СПб., 1914.
- 14.** Иофа Т. И. Краснолаковые светильники. – Ольвия, Тененос и Агора, М-Л., 1964, с. 281-284.
- 15.** Кадеев В. И. Импортные светильники из Херсонеса, СА № 3. 1969, с. 159-171.
- 16.** Любенова В. Античен производствен и търговски център край Радомир (предварително съобщение), Археология 3, София., 1985. с. 26-37.
- 17.** A Catalogue of the Lamps in the British Museum, I. Greek, Hellenistik, and Early Roman pottery lamps, London, 1914.
- 18.** Alram-Stern, E. Die Römischen Lampen aus Carnuntum. Der Römische Limes in Österreich. Heft 35, Verlag der Österreichischen akademie der Wissenschaften, Wien, 1989.
- 19.** Braund D. Georgia in Antiquity, Oxford, 1994.
- 20.** Carn-Klaiber E-M. Die Antiken Tonlampen Des Archäologischen Instituts der Universität Tübingen, Band II, 1977.
- 21.** Deneauve J. Lampes de Carthage, VII, Paris, 1969.
- 22.** Goldman H. Excavations at Gozlu Kule.- Tarsus I. The Hellenistic and Roman periods, 1950.
- 23.** Heimerl A. Die Römischen lampen aus Pergamon, Berlin/New York, 2001.
- 24.** Ivanyi D. Die Pannonischen lampen, Budapest, 1935.
- 25.** Loeschke S. Lampen aus Vindonissa, Zürich, 1919.
- 26.** Menzel H. Antike Lampen im Römisch-Germanischen Zentralmuseum zu Mainz, Mainz, 1954.
- 27.** Οδηγός της έκθεσης: Θεσσαλονίκη από τα πρωτοτυρικά μέχρι τα χριστιανικά χρόνια, Αθήνα, 1986
- 28.** Peetzweig J. Lamps of the Roman Period, The Athenian Agora VII, Princeton (New-Jersey), 1961.
- 29.** Robinson H. S. Pottery of the Roman Period, The Athenian Agora V, 1959.
- 30.** Römische Lampen und Leuchter. Auswahlkatalog des Rheinischen Landesmuseums Trier, Trier, 1997.
- 31.** Scheibler J. Griechische Lampen. Kerameikos Ergebnisse der Ausgrabungen XI, Berlin, 1976.
- 32.** Szentleky T. Ancient Lamps, Akademia Kiado, Budapest, 1969.
- 33.** Tomasevic T. Die Keramik der XIII Legion aus Vindonissa, Vindonissa, 1970.
- 34.** Werner Techau. Griechische Keramik im Samischen Heraion, Athenische Abteilung, Band LIII, Athen, 1928.
- 35.** Walters H. S. Catalogue of the Greek and Roman Lamps in the British Museum, Oxford, 1914.
- 36.** Wiegand T, Schrader H. Priene. Ergebnisse der Ausgrabungen und Untersuchungen in der Jahren 1895-1898, Berlin, 1904.

ოძროს ფალერა „გონიოს განძილან“

გონიოს განძი მნიშვნელოვანი და მრავალმხრივ საინტერესო ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლია. გონიოს განძში შემავალ მრავალფეროვან ნივთებს შორის ინტერესს იწვევს ოქროს გარსაკრავი ცხოველთა ბრძოლის სცენით, რომელიც უნიკალობით გამოიჩინევა.

გარსაკრავი მრგვალი ფორმის ფირფიტაა, რომლის ჩარჩოში შემდეგი სცენაა გამოსახული: კატისებრი მტაცებელი თავს ესხმის ჯიხვისებურ ცხოველს. პირველი ფიგურა ინკრუსტირებულია ბუდეებში ჩასმული მწვანე და წითელი პასტით. მარცხენა წინა ფეხი ტალღისებურადაა დაკუნთული და ბრჭყალებით მთავრდება. მარჯვენა ფეხზე, ოთხკუთხა ჩარჩოში წითელი პასტაა ჩასმული; თვალებიც პასტითაა ინკრუსტირებული. ჯიხვისებური ცხოველის ზურგი, ასევე ორ რიგადაა ინკრუსტირებული, ხოლო დანარჩენი ნანილები - მუცელი, ფეხები, კისერი ქიცვისებრი ორნამენტითაა შემკული. რქები დაღარულია და წითელი ფერის ინკრუსტაციით მთავრდება. დრუნჩი ლომის დრუნჩის ნააგავს. ენა სტილიზებული ლოტოსის ყვავილითაა გადმოცემული, ხოლო ჩლიქები პასტის ინკრუსტირებული ფოთლისებური ბუდეებით. კუდი რელიეფურია და უკანა მარჯვენა ფეხზეა დახვეული (ტაბ. I). გარსაკრავის დმ - 13,5 სმ [3, გვ. 12-13, ტაბ. XVII-XVIII].

მკვლევართა აზრით, ზემოთ აღნერილი გარსაკრავი, ძვ.წ. I - ახ.წ. II სს-ის პოლიქრომიულ ცხოველსახოვან სტილის ძეგლთა წრეს განეკუთვნება. მათივე განმარტებით, გამოსახულებათა სტილისტური ნიშნები დამახასიათებელია დონისპირეთის ძეგლებისათვის, რომელთა სანარმოო ცენტრად ბოსფორის სამეფოს სახელოსნოებია მიჩნეული [3, გვ. 26] თუმცა სამკაულთა პოლიქრომიული სტილი და ამგვარი გამოსახულებანი არც რომაული სამყაროსათვის იყო უცხო. რომაულ ბარელიეფებზე, ფარებზე, ოქრომჭედლობის

ზოგიერთ ნიმუშებზე თუ გემებზე ხშირად ვხვდებით ზემოთ აღნიშნულ სცენებს [8, გვ. 482; 10, გვ. 45].

ამგვარი სიუჟეტიანი გარსაკრავები უპირატესად რომაულ სამხედრო შენაერთებს უკავშირდება და ფალერადაა მიჩნეული [8, გვ. 485]. ფალერა - "Fhalerae" ლათინური სიტყვაა და ჯილდოს ნიშნავს. ფალერა რომის რესპუბლიკის დროს მხედართა წოდება იყო. ძვ.წ. II ს-დან სამხედრო ჯილდოებია. ფალერებს ძირითადად შეადგინდნენ სამკაულები - გემიანი ბეჭდები, ბალთები, სამაჯურები; იარაღი და ლითონის ოვალური თუ მრგვალი ფორმის ნივთები - მახვილები, თასები, სასმისები და სხვა. რომის იმპერიის ეპოქაში ფალერებით აჯილდოებდნენ არა მარტო ცალკეულ ლეგიონერებსა და სამხედრო ქვედანაყოფებს, არამედ დაქირავებულ მეომრებს და პრორომაული ორიენტაციის „ბარბაროსული“ სამყაროს მმართველებსაც [6, გვ. 597].

ისმის კითხვა: რა არხებით და როგორი გზით უნდა მოხვედრილიყო აღნერილი ნივთი გონიოს განძში, რომელიც სპეციალისტთა აზრით, ახ.წ. I საუკუნეების საქართველოს მმართველი საზოგადოების წრეს ეკუთვნოდა [3, გვ. 27].

ეჭვს იწვევს ამ ნივთის სამხედრო ნადავლად მიჩნევა, ვინაიდან ის საქმაოდ ძვირადლირებული იყო, რაც უთუოდ რჩეული და მდიდრულად აღჭურვილი რომაულ სამხედრო შენაერთებთან ადგილობრივი მოსახლეობის ფართო მასშტაბიან ბრძოლას გულისხმობდა, მაგრამ არათუ ამგვარი დაპირისპირება, არამედ მათ შორის რიგითი სამხედრო კონფლიქტიც კი ნერილობითი წყაროებით არ დასტურდება. კიდევ მეტი, ასეთი დაპირისპირების „აპრიორი“-ს ნარმოდეგებაც შეუძლებელია, რადგან კოლხეთში ამ დროის ცენტრალიზებული ხელისუფლება მომღილი ჩანს და იგი ცალკეულ ადმინისტრაციულ ერთეულებადადა დაქუცმაცებული. შესაბამისად, ერთი-

ანი, ორგანიზებული ლაშქრის არსებობაც გამოირიცხება.

ვფიქრობთ, აღნიშნული ნივთი, ადგილობრივ წარჩინებულებსა და გონიოში დისლოცირებული რომაული სამხედრო შენაერთების [5, გვ. 35-38] ადმინისტრაციას შორის გარკვეული სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობის მიმანიშნებელი უნდა იყოს.

ამგვარი ხასიათის ნივთებით რომაული ადმინისტრაცია, თავის სამსახურში მყოფ ადგილობრივ წარჩინებულ პირებსა თუ მათ მეთაურებს აჯილდოებდა. მაგალითად, ტაციტუსის ცნობით, რომაელებმა მრისხანე „ბარბაროსული“ ტომის ბელადებს საჩუქრად ვერცხლის ძვირფასი ლარნაკები მიართეს [Tac., Ann., V, 31]. ანალოგიური სურათი ჩანს ახ.ნ. I ს. ბოსფორის მმართველებსა და ტავრიდის რომაულ საოკუპაციო სამხედრო შენაერთებს შორის [7, გვ. 64]. აღსანიშნავია ისიც, რომ სამხრეთ გერმანიაში, სოფ. ჰობთან აღმოჩენილ ახ.ნ. I ს-ის ვერცხლის კანთაროსზე მისი მფლობელის „შილიუს“-ის სახელია ამოქრილი [9, გვ. 164]. ტაციტუსის თხზულებიდან ცნობილია, რომ ახ.ნ. 14-21 წწ. სამხრეთ გერმანიას გაიუს სილიუსი მართავდა [Tac., Ann., I, 25]. აქედან გამომდინარე, მკვლევარები სამართლიანად ასკვნიან, რომ ვერცხლის კანთაროსი გაიუს სილიუსმა გერმანელთა ბელადს უსახსოვრა ნიშნად განეული დახმარებისათვის [7, გვ. 164].

ნიშანდობლივია, რომ იმავე ტაციტუსის ცნობით, რომაელებმა სედოხეზების მეფეს, ანიკეტის გადმოცემისათვის ჯილდო შესთავაზეს [Tac., Hist., III, 48]. სწორედ, გონიოლი დიდებულისათვის განკუთვნილ ჯილდოს შეადგენდა ზემოთ აღნერილი „გარსაკრავი“.

როგორც ჩანს, რომაელები არც თუ იშვიათად მიმართავდნენ პერიფერიული ქვეყნების მეთაურების, „ბარბაროსული“ ტომების ბელადებისა თუ წარჩინებულთა მოსყიდვის პოლიტიკას, რომელიც რომის იმპერიის დიპლომატიის აუცილებელ ინსტრუმენტს წარმოადგენდა. რომაელები იმპერიის საზღვრებს არა მარტო სამხედრო ძალით, არამედ მოქნილი დიპლომატიური ხერხებით აფართოებდნენ. იმპერიის მთელ პერიმეტრზე განსახლებულ ზოგიერთ ხალხებს ტრადიციუ-

ლად ადაგილობრივი მეფეები განაგებდნენ და დამოუკიდებლობას ინარჩუნებდნენ. რომი დიპლომატიურ ძალისხმევას არ იშურებდა, რათა ამ მმართველებთან მეგობრული ურთიერთობა დაემყარებინა, რამდენადაც იმპერიის წარმატებები ზოგჯერ მათზე იყო დამოკიდებული [4, გვ. 34].

სასურველი მიზნების მაღნევისათვის, რომაელები დიპლომატიის სხვადასხვა მეთოდებს მიმართავდნენ: დაშინების, იძულების, შანტაჟის, მოსყიდვის, ზოგჯერ კი პროდუქციის ურთიერთგაცვლის ელემენტებსაც. ამგვარი პრაქტიკა ჯერ კიდევ ძვ.წ. I ს-ის შუა ხანებში დამკვიდრდა, ხოლო იმპერიის ხანაში გახშირდა.

რომის დიპლომატიის ზემოთ ჩამოთვლილი მეთოდებიდან ზოგიერთი მათგანი კოლხეთშიც დასტურდება. ერთ-ერთი კოლხური ტომის - სედოხეზების მეფის მოსყიდვასთან დაკავშირებით, ჩვენ უკვე ვახსენეთ. გარდა ამისა, რომაელებსა და კოლხებს შორის პროდუქციის ურთიერთგაცვლის პროცესს ჰქონდა ადგილი. ეს ფაქტი გარკვეულწილად ნერილობით წყაროებსა და არქეოლოგიურ მასალებშია ასახული. პლინიუს უფროსის ცნობით, დიოსკურიაში ქვეყნის ჰინტერლანდიდან 300 ტომის წარმომადგენელი იყრიდა სავაჭროდ თავს [Plin., NH., VI, 15]. სტრაბონი გადმოგვცემს, რომ ისინი სანაპიროზე მარილის საყიდლად ჩამოდიოდნენ [Strabo, XI, 5, 6]. კოლხეთის მოთხოვნილება მარილზე, ვაჭრებს საშუალებას აძლევდათ ეს იაფფასიანი პროდუქტი მონებზე, ხე-ტყეზე და სხვა პროდუქტზე გაეცვალათ.

ვფიქრობთ, კოლხეთის სანაპიროზე დისლოცირებული რომაული სამხედრო შენაერთებიც იგივე ოპერაციით უნდა ყოფილიყვნენ დაკავშირულნი, რაც არქეოლოგიური მასალებითაც დასტურდება. პიტიუნტის, აფსაროსისა და სეპასტოპოლისის კასტელუმების ტერიტორიაზე საკმად მრავლადაა წარმოდგენილი ადგილობრივი კერამიკა, ხოლო ქვეყნის შიდა თუ მთიან ზოლში რომაული სამყაროს სხვადასხვა ცენტრების ნაწარმთა მთელი სერია [1, გვ. 171].

რომაული საჯარისო ნაწილები აკონტროლებდნენ კოლხეთსა და პონტოსპირეთის,

ასევე ხმელთაშუაზღვისპირეთის სამყაროს შორის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს. ვაჭრობაზე კონტროლი და სავაჭრო პრივილეგიების გაცემა ძველთაგანვე რომის დიპლომატიის და საერთოდ რომაული იმპერიალიზმის ინსტრუმენტი იყო [11, გვ. 94].

ზემოთ აღნიშნულ მეთოდებს რომაელები მოგვიანებითაც იყენებდნენ. პროკოფი კესარიელის ცნობით, როდესაც რომაელები გარე სამყაროსთან ლაზების სავაჭრო ურთიერთობებში უხეში ფორმებით ჩაერივნენ, კოლხები რომისადმი მტრულად განეწყვენენ და ირანელებს დაუკავშირდნენ [PC., BP., II, 15. 9-12].

რომაელები სამხედრო ძალის პარალელურად, მოქნილი დიპლომატიის გზით კოლხეთის შიდა რეგიონებსაც აკონტროლებდნენ. იდეალურ შემთხვევაში რომაული სამხედრო შენაერთები თანამშრომლობდნენ რომაელთა მიერ დანიშნულ ადგილობრივ „მეფეებთან“ თუ წარჩინებულებთან. ეს კონტაქტები კი ორივე მხარისათვის სასარგებლო იყო.

ჩვენ არავითარი მონაცემები არ გაგვაჩნია იმის შესახებ თუ რა დამსახურებისათვის ერგო გონიოელ დიდებულს აღნიშნული რომაული ფალერა. ამიტომაც მხოლოდ ზოგადი შენიშვნებით შემოვიფარგლებით. არ არის გამორიცხული, რომ ამ ნივთის მფლობელი რომაელთა სამხედრო კამპანიების აქტიური მონაწილე ყოფილიყო. ძველი ავტორების ცნობებით, რომაელთა სამხედრო ოპერაციებში ხომ იმპერიისადმი დაქვემდებარებული სხვადასხვა ქვეყნის საჯარისო შენაერთებიც ხშირად მონაწილეობენ. მაგალითად, ფლავიუს არიანეს მიხედვით ალანთა წინააღმდეგ დარაზმული რომაული არმიის შემადგენლობაში კოლხებიც ფიგურირებენ [Arr., tact., 7; 2., gv. 41]. შესაძლოა, გონიოელ დიდებულს და მისადმი დამოკიდებულ ხალხსა თუ რაზმს პონტო-კავკასიის სასაზღვრო-თავდაცვითი სისტემის დასავლეთის მონაკვეთის უსაფრთხოება ევალებოდათ იქტიისაგან. ყოველ შემთხვევაში, მათ შორის რაღაც გარკვეული სამხედრო-პოლიტიკური კავშირი არსებოდა და ტაციოტუსის მიერ მინიშნებული „იუს militarium~ სახით [Tac., Ann., II, 62], ვფიქრობთ ეს კავშირი ურთიერთსარგებლობის პრინციპებს ეფუძნებოდა. კერძოდ, მკვიდრი მოსახ-

ლეობა იყო არა მარტო რომაული პოლიტიკის მხარდამჭერი და გამტარებელი, არამედ გარნიზონების შევსების წყარო. თავის მხრივ კი რომაული სამხედრო შენაერთები ერთგვარ მასტაბილიზირებელ როლს ასრულებდნენ მათ გარემომცველ სამყაროში. გარდა ამისა, მათივე მეშვეობით ვრცელდებოდა შიდა თუ მთიან ზოლში რომაული კულტურის ელემენტები და იმპორტული პროდუქცია.

ამრიგად, გონიოს განძში შემავალი ოქროს გარსაკრავი რომაულ ჯილდოს ნარმოადგენდა, რომელიც გონიოელ დიდებულებს ებოდა რომის იმპერიის მესვეურთაგან, მისი პრორომაული ორიენტაციისა თუ რომაელთა სამხედრო კამპანიებში მონაწილეობისათვის.

ლიტერატურა

1. თოდუა თ. რომაული სამყარო და კოლხეთი, თბ., 2003.
2. თოდუა თ. არიანეს „Εκτασις κατ Αλανων“-ის ერთი ცნობის განმარტებისათვის, ძველი ისტორია, V, თბ., 2004, გვ. 40-49.
3. ლორთქიფანიძე თო., მიქელაძე თ., ხახუტაიშვილი დ., გონიოს განძი. თბ., 1980.
4. Браунд Д. Римское присутствие в Колхиде и Иберии, ВДИ, № 4, 1991, с. 34-52.
5. Мамуладзе Ш. Х., Халвачи М. С., Асланиშвили А. Г. Римские гарнизоны Апсара, ВДИ, № 1, 2002, с. 35-38.
6. Словарь Античности. М., 1989.
7. Шилов В.П. К проблеме взаимоотношений кочевых племен и античных городов в сарматскую эпоху, КСИА, 138, 1974.
8. Connolly P. Greek and Rome at war, London, 1981.
9. Johanson K. F. Hoby – Fundet. – Nordiske Fortidsminder, BD, II, H.3., 1823.
10. Megow W. R. Kameen in Rheinischen Landesmuseums Bonn. – Bonner Jahrbücher, 186, 1986.
11. The administration of the Roman Empire (264 BC – AD 123), ed. D.C. Braund, Exeter, 1988.

ციცონფლის (ჯირის) ნამოსახლარი

ადგილი ჯირი მდებარეობს ქ. ჭიათურის სამხრეთ-აღმოსავლეთით, სოფ. წინსოფლისა და ჭიათურის საზღვარზე.

არქეოლოგიურ ლიტერატურაში ჯირი უკვე საკმაოდ ცნობილი ძეგლია. საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიცია ჯ. ნადირაძის ხელმძღვანელობით აქ გათხრებს აწარმოებდა 1976-80 წლებში. გამოვლენილი არქეოლოგიური მასალა საკმაოდ მრავალფეროვანია და ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს. ჯირში დაფიქსირებულია ექვსფენიანი ნამოსახლარი, რომლის ქრონოლოგია განისაზღვრება ადრე ბრინჯაოს ხანიდან ადრე ანტიკური ხანის ჩათვლით [1, გვ. 7-23].

აქვე მოპოვებულია ქვის ხანის ნიმუშები, რომებსაც ნ. თუშაბრამიშვილი ღია პალეოლითური სადგომიდან მომდინარედ მიიჩნევს და მუსტიკეური ხანით ათარიღებს [7, გვ. 3-19]. ჯირში აღმოჩენილია სამაროვანი, რომლის ქრონოლოგია წინასწარული მონაცემებით I-VI სს-ით განისაზღვრება [15, გვ. 104-121].

ჯ. ნადირაძის საველე დღიურებიდან ირკვევა, რომ ადგილ ჯირში, წინსოფლის ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კალთაზე გამოვლენილა შუა საუკუნეების ფენის ნაშთებიც. წინსოფლის ციხე რამდენადმე დაშორებულია იმ ადგილიდან, სადაც დაფიქსირდა მრავალფენიანი ნამოსახლარი, პალეოლითური ღია სადგომის ქვის ინდუსტრია და I ათასწლეულის პირველი ნახევრის სამაროვანი. ამიტომაც ძეგლის საერთო სტრატიგურაფიულ სურათში ეს ფენი გათვალისწინებული არ არის და ვერც იქნება, რადგან იგი ცალკე მდგომი ნამოსახლარია.

წინსოფლის ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კალთაზე გამოვლენილი ნამოსახლარი ფენის

ინტენსიურობის შესახებ, სამნუხაროდ, მონაცემები არ გაგვაჩნია. ექსპედიციის ხელმძღვანელის დღიურიდან ვიცით მხოლოდ ის, რომ იგი განვითნილი იყო უშუალოდ ციხის ფერდობზე, სადაც სხვა ფენია არ დადასტურებულა. როგორც ჩანს, და ამასვე ადასტურებს ხელოვნების მუზეუმის არქეოლოგიის ფონდში დაცული მასალაც, ეს ფენი ინტენსიური არ ყოფილა. არქეოლოგიური მონაპოვარი შეიცავს მხოლოდ თიხის ნანარმს, რომელიც ამ პერიოდის არქეოლოგიური ძეგლების მონაცემების გათვალისწინებით, მრავალფეროვანი ასორტიმენტის შთაბეჭდილებას ტოვებს. ფუნქციური დანიშნულების მიხედვით გამოიყოფა სამეურნეო, სამზარეულო და სასუფრე ჭურჭელი.

სამეურნეო დანიშნულების კერამიკა ქვევრებისა და დერგების ფრაგმენტებითაა წარმოდგენილი. სამზარეულო თიხის ჭურჭელში გამოირჩევა სადა და ყელდაღარული ქოთნები, ხოლო სუფრის ჭურჭელი ნარმოდგენილია დოქებითა და ჯამით. თითოეულ მათგანს განვიხილავთ ცალ-ცალკე.

ქვევრები - მისი ფრაგმენტები წარმოდგენილია პირებისა და გვერდების ნატეხებით. პირ-ყელის მოყვანილობით ისინი მცირედ განსხვავდება ერთმანეთისაგან. გვხვდება როგორც პროფილში შეზნექილი, ასევე ბაკოგადამლილი, ფართოპირიანი ეგზემპლარები და გვირგვინშესქელებული ცალები (ტაბ. I-5).

სამივე ტიპის ნიმუშებისათვის დამახასიათებელია მსხვილმარცულოვანი, უხეში მინარევებით შეზავებული თიხა და მოაგურისაფრო-მონითალო ხაოიანი ზედაპირი.

გ. ლომთათიძე ადრეული შუა საუკუნეების რუსთავში მოპოვებულ ქვევრებს ორ ძირითად ჯგუფად ყოფდა: 1. კვერცხისებრი

მოყვანილობის, გარედან გლუვი და 2. გარედან წიბოშემოვლებული [9, გვ. 175].

წინსოფელში აღმოჩენილი ქვევრები იმდენად ფრაგმენტული სახითაა შემორჩენილი, რომ ერთი შეხედვით, ჭირს იმის დადგენა, თუ რომელ ჯგუფს მიეკუთვნებიან ისინი. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ადრე შუა საუკუნეების ქვევრები დიდი რაოდენობით გვხვდება, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე [8, გვ. 159]. წინსოფლის ქვევრების პარალელები გამოვლენილია ქუთაისში [8, გვ. 159], ვარდციხეში [19, გვ. 67-68], ნოქალაქევში [6, გვ. 106], რუსთავში [9, გვ. 174-175], ურბნისში [18, გვ. 111] და ყველგან V-VIII საუკუნეებით თარიღდება. ასე რომ, საუკუნეების მანძილზე ქვევრი გამოირჩევა ფორმების მდგრადობით და შედარებითი ერთფეროვნებით.

წინსოფლის ქვევრები არ გვაძლევს საშუალებას, ვიმსჯელოთ მისი ორნამენტების შესახებ. თუმცა, მოპოვებული ფრაგმენტებიდან ერთი ნატეხი შემკულია რელიეფური წიბოებით (ტაბ. I_۲). ძნელი სათქმელია, რატომ ამკობდნენ მინაში ჩასადგამი ჭურჭლების ზედაპირს ორნამენტებით. ამასთან დაკავშირებით მართალი უნდა იყოს რ. რამიშვილი, რომელმაც პირველმა მიაქცია აღნიშნულ მომენტს საგანგებო ყურადღება და სავსებით დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ აღნიშნული რელიეფი ჭურჭლებს უკეთდებოდა არა იმდენად ესთეტიკური მომენტისათვის, რამდენადაც სუფთა პრაქტიკული დანიშნულებით. მისი მოსაზრებით, რელიეფურ წიბოებს ქვევრებს უკეთებდნენ სიმტკიცისათვის, რათა მყარად ყოფილიყო მინაში ჩადგმული, რადგან ადრე შუა საუკუნეებში ჯერ კიდევ არ იცოდნენ ქვევრების ჩაკირვა [13, გვ. 116]. რელიეფურნიბოიანი ქვევრები საკმაო რაოდენობით არის გამოვლენილი აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთის არქეოლოგიურ ძეგლებზე. ახალი ჟინვალის გარდა ისინი გვხვდება სტირფაზში [24, გვ. 71], მსგავსი ჭურჭელი აღმოჩნდა საჩერის რ-ის ს. საირხეშიც მარნიგორის ბორცვზე [4, გვ. 143-147].

რელიეფურნიბოიანი ქვევრები ახალ ჟინვალში, სტირფაზსა და საირხეში IV-V საუკუნეებით თარიღდება. უკვე აღვნიშნეთ, რომ ჯიეთში ამგვარი ჭურჭლის მხოლოდ ერთი ფრაგმენტი დასტურდება. ამიტომ ძნელია გადაჭრით რაიმეს თქმა მის თარიღთან დაკავშირებით. როგორც ზემოთ მოტანილმა პარალელებმა აჩვენა, ჯიეთის ქვევრების ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი შესაძლებელია, V საუკუნესაც მოიცავდეს და ამდენად, არ გამოირიცხება რელიეფურნიბოიანი ქვევრები თანაარსებობდეს სადა ზედაპირიან ეგზემპლარებთან.

დერგები — სამეურნეო ჭურჭლის ერთ ჯგუფს ქმნის მოჩალისფროკეციანი, პირგადაშლილი, ბაკოგადაშლილი და მხრებდაქანებული დერგები, რომლებიც წარმოდგენილია პირ-გვერდების ფრაგმენტებით (ტაბ. I_{۳-۴}). მათი ანალოგები აღმოჩენილია ვარდციხეში [19, გვ. 68-69], ქუთაისში [8, გვ. 159], ურბნისში, რუსთავში [14, გვ. 54], წებელდაში [2, გვ. 102] და სხვ.

სამეცნიერო ლიტერატურაში ამ სახეობის ჭურჭლის ზუსტი დეფინიცია დღემდე თითქმის არ არსებობს. მკვლევართა ნაწილი, რომლებიც უპირატესად დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ მასალას სწავლობენ, ამ ჭურჭლებს სწორედ დერგებად მიიჩნევენ. მათგან განსხვავებით კი, აღმოსავლეთ საქართველოს არქეოლოგიის მკვლევართათვის ისინი უფრო მცირე ქვევრებს, ე.წ. ქოცოებს წარმოადგენენ. ეს განსხვავება მაშინ უფრო თვალშისაცემია, როდესაც საქმე გვაქვს აღნიშნული ნიმუშების მხოლოდ ზედა ნაწილების (პირი, ყელი, გვერდები) ფრაგმენტებთან.

ქოცოსა და დერგს შორის არსებითი განსხვავება ის არის, რომ დერგი ძირითადად ყველის, ან მარცვლეულის შესანახად გამოიყენება და მას მინაში არ ფლავენ, განსხვავებით ქოცოებისგან, რომლებსაც უფრო სითხის, ძირითადად კი ღვინის შესანახად ხმარობენ. მაგალითად, კახეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში თითქმის დღემდეა შემორჩენილი

ქოცოები, რომლებიც ალბათ, ყველა ოჯახში მოიპოვება და მათი დანიშნულება მდგომარეობს იმაში, რომ იყენებენ სახარჯო ღვინის შესანახად. ანალოგიური დანიშნულებით გამოიყენებოდა ისინი ახლო წარსულის ზემო იმერეთშიც.

ახლა, ბუნებრივია, ძნელია ზუსტად წარმოვიდგინოთ, თუ რა დანიშნულებით იხმარებოდა ადრე შუა საუკუნეების ზემო იმერეთში ჭურჭლის ეს სახეობა და ისინი მიწაში ჩასადგამ თუ მიწისზედა გამოიყენებისთვის იყო განკუთვნილი. თუმცა, ერთი რამ კი ცხადია, რომ დერგი საუკუნეების განმავლობაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო პოპულარული სამეურნეო დანიშნულების ჭურჭელია მთელ ზემო იმერეთში და თითქმის წინარე ანტიკური ხანიდან მოყოლებული გამოირჩევა ფორმების საკმაო მდგრადობით. მაგრამ აქვე ისიც აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ადრე შუა საუკუნეების დერგები აშკარად ჩამოუვარდება თავის შორეულ წინამორბედებს გარეგნული შემკობის მხრივ. ამ პერიოდის ეგზემპლარები თითქმის ყველა შემთხვევაში სადა ზედაპირიანია და აღარ გვხვდება წინარე და ადრე ანტიკური ეპოქებისთვის დამახასიათებელი ტალღოვანი და რელიეფური ორნამენტები.

სამზარეულო კერამიკა წარმოდგენილია ქოთნებით. ისინი შემორჩენილია ძირითადად პირების ფრაგმენტებით. გამოიყოფა როგორც სადა, ასევე ზედაპირ ორნამენტირებული ცალები (ტაბ. II, 1.). როგორც აღნიშნულია არქეოლოგიურ ლიტერატურაში, ქოთნები საუკუნეების მანძილზე ხასიათდება ფორმების კონსერვაციულობით [19, გვ. 87]. ამის მიუხედავად, მაინც შესაძლებელი ხდება ზოგადად ადრე შუა საუკუნეების ქოთნების კლასიფიკაცია და რამდენიმე ჯგუფის გამოყოფა.

წინსოფლის ქოთნებისთვის დამახასიათებლია მრგვალი პირი, კარგად გამოკვეთილი გვირგვინი, მინარევიანი თიხა და ხაოიანი, მონითალო-აგურისფერი ზედაპირი. როგორც უკვე აღინიშნა, ქოთნების უმეტესობა სადა

ზედაპირიანია, მაგრამ ერთი ნიმუში შემკულია ტალღოვანი ორნამენტით.

დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ძეგლებიდან წინსოფლის ქოთნების ყველაზე ახლო ანალოგები გამოვლენილია საირჩის მარნიგორის ბორცვზე [4, გვ. 142-143], მაგრამ განსხვავებით საირჩული ცალებისაგან, აյ არ ხერხდება ქოთნების ცალკეული ტიპების გამოყოფა და ძირითადად საქმე გვაქვს ერთფეროვან ნანარმთან.

წინსოფლის ქოთნები საკმაოდ ჰგავს აღმოსავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე ფიქსირებულ ცალებს. დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ძეგლებიდან მისი პარალელები მიკვლეულია ქუთასში [8, გვ. 164] და ვარდციხის ნაქალაქარზე [19, გვ. 89]. მსგავსი მასალები უმეტესად გვხვდება საქართველოს შავიზღვისპირეთის არქეოლოგიურ ძეგლებზე. ესენია: ბიჭვინთა [10, გვ. 103], სოხუმი [25, გვ. 328], გუდავა [5, გვ. 74] და სხვ.

ანალოგიური ქოთნების განხილვისას მითითებულია, რომ ეს მასალა ქრონოლოგიური თვალსაზრისით ჯერ-ჯერობით არ არის მკვეთრად დიფერენცირებული, რაც ართულებს მის ზუსტ დათარიღებას [19, გვ. 90].

წინსოფლის ქოთნების აბსოლუტური თარიღის დადგენის საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება აღმოსავლეთ საქართველოს ძეგლების არქეოლოგიურ მონაპოვარს. ამ რეგიონისთვის ქოთანი ერთ-ერთი წამყვანი ნანარმია. ისინი აღმოჩენილია ადრე შუა საუკუნეების ისეთ ცნობილ ძეგლებზე, როგორიცაა: მცხეთა, რუსთავი, ურბნისი, უჯარმა და სხვ. მათგან განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ ურბნისის მონაპოვარს, რადგან აյ ქოთნები გვხვდება მთელი IV-VIII საუკუნეების განმავლობაში [18, გვ. 90-101; 111-113]. მართალია, წინსოფლის ქოთნები ფრაგმენტების სახითაა მოღწეული, მაგრამ ურბნისულ ცალებთან მათი მსგავსება საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ, როგორ გამოიყურებოდნენ ისინი. მკვლევართა ნანილი იმასაც აღნიშნავდა, რომ ურბნისული

ქოთნები ფორმისა და ორნამენტის მიხედვით ძლიერ უახლოვდება ბოსფორის ქალაქების გათხრებისას აღმოჩენილ ნიმუშებს [14, გვ. 53]. თუმცა, ისიც აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში გამოვლენილი ეგზემპლარები უფრო VIII-IX საუკუნეებით თარიღდება [22, გვ. 52] და თითქმის არ ჩანს უფრო ადრეული ცალები.

ამრიგად, ნინსოფელში აღმოჩენილი ქოთნების პარალელები გამოვლენილია როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთაც და მათი ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი IV ს-ის მეორე ნახევარსა და VIII საუკუნეზე მოდის. რაც შეეხება ზედა ქრონოლოგიურ ზღვარს, იგი ანალოგიური უნდა იყოს უკვე ხსენებულ ძეგლებზე დადასტურებული სიტუაციისა და VIII საუკუნეს არ უნდა სცილდებოდეს.

სუფრის ჭურჭელი ნინსოფლის არქეოლოგიურ მასალაში წარმოდგენილია დოქებისა და ჯამის სახით. საყოველთაოდ ცნობილია, რომ დოქი არქეოლოგიური ძეგლების ერთ-ერთი ყველაზე უფრო დამახასიათებელი და პოპულარული ნაწარმია. სამწუხაროდ, ჯიეთში კერამიკის ეს სახეობა ძირითადად ყურებითაა წარმოდგენილი (ტაბ. II_{8,9}) და ამდენად, მოკლებული ვართ შესაძლებლობას, დაწვრილებით განვიხილოთ მათი ტიპოლოგია. გამონაკლისს შეადგენს დოქის ერთადერთი ნიმუში, რომელიც თითქმის მთელი სახითაა წარმოდგენილი (ტაბ. II₇). მისთვის დამახასიათებელია მოაგურისფრო, ხაონიანი ზედაპირი, მსხლისებურკორპუსიანი ტანი და ბრტყელი ძირი. მსხლისებურკორპუსიანი დოქები და ხელადები ერთ-ერთი ყველაზე უფრო დამახასიათებელი ნიმუშებია ზემო იმერეთის გვიანანტიკური—ადრე შუა საუკუნეების კომპლექსებისათვის. ისინი აღმოჩენილია მოდინახეს [12, გვ. 43-75], რგანის [3, გვ. 107-151] და ჯიეთის სამაროვანებზე [15, გვ. 94—98]. აღნიშნული ნაწარმისათვის დამახასიათებელია მრგვალი პირი, ვიწრო ყელი, მკვეთრად დაქანებული მხრები და მრგვალი ძირი. თიხა უმეტეს ნილად კარგად

არის განლექილი, თუმცა, შეიმჩნევა კვარცისა და ქარსის მცირე მინარევები. ფერი ხმირ შემთხვევაში მოჩალისფროა, მაგრამ გვხვდება მონითალო-აგურისფერი ნიმუშებიც.

ამ ჭურჭლის ფორმები სათავეს იღებს გვიანანტიკური ხანიდან და როგორც უკვე ითქვა, წამყვანი ფორმაა I ათასწლეულის შუა ხანების ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლებისათვის. ისიც შეიძლება აღინიშნოს, რომ ურბნისის გარდა, საქართველოს არც ერთ ძეგლს არ მოუცია ანალოგიური ტიპის ჭურჭლის იმდენი რაოდენობა, რამდენიც ყვირილის ხეობის სამაროვანებს. ეს ტრადიცია, ბუნებრივია, ვერ დაიკარგებოდა ანტიკური ხანიდან შუა საუკუნეებზე გარდამავალ პერიოდში და სწორედ ამ ვითარებას უნდა მიეროს მსხლისებურკორპუსიანი დოქების არსებობა მოდინახეს ადრე შუა საუკუნეების სამარხებში.

ამ სახის კერამიკა მრავლად მოიპოვება როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე. ამ ნიმუშების პოპულარობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ისინი გვხვდება, როგორც სამარხეულ კომპლექსებში, ასევე ნამოსახლარ ფენებშიც. მსხლისებურკორპუსიანი დოქები და ხელადები აღმოჩენილია: რუსთავში [9, გვ. 82-183], მცხეთაში [16, გვ. 57-58], ურბნისში [18, გვ. 75], ოჩამჩირეში [23, გვ. 29], ძევრში [17, გვ. 74], ნებელდაში [21, გვ. 183], ლიაში [20, გვ. 23—24], სოხუმში [25, გვ. 339], სტირფაზში [24, ტაბ. 49, 71, 78, 82], გველეთის სამაროვანზე [11, ტაბ. XIV] და სხვ.

მსხლისებურკორპუსიანი დოქები აღმოჩენილია საქართველოს ფარგლებს გარეთაც. კერძოდ, ისინი მოიპოვება სომხეთში, გარნის სამაროვანზე [27, ტაბ. V] და ჩრდილოეთ კავკასიაში [26, გვ. 32]. გარნის მსხლისებურკორპუსიანი დოქების დათარიღებისათვის უ. ხაჩატრიანი გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს სწორედ საქართველოში აღმოჩენილ (ურბნის) დოქებს [27, გვ. 48]. კვლევის ამ ეტაპზე არ გამოვრიცხავთ მსხლისებურკორპუსიანი კერამიკის ქართულ წარმომავლო-

ბას და მათ ექსპორტს მეზობელ რეგიონებში (სომხეთი, ჩრდილოეთ კავკასია).

საერთოდ, ამგვარი კერამიკის გავრცელებისა და ზუსტი ქრონოლოგიის გარკვევა გვიანანტიკურ-ადრე შუა საუკუნეების არაერთ კულტუროლოგიურ ასპექტს მოჰყენდა ნათელს. ხშირად ამგვარი ჭურჭლების დათარიღებისათვის მიმართავენ ხოლმე ყვირილის ხეობის, კერძოდ კი, მოდინახეს გვიანანტიკური ხანის სამაროვნის მონაცემებს. ანალოგიურად იქცევა ბ. ტეხოვიც, რომელიც სტირფაზში აღმოჩენილი ამგვარი დოქების დათარიღების საქმეში გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს სწორედ მოდინახეს მონაცემებს [24, გვ. 33], მაგრამ უნდა ითქვას, რომ 1975 წელს ჯ. ნადირაძის მიერ გამოქვეყნებული მოდინახეს არც ერთი ნიმუში IV საუკუნეზე გვიანდელი არ არის [12, გვ. 43-76], მაშინ როდესაც სტირფაზის დოქების უმეტესობა V საუკუნეს მიეკუთვნება. ამასთან დაკავშირებით შეიძლება დავეთანხმოთ ვ. ჯაფარიძის მოსაზრებას, რომლის თანახმადაც, საქართველოში დღემდე აღმოჩენილი მსხლისებურკორპუსიანი დოქების ყველაზე უძველესი ნიმუშები IV საუკუნეზე ქვევით არ შეიძლება მიდიოდეს, რადგან არც ერთი ასეთი დოქი არ არის ცნობილი I-III საუკუნეების კომპლექსებიდან [19, გვ. 79]. ჩვენი აზრით, ამ მოსაზრებას შეიძლება ერთი გარემოება დაუმატოთ. საქმე ისაა, რომ უკანასკნელ ხანებში საკმაოდ გაიზარდა ასეთი დოქების გავრცელების არეალი და აქედან გამომდინარე, არ გამოირიცხება მათი აღმოჩენა შედარებით ადრეული ხანის კომპლექსებიც. ყოველშემთვევაში, რაღაც მსგავს მოვლენასთან უნდა გვქონდეს საქმე რგანის სამაროვანზე, სადაც მსხლისებურკორპუსიანი დოქების ერთი ნაწილი III საუკუნის მიწურულითა და IV საუკუნის დასაწყისით თარიღდება [3, გვ. 118-120].

მ. სინაურიძე აღნიშნავდა, რომ მსხლისებურკორპუსიანი კერამიკა დამახასიათებელი მოვლენაა ადრე შუა საუკუნეების საწყისი (IV—VII) საუკუნეებისათვის [14, გვ. 65]. ამ ქრონოლოგიური შკალის ზედა თარიღს ვ.

ჯაფარიძის მიხედვით მიეკუთვნება ვაშნარის, ციხისძირის, წებელდისა და ვარდციხის დოქებიც [19, გვ. 80]. მოდინახეზე აღმოჩენილი მსგავსი ნიმუშები V-VI საუკუნეებს მიეკუთვნება. შეიძლებოდა ისიც დაგვეშვა, რომ კერამიკის ეს ნიმუშები ადგილობრივი, საჩხერული ნაწარმია და არ გამოირიცხება გვიანანტიკურ-ადრე შუა საუკუნეების ზემო იმერეთში ამგვარი კერამიკის დამამზადებელი სახელოსნოების ფუნქციონირება და ნაწარმის გატანა ქვეყნის სხვა კუთხეებში

ჯამი (ტაბ. II). მისთვის დამახასიათებელია ოვალური ძირი და ფართო, გადაშლილი პირი. აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე ჯამები შედარებით მცირე რაოდენობით არის გამოვლენილი. ამ ვითარებას მ. სინაურიძე აღნიშნავდა აღმოსავლეთ საქართველოს ადრე შუა საუკუნეების კერამიკისადმი მიძღვნილ სპეციალურ ნაშრომში [14, გვ. 65]. სამაგიეროდ, ჯამები საკმაოდ დიდი რაოდენობით მოიპოვება დასავლეთ საქართველოში. მათი განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი კოლექცია აღმოჩენდა ვარდციხის ნაქალაქარის გათხრების დროს [19, გვ. 24-37]. მრავლად მოიპოვება ისინი ქუთაისშიც, ბაგრატის ტაძარზე [8, გვ. 170-173].

ნინსოფელში ფიქსირებული ჯამის ზუსტი ანალოგებიც სწორედ ამ არქეოლოგიურ ძეგლებზეა დადასტურებული და ძირითადად VI—VII საუკუნეებით არის დათარიღებული.

ამრიგად, როგორც განხილულმა მასალებმა ცხადჰყო, არქეოლოგიური მონაპოვრის ერთი შეხედვით, ერთგვაროვნებისა და ფრაგმენტულობის მიუხედავად, ნინსოფლის (ჯიეთის) ნამოსახლარი ადრე შუა საუკუნეების ზემო იმერეთის საყურადღებო ძეგლს ნარმოადგენს. მისი მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება ამ რეგიონის აღნიშნული ეპოქის არქეოლოგიურ ძეგლთა სიმნირის ფონზე.

ლიტერატურა

1. ბერივაშვილი დ. ზემო იმერეთის პრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები, ავტორეფერატი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2006, გვ. 3-37.
2. ბერძნიშვილი ქ. წებელდის გვიანანტიკური ხანის კერამიკა, მსკა III. თბ., 1959, გვ. 92—100.
3. ბრაგვაძე ზ. რგანის სამაროვანი, აჟ, I, თბ., 2000, გვ. 91-151.
4. ბრაგვაძე ზ., გაგოშიძე გ. საირხის ადრე შუა საუკუნეების ნამოსახლარი, აჟ, II, თბ., 2002, გვ. 142-147.
5. ზამთარაძე მ. გუდავის არქეოლოგიური მონაპოვარი, სსმმ. XXIV-B, თბ., 1977, გვ. 69-77.
6. ზაქარაია პ., ლომოური ნ., ლექვინაძე ვ., გვინჩიძე გ. ნოქალაქევის ექსპედიციის 1975—1976 წლების მუშაობის მოკლე ანგარიში, სსმაე V, თბ., 1977, გვ. 104-108.
7. თუშაბრამიშვილი ნ. პირველი სიგნალი ჯიეთის ღია პალეოლითური სადგომიდან, აჟ, III, თბ., 2004, გვ. 3-19.
8. ლანჩავა თ. ქუთაისი ეგრის-ლაზიების ციხე-ქალაქთა სისტემაში, ქუთაისი, 1996.
9. ლომთათიძე გ. რუსთავში ნარმოებული არქეოლოგიური თხრის უმნიშვნელოვანესი შედეგები, მსკა, I, თბ., 1955, გვ. 173-187.
10. ლორთქიფანიძე თ. ინკიტის ტბის მიდამოებში ჩატარებული სადაზვერვო-არქეოლოგიური სამუშაოების ნინასნარი ანგარიში, მსკა, III, თბ., 1959, გვ. 101-112.
11. მინდორაშვილი დ. ხევის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 2005.
12. ნადირაძე ჯ. ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1975.
13. რამიშვილი რ. ახალი უინგალის ნამოსახლარი და სამაროვანი 1971-1973 წლების განათხარის მიხედვით, უინგალი I, თბ., 1983, გვ. 92-133.
14. სინაურიძე მ. აღმოსავლეთ საქართველოს ადრეფერადალური ხანის კერამიკა, მსმკი, I, თბ., 1966, გვ. 48-79.
15. სონლულაშვილი ხ. ჯიეთის სამაროვანი, აჟ, IV, თბ., 2006.
16. უგრელიძე ნ. ადრეულ შუა საუკუნეების ქართლში მინის ნარმოების ისტორიისათვის, თბ., 1987.
17. ფუთურიძე რ. დასავლეთ საქართველო გვიანანტიკურ ხანაში, მსკა, III, თბ., 1959, გვ. 69-82.
18. ჭილაშვილი ლ. ნაქალაქარი ურბნისი, თბ., 1964.
19. ჯაფარიძე ვ. ვარდციხის ნაქალაქარი, თბ., 1989.
20. ჯაფარიძე ვ. ეგრისის მატერიალური კულტურა I-VII საუკუნეებში, ავტორეფერატი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1999, გვ. 3-59.
21. Воронов Ю.Н., Вазнюк А.С., Юшин В.А. Апушинский могильник IV-VI вв. В Абхазии, СА, № 1, М., 1970, с. 179-187.
22. Гайдукевич В.Ф. Раскопки Тирикани в 1935-1940 гг., МИА, № 25, М-Л., 1952, с. 44-56.
23. Качарава Д.Д. Город Гиенос в античную эпоху. Автореферат диссертации на соискание учennой степени кандидата исторических наук, Тб., 1972, с. 3-26.
24. Техов Б.В. Материальная культура населения среднего течения реки Большой Лиахви I-VIII вв., Тб., 1985.
25. Трапш М.М. Древний Сухуми, Труды, т. II, Сухуми, 1973.
26. Уварова П.С. Могильники Северного Кавказа, МАК., С-Пб., 1900, с. 39-246.
27. Хачатриан Ж.Д. Античный некрополь, Гарни V., Ер., 1976.

ირაცხული მინის ზურგებული ფიზვნარის ძ.ნ. V საუკუნის პერიოდი ხაროვანლიდან

ფიჭვნარის ძ.ნ. V ს-ის პერძნული ნეკროპოლის სამარხეულ ინვენტარში საპატიო ადგილს ფერადი მინისაგან დამზადებული სუნამოსათვის განკუთვნილი სანელსაცხებლე ჭურჭელი იკვევებს. ამ სახის მონაპოვართა მნიშვნელობა განსაკუთრებულია. შესანიშნავად დათარიღებული კომპლექსები შესაძლებლობას იძლევა ფიჭვნარის მაგალითზე გავაკეთოთ ამ სახის ნაკეთობათა ქრონოლოგიური და ტიპოლოგიური კლასიფიკაცია ცალკეული ქვეპერიდების მიხედვით; სამაროვანზე აღმოჩენილია აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთსა, კუნძულ როდოსზე თუ მატერიკულ ცენტრ ათენში დამზადებული მინის ჭურჭლის ყველა ძირითადი ფორმა. ესენია: არიბალოსები, ოინოხოიები, ამფორისკები და ალაბასტრები.

პოლიქრომიული მინის სანელსაცხებლებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევენ ე.ნ. Kohl-Tube-ebi. ფიქრობენ, რომ ისინი ქუთუთოების კოსმეტიკური საღებავის შესანახად გამოიყენებოდა (არაბულად „Kohl“ ქუთუთოს საღებავს ნიშნავს). ჯერჯერობით ფიჭვნარის პერძნული ნეკროპოლის ადრეულ სამარხებში (მხედველობაშია ძ.ნ. V ს-ის მეორე მეოთხედი — ა.კ.) მოპოვებულია ერთი მთლიანი და მეორე ფრაგმენტული ამ სახის მინის ჭურჭელი. აქვე მოვიტანთ მათ აღნერილობას.

Kohl-Tube-s ტიპის მინის სანელსაცხებლე. სამარხი 136 (ქ-ფ-86/149). ფონი მუქი ყავისფერი. პირის კიდე ლილვაკისებურია და დაღარული მოყვითალო ირიბი ძაფებით. ყელი ვიწრო, დაბალი, ცილინდრული; მხრები მასიური, სწორი, რომელზეც (ნიბოების გაგრძელებაზე) მოთავსებულია ოთხი მოყავისფრო გირჩისებური შვერილი. ოთხნახნაგა ტანი მომრგვალებული ძირისაკენ თანაბრად ვიწროვდება. მხართან ახლოს ჩასმულია სწო-

რი, ხოლო ტანის დიდ ნაწილზე ზიგზაგების ზოლი. ტანის ოთხივე ნიბოს მთელ სიგრძეზე მიუყვება მოყვითალო ზოლი. სიმაღლე 8,5 სმ, პირის დმ 1,5 სმ, ტანის — მხართან ახლოს 1,7 სმ, ძირთან — 1 სმ (ტაბ. I).

Kohl-Tube-s ტიპის მინის ჭურჭლის ნატეხი (ქ-ფ-87/251) შევაგროვეთ „მეთევზეთა კოლმეურნეობის“ მიერ ტრაქტორით დარღვეულ სამარხეულ ფენაში. გადარჩენილია ტანის ნაწილი. ოთხნახნაგა. ფონი მუქი ლურჯი. წახნაგები შემკული ყოფილა თეთრი და ყავისფერი ძაფების სწორი და ტალღისებური ხაზებით, ხოლო ნიბოები — თეთრი ფერის სპირალური ძაფებით.

როგორც ცნობილია, ამ ტიპის საპარფიუმერო მინის ჭურჭლის ქრონოლოგიური და ტიპოლოგიური კლასიფიკაცია ეკუთვნის დაბარავს. მანვე განსაზღვრა სანამოო ცენტრი და დამზადების ტექნოლოგია [13, გვ. 23-36]. მკვლევარი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მეტისმეტად ვიწრო და დაგრძელებული ტანი იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ ისინი მზადდებოდა არა ქვის გულარზე, როგორც ამას ადრე ფიქრობდნენ, არამედ თითოეული მათგანი ლითონის ლერაკზე უნდა იყოს ჩამოსხმული [13, გვ. 25-26]. ავტორი ოთხ გირჩისებურ შვერილს საკურთხევლის იმიტაციად მიიჩნევს.

გავრცელებისარეალიდ. ბარაგსსანარმოო ცენტრად ჩრდილო-დასავლეთ ირანს ავარაუდებინებს [13, გვ. 28]. მის მიერ შესნავლილი 47 სანელსაცხებლიდან მხოლოდ და მხოლოდ სამი იყო მოპოვებული კომპლექსებში. ერთერთი მათგანი ნაპოვნია ზოგადად ძ.ნ. VI-V სს-ით დათარიღებული ნიმრუდის, ხოლო მეორე კი გალეკუტის ძ.ნ. V ს. ინვენტარის შემცველ სამარხებში [13, გვ. 25]. ამათ ემატება ვანის მდიდრული სამარხის კომპლექსი, რომ-

ლის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი. ამ მიმართებითაც იქცევს ყურადღებას როგორც ფიჭვნარის, ასევე საქართველოს სხვა მონაპოვრები. ვანის მსგავსად, ყველა მათგანი დახურულ კომპლექსებშია წარმოდგენილი.

ფიჭვნარის ანალოგიურ მინის ნაკეთობას დ. ბარაგი A ჯგუფშია ერთიანებს და ზოგადად ძვ. ნ. V საუკუნით ათარიღებს. ჩვენი ნიმუშები-სათვის სამარხეული კომპლექსების მიხედვით შემუშავებული გვაქვს უფრო კონკრეტული თარიღი — ესაა ძვ. ნ. V ს-ის მეორე მეოთხედი. ამ პერიოდის ბერძენ მოახალშენეთა სამართვანი ფიჭვნარში ცალკე უბნადა გამოყოფილი (ნეკროპოლის ჩრდილო-დასავლეთი მონაკვეთი), სადაც სხვადასხვა სამარხესა თუ სარიტუალო მოედანზე მეტ-ნაკლები რაოდენობით ჩნდება ყელგამობერილი ქიოსური, ლესბოსური, პროტოთაზოსური, თაზოსის წრისა თუ თვით თაზოსის ამფორები, შავფიგურული ონინობია და ლეკიონსი; პალმეტებიანი, საკვამურისებრპირიანი და თეთრანგობიანი ბელდამის სტილის ცილინდრული ლეკიონსები, ნითელფიგურული სკიფოსი ბუს გამოსახულებით, მაღალ და დაბალქუსლიანი შავლაკიანი კილიკები, თასები, ბოლსალი, არიბალოსები ლეკიონსი, სამარილე და ა.შ. იონიური და ადგილობრივი თიხის ჭურჭელი, ვერცხლის მონეტა, ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოსა თუ რკინის საყურები, ყელსაბამი, მძივები, სამაჯურები, ბეჭდები, ძენკვის ნატეხები, ბრინჯაოს ისრისპირი და ა.შ. ბუნებრივია, ამ დროის სამარხებში საკმაოდ ხშირად ჩნდება ფერადი მინის ჭურჭელიც: არიბალოსი, ონინობია, ამფორისკი და ალაბასტრები, რომელთა წარმოების ცენტრი, როგორც ითქვა, აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთთანაა დაკავშირებული. ყურადღებას იქცევს სააღაპე მოედნებზე აღმოჩენილი შესანიშნავად დამუშავებული ნამგლის პირებად გამოყენებული კაუსის ჩასართები და ისრისპირი. ესენი გვიანბრინჯაოს ხანაში ჩანან დამზადებული. როგორც ჩანს, ფიჭვნარელი ელინები შემთხვევით წაანედნენ ამ სახის ნაკეთობებს, რომელთაც დიდი მოწონება დაუშაბურებიათ, ეს ისე, სხვათა შორის.

ახლა მოკლედ შევჩერდებით სხვა მონაპოვრებზეც საქართველოში, რის შემდგომაც შესაძლებელი უნდა იყოს ზოგიერთი დასკვნის გაკეთება. ჯერჯერობით ფიჭვნარის გარდა Kohl-Tube-s ტიპის ოთხნახნაგა ჭურჭელი დასავლეთ საქართველოში მხოლოდ და მხოლოდ ვანშია აღმოჩენილი. იგი მუქი იისფერი მინისაა. ლილვაკისებური პირის კიდე დაღარულია ირიბი ხაზებით. ყელი ვიწრო და ცილინდრულია, მასიური მხრის ნიბოების გაგრძელებაზე დაძერნილია ოთხი გირჩისებური შვერილი, ტანი მომრგვალებული ძირისკენ თანაბრად ვიწროვდება; მისი შუა ნანილი შემკულია თეთრი ზიგზაგებით, რომლებიც ზემოდან და ქვემოდან ყვითელი და თეთრი ძაფებითაა შემოფარგლული. ჩამოსხმულია ლითონის ღერაკზე, სიმაღლე 7,7 სმ. აღმოჩნდა 1961 წელს ვანის მდიდრულ მე-6 სამარხში, რომლის ინვენტარი იყო: ცხოველთა ბრძოლის სცენების ამსახველი ოქროს შესანიშნავი დიადემები, სხვადასხვა სახის სადა თუ ფიგურული საყურები, საკისრერკალი, ფიგურულსაკიდებიანი ყელსაბამები, ინკრუსტირებული გულსაკიდი, ლომისა და ხბოს თავების გამოსახულებიანი რკალშეზნექილი სამაჯურები, საბეჭდავი ბეჭდები, არწივის გამოსახულებიანი ფირფიტები, მშვილდაკინძი, საკიდები, სსაავგაროზე, მძივები, მრავალრიცხოვანი მიღაკები და კილიტები, ომფალოსიანი ფიალა, ვერცხლის დიადემის ნატეხები, ვერცხლისავე ფიალა, სასმისი, მათარისებრი ჭურჭლის ნატეხები, 3 ცალი ფერადი მინის ამფორისკი, მინის ონინობია, ქვის საბეჭდავი, პასტის ნვრილი მძივები და ა.შ. თავის დროზე სამარხი ძვ. ნ. V საუკუნით დათარილდა [12, გვ. 65-80; 8, გვ. 117].

დ. ბარაგი საგანგებოდ განიხილავს ვანის მე-6 სამარხის ინვენტარს და კომპლექსის თარიღად ძვ. ნ. V ს. — ადრეულ IV ს. მიიჩნევს. უფრო დასაშვებად ესახება ძვ. ნ. V ს. [13, გვ. 24-25]. თვით მინის ჭურჭელი კი მოქცეულია დ. ბარაგისეული კლასიფიკაციის I ჯგუფში. იგი ერთიანდება იმ სახეობაში, რომელთაც სადა ნიბოები აქვთ — არაა ძაფით მორთული.

სხვა სახის პოლიქრომიულ მინის ჭურჭელთან ერთად ვანის Kohl-Tube საგანგებოდ შეისწავლა მ. ფირცხალავამ. დ. ბარავის მსგავსად თვლის, რომ ამ სახის ჭურჭელი გამოიყენებოდა შავი პუდრის შესანახად; ჩამოსხმული იყო ღერაკზე. ავტორი წერს, რომ ვანის ჭურჭელი გარდა იმისა, რომ კარგად განსაზღვრული კომპლექსიდან წარმოსდგება, იმითაცაა საინტერესო, რომ მისი გამოჩენა ასე შორს პერიფერიაზე აფართოებს ამ ტიპის ჭურჭლის გავრცელების საზღვრებს. ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იგი აღმოჩნდა კარგად ცნობილ და ფართოდ გავრცელებულ სანელსაცხებელთა ტიპებთან — ამფორისკებთან და ონიონიასთან ერთად, რაც ერთადერთ შემთხვევად იყო მიჩნეული (ფერადი მინის ამფორისკი წარმოდგენილი იყო ენაგეთის Kohl-Tube-sTan ერთად). თვლის, რომ ვანის მონაპოვარი წარმოადგენდა ძვ.ნ. V-IV სს-ის დასავლეთ ირანული სამყაროს ერთ-ერთი სანარმოო ცენტრის პროდუქციას [7, გვ. 79-86, ტაბ. 37/396].

სიტყვას აღარ განვავრცობთ იმასთან დაკავშირებით, რომ რკალშეზნექილი სამაჯურების მიხედვით გაჩნდა ტენდენცია ვანის მე-6 სამარხის ძვ.ნ. IV ს. ადრეული საფეხურით დათარიღებასთან დაკავშირებით. ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით უფრო სარწმუნოდ გვეჩვენება ძვ.ნ. V ს-ის ბოლომესამედი. სწორედ ამ პერიოდის ფიჭვნარის ბერძნული ნეკროპოლის არაერთ სამარხში გვხვდება რკალშეზნექილი სამაჯურების შესანიშნავი ნიმუშები [4]. ასევე ჩანს ყანჩაეთისა და ალგეთის მდიდრული თურიგითი სამარხების მიხედვითაც [1, გვ. 22]. ვანის მე-6 სამარხის ყველა სხვა ნივთი სწორედ ძვ.ნ. V ს-ის ნაკეთობას უნდა წარმოადგენდეს. მათ შორის თვით პატარა ზომის ოქროს პირა-მიდული საკიდის ანალოგიც კი [9, გვ. 39. სურ. 23/31] ფიჭვნარის ძვ.ნ. V ს. შუა ხანების 261-ე სამარხეულ კომპლექსში წარმოადგენილი იყო სხვადასხვა ნივთებთან ერთად. ესენია: ფერადი მინის სამი ამფორისკი და ორი ალაბასტრი, თვალადი მძივი, ვერცხლის ფარავიანი ბეჭედი, ვერცხლის სპირალური ხვიები, ბრინჯაოს სარკე, იონიური პიქსიდისებრი ჭურჭელი, სა-

მოსური ლეკითოსი და ატიკური ცილინდრული ლეკითოსი. არის სხვა სახის საკიდებიც. ყველა მათგანს ბევრი პარალელი ექვება სწორედ ძვ.ნ. V ს. მონაპოვართა შორის.

საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცული ოთხნახნაგა მინის სანელსაცხებლები საგანგებოდ შეისწავლა მ. საგინაშვილმა [6, გვ. 72-76]. მისი და ი. გაგოშიძის ერთობლივი ნაშრომი გამოქვეყნდა გერმანულ ენაზეც [14, გვ. 76-73]. ბუნებრივია, ნაშრომებში სათანადო ადგილი აქვს დათმობილი ზემოთ აღნიშნულ ვანის მე-6 სამარხის Kohl-Tube-sac [6, გვ. 72-73, სურ. 2; 14, გვ. 67-73, სურ. 1/3]. ფიჭვნარის მონაპოვარი ამ დროისათვის არ იყო შესული სამეცნიერო მიმოქცევაში.

განსაკუთრებით ყურადღებას იქცევენ აღმოსავლეთ საქართველოში მოპოვებულინი მუშები. პირველ რიგში აღსანიშნავია თეთრინყაროს რაიონის სოფ. ენაგეთის მინის ჭურჭელი (სამარხი 16). ესეც ოთხნახნაგაა. დამზადებულია მუქი ლურჯი, მოშავო გაუმჭვირვალე ფერის მინისაგან. ტანზე მოცემულია ცისფერი ზოლებით შემოფარგლული თეთრი და ყვითელი ფერის ტეხილი ზოლებით დაფარული ორი სარტყელი. ენაგეთის ჭურჭელი იმით გამოირჩევა, რომ მხრებზე მიმაგრებული ოთხი შევრილის გარდა ძირზეც აქვს ამდენივე შვერილი. ამ ნიშნით ენაგეთის სანელსაცხებელს უახლოებენ კრონინგის მინის მუზეუმში დაცულ ნიმუშს, რომელსაც დ. ბარავი უნიკალურად მიიჩნევს და ვანის Kohl-Tube-sTan ერთად IA ქვეჯგუფში ათავსებს. მ. საგინაშვილს უფრო სწორად მიაჩნია, რომ ძირზე მიმაგრებული შვერილები ისეთი დეტალია, რის გამოც კრონინგის მუზეუმისა და ენაგეთის ჭურჭელი ცალკე ქვეჯგუფში უნდა გაერთიანდეს [6, გვ. 73]. მკვლევარი ენაგეთის მე-16 სამარხს ძვ.ნ. V ს-ით, უკიდურეს შემთხვევაში IV ს-ის დასაწყისით ათარიღებს. საყურადღებოა, რომ ვანის მსგავსად, აქაც წარმოადგენილი იყო ქვიშის გულარზე დამზადებული მინის ამფორისკი [6, გვ. 74; 14, გვ. 67-73, სურ. 1-2].

ოთხნახნაგა Kohl-Tube-s მორიგი აღმოჩენები ქარელის რაიონის სოფ. ტახტიძირის

სამაროვნის გათხრებთანაა დაკავშირებული — მე-8 სამარხში დაფიქსირდა ორი ეგზემ-პლარი. ერთ-ერთი მათგანი შავი გაუმჭვირვალე მინისაა. ტანის დიდი ნაწილი შემცულია თეთრი ფერის ზიგზაგებით, რომლის თავსა და ბოლოში მოცემულია ორ-ორი ყვითელი და თეთრი ძაფი [6, გვ. 74, სურ. 5; 14, გვ. 68, სურ. 1/4]. მეორეს ზედაპირი მოთეთრო-მოყვითალო ფერისაა. ოთხნახნაგა ტანი ძირისკენ თანდათანობით ვიწროვდება და ბრტყელი, ოთხკუთხა ძირით მთავრდება. ტანის დიდი ნაწილი დაფარულია მოყვითალო ფერის მკვეთრი, კუთხოვანი ზიგზაგებით (მ. საგინაშვილი ფრთისებრ ორნამენტს უნდოდებს). პირზე მოყვითალო ფერის ზოლებია დატანილი, ხოლო ყელზე ასეთივე შეფერილობის ძაფია შემოხვეული. ოთხივე ნიბოს მთელ სიგრძეზე მიუყვება მუქი ყვითელი ზოლები. როგორც ვნახეთ, ნიბოს ზოლებით შემკობა ფიჭვნარის ნიმუშებისთვისაა დამახასიათებელი. ტახტიძირის პირველ სანელსაცხებლეს აკუთვნებენ დ. ბარაგის კლასიფიკაციის I A ქვეჯგუფს, მეორეს კი — I B ქვეჯგუფს. ორივე ჭურჭელში შემორჩენილი იყო შავი ფერის მკვრივი მასა. ტახტიძირის მე-8 მდიდრული სამარხი ადრეელინისტური ხანის დასაწყისითაა დათარიღებული [3, გვ. 16-17; 5, გვ. 74].

აღმოსავლეთ საქართველოდან ცნობილია განსხვავებული ფორმისა და სამკაულის მქონე Kohl-Tube-ebi. ასეთთა რიცხვს მიეკუთვნებიან წალკის რაიონში სოფ. კუშჩიში [10, გვ. 8-9, ტაბ. 18/2; 2, გვ. 50-53, №111/3; 6, გვ. 72, სურ. 1; 14, გვ. 68, სურ. 1/6] და თეთრინყაროს რაიონის შავსაყდარა II სამაროვანზე [5, გვ. 24, ტაბ. XVII/5, XXIV/02; 6, გვ. 73, სურ. 3; 14, გვ. 70, სურ. 1,7] მოპოვებული ცალები. მათ აქვთ დაკბილული პირი, ფერადი ძაფების ხვიებით დაფარული ცილინდრული მოყვანილობის ტანი და ბრტყელი ძირი. ესენი ძვ.ნ. IV-III სს თარიღდებიან. ამავე სახეობის ჩანს ტახტიძირში მე-18 სამარხში მოპოვებული მოთეთრო-მოცისფრო ნახევრადგამჭვირვალე მინის სანელსაცხებლის ყელისა და პირის ნატეხი. მისი პირიც დაკბილულია და შემკულია მოთეთრო-მოყვითალო

ზოლებით; ყელს გარს შემოუყვება ასევე მოთეთრო-მოყვითალო ზოლები. მე-18 სამარხი ძვ.ნ. IV ს-ის დასასრულითაა დათარიღებული [3, გვ. 16-17; 5, გვ. 74, სურ. 7].

სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობით იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ Kohl-Tube-s ტიპის სანელსაცხებლები, მართლაც, იშვიათ მონაპოვართა რიცხვს განეკუთვნებიან. დ. ბარაგის შემდგომაც მათი რიცხვი მაინცდამაინც არ გაზრდილა [15, გვ. 86, №31].

Kohl-Tube-s ბერძნული სამყარო არ იცნობს. ეს კარგად ჩანს მათი გავრცელების საზღვრების მიხედვით. როგორც ითქვა, მათი წარმოების ცენტრად ივარაუდება ჩრდილო-დასავლეთი ირანი [16, გვ. 48, 50-51; 13, გვ. 28; 15, გვ. 86-87]. ამ ფონზე, ბუნებრივია, ყურადღებას იქცევს საქართველოს უახლესი აღმოჩენები (ნაპოვნია 8 მთლიანი და 2 ნაკლული ჭურჭელი). ადრე დ. ბარაგი თვლიდა, რომ ვანშიასე შორს ირანიდან მინის ჭურჭელი შემთხვევითი კონტაქტების გზით უნდა მოხვედრილიყო. ახლა მსგავსი ვერსიის დაშვება აღარ შეიძლება. მ. საგინაშვილი თვლის, რომ ისინი აქემენიდურ ხანაში აღმოსავლეთ საქართველოში სახმელეთო გზით შემოდიოდა, შემდგომ კი კოლხეთშიც ხვდებოდა. საზღვაო გზით ვრცელდებოდა ხმელთაშუაზღვის აუზიდან მომდინარე ფერადი მინის ჭურჭელი, რომელიც ქვემო ქართლამდე აღწევდა [6, გვ. 75]. როგორც ვხედავთ, ახალი აღმოჩენებით გაფართოვდა ამ სახის სანელსაცხებლების გავრცელების არეალი. ფიჭვნარისა და ვანის მონაპოვრების მიხედვით ჩანს, რომ დასავლეთ საქართველოში გვხვდება მათი ადრეული ნიმუშები, აღმოსავლეთ საქართველოში კი — როგორც კლასიფიკური, ასევე ელინისტური ხანისა. ეს არცაა გასაკვირი — აღმოსავლეთი საქართველო, განსაკუთრებით მისი სამხრეთი ნანილი, აქემენიდურ სამყაროსთან კონტაქტებს ტერიტორიული სიახლოების გამოსაკმაოდ დიდხანს ინარჩუნებდა. კოლხეთს უფრო მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული კონტაქტები ჰქონდა ანტიკურ სამყაროსთან. აქემენიდურმა ირანმა კოლ-

ლიტერატურა

ხეთის დაპყრობა და თავის სატრაპიებში გა-
ერთიანება ვერ შეძლო [11, გვ. 237]. ამ დრო-
ისათვის დასავლურქართული სახელმწიფო
თავად იყო საკმაოდ ვრცელი ტერიტორიის
მომცველი, ძლიერი ქვეყანა. მრავლის მთქმე-
ლია ჰეროდოტეს „ისტორიაში“ შემონახული
ცნობები. ისტორიის მამა კოლხებს იმ დროის
უძლიერეს სახელმწიფოთა გვერდით ასახე-
ლებს: „სპარსელები ცხოვრობენ და აღნევენ
სამხრეთის ზღვამდე, რომელსაც მენამულს
უწოდებენ. ამათ ზემოთ ჩრდილოეთის მიმარ-
თულებით ცხოვრობენ მიდიელები, მიდიელე-
ბის ზემოთ სასპეირები, სასპეირების ზემოთ
კოლხები, რომლებიც აღნევენ ჩრდილოეთის
ზღვამდე, რომელსაც ერთვის მდინარე ფა-
სისი. ეს ოთხი ხალხი მოსახლეობს ზღვიდან
ზღვამდე“ (IV, 37). თუმცა, გარკვეული დამო-
კიდებულება მაინც არსებობდა. ჰეროდოტეს
ცნობის მიხედვით ვგებულობთ, რომ „კოლ-
ხებმაც დაინესეს საჩუქრები და ასევე მათმა
მეზობლებმაც ვიდრე კავკასიონის მთებამდე
(რადგან ამ მთებამდე ვრცელდებოდა სპარ-
სელთა ძალაუფლება, ხოლო კავკასიონის
ჩრდილოეთისაკენ მდებარე ქვეყნებს არაფე-
რი უნდათ იცოდნენ სპარსელებისა), ამათ სა-
ჩუქრად დაინესეს ჩვენ დრომდე, ყოველ მე-
ხუთე წელს რომ გადაიხადონ ასი ყრმა და ასი
ქალნული“ (III, 97).

უნდა ვიფიქროთ, რომ ბერძენ-სპარსელ-
თა ომებში სპარსეთის მონარქიის დამარცხე-
ბისა და ათენის საზღვაო კავშირის შექმნის
შემდგომ ეს ნომინალური დამოკიდებულება
კიდევ უფრო უნდა შესუსტებულიყო. ირა-
ნული Kohl-Tube ფიჭვნარში აღმოსავლეთ
საქართველოდან უნდა მოხვედრილიყო. რო-
გორც კლასიკურ, ასევე ელინისტურ ხანაში
ქართლის რეგიონებსა და ირანულ სამყაროს
შორის არსებობს მჭიდრო, უშუალო სავაჭრო-
ეკონომიკური თუ კულტურული კონტაქტები.
ეს კარგად ჩანს არა მარტო მინის ჭურჭლის
მიხედვით, არამედ ნივთიერი კულტურის
სხვა მონაცემების, განსაკუთრებით კი სამკა-
ულების, გლიპტიკისა და ხუროთმოძღვრული
ძეგლების მიხედვით.

1. გაგოშიძე ი. ადრეანტიკური ხანის ძეგლები
ქსნის ხეობიდან, თბ., 1964.
2. გაგოშიძე ი. თრიალეთის სამაროვნები, კატა-
ლოგი, III, თბ., 1982.
3. გაგოშიძე ი. არქეოლოგიური გათხრები ტახ-
ტიძირში (ქარელის რაიონი). კავკასიის არქეოლო-
გია: უახლესი აღმოჩენები და პერსპექტივები, თბ.,
1997, გვ. 16-17.
4. კახიძე ა. ანტიკური სამყარო აღმოსავლეთ
შავიზღვისპირეთში (ძვ.წ. V ს. ბერძნული ნეკ-
როპოლი), ფიჭვნარი, II, ბათუმი/ოქსფორდი,
2007.
5. მარგიშვილი ს. ანტიკური ხანის მდიდრული
სამარხები აღგეთის ხეობიდან, თბ., 1992.
6. საგინაშვილი გ. მინის სანელსაცხებლების —
Kohl-Tube-ების გავრცელება საქართველოში,
ძიებანი, V, 2000, გვ. 72-76.
7. ფირცხალავა გ. მინის ჭურჭლი, ვანი VII, თბ.,
1983, გვ. 79-86.
8. ფუთურიძე რ., ხოშტარია ნ., ჭყონია ა. ვანის
ნაქალაქარის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში
1961-1963 ნლებში ჩატარებული არქეოლოგიური
თხრის შედეგები, ვანი I, თბ., 1972, გვ. 111-113.
9. ჭყონია ა. ოქროს სამკაულები ვანის ნაქალაქარი-
დან, ვანი, VI, თბ., 1981, გვ. 7-160.
10. კუტინ ბ.ა. Археологические раскопки 1947 года
в Цалкинском районе, Тб., 1948.
12. მელიშვილი გ.ა. К истории древней Грузии, Тб.,
1959.
13. ხოშტარია ჩ. აрхеологические раскопки в Вани,
კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კულტური, II,
თბ., 1962, გვ. 65-80.
14. Barag D.P. Rod-formed Kohl-Tubes of the Mid - First
Millennium B.C., JGS, XVII, 1975, pp. 23-36.
15. Gagoshidze J., Saginaschvili M. Die achaimenidischen
Glasgefäße in Georgien. Archäologische Mitteilungen
aus Iran und Turan, 32, Berlin, 2000, s. 67-73.
16. Grose D.F. The Toledo Museum of Art, Early Ancient
Glass, New York, 1989.
17. Saldern A., Nolte B., Baume P., Haevernick E. Gläser
der Antike, Sammlung Ervin Oppenländer, Hamburg,
1974.

შავიზღვისპირათის პერიოდი კოლონიზაციის საერთო და განვასტავებული ნიმუშები

საბერძნეთში პოლისური სისტემის ჩამოყალიბებას ეპოქალური პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული ცვლილებები მოჰყვა, რომლებმაც თავის მხრივ კოლონიზაციის აუცილებლობის წინაშე დააყენა განვითარებული, მაგრამ მნირი ბუნებრივი რესურსების მქონე ელინური საზოგადოება [იხ. 32, გვ. 84-86; 2, გვ. 108-315; 17, გვ. 87-104]. საბოლოოდ, დიდი ბერძნული კოლონიზაცია, რომელიც ბალკანეთის საბერძნეთის განვითარების ღრმა, შინაგანი პროცესების შედეგი იყო, თვითონ გახდა მთელი ბერძნული სამყაროს სოციალ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების ძლიერი მასტიმულირებელი ფაქტორი.

ჩვენთვის საინტერესო ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით მცირე აზიაში მდებარე ბერძნული ქალაქი მიღეთი აქტიურობდა. საკოლონიზაციო საქმიანობა შავიზღვისპირეთში შედარებით გვიან, ძვ.წ. VII ს-დან დაიწყო (მართალია, ზოგიერთი მონაცემის მიხედვით ტრაპეზუნტი და შესაბამისად, მისი მეტროპოლია სინოპე VIII ს-ში დაარსდა (Euseb., 80), მაგრამ არქეოლოგიური მონაცემები ამას ჯერჯერობით არ ადასტურებენ). ამ პერიოდისთვის პონტოსპირეთის ადგილობრივი მოსახლეობა განვითარების სხვადასხვა დონეზე იდგა. სამხრეთშავიზღვისპირელი მარიანდინები, პაფლაგონიელები, კაპადოკიელები და ჩრდილოშავიზღვისპირელი სკვითები, ტავრები თუ სხვა ტომები სუსტად ორგანიზებული იყვნენ. მართალია, ბერძენი კოლონისტების მოსვლის დროისთვის კაპადოკიელები შედარებით მყარ ერთობას წარმოადგენდნენ და ხელს უშლიდნენ ელინებს საკოლონიზაციო საქმიანობაში, მაგრამ მათ თავიანთი სახელმწიფოებრიობისთვის მხოლოდ აღექსანდრე მაკედონელის სიკვდილის

შემდეგ დაიწყეს ბრძოლა. პაფლაგონის სახელმწიფოებრიობა კიდევ უფრო სუსტი იყო. ძვ.წ. IV ს-ის პირველ ნახევარში ჩამოყალიბებული მძღვრი გაერთიანება, რომელიც სახელმწიფოებრიობაში გადაზრდას იწყებდა, ამავე საუკუნის მეორე ნახევრიდან წვრილ დინასტებს შორის გაიყო [26, გვ. 171].

სწორედ ზემოთ აღნიშნული გარემოებებით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ბერძენმა კოლონისტებმა ყველაზე უფრო ძლიერი პოლისური სისტემა მცირე აზიის შავიზღვისპირია რეგიონებსა და ჩრდილოეთ პონტოსპირეთში შექმნეს. კოლონისტთა ყველაზე დიდი აქტივობა მაინც პურით მდიდარ ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში შეიმჩნევა. აღსანიშნავია, რომ სამხრეთ შავიზღვისპირეთის მსგავსად ადგილობრივი სახელმწიფო აქ გვიან ჩამოყალიბდა. დ. კალისტოვი მიუთითებდა, რომ: „ბერძნების სკვითებთან დაპირისპირებამ სახელმწიფოებრივი ცხოვრების წინასახელმწიფოებრივ ცხოვრებასთან დაპირისპირების ხასიათი შეიძინა“ [22, გვ. 95]. უფრო მეტიც, სწორედ აქ, ქერჩის სრუტის გარშემო განლაგებული ქალაქების თაოსნობით ძვ.წ. 480 წელს საფუძველი ჩაეყარა ბერძნული სამყაროსთვის უნიკალურ მოვლენას, როდესაც რამდენიმე კოლონიის გაერთიანების ხარჯზე ერთიანი სახელმწიფო - ბოსფორის სამეფო ჩამოყალიბდა [10, გვ. 13]. ადგილობრივი სახელმწიფოს არარსებობით წარმოქმნილ ვაკუუმთან ერთად გარკვეული როლი ამ მოვლენაში ბერძნული სამყაროდან გეოგრაფიულ სიშორეს და აქედან გამომდინარე აგრესიული ტომებისადმი ერთგვარი შიშის ფაქტორს უნდა შეესრულებინა. საინტერესოა, რომ ელინური დინასტიის თითქმის ნახევარსაუკუნოვანი მმართველობის შემდეგ მას მაინც „ბარბაროსული“ წარმოშობის

სპარტოკიდები ჩაუდგნენ სათავეში (იოდ., XII, 31, 1). ეს უკანასკნელები, მათი წინამორბედებისგან განსხვავებით, აშკარად უტევდნენ პოლისების მთავარ ატრიბუტს – ავტონომიას [22, გვ. 196; 23; 11, გვ. 19 და შმდ.; 10, გვ. 13]. მათი ხელისუფლება, მიუხედავად რიგი შეზღუდვებისა [24; 13; 10, გვ. 14], საკმაოდ ძლიერი იყო. როგორც ჩანს, ისინი ახორციელებდნენ სასამართლო ხელისუფლებას და ქურუმის ფუნქციებს [15]. თავისი სტრუქტურის მიხედვით ბოსფორი ელინისტურ სახელმწიფოს მოგვავონებდა [21, გვ. 126 და შმდ.]. ე.ი. ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობებამდე ერთი საუკუნით ადრე ელინურ-ბარბაროსული ერთობის წანამძღვრები სწორედ პონტისპირეთში გამოიკვეთა.

ფაქტობრივად მსგავსი სიტუაცია იყო სამხრეთ შავიზღვისპირეთშიც [26, გვ. 19-23; 28, გვ. 22-24]. მართალია, ბოსფორის მსგავსი არა, მაგრამ საკმაოდ ძლიერი ელინურ ქალაქთა პოლიტიკურ-ეკონომიკური გაერთიანება შექმნა რეგიონის ყველაზე უფრო დანინაურებულმა პოლისმა – სინოპემ [26, გვ. 67; 33, გვ. 6]; ჰერაკლეას დორიულმა მოსახლეობამ კი სპარტელი ჰილოტების მსგავს დაბეჩავებულ მდგომარეობაში ჩააყენა ადგილობრივი მარიანდინური მოსახლეობა (ოსიდ., Athen., VI, 263c-d; Strabo, XII, 3, 4). აღსანიშნავია ერთი გარემოებაც, სამხრეთ შავიზღვისპირეთის მთავარი ცენტრებისგან (სინოპე, ამისო, ჰერაკლეა) განსხვავებით, ტრაპეზუნტის საქალაქო ცხოვრებაში დიდ როლს ძლიერი ადგილობრივი ელემენტი ასრულებდა [26, გვ. 408-411].

სხვა ევროპულ ტომებთან შედარებით, დასავლეთ შავიზღვისპირეთში, უფრო ზუსტად კი სამხრეთ თრაკიაში, ძალზედ ადრე, უკვე ძვ.წ. V ს. პირველ ნახევარში წარმოიშვა სახელმწიფო – ოდრისების სამეფო, სადაც განსაკუთრებით იგრძნობოდა ადგილობრივი, ანტიკური სამყაროსგან მკვეთრად განსხვავებული თავისებურებები [16, გვ. 172-175; 31, გვ. 3-30; 20, გვ. 6, 56 და შმდ.]. ეს ისტორიული რეალობა ცარიელ ადგილზე არ აღმოცე-

ნებულა. ჯერ კიდევ ძვ.წ. VII ს-ში თრაკიაში ტომობრივი კავშირები იქმნება [18, გვ. 3-4]. ასევე აღსანიშნავია სამეფო ხელისუფლების არსებობა, რომელიც წინაკლასობრივი საზოგადოებისთვის დამახასიათებელი სოციალური განვითარების ჩარჩოებში იმყოფებოდა [20, გვ. 198, 210]. მიუხედავად იმისა, რომ ეს გაერთიანებები არ იყო მყარი (ეროდ., V, 3), თრაკიელები დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ ბერძენ კოლონისტებს (Thuc., I, 100; II, 100; IV, 103; Herod., IX, 75; Paus., I, 29, 4). ძალზე მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ რელიგიურად დაქსაქსულ ტომებში თანდათანობით საერთოთრაკიული დიონისეს კულტი გავრცელდა (ეროდ., VII, 3).

ოდრისების სახელმწიფოში მეცე ერთპიროვნულად წყვეტდა საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებს. მის ხელში გაერთიანებული იყო საერო ხელისუფალისა და ქურუმის ფუნქციები [19, გვ. 31-46], თუმცა მეცის ძალაუფლება არ გამოირჩეოდა სიძლიერითა და მდგრადობით [20, გვ. 230 და შმდ.]. ქვეყანა დაყოფილი იყო საგამგეო ოლქებად, სადაც თითქმის შეუზღუდავი უფლებებით სარგებლობდნენ პარადინასტები (Thuc., II, 97, 3; Xen., Anab., VII, II, 32-34; VII, VII, 26). წყაროთა მონაცემების საფუძველზე მკვლევარები ვარაუდობენ, რომ ოდრისთა სამეფო წარმოადგენდა ერთიან პოლიტიკურ ორგანიზმს მეტად სუსტი შინაგანი კავშირებით [19, გვ. 69 და შმდ.]. სატომო ორგანიზაციის სიცოცხლისუნარიანობა მკაფიოდ გამოჩენდა რომაელთა გაბატონების შემდეგაც. პროვინცია თრაკია სტრატეგიებად დაიყო, რომლებიც ადგილობრივ ტომთა სახელებს ატარებდნენ და, როგორც ჩანს, მათი ტერიტორიული განსახლების მიხედვით იყვნენ წარმოქმნილნი [27, გვ. 14].

დასავლეთშავიზღვისპირული ახალშენების უმეტესობა ძვ.წ. 650 წლის შემდეგაა დაარსებული მილეთელების მიერ [12, გვ. 22, 37]. მხოლოდ სოლონის რეფორმის (ძვ.წ. 594 წ) შემდეგ აქტიურდება ათენის საგარეო ვაჭრობა ამ რეგიონში [35; 12, გვ. 44]. ის ოლქები,

რომლებთანაც ადრე ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოები ვაჭრობდნენ, ოდრისთა სამეფოს ძლიერების პერიოდში (ძვ.წ. 431-424 წწ.) ერთრეგიონად გადაიქცნენ, რამაც გაადვილა ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობები [12, გვ. 57]. ასეთმა ვითარებამ ელინური პოლისები ერთიანი სამეფო ხელისუფლების მფარველობის ქვეშ შესვლის აუცილებლობის წინაშე დააყენა. ეს არ ვნებდა ქალაქების პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, ვინაიდან პოლისის მთავარი ატრიბუტი - ავტონომია დაცული იყო. საბოლოო ჯამში ასეთმა ინტენსიურმა ურთიერთვავშირმა თრაკიული არისტოკრატიის ძლიერი ელინიზაცია გამოიწვია [12, გვ. 61].

როგორც ცნობილია, პირველი ქართული სახელმწიფო თუ წინასახელმწიფო გაერთიანებები (დაიაენი, კოლხა) სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზლვისპირეთში ჯერ კიდევ გვიანბრინჯაოს ხანაში აღმოცენდა. ტრადიციის მიხედვით ქართულ-ბერძნული ურთიერთობები სწორედ ამ პერიოდიდან უნდა დაწყებულიყო (საინტერესოა, რომ მოგვიანებით ელინი კოლონისტები პირველად მეზობელი თრაკიის სანაპიროზე კი არ გაემართნენ, არამედ მდიდარი წარსულის ტრადიციებით განთქმულ მხარეში, რაც არგონავტების ლაშქრობით მიღებული გამოცდილებითა და, როგორც ჩანს, მდიდარი ლითონის საბადოების არსებობით [14] აიხსნება). თუმცა, ეს წარმონაქმნები, ისევე როგორც მთელი ქართველური სამყარო, აშკარად აღმოსავლური ცივილიზაციის გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ. ამის საპირისპიროდ ძვ.წ. VI ს-ში წარმოქმნილი ერთიანი კოლხეთის სამეფო, რომელიც თავდაპირველად აქემენიდური ირანის მოხარკე გახდა, სხვა გზით წავიდა. ამის მთავარი მიზეზი სწორედ დიდი ბერძნული კოლონიზაცია იყო. ელინებთან ურთიერთობამ საკმაოდ ბევრი პროგრესული მომენტი შეიტანა ძველკოლხურ საზოგადოებაში. წუმიზუმით მათ მიმდინარეობდნენ, რაც მათ მიმდინარეობის დამატებით გამოიყენებოდა.

ლიგიური რწმენა-წარმოდგენები (გავრცელდა დიონისის კულტი), ადგილობრივი მოსახლეობა საერთოპონტურ ვაჭრობაში ჩაერთოდა ა.შ. [25, გვ. 220-224]. განმატებული სახელმწიფოებრიბაც. პერიდოტეს (IV,37), ფსევდო-სკილაქს კარიანდელის (სია, 81), სტრაბონის (XI, 2, 15-17), ახ.წ. V ს-ის თუ მომდევნო ხანის ანონიმი გეოგრაფოსის (X, II, 7) ცნობების თანახმად დიოსკურიიდან მდ. აფსაროსამდე არსებობდა ერთიანი კოლხური სახელმწიფო. ეს ავტორები მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე სხვა ტომებიც ცხოვრობდნენ, მხოლოდ ერთ ხალხს, კოლხებს ასახელებენ. სამეფო ხელისუფლების არსებობაზე მეტყველებს ქსენოფონტესა (Anab., V, VI, 36) და პლინიუსის (NH, XXXIII, 52) ცნობები. თუმცა, ოდრისელ ხელისუფალთა მსგავსად ისიც ადმინისტრაციული ერთეულების მმართველების (სკეპტუხების) ძალაუფლებით იყო შეზღუდული (შტრაბო, XI, 2, 18). არქეოლოგიური მონაცემები ადასტურებენ კოლხურ საზოგადოებაში სოციალური დიფერენციაციის არსებობას. ჩვეულებრივი მეთემების საფლავები ძალზედ ღარიბულია, უმთავრესად ბრინჯაოს ნივთებითაა დაკომპლექტებული. გაბატონებული ფენების მდიდრულ აკლდამებზე და უცხოელებთან ურთიერთობების შედეგად კიდევ უფრო გაღრმავებულ ქონებრივ უთანასწორობაზე საკმაოდ დაინტერა ქართულ ისტორიოგრაფიაში [4, გვ. 170; 25, გვ. 225-227].

ელინები პირველად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, VII ს-ის ბოლოს უნდა გამოჩენილიყვნენ. უშუალო საკოლონიზაციო საქმიანობას აღმოსავლეთ შავიზლვისპირეთში, ისევე როგორც მთელ პონტოსპირეთში, მიღეთი ჩაუდგა სათავეში. ფასისთან და დიოსკურიასთან შედარებით უფრო მცირე იონური დასახლებების არსებობა სავარაუდებელია დღევანდელი ფიჭვნარის, ციხისძირის, ბათუმის ციხის და ოჩამჩირის (გიენოსი) მიდამოებში [6].

დიდი ბერძნული კოლონიზაციის ახალი, თვისობრივად განსხვავებული ეტაპი კლა-

სიკური ხანიდან იწყება. ბალკანეთის საბერძნეთში სტაბილური შიდაპოლიტიკური სიტუაცია დამყარდა, რამაც ხელი შეუწყო მრავალრიცხოვან ქალაქ-სახელმწიფოებში სამეურნეო ცხოვრების კიდევ უფრო აყვავებასა და კულტურის არნახულ გაფურჩქვნას [17, გვ. 131]. ყველაზე მეტად ათენი დაწინაურდა, რომლის მიერ დაარსებული კოლონიები განსაკუთრებით მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი მეტროპოლიასთან, რაც ჰელესპონტის გაკონტროლებასა და ატიკის პურით მომარაგებაში გამოიხატებოდა. ძვ.წ. VI ს-ის ბოლოსა და V ს-ის პირველ მეოთხედში დაიწყო კლერუქიებისა და რეგულარული აპოკიების გაყვანა. პირველი მათგანი სრულიად ახალი მოვლენა იყო ელინურ სამყაროში. კლერუქები რჩებოდნენ ათენის მოქალაქეებად და აპოკიებისაგან განსხვავებით, მინა მხოლოდ მფლობელობაში გადაეცემოდათ. ისინი სამინათმოქმედო სამუშაოებს ეპიზოდურ სამხედრო საქმიანობას უთავსებდნენ [30, გვ. 141-152]. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ჰერიკლეს მიერ ძვ.წ. V ს-ის 40-იან წლებში სინოპეში დემოკრატებისათვის დასახმარებლად 600 სამხედრო კოლონისტის გაგზავნის ფაქტი (Plut., Per., 20, 2). ეპიგრაფიკულ მასალაზე დაყრდნობით ვგებულობთ, რომ კლერუქების გადმოსახლებასთან დაკავშირებით სინოპეში დაარსდა ათენური დანესებულებები. ეს ექსპედიცია პონტოსპირეთის სხვა ქალაქებსაც შეეხო [26, გვ. 97-102; 29].

სწორედ ათენთანაა დაკავშირებული ფიჭვნარის კოლხური სამოსახლოს გვერდით ძვ.წ. V ს-ის დასაწყისიდან გაჩენილი ბერძნული დასახლება, რომელიც შუამავლის როლს ასრულებდა ადგილობრივ მოსახლეობასა და ბერძნულ სამყაროს შორის. ფიჭვნარის ნეკროპოლი უნიკალური მოვლენაა მთელ შავიზღვისპირეთში. აქ გვერდიგვერდ განლაგებულია ბერძნთა და კოლხთა სამაროვნები, რაც ამ ორი ეთნოსის მშვიდობიან ურთიერთობაზე მიუთითებს [8, გვ. 17-104].

საერთოდ, ძვ.წ. VI ს-ის ბოლოსა და V ს-ის დასაწყისში ათენი გარკვეულ უპირატესო-

ბას აღწევს კოლხეთთან და დანარჩენ შავიზღვისპირეთთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების დამყარების საქმეში. ამის შემდეგ აღმოსავლეთ პონტოსპირეთში წამყვანი ხდება ატიკური ნანარმის იმპორტი, რომელიც აბსოლიტურად დომინირებს ძვ.წ. V ს-ის მეორე ნახევრიდან ვიდრე ელინისტურ ხანამდე [7, გვ. 15-136]. ეს ის პერიოდია, როდესაც ელინურ სამყაროში ჰეგემონიისთვის გააფორმებული ბრძოლა მიმდინარეობს. პერიკლეს კარგად ესმოდა, რომ გამარჯვება უმთავრესად დამოკიდებული იყო საზღვაო ფლოტზე და მის მიერ შემოზიდულ საციცობლო რესურსებზე. შავიზღვისპირეთში მის ინტერესებში შედიოდა გემთმშენებლობისათვის საჭირო ნედლეული და, რა თქმა უნდა, პური [4, გვ. 137-139]. ამ მხრივ უაღრესად საინტერესოა პერიკლეს ზემოთხსენებული ექსპედიცია პონტოს სამხრეთ ნანილში. არის ვარაუდი, რომ ათენის გავლენა გაცილებით უფრო აღმოსავლეთით განივრცო. მ. ინახეთვლის, რომ პელეპონესის ომის ნინ საზღვაო ფლოტის მშენებლობის მიზნებისათვის კოლხეთის ნედლეულით მდიდარ სანაპიროზე იონური ახალშენების გვერდით ატიკური დასახლებებიც ნარმოიშვა. როგორც ჩანს, ისინი ატიკური პუნქტების იმ ჯაჭვის გაგრძელებას ნარმოადგენდნენ, რომელიც ჰერიკლემ სინოპეზე დაყრდნობით სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში შექმნა. ამაზე არაპირდაპირ შეიძლება მეტყველებდეს ფიჭვნარისა და ამ რეგიონის ცენტრებს შორის არსებული სისხლსავსე ეკონომიკური ურთიერთობები [4, გვ. 145-147, 158-159].

ისტორიული წყაროები და არქეოლოგიური მასალა არ გვაძლევს უფლებას ფიჭვნარის, ეშერისა და გიენოსის სამოსახლოები პოლისებს ან თუნდაც, პოლისური ტიპის დასახლებებს მივაკუთვნოთ [3, გვ. 63]. ამაში დიდი როლი, საკუთრივ ათენის თავისებური საკოლონიზაციო პრაქტიკის გარდა, ადგილობრივი სახელმწიფოს არსებობას უნდა ეთამაშა. მართალია, კოლხური სახელმწიფო არ წარმოადგენდა ისეთ რთულ მექანიზმს,

როგორც, თუნდაც, სირიასა და ფინიკიაში, მაგრამ ამ ფაქტორმა საკოლონიზაციო საქმიანობას მაინც შეუშალა ხელი. მ. ინაძის მოსაზრებით, თრაკიულ ტომებში სახელმწიფოს (ოდრისთა სამეფოს) წარმოქმნა-განვითარების პროცესის განხილვა გვარნმუნებს, რომ იგი დიდ მსგავსებას ამჟღავნებს კოლხურ საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენებთან. ამ ქვეყნებში სახელმწიფოებრიობა ჩაისახა უფრო ადრე, ვიდრე ბერძნული ცივილიზაცია ღრმად გაიდგამდა ფესვებს, თანაც ორივეში უფრო დიდხანს და უფრო სრულად შემონახულ იქნა ადრეკლასობრივი საზოგადოების განვითარებისათვის დამახასიათებელი ნიშნები [5, გვ. 42-43]. სწორედ კოლხური და თრაკიული სამეფოების არსებობით უნდა აიხსნას ის, რომ სამხრეთ და განსაკუთრებით, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთისგან განსხვავებით, ჩვენთვის საინტერესო რეგიონებში არ ნარმოქმნილა ბერძნული პოლისების პოლიტიკური კავშირებიც კი (დასავლეთ შავიზღვისპირეთში მხოლოდ მოგვიანებით იყო ასეთი კავშირის შექმნის ცდა მესემბრიის მიერ და ისიც უშედეგოდ). მეორე მხრივ ელინურ სამყაროსთან სიახლოვემ ერთგვარი დამაჩქარებელი როლი შეასრულა როგორც თრაკიის, ისე კოლხეთის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში [5, გვ. 43]. თუმცადა, ამ უკანასკნელში არ ყოფილა ისეთი ღრმა ელინიზაცია, როგორც ეს თრაკიელთა ზედა ფენებში მოხდა. ამგვარ ვითარებას საკმაოდ მცირე ანალოგიები გააჩნდა იმდროინდელ სამყაროში (მაგალითად, ესპანეთის აღმოსავლეთი სანაპირო და ლიკია), რომელიც კოლონიზაციის არასრულყოფილ ფორმად შეიძლება მოვნათლოთ. არ უნდა დაგვავინყდეს ისიც, რომ შავიზღვისპირეთის სხვა რეგიონებისგან განსხვავებით, კოლხეთში არ იყო მატერიალური თუ ადამიანური (იგულისხმება მონები) რესურსების ის მარავი [იხ. 1, გვ. 21], რაც ბერძნოთა განსაკუთრებულ ყურადღებას მიიცევდა.

მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში კოლონიზაციური მოძრა-

ობა შედარებით „პასიურად“ მიმდინარეობდა, მან უდიდესი ზეგავლენა იქონია ქართულ სამყაროზე. ანტიკური ცივილიზაციის თუნდაც განაპირა ორბიტაზე მოხვედრა, საბოლოო ჯამში, ჩვენი ქვეყანის ქრისტიანული კულტურის მატარებელ ხალხთა შორის მოქცევის წინაპირობად იქცა. ამასთანავე, აღსანიშნავია საპირისპირო მომენტი სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ისტორიიდან. რეგიონი, რომელიც ანტიკურ სამყაროსთან უფრო „ღრმა კავშირებში“ იმყოფებოდა, თუმცა ბოლომდე არ იყო მისი ნანილი, განსხვავებული კულტურული ფასეულობების სისტემატური ზენოლის შედეგად უცხო ეთნიკური ელემენტის ნანილად იქცა. საქმე იმაშია, რომ ცენტრალური კოლხეთისგან განსხვავებით, სამხრეთში, სხვადასხვა მიზეზთა გამო, ძვ. წ. VIII ს-ის შემდეგ ქართული სახელმწიფოებრიობის იდეა ვერ განხორციელდა. ამ ორმა განსხვავებულმა მდგომარეობამ თავისთავად ორი ერთმანეთისგან განსხვავებული შედეგი გამოიღო. სამხრეთ კოლხეთში სახელმწიფოებრიობის ტრადიციების დაკარგვამ გამოიწვია ის, რომ ელინებმა აქ მყარი პოლისური ინფრასტრუქტურა შექმნეს და ადგილობრივი მოსახლეობა უცხო გავლენას ზომაზე მეტად დაუკემდებარეს, რამაც საბოლოოდ რეგიონში ეროვნული დეზორიენტაციის პირობები შექმნა. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთთან და მთლიანად საქართველოსთან მიმართებაში არ უნდა დაგვავინყდეს ზემოთ ხაზგასმული აღმოსავლური ზეგავლენის მნიშვნელობა, რომელმაც ერთგვარი გამანონასნორებლის როლი ითამაშა. ყოველივე ეს ყველაზე ნათლად, მოგვიანებით, ახ. წ. V-VII სს-ში ბიზანტია-სპარსეთის დაპირისპირებაში გამოიხატა, როდესაც საქართველო, უპირველეს ყოვლისა შიდა გადაწყვეტილების შედეგად (გაიხსენეთ, თუნდაც აიეტისა და ფარტაძის ცნობილი მონოლოგები) დასავლური, ქრისტიანული სამყაროს წიაღში დარჩა, მაგრამ აღმოსავლურმა „მემკვიდრეობამ“ ბიზანტიის იმპერიისგან ერთგვარ დისტანციის განვითარებასაც შეუწყო ხელი [იხ. 34]. სხვა მომენტია, როდე-

საც აღმოსავლეთი, ჯერ კიდევ არაბებიდან დაწყებული, ხატოვნად რომ ვთქვათ, „თავს ახსენებდა“ მის ყოფილ განაპირა მხარეს, მაგრამ VI ს-ში ეგრისში, ხოლო ერთი საუკუნის შემდეგ ქართლში გაკეთებული არჩევანი, საბოლოო – ცივილური არჩევანი აღმოჩნდა.

თავისებურად განვითარდა სიტუაცია ჩრდილო კავკასიის ზღვისპირეთში. ეს რეგიონი თითქმის მოწყვეტილი აღმოჩნდა ანტიკური ცივილიზაციისგან (ნოვოროსიისკიდან აფხაზეთამდე არც ერთი ბერძნული კოლონია არ დაარსებულა), რაც წარმართობის ხანგრძლივ ბატონობასა და საბოლოოდ ისლამის გავრცელებაში აისახა [8, გვ. 187-190].

ამრიგად, შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაცია განსხვავებულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ვითარებაში მიმდინარეობდა. ამის შედეგად, კლასიკური ხანის დასაწყისისათვის რეგიონის სხვადასხვა ნაწილში ერთმანეთისაგან განსხვავებული რეალიები ჩამოყალიბდა. მაგალითად, ჩრდილოეთ და სამხრეთ შავიზღვისპირეთში, სადაც ადგილობრივი სახელმწიფოები არ იყო, ბერძნებმა შედარებით მძლავრი პოლისური ინფრასტრუქტურა შექმნეს. დასავლეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ამ პროცესს ადგილობრივი სახელმწიფოები, თუნდაც საჟუთრივ სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი ბუნების გამო, „შეენინააღმდეგენ“. ეს კიდევ უფრო ნათლად კოლხეთის მაგალითზე გამოჩნდა, რომლის გეოგრაფიულმა დაშორებულობამ და ბერძნებისთვის ყველაზე მეტად მიმზიდველი რესურსების (ხორბალი, მონები) სიმწირემ, ზემოთ დასახელებულ მიზეზთან ერთად, კოლონისტთა ინტერესის „განელება“ და შესაბამისად ადგილობრივი ელიტის ნაკლები ელინიზაცია გამოიწვია.

მთლიანობაში დიდმა ბერძნულმა კოლონიზაციამ მნიშვნელოვანი კვალი დატოვა მთელი შავიზღვისპირეთის მოსახლეობის ცხოვრებაში [დაწვ. იხ. 9, გვ. 146-147]. პირველ რიგში აღსანიშნავია სასაქონლო ურთიერთობათა ჩამოყალიბება. ბუნებრივია, ეკონომიკურმა ურთიერთობებმა ხელი შეუწყვეს

სხვადასხვა ეთნოსის ურთიერთგაცნობას, უცხო რელიგიური და კულტურული ფასეულობების გავრცელებას ოდესლაც იზოლირებულ ქვეყნებში და რეგიონი ელინისტური, შემდეგ კი რომაული ხანის „გლობალურ“ სახელმწიფო სისტემებში ინკორპორაციისთვის შეამზადეს.

ლიტერატურა

1. გამყრელიძე გ. კოლხოლოგიური ნარკევები, თბ., 2001.
2. გორდეზიანი რ. ბერძნული ცივილიზაცია, ტ. I, თბ., 1988.
3. ინაძე მ. ათენი და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი (ძვ.წ. V ს. მეორე ნახევარში), მაცნე, ისტ. სერია, I, თბ., 1975, გვ. 43-63.
4. ინაძე მ. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაცია, თბ., 1982.
5. ინაძე მ. ძველი კოლხეთის საზოგადოება, თბ., 1994.
6. კახიძე ა. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაციის იონური და ატიკური ეტაპი, სდსძ, XI, 1982, გვ. 44-77.
7. კახიძე ა. საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები, თბ., 1971.
8. კახიძე ა., ვიკერსი მ. კოლხები და ბერძნები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში: ფიჭვნარი, I (საქართველო-ბრიტანეთის ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები 1998-2002 წწ.), ბათუმი/ოქსფორდი, 2004.
9. კახიძე ე. სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაციის ნანამდვრებისა და ზოგიერთი თავისებურებების შესახებ, კულტურის ისტორიის საკითხები, VI, თბ., 1999, გვ. 183-190.
10. კახიძე ე. შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაციის შედეგები, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, VIII (პუმანიტარულ მეცნიერებათა სერია), ბათუმი, 2005, გვ. 141-149.
11. Аничные государства Северного Причерноморья, М., 1984.

11. Блаватская Т.В. К вопросу о боспоро-афинских отношениях во второй половине V в. до н. э., ПИСП, 1959, с. 195-204.
12. Блаватская Т. В. Западногонтийские города в VII-I веков до н.э., М., 1952.
13. Брашинский И.Б. О некоторых династических особенностях правления Спартакидов, ВДИ, 1, 1965.
14. Брашинский И.Б. Синопа и Колхида, Вопросы древней истории (Кавказско-близневосточный сборник), IV, Тб., 1973.
15. Гайдукевич В.Ф. История античных городов Северного Причерноморья (Краткий очерк), АГСП, 1955, с. 23-147.
16. Данов Хр. Древна Тракия, София, 1969.
17. История древней Греции, под. ред. В. И. Кузицина, М., 2000.
18. Златковская Т.Д. Ранние монеты южнофракийских племен (к вопросу о происхождении культа Диониса), НЭ, 7, 1968, с. 3-22.
19. Златковская Т. Д. О происхождении некоторых элементов кукерского обряда у болгар, СЭ, 3, 1967, с. 31-46.
20. Златковская Т.Д. Возникновение государства у фракийцев, М., 1971.
21. Жебелев С.А. Северное Причерноморье. Исследования и статьи по истории Северного Причерноморья античной эпохи, М.-Л., 1953.
22. Калистов Д.П. Очерки по истории Северного Причерноморья античной эпохи, Л., 1949.
23. Калистов Д. П. Измена Гилона, ВДИ, 1, 1950, с. 27-36.
24. Колобова К. М. Политическое положение городов в Боспорском государстве, ВДИ, 4, 1953, с. 47-71.
25. Лордкипанидзе О. Д., Наследие древней Грузии, Тб., 1989.
26. Максимова М.И. Античные города Юго-Восточного Причерноморья, М.-Л., 1956.
27. Мурынина Н. Ф. Фракия и Рим. Борьба фракийских племен против римской агресии во II-I вв. до н. э. и в начале I в. н. э. (Автореферат), М., 1951.
28. Сапрыкин С. Ю. Гераклея Понтийская и Херсонес Таврический, М., 1986.
29. Федосеев Н.Ф. Археологические свидетельства об афинской клерухии в Синопе, ВДИ, 3, с. 132-140.
30. Яленко В. П. Греческая колонизация VII-III вв. до н. э., М., 1982.
31. Danov C. Social and Economic Development of the Ancient Thracian in Homeric, Archaic and Classical Times, Etudes Historiques ; L'occasion du XI congrès Internationale des Sances Historiques ; Stockholm, I, Sofia, 1960, p. 3-30.
32. Griechische Geschichte bis 146 V.U.Z, unter Leitung H. Kreissig, Berlin, 1985.
33. Hind J.G. The Eagle-Head Coins of Sinope, Numismatic Chronicle, 16, 1976.
34. Kakhidze E. The Christianization of Georgia, Abstracts of an International Inter-disciplinary Conference on the Black Sea Region: Past, Present and Future, Istanbul, 14-16 October, 2004, pp. 50-51.
35. Seltman C. T. Athens, its History and Coinage before the Persian Invasion, Cambridge, 1924.

ყულევის მინის შესწავლას ყოველთვის მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მთელ მსოფლიოში, რადგანაც მინა ნარმოადგენს კაცობრიობის მრავალსაუკუნოვანი მოღვაწეობის ნივთობრივ ძეგლს [3, გვ. 79]. უძველესი ეპოქებიდან, ამ სახის პროდუქციას განსაკუთრებული ადგილი უკავია კაცობრიობის ისტორიაში. შესაბამისად, დიდია მეცნიერული ინტერესი ამ სახის ნაწარმისადმი [6, გვ. 3].

უძველესი მინის ყოველმხრივ შესწავლაში (მიკროსკოპული, სპექტრული, ქიმიური და სხვა) მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა დამზადების ტექნოლოგიურ სქემას.

იმისათვის, რომ გაადვილდეს ქიმიური თუ სპექტრული ანალიზის შედეგების შედარება და გაკეთდეს სათანადო დასკვნა საჭიროა მათი ქიმიური სისტემატიზაცია. მიღებულია მინის ნარმომქმნელი კომპონენტების კლასიფიკაცია. ისინი იყოფა: მინის ნარმომქმნელებად, ფუძეებად, ფლუსებად, ინდიფერენტულ ჟანგებულებად, მღებავ ნივთიერებებად და შემთხვევით მინარევებად, ავრეთვე გვხვდება გამაუფერულებლისა და დამხშობი ნივთიერებების ჯგუფები [1, გვ. 51].

ნინამდებარე ნაშრომის მიზანია ყულევში მოპოვებული მინის ჭურჭლის (ახ.ნ. I-II სს.), ფოტოსპექტრული გამოკვლევის შედეგების საფუძველზე დადგინდეს მასში შემავალი მღებავი ნივთიერებები.

მინის შეფერვა დაიწყო სტეატიტისა და ფაინსის მძივების მოჭიქვით. ყველაზე ადრეული მოჭიქული ნივთები აღმოჩენილია შუამდინარეთში, ეგვიპტესა და ირანში. ეს ნივთები თარიღდება ძვ.ნ. IV ათასწლეულის ბოლოთი და ნარმოადგენს დანაყილი კვარცის გულს, რომელიც დაფარულია მომწვანოცისფერი სპილენძის ჭიქურით.

ბოდარის უძველეს კულტურაში ძვ.ნ. 5000-3400 ვხვდებით ჭიქურით დაფარულ სტეატი-

ტისა და მინისებრი მასის მძივებს. აღნიშნული მასა ნარმოადგენს დანაყილ კვარცს, უფრო იშვიათად გაფხვიერებულ ქვიშას და ნატრიუმის რომელიმე შენაერთის ნარევს, რომელიც გახურებისას ინყებს დნობას და უზრუნველყოფს ჭიქურის კარგ შეჭიდებას [11, გვ. 62-63]. ეგვიპტეში ნინადინასტიური პერიოდის სამარხებში ოქროსა და ქვებისაგან დამზადებულ ნივთებთან ერთად აღმოჩენილ იქნა სხვადასხვა მასალისაგან დამზადებულ ნივთთა მინაბაძები, რომლებიც ნარმოებულია შიფერის, სტეატიტისა და ე.ნ. ეგვიპტური ფაიანსისაგან. ისინი მოჭიქულია მოყავისფრო მწვანე ჭიქურით. ჭიქურის შემფერავად აქ გამოყენებული იყო სპილენძი. ჭიქურის შეფერვა ნარმოებდა მასში სპილენძის ჟანგის მიმატებით, რომელსაც ეგვიპტე ლებულობდა სინაის ნახევარკუნძულიდან [14, გვ. 37]. ანტიკურ ხანაში ჭიქურით ფარავდნენ ე.ნ. შლიკერს - ნატრიუმის, კალციუმის და რომელიმე საღებავის სილიკატს, რომელიც ნარმოადგენდა აღვილად მდნობ მინას [7, გვ. 23].

ძვ.ნ. III ათასწლეულის დასაწყისში, მეტალური და ბუნებრივი ქვებიდან ნარმოებული მძივების პარალელურად არსებობს მეტალური ნიდისაგან დამზადებული მძივები. ძვ.ნ. XV საუკუნიდან დაწყებული უკვე ჩნდება ნამდვილი მინისაგან დამზადებული მძივები. მინის ტიპი ამ პერიოდში $\text{Na}_2\text{O} \cdot \text{CaO} \cdot \text{SiO}_2\text{-a}$. ამ პერიოდიდან, შეიძლება ითქვას, ინყება მინის შესაფერად მეტალთა ჟანგებულების შეგნებული გამოყენება. უკვე გვხვდება შეფერვა ნითლად - სპილენძის ქვეუანგით, მწვანედ - რკინის შენაერთებით, ყვითლად - ანთიმონით, ცისფრად - სპილენძის ჟანგით, შავად - რკინის შენაერთების დიდი რაოდენობით ან მანგანუმისა და რკინის დიდი რაოდენობით თანაარსებობისას [2, გვ. 98]. საქართველოში ძვ.ნ. IV ათასწლეულში, მოჭიქულ სტეატი-

თან ერთად მოიპოვება ინტენსიური ცისფერი ჭიქურით დაფარული დანაყილი კვარცისაგან დამზადებული მძივები. ძვ.ნ. II ათასნლეულის მონითალო-ისფერ მინაში მანგანუმის რაოდენობა იზრდება 1,5%-მდე. ანალოგიური სურათია ძვ.ნ. VI-III სს. მინის ნაწარმში. განსაკუთრებით ხშირად ძველ მინაში ლურჯი მინების შემდეგ გვხვდება ყვითელი მინა, რომლის რაოდენობა ძვ.ნ. VI საუკუნიდან ძლიერ იზრდება. კობალტის შემცველი მინის ნაწარმი საქართველოს ტერიტორიაზე ასევე ძვ.ნ. VI საუკუნიდან შეინიშნება. ას.ნ. I საუკუნიდან დაწყებული, როდესაც ფერადი მინის დამზადების ტექნოლოგია ვითარდება, მანგანუმის რაოდენობა 7,75%-მდე იზრდება, ხოლო ისფერად შეფერილ მინაში მისი რაოდენობა 5,75%-მდე აღწევს [2, გვ. 32,54]. ეს ის პერიოდია, როდესაც მინის დამზადების ტექნიკის განვითარება განიცდის დიდ ცვლილებებს, მინის ოსტატებმა ათვისეს საბერავი მილი.


მინისათვის სალებავის – სპილენძის ჟანგის არსებობა უძველესი დროიდანაც ცნობილი. კუინჯიკში აშურბანიფალის ბიბლიოთეკაში ნაპოვნი თიხის ფირფიტები თარიღდება ძვ.ნ. XVII საუკუნით. ამ ფირფიტებში მოხსენიებულია სპილენძისა და ტყვიის ჭიქურის დამზადების ყველაზე ადრეული წესი. მინის ნარმოების შესახებ ცნობები ასევე დაცულია ათასი წლით უფრო გვიანდელ ფირფიტებში, სადაც ლაპარაკია მინის სადნობი ღუმელის აგებულებაზე, უფრო სწორად ორ ღუმელზე, რომელთაგანაც ერთი უნდა იძლეოდეს უდიდეს ტემპერატურას, ხოლო მეორეში ხდებოდეს განმეორებითი დუღილი შემცირებული წნევის პირობებში [13, გვ. 194]. სხვა ფირფიტები, რომლებიც ლურსმული დამწერლობითაა და ძვ.ნ. 668-628 წლებით თარიღდება, შეიცავს მინის კაზმისათვის საჭირო ნივთიერებების ჩამოთვლა-აღწერილობებს [12, გვ. 587].

როგორც ზევით აღვნიშნეთ, კვლევის ობიექტს ნარმოადგენს ყულევში მოპოვებული მინის ჭიქურჭელი, რომელიც ჩვენამდე

მოღწეულია ფრაგმენტების სახით. ექსპედიციის ხელმძღვანელის ბ-ნ რ. პაპუაშვილის აზრით, ყულევის „ოთხნახნაგა“ ჭურჭელი - სამარხეული ინვენტარი უნდა იყოს, რადგან იგი ფრაგმენტების სახით სამარხთან ახლოს ამოთხრილ ორმოში იყო ჩაყრილი [4, გვ. 31-32] (ტაბ. I).

ჭურჭელი მომწვანო-მოცისფრო გამჭვირვალე მინისაა, სქელკედლიანი ბრტყულად დაკეცილი, გვერდებისკენ დაქანებულტუჩიანი პირით, რომელსაც უერთდება განიერი და შესქელებული ყური. ყურის ერთი ბოლო ჭურჭლის ტანზეა დაძერნილი, მეორე კი მაგრდება უშუალოდ პირზე. ცილინდრული ყელი ტანისკენ შეუმტნევლად ფართოვდება. აქვს მაღალი ოთხნახნაგა ტანი; ბრტყული ოთხკუთხა ძირი, რომელიც შიგნით შეზნექილია; მინა არაერთგვაროვანია, შეიცავს მუქ არაგამჭვირვალე და მრავალრიცხოვან აირად ჩანართებს (ბუჭტულებს). ყური დეფორმირებულია (ცნობილია, რომ ყელს, პირს და ყურებს ჭურჭელს ფორმიდან ამოღების შემდეგ უკეთებდნენ) [5, გვ. 41]. ფორმაში გამობერილი, ტანი დეფორმირებულია. დეფორმაცია გამოწვეული უნდა იყოს ფორმიდან ამოღების დროს ხელოსნის დაუდევობით. სიმაღლე - 19 სმ, პირის დმ - 6,0 სმ, ძირის ზომებია - 8,0X8,0 სმ.

საკვლევ ნივთს პირველ ეტაპზე ჩაუტარდა პირველადი რეკონსტრუქცია, შემდეგ რესტავრაცია-კონსერვაცია (სურ. 1,2). მეორე ეტაპი მიზნად ისახავდა ფოტოსპექტრულ კვლევას. ნიმუში გამოკვლეულ იქნა ოპტიკურ ფოტოსპექტრომეტრ SPECTRO M80-ზე. ფოტოსპექტრული ანალიზისთვის გამოყენებულ იქნა მინის ჭურჭლის მომცრო ზომის ფრაგმენტი, რომელიც აღვნიშნეთ №3-ით. შესადარებლად აღებული იქნა ორი ეტალონი: №1 - შეფერილი გამჭვირვალე მინა, №2 - შეუფერავი გამჭვირვალე მინას. ფერის შეფასება შესაძლებელი იყო მხოლოდ სპექტრო-ფოტომეტრული კვლევის საფუძველზე, რომლის შედეგადაც მივიღეთ №1, №2 და №3 მინების ადსორბციის მრუდები (ნახ. №1).



ნახ. № 1

ცნობილია, რომ ხილვად სპექტრში დამახასიათებელია შთანთქმის უბნები. პირველ და მეორე მაქსიმუმებთან №3 და №1 მინებში შეიმჩნევა შთანთქმის რამდენადმე შემცირება, რის შედეგადაც ნარმოიქმნება ტალღის სიგრძის მინიმუმი 400-600 სმ. ჩვენ მიერ შუქამტარობის სპექტრზე შთანთქმის მაქსიმუმები შეესაბამებიან 632 ნმ-ის ტალღის სიდიდეს. მათ შორისაც შეიმჩნევა გამტარობის ზრდის უბნები №3-ში 1000-1200 სმ (1050-1104 ნმ), 1400-1600 სმ (1420-1544 ნმ).

მიღებული მრუდი მიგვითითებს ზემოთხსენებულის მართებულებას, რაც საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ №3 და №1 მინებში ტალღების თანხვედრა მღებარე ნივთიერებების არსებობაა. ხოლო №2 მინის მახასიათებელი ტალღების პიკები ნაკლებადაა ნარმოდგენილი მასში შემფერავი ნივთიერებების არარსებობის გამო. სამივე ნიმუშში საბაზი-

სო ნაერთები ერთნაირია. ორგანიკა საკვლევ ნიმუშში არ არის, შეიმჩნევა მასში შემავალი მინარევი, რომელიც შესაძლოა ტექნოლოგიურად დაბალი ხარისხის მინა იყოს ან მინარევი შემთხვევით იყოს მოხვედრილი მინის მასში.

როგორც აღვნიშნეთ, ყულევის მინის ჭურჭელი, რომელიც დათარიღებულია ა. წ. I-II სსით მნვანე ფერისაა. მსგავსი ფორმის მინის ნაკეთობები ტიპიურია მცხეთაშიც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აქ ბოთლების ძირები შემულია სხვადასხვა რელიეფური ორნამენტით და მათ „დამლიან“ ოთხნახნაგა ბოთლებს უნდებენ. ყულევში აღმოჩენილი მინის ჭურჭელი ფორმითა და ფერით უახლოვდება მნვანე ფერის გამჭვირვალე მინის ჭურჭლებს სამთავროს სამაროვნის №905, №164 სამარხებიდან. საქართველოში გარდა მცხეთისა, ოთხნახნაგა ბოთლები აღმოჩენილია ურბნისში, ზღუდერ-

ში, უინვალში, გონიო-აფსაროსში, ბიჭვინთაში. ყულევის ჭურჭლის ანალოგიური ნივთი აღმოჩენილია ბაიათხევის სამაროვანზე (მასთან ერთად აღმოჩენილია ა.ნ. I-II საუკუნისათვის დამახასიათებელი ჰორიზონტალური კანელურებით შემცული მინის ორყურა სანელ-საცხებელე) [5, გვ. 39]. ასევე ათარიღებს მსგავს ჭურჭელს 6. კუნინაც [10, გვ. 287, №167]

სპექტრული ანალიზის შემთხვევაში, როდესაც შუქამტარობის მაქსიმალური უბანი განლაგდება 400-550-ნმ-ის უბანში, მინის ფერი შეესაბამება მწვანეს, ხოლო მწვანე ფერი დაკავშირებულია რკინის, სპილენძის, მანგანუმის ოქსიდების არსებობასთან [9, გვ. 284]. მაგალითად, საკვლევ მინაში მარტო მანგანუმის ოქსიდი რომ ყოფილიყო, შეფერილობა იქნებოდა ისფერთან მიახლოებული ან ისფერი. ამავე დროს ცნობილია, რომ $\text{Fe}_2\text{O}_3:\text{Mn}_2\text{O}_3$ ფარდობის 1-2 ინტერვალის ტოლლობისას მიიღება მომწვანო მოყვითალო შეფერილობა. დადგენილია, რომ მინაში რკინის ოქსიდები იმყოფებან $\text{Fe}3\text{-O4}$ -სახით, ხოლო მანგანუმი შეიყვანება MnO_2 სახით, რომლის დისოციაციის შედეგად მიიღება Mn_3O_4 . გამოყოფილი უანგბადი ხელს უწყობს Fe^2AFe^3 ნონასნორობის გადახრას მარჯვნივ, ანუ ყვითელ სხივთა გამტარობას. MnO_4 იძლევა ისფერს. ამ ორი ფერის შერწყმა იძლევა მწვანე ფერს [8, გვ. 549]. სამწუხაროდ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ნიმუშების მეტად მცირე რაოდენობამ და ეტალონების არარსებობამ საშუალება არ მოგვცა დაგვედგინა ნაერთი, რომელსაც შეეძლო მწვანე ფერი გამოეწვია.

რა თქმა უნდა, მხოლოდ ასეთი მეთოდი ღრმა დასკვნების გაკეთების საშუალებას არ იძლევა. ამისთვის საჭიროა ჩატარდეს მრავალშერივი გამოკვლევა სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით. ტექნიკური აღჭურვილობის უქონლობის გამო კვლევის ამ ეტაპზე ვერ დადგინდა კონკრეტულად რომელი მღებავი ნივთიერებებია შემავალი საკვლევ ობიექტში. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ზემოთმოყვანილ მაგალითებს და იმ გარემოებას, რომ მანგანუმის და რკინის იონთა ზემოქმედებით მიიღება „ჭუჭყიანი“ (არასაღი) მწვანე ფერი,

მიახლოებული ე.ნ. ბოთლის ფერთან, შეიძლება გამოვთქვათ ვარაუდი, რომ სწორედ ამ ორი ნივთიერების ზემოქმედებით მიიღეს დველმა ოსტატებმა აღნიშნული მინის ფერი.

ლიტერატურა

1. ბახტაძე რ. უძველესი მინის ნარმოების ზოგიერთი საკითხი. სამუზეუმო ექსპონატების რესტავრაცია, კონსერვაცია, ტექნოლოგია. თბ., 1980, გვ. 50-91.
2. ბახტაძე რ. უძველესი მინის შესწავლისათვის, თბ., 1964.
3. კაპანაძე მ. სარუხანიშვილია, ჩაგუნავარ. მინის ქიმია და ტექნოლოგია ძველ საქართველოში, თბ., 2004.
4. პაპუაშვილი რ. არქეოლოგიური გათხრები ყულები 1999-2001 წლებში. ურბანიზმი შავიზღვისპირეთში არქაულსა და კლასიკურ ხანაში. შავიზღვისპირეთის ძველი ისტორიისა და არქეოლოგიის X საერთაშორისო სიმპოზიუმი. ვანი 2002 წლის 23-26 სექტემბერი. მოხსენებათა მოკლე შინაარსები (ძიებანი, დამატებანი VIII), თბ., 2002, გვ. 31-32.
5. საგინაშვილი მ. მინის „დამღიანი“ ოთხნახნაგა ჭურჭელი მცხეთიდან. (ძიებანი, დამატებანი II), გვ. 39-47.
6. შალიკაძე თ. გვიანანტიკური და ადრეძუასაუკუნეების მინის ნანარმი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირეთიდან, საკანდიდატო დისერტაციის ავტორუფერატი. თბ., 2004.
7. Алексеева Е.М. Античные бусы Северного Причерноморья, Археология СССР, вып. Г-1=12, 1975.
8. Бутт Ю.М., Дудерев Г.Н., Матвеев М.А. Общая технология силикатов, М., 1962.
9. Варгин В.В. Производство цветного стекла, М-Л, 1940.
10. Кунина Н.З. Античное стекло в собрании Эрмитажа. Каталог, ТГЭ, 1997.
11. Павлов В.В., Ходжаш С.И. Художественное ремесло Древнего Египта, М., 1959.
12. Стекло и глазури Древней Ассирии, Керамика и стекло, № 12, 1926.
13. Флитнер Н. Культура и искусство двуречья, 1958.
14. Флитнер И. Стёколно-керамические мастерские Тель-Амарны, Петроград, 1921.

ფრთოსანი ღვთავების (სრაუშის) გამოსახულება სასანურ გლიკტიკაში და მისი კავშირები დასავლურ სამყაროსთან

ირანში სასანიანთა დინასტიის დამკვიდრებასთან ერთად მკაფიოდ გამოიკვეთა მმართველი ძალების მიერ, ძველ აქემენიდურ ტრადიციებზე დაყრდნობით, უძველესი ირანული ფესვების ალორძინებისა და ნაციონალური თვითშეგნების განმტკიცების მცდელობა. ამის გამო ოფიციალური ხელოვნებაც, ემსახურებოდა რაცენტრალიზებული სახელმწიფოს ინტერესებს, სასტიკად უარყოფდა ყოველივე უცხოურს და განსაკუთრებით უპირისპირდებოდა პართული ირანის ხელოვნებაში დასავლური, კერძოდ კი, ანტიკური ხელოვნების ძლიერ კვალს. პართული ხელოვნება მართლაც მთლიანად გაუდენთილი იყო ელინიზმის ძლიერი გავლენით. ამავე დროს მისთვის დამახასიათებელი იყო რთული სინკრეტიზმი, სხვადასხვა მხატვრული მიმართულებების შერწყმა და თანაარსებობა ძველ-აღმოსავლური, ირანული (აქემენიდური) და პერძენულ-რომაული სახეებისა. ასე მაგალითად ჰერაკლეს სახე შეეთვისა ირანულ ვერეთრაგნას, აპოლონი გაიგივებული იყო მითრასთან, არტემიდესა და აფროდიტეს სახეები შეიერთა ანაპიტამ [24, გვ. 153]. პართულ ხელოვნებაზე დასავლური გავლენა ჩანს არა მხოლოდ თემატიკაში (გავიხსენოთ თუნდაც მერვისა და ნისას ნაქალაქარის საბეჭდავებისა და თიხის ანაბეჭდების გამოსახულებანი – ნიკე, ეროტი, აფროდიტე, პეგასი და სხვ. [11, გვ. 159-168; 13, გვ. 201], არამედ გამოსახულებათა სტილში და ფორმების გადმოცემის ტექნიკაში. დასავლური ელემენტების დაფუძნებამ მახლობელი აღმოსავლეთის ხელოვნების ტრადიციებზე გამოიწვია ახალი, პართული სტილის ჩამოყალიბება, რომლის ბრნყინვალე ნიმუშებია დურა—ევროპოსის ფრესკები, პალმირასა და პეტრას ფრონტალური ქანდაკებები [18, გამ. 59, 94, 100, 105, 106], რომელთათვის ერთგვარი განყენებული

სახეები, რიგიდულობა, სხეულის ნაკვთებისა და სამოსის პირობითი ასახვა, დიდი ზომის თვალებზე ყურადღების კონცენტრირებაა დამახასიათებელი. ყველა ეს ნიშანი შემდეგში განვითარებას პოვებს ჩამოყალიბების გზაზე მდგომ ქრისტიანულ ხელოვნებაში [24, გვ. 135-136].

სასანური ხანის ირანმა სცადა უარეყო ეს უცხოური ტენდენციები და მიბრუნებოდა ნმინდა ირანულ – აქემენიდურ ტრადიციებს; კერძოდ, მეფეთა ღვთაებრივი ნარმომავლობის ასახვას მონუმენტური ხელოვნების ძეგლებზე (ადრეული ხანის გრანდიოზულ კლდის რელიეფებზე) [16, გამ. 197, 205, 212] და კანონს დაქვემდებარებულ მცირე ხელოვნების ძეგლებზე, როგორიცაა ოფიციალური სასანური პორტრეტი გემებზე [5, გამ. 1,14; 16, გამ. AA 1, AD 1,2; 24 გამ. 60], ნადირობისა და ტრიუმფის ამსახველი სცენები ტორევტიკულ ნანარმზე [14, გამ. 9, 11, 19; 26, გამ. 6,7,12]. სასანური ხელოვნების ღრმა შესწავლამ მკვლევარებს დაანახა, რომ დასავლური გავლენის მთლად გაქრობა ვერ მოხერხდა და მასთან ბრძოლა საკმაოდ ძნელი გამოდგა. სასანური სახელმწიფოს ჩამოყალიბების საწყის საფეხურზე ეს, ერთი მხრივ, განაპირობა პოლიტიკურმა რეალობამ: შაპურ I დროს ირანში მასიურად დაინტენციურირებული ხელოსნების გადმოსახლება. ამის კვალი მკაფიოდ ჩანს ბიშაპურის მოზაიკაში, რომლის თემატიკა დიონისიური ნრისაა [15, გვ. 296; 24, გვ. 101-102]. იგივე შეინიშნება ამავე ხანის სხვა ძეგლებზე. ისევე, როგორც პართულ ხანაში, სასანურ ლითონის ჭურჭელზე ვხედავთ ჰერაკლე-ვერეთრაგნას სახეს [26, გვ. 51, გამ. 13], დიონისური მისტერიების პერსონაჟებთან ახლოს მდგომ მოცეკვავე და მუსიკოს ქალებს, ასევე ნაყოფებითა და სასმისებით ხელში მიმავალ, ან მოხდენილად მდგომ ქალწულებს [12, გამ.

36-40, 40-48; 24, გვ. 51, გამ. 18]. პრ.ჰარპერი მიიჩნევს, რომ დასავლური სახეების გადმოტანა და ზოროასტრიზმთან მათი შერწყმა, მეორე მხრივ, განპირობებულია იმით, რომ საწყის ეტაპზე ჯერ არ იყო ჩამოყალიბებული მკვეთრი სასანური იკონოგრაფია; ამიტომ, უცხოურ სახეებს, ხშირად უცვლელად გადმოღებულს, ახალი რელიგიური შინაარსი ენიჭებოდა [26, გვ. 44].

ეს საერთო ნიშანი სასანური ხელოვნებისა კარგად გამოვლინდა გლიპტიკურ ძეგლებზე და საქართველოში აღმოჩენილ მასალაშიც იჩინა თავი. სამთავროს სამაროვნის №104 სამარხის სარდიონის ინტალიოზე გამოსახული მამაკაცი ქისითა და მოსასხამით ხელში, ანტიკური ჰერმესის გამოძახილი უნდა იყოს, ხოლო კაპიტოლიუმის ძუ მგლის და ჩვილების გამოსახულების ძალზე სქემატური გამეორება უნდა იყოს სამთავროს №444 სამარხის სარდიონის ელიფსოიდზე, სადაც დედა-ცხოველი თავის ლეკვებთან ერთად კი არ არის წარმოდგენილი, არამედ მისი მუცლის ქვეშ, ორ, დამოუკიდებლად მდგომ, მცირე სვეტისებურად აღმართულ არსებასთან ერთად, რაც ჩვილი ბავშვების სხეულების მინიშნება უნდა იყოს [2, გამ. 47, 56]. სასანურ გლიპტიკაში ერთ-ერთი გავრცელებული თემა ფრთოსანი ღვთაების (ზოგი ავტორი მათ ფრთოსან გენიებს უწოდებს) – მახარობელი ყმანვილი ღვთაების, სრაუშის გამოსახულებაა. იგი ფრთოდაა გავრცელებული როგორც ადრეული, ისე გვიანსასანური ხანის გემებზე. ეს მოტივიც, ცხადია, ირანულ ხელოვნებაში ბერძნულ-რომაული სამყაროდანაა შეღწეული. იგი უნდა შექმნილიყო, ერთის მხრივ, აფროდიტეს თანმხლები ყმანვილის, ეროტ-კუპიდონის და მეორეს მხრივ, გამარჯვების ქალღმერთის, ნიკე-ვიქტორიას სახეების მიხედვით. ორივე ეს სახე დამოუკიდებლად აისახა ირანის ხელოვნებაში. ეროტი (Putto) გხვდება შაპურ I ტრიუმფის ამსახველ რელიეფზე ბიშაპურიდან [18, გამ. 198], ასევე ხშირია მისი გამოსახულება-ნი ტორევტიკის ძეგლებზეც [14, გამ. 29, 33, 57]. ნიკე-ვიქტორიას წყვილი გამოსახულება

კი ამკობს თაღი ბოსტანის ხოსრო II ინვესტიცურის სცენის ამსახველ რელიეფს [22, გამ. 113]. ზოროასტრულ სიმბოლიკაში ამ ორი სახის გავლენით თავდაპირველად ჩამოყალიბდა სამეფო ძლიერებისა და წარმატების მფარველი, იღბლიანობის ღვთაების, ხვარენას თანმხლები მახარობელი ყმანვილ-ღვთაების სახე. შემდეგ კი იგი უფრო ფართო, ყოფით ხასიათს იღებს და ზოგადად ოჯახის წარმატების, ქორწინების, კეთილდღეობის მფარველად იქცევა. სწორედ ამიტომ, საქორწილო წყვილების გამოსახულებებზე მეფე-დედოფალს ხელში ისეთივე ბაფთებით შემკული გვირგვინები უჭირავთ, როგორიც ბიშაპურის Putto-s და გემებზე გამოსახულ მახარობელ ყმანვილებს [17, გვ. 66].

სრაუშის გამოსახულებები სასანურ გლიპტიკაში გვხვდება როგორც მაღალხარისხოვან, დახვეწილად შესრულებულ გემებზე, ისე საკმაოდ უხეშ, სქემატურად შესრულებულ ცალებზე, რაც იმის მაჩვენებელია, რომ იგი საზოგადოების ფართო ფენებში იყო პოპულარული. მიუხედავად შესრულების ხარისხისა, ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები მაინც ყოველთვის ხაზგასმულია. გემებზე იგი უმთავრესად მფრინავი ან მარჯვნივ მიმავალი შიშველი ყმანვილის სახითაა წარმოდგენილი, რომელსაც ხელში „სამეფო“ (დიდების) გვირგვინი უჭირავს. ზოგჯერ მას მამლის სახით გამოსახავდნენ (მამალი, როგორც დილის მაუწყებელი, მახარობელი სიმბოლი), ან შერწყმული სახით – ნელს ზემოთ ყმანვილის, ნელს ქვემოთ კი ფრინველის სახით [16 გამ. BK 1, 2, 3, 4, 6, 7; 19, გამ. 40. 1, 40. 2, 40. 3].

ქვემოთ განვიხილავთ საქართველოში აღმოჩენილ რამოდენიმე საბეჭდავს, რომლებსაც ზემოთ აღნიშნული გამოსახულებები ამკობს. აქვე უნდა ითქვას, რომ ჩვენში აღმოჩენილ რომაულ ინტალიოებზე საკმაოდ ხშირია ფრთოსანი ეროტების გამოსახულებანი, მაგრამ მათი განხილვა ამჯერად ჩვენს ამოცანას არ შეადგენს.

სამთავროს სამაროვნის №69 სამარხის (1938 წლის განათხარი) ორჯეონვანი ნიკო-

ლოს ინტალიოზე გამოსახულია პროფილში მარჯვენივ მიმართული, მინიატურული, შიშველი ფრთოსანი არსება [10, გამ. 77] (ტაბ I, 1). მას ჩვილი ბავშვის ჩასუქებული სხეული აქვს, ზურგს უკან მცირე ფრთა მოუჩანს და წინ განვდილ ხელებში გაურკვეველი საგნები უჭირავს (ვფიქრობ, გვირგვინი არ უნდა იყოს, როგორც ამას მაქსიმოვა მიიჩნევს [8, გვ. 268]. შესაძლოა, კროტალებია). ცალი ფეხი მუხლშია მოხრილი, რაც ფრენის შთაბეჭდილებას ქმნის. ეს გამოსახულება ახლოს დგას ანტიკურ ეროტებთან. ჩვილის სხეული, გაფრიალებული თმის კულული კეფაზე, იმის ცდა, რომ სხეულის მომრგვალებული ფორმები იყოს ასახული, მის ადრეულობაზე მეტყველებს და აშკარად ჩანს, რომ ანტიკური გამოსახულებების მიბაძვითაა შესრულებული. თუმცა არის ზოგიერთი ისეთი დეტალი, რომელიც განსხვავებულადაა გადმოცემული: მაგალითად, ყანწისებურად ჩაგრეხილი ფრთა უკვე განსხვავდება ანტიკურ ძეგლებზე ფრთის გამოსახვის მანერისაგან. ქვის ფორმა – წაკვეთილი კონუსი (სადაც გამოსახულება მცირე მხარეზეა) ადრეული სასანური ძეგლებისათვისაა დამახასიათებელი და ისევ ანტიკური ფორმის გამოძახილია [16, გვ. 21-22, გამ. AA1, AC1], ისევე როგორც ორფენოვანი ქვის გამოყენება გამოსახულებისა და ფონის განსხვავებულ დონეებზე კვეთის შემთხვევაში [მსგავსი გამოსახულება იხ. 16, გამ. BK 2, 3, 4].

ვერცხლის ბეჭედი შედგება მხრებისაკენ მკვეთრად გაფართოებული ვიწრო რკალისა და რომბისებური ფორმის ბუდისაგან. თვალი ბუდიდან წამოწეულია. ბეჭდის ფორმაც ადრეულ თარიღს (III-IV საუკუნეები) ადასტურებს.

ავტალის კარის №70 სამარხის (1983 წლის განათხარი) ლაუვარდის ინტალიოს გამოსახულებაც ახლოს დგას ანტიკურ ეროტებთან. ფრთოსანი არსება აქ ისევ ჩვილის სახითაა წარმოდგენილი (ტაბ. I, 2). გამოსახულება ზედაპირულადაა ნაკვეთი, მაგრამ მაინც გაირჩევა მცირე ზომის თავი, მოგრძო ღრმულით

მინიშნებული სხეული, ზურგს უკან დაშვებული, მოზრდილი ფრთა და მოსქი, ბავშვური კიდურები. იგი მარჯვინივაა მიმართული, ხელები წინა აქვს განვდილი და მის წინ მდგომ საკურთხევლის თავზე უჭირავს გვირგვინი. საკურთხეველი წარმოადგენს მცირე ბაზაზე მოთავსებულ კოლონას, რომელიც დაბრტყებული ფილით ბოლოვდება. ფრთოსანი ღვთაების ეს პოზა ეხმიანება ზოროასტრული კულტისათვის დამახასიათებელ რიტუალს, სადაც ქურუმი ბარსომის (წმინდა მცენარის) რტოს ატარებს ცეცხლის აღზე. აქ ვხედავთ ერთგვარ შერწყმას, როდესაც ანტიკური ხელოვნებიდან შესული სახე (ეროტი) ასრულებს ზოროასტრული რიტუალისათვის დამახასიათებელ მოქმედებას [სცენა საკურთხეველთან სასანურ გემებზე იხ. 16, გამ. BD1,2,4,5].

ვერცხლის ბეჭედი შედგება დაბალი, ცილინდრული ფორმის ბუდისა და წვრილი რკალისაგან. იგი შემკულია აღმოსავლური ბეჭდებისათვის დამახასიათებელი მორთულობით — ბუდეზე შემოვლებული გრეხილი მავთულით და რკალის ბუდესთან მიერთების ადგილას, ორივე მხარეს, წყვილი ბურთულაკებით. მსგავსად შემკული ბეჭდები მრავლადაა წარმოდგენილი V-VII საუკუნეების ქართულ ძეგლებზე [2, ტაბ. X, 38, ტაბ. XI, 81; 1, ტაბ. XXXV, 11, 12, 13]. ვფიქრობთ, ინტალიოც V საუკუნით შეიძლება დათარიღდეს.

ამ ორი გამოსახულებისაგან სრულიად განსხვავებულია სამთავროს №171 სამარხის (1939 წლის მონაპოვარი) ქალცედონის ელიფსოიდზე ამოკვეთილი გამოსახულება (ტაბ. I, 3). ფრთოსანი არსება პროფილში მარჯვინივ მიემართება. მისი ნაკვთები უხეში ღარებითა და ხაზებითაა გადმოცემული. პროპორციები დარღვეულია, დიდი ზომის თავი და სახის ნაკვთები სრულიად პირობითადაა გამოსახული. შედარებით მკაფიოა ოვალური ფორმის ფრთა, რომლის ბოლოზე პარალელური ხაზებით დაკეცილი ბუმბულიც კი არის მინიშნებული. სქელი კიდურები უსიცოცხლოდაა გაშეშებული და ფრენის მდგო-

მარეობას არ ასახავს. ძნელი დასადგენია მისი ასაკიც — ჩვილია, თუ მოზრდილი ყმაწვილი. წინ განვდილი ხელებით ბაფთებით შემკული გვირგვინი უჭირავს. ამ დეტალის გადმოცემა სასანურ გლიპტიკაში ხშირად ძალზე პირობითია, თუმცა არის ისეთი მაღალი დონის ნამუშევრებიც, სადაც თვით ყმაწვილის სხეული, მისი პოზა, სახის ნაკვთები საოცრად რეალისტურადაა გამოსახული. გვირგვინი და მისგან ჩამოშვებული ბაფთები ფაქტიზად, წმინდა ხაზებით არის ნაკვეთი და ქსოვილის ჩაკეცილი ნაოჭებიც კი მკაფიოდ ჩანს [16, გამ. BK 2, 5, 6; 19, გამ. 9.69]. შემდეგ, დროთა განმავლობაში, ამ თემის ხშირი გამეორების დროს, შედარებით უფრო მდარე ხარისხოვან ჭრილა ქვებზე, მატულობს სქემატიზაცია, დეტალების პირობითი გადმოცემა და თანდათან ყალიბდება ე.ნ. შტრიხული მანერით შესრულებული ნიმუშები. სამთავროს ელიფსონიდზე ეს სქემატურობა და პირობითობა მაქსიმალურადაა წარმოჩენილი. გვირგვინი ორი უხეში რკალითაა მინიშნებული. ხელოსნის დაუდევრობა ჩანს იმაშიც, რომ რკალები ერთმანეთთან გადაბმულიც კი არა არის, რათა გვირგვინი რგოლის სახით ყოფილიყო გამოსახული. გვირგვინიდან ჩამოშვებული ბაფთები კი „კიბისებურად“ განლაგებული უხეში ხაზებით არის წარმოდგენილი. კვეთის მანერის მიხედვით გამოსახულება აშკარად ამ სახის შედარებით გვიანდელ გამეორებას უნდა წარმოადგენდეს. მსგავსი გამოსახულებები მრავლად გვხვდება სასანურ გემებზე [16, BK 7; 5, გამ. 159 – მსგავსება გვირგვინის გამოსახვის მანერაში]. ქვის ფორმა — სადა ელიფსონიდი ა. ბივარის სქემის მიხედვით V საუკუნით თარიღდება [16, გვ. 23-24]. ვფიქრობთ, რომ სამთავროს საბეჭდავი V საუკუნის მეორე ნახევარს უნდა განეკუთვნოს.

რუსთავის ნაქალაქარის ტერიტორიაზე 1950 წელს შემთხვევით მოპოვებულ სარდიონის ელიფსონიდზე ისევ შიშველი ფრთოსანი არსებაა ამოკვეთილი (ტაბ. I, 4). იგი აქ არა ჩვილის (Putto) სახითაა წარმოდგენილი, არამედ მოზრდილი ყმაწვილია. კვეთა შესრუ-

ლებია მსუბუქი, ზედაპირული ხაზებითა და ღრმულებით. სხეული და გრძელი ფრთა გამოსახულია ოვალური ღრმულით. სქემატურად მინიშნებული სახე, კიდურები და ფრთის ბოლოს დაკეცილი ბუმბული წმინდა ხაზებითაა ასახული. წინ განვდილ ხელებში ტრადიციულად გვირგვინი უჭირავს, რომელიც ისევ პირობითად „კიბისებურად“ ასახული ბაფთებით არის შემკული. ამ საბეჭდავზეც ჩანს ტენდენცია სქემატიზაციისაკენ, მაგრამ პოზაც უფრო ბუნებრივია და დეტალებიც უფრო ფაქტიზადაა გადმოცემული. ამ გამოსახულებას სასანურ ძეგლებზე მრავალი ანალოგია ეძებნება [20, გამ. 40. 2; 17, გამ 9. 69]. სტილისტურად იგი უახლოვდება V საუკუნის და შემდეგი ხანის სასანურ ძეგლებს, რომელთათვის ძირითადად დამახასიათებელია ბრტყელირელიეფი, სქემატიზაცია, ხაზოვანი კვეთით დეტალების გადმოცემა. ელიფსონიდი გვერდებზე ორნამენტირებულია დიაგონალურად მოთავსებული, ორ-ორი ხაზით შედგენილი სამკუთხედებით. ასეთი ორნამენტით შემკული ელიფსონიდებიც, ძირითადად, V საუკუნითა და უფრო გვიანი ხანით თარიღდება [16, გვ. 23-24].

როგორც დავინახეთ, ოთხივე საბეჭდავზე ფრთოსანი ყმაწვილი-ღვთაება არის გამოსახული, მაგრამ სტილისტურად ისანი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. პირველ ორს აშკარად ეტყობა ანტიკური ეროტების ძლიერი გავლენა, დანარჩენ ორზე კი ეს ნიშნები გამქრალია და მოგვიანო ხანის სასანური ძეგლებისათვის დამახასიათებელი სტილი შეინიშნება — სქემატიზაცია, დეტალების პირობითი გადმოცემა, ხაზოვანი კვეთა.

უნდა აღინიშნოს, რომ სასანურ ხელოვნებაში არა მხოლოდ ანტიკური ტრადიციის გავლენამ შეაღნია, რაც უდაოდ, აღმოსავლეთში ელინიზმის გავრცელების შედეგი იყო, არამედ ასევე ა.ნ. პირველ საუკუნეებში მახლობელ აღმოსავლეთში თანდათან ფეხმოკიდებული ქრისტიანობის სახეებმა და სიმბოლიკამ იჩინა თავი. ხშირია სასანურ საბეჭდავებზე სასანური თემატიკის, ოფიციალური

ნარმოჩენაზე. ამის გამო მისთვის აუცილებელი გახდა სიმბოლოების ენით მეტყველება და მაქსიმალური პირობითობა [6, გვ. 284]. ყოველივე ამან განაპირობა, რომ ადრეული ხანის ქრისტიანობამ გაცილებით მეტი საერთო გამონახა მახლობელი აღმოსავლეთის ხელოვნებასთან, ვიდრე დასავლურ ტრადიციებთან [7, გვ. 46-49; 12, გვ. 272]. ამის გამო, ხშირად ის სახეებიც კი, რომლებიც ანტიკური ხელოვნებიდან იღებს სათავეს, ქრისტიანულ ხელოვნებაში მკვიდრდებოდნენ მათი აღმოსავლური ვარიანტების მიხედვით [7, გვ. 46]. მახლობელი აღმოსავლეთის ხელოვნებაში დამკვიდრებული მკაცრი კანონიკურობა, გამოსახულებათა იერატიული სტილი, ფორმების გრაფიკული მონახაზი, პირობითობა და სახეთა რთული სიმბოლური დატვირთვა კარგად ესადაგებოდა ახლად ჩამოყალიბების გზაზე მდგომ ქრისტიანულ ესთეტიკას. მისი ძირითადი ამოცანა კი იყო არა რეალური სინამდვილის ასახვა და ჭვრეტა (რაც დამახასიათებელი თვისებაა ანტიკური ხელოვნებისა), არამედ ღრმა ფსიქოლოგიზმი ყველა მოვლენის და უპირველეს ყოვლისა, ადამიანის შინაგანი სამყაროს სულიერების წვდომა და ამ გზით მუდმივად მისი სრულყოფისაკენ სწრაფვა [6, გვ. 262]. სწორედ ამიტომ ქრისტიანული მსოფლებელები ყალიბდებოდა რა ამ ორი ურთიერთსანინააღმდეგო მსოფლმხედველობის ურთიერთდაპირისპირების ფონზე, გამომსახველობითი ფორმების ძიების დროს, მეტ საერთოს ნახულობდა მკაცრ, ასკეტურ მახლობელ აღმოსავლურ ხელოვნებასთან და მის ტრადიციებთან. ეს უკანასკნელი თავისი სისადავით, ერთის მხრივ და აღეგორიულ-სიმბოლური ხასიათით მეორეს მხრივ, უფრო კარგად ეხმიანებოდა სპირიტუალური შინაარსით დატვირთული ხელოვნების განვითარებას [12, გვ. 265, 271, 272].

ამის მკაფიო სურათს იძლევა სწორედ ადრეული შუასაუკუნეების ხანის ქართული ხელოვნების ძეგლები. თუ გავიხსენებთ VI-VII საუკუნეების ქვის სტელებისა და ადრეული ეკლესიების რელიეფურ გამოსახულებებს,

დავინახავთ, რომ მათზე ყველა ეს ნიშანი იჩენს თავს. ასე, მაგ. თეთრი წყაროს, ბოლნისის, ეძანის რელიეფებზე, სადაც უმთავრესად ქრისტეს, ჯვრის ამაღლების და ღვთისმშობლის განდიდების სცენებია წარმოდგენილი, ყველგან, ძირითად პერსონაჟთა გვერდით მათი თანმხელები ანგელოზები არიან გამოსახული. ანგელოზების პოზა, მათი ატრიბუტები გამოხატავენ თაყვანისცემას და განდიდებას ძირითადი პერსონაჟებისა. სწორედ აქ ჩანს მსგავსება ზემოთ აღნერილ ფრთოსან გენიებთან, რომელთა ძირითადი მიზანი მთავარ ღვთაებათა თანხლება, მახარობლობა და კეთილდღეობის მაუნყებლობა იყო. ხაზგასასმელია, რომ სტილისტური თვალსაზრისითაც შეინიშნება მსგავსება. კერძოდ, ამ ადრეული ხანის ქართულ რელიეფებზე აშკარად ჩანს მახლობელი აღმოსავლეთის ხელოვნებასთან, კერძოდ კი ნინა აზიის უძველეს ქრისტიანულ ძეგლებთან კავშირი. ასეთებია სირიის (კანაშირის და ზებედის) VI საუკუნის ეკლესიების რელიეფები, ეგვიპტის VI-VII სს. მონასტრის ფრესკები და რელიეფი ბაუიტადან [3, გვ. 26]. ასეთივე ანგელოზები გვირგვინითა და საკმევლით ხელში გამოსახულია სირიის უძველესი სახარების მინიატურაზე რაბულადან [3, გვ. 27, 30]. გასათვალისწინებელია მკაფიო საფეხურზე ადგილობრივი (ქართველი) ოსტატები, როგორც ჩანს, ნიმუშად მონუმენტურ ძეგლებზე თავისი სიუკეტებისათვის იღებდნენ კომპოზიციებს, ცალკეულ სახეებს და ორნამენტულ დეტალებს მცირე ხელოვნების ძეგლებიდან, რომლებიც უცხოეთიდან, ძირითადად მახლობელი აღმოსავლეთის სხვადასხვა ცენტრებიდან შემოდიოდა [3, გვ. 30; 12, გვ. 265]. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის შეუსაბამობა მასტებებში, რომელიც შეინიშნება ზოგიერთი ჩვენი მონუმენტური ძეგლის რელიეფებზე, სადაც ხშირად დიდ, ცარიელ არეზე მცირე გამოსახულებაა მოთავსებული.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, მსგავსება მახლობელი აღმოსავლეთის ძეგლებთან

ვლინდება გამომსახველობითი ხერხების გა-
მოყენებაში. ანგელოზთა გამოსახულებები
უაღრესად პირობითია, ხაზოვანი კვეთით
გადმოცემული მათი სამოსი და ფრთები ორ-
ნამენტულ-დეკორატიული იერის მქონეა.
სახის ნაკვთები და სხვა დეტალები გამარ-
ტივებული ხერხებით არის გადმოცემული,
თითქოს ფრენის მდგომარეობაში მყოფი მა-
თი სხეულები უძრავად გაშეშებულია, მაგრამ
სწორედ ეს გარეგნულად შეზღუდული, მარ-
ტივი სახეები შეიცავენ ღრმა სულიერებას,
ძლიერ შინაგან ექსპრესიას, რომელიც მნახ-
ველს აძლევს შესაძლებლობას თვალი მიაპყ-
როს არა გარეგნულ ბრწყინვალებას, არამედ
შინაგანად ჩაუღრმავდეს გამოსახულების
ღვთაებრივ არსეს. ამ გამარტივებული, ერ-
თგვარად გულუბრყვილო სახეების საფუძ-
ველზე თანდათან ყალიბდება სიმბოლური
მნიშვნელობის მქონე, მკაცრი იკონოგრაფი-
ული სახეები, რომლებმიც ღრმა შინაარსია
ჩადებული და რომელთა მიზანია ქრისტიანო-
ბის უმაღლესი სინმინდეების განდიდება და
მათდამი თაყვანისცემის დამკვიდრება.

ლიტერატურა:

1. აფხაზავა ნ. ქვემო ავლევი ადრეულ შუასაუკუ-
ნებში, თბ., 1988.
2. რამიშვილი ქ. სასანური გემები საქართველოში,
თბ., 1979.
3. Аладашвили Н. А. Монументальная скульптура
Грузии, М, 1977.
4. Борисов А.Я. Эпиграфические заметки. Об одной
Сасанидских резных камней, Труды отдела исто-
рии культуры и искусства Востока, I, Л., 1939, с. 235-
242.
5. Борисов А.Я., Луконин В.Г. Сасанидские геммы, Л.,
1963.
6. Бычков В.В. Эстетика поздней Античности, М.,
1981.
7. Лазарев В.Н. История Византийской живописи, М.,
1947.
8. Луконин В.Г. Древний и Раннесредневековый
Иран, М., 1987.
9. Луконин В.Г. Библейский сюжет в Сасанидской
глиптике, СГЭ, XLVII, Л., 1982, с. 49-50.
10. Максимова М.И. Геммы из некрополя Мцхеты-
Самтавро, სსმმ XVI-B, Тб., 1950, გვ. 221-274.
11. Масон М. Е., Пугаченкова Г.А. Оттиски Парфянских
печатей из Нисы, ВДИ, № 4, М., 1954, с. 159-168.
12. Мачабели К. Г. Каменные кресты Грузии, Тб., 1998.
13. Пугаченкова Г.А. Мервские геммы-интальи, Труды
ЮТАКЭ, Ашхабад, 1963, с. 201-208.
14. Тревер К.В., Луконин В.Г. Сасанидское серебро,
Собрание Государственного Эрмитажа, Москва,
Искусство, 1987.
15. Фрей Р. Наследие Ирана, М., 1972.
16. Bivar A.D.H. Catalogue of the Western Asiatic Seals in
the British Museum, Stamp Seals, II, London, 1969.
17. Brunner Chr.J. Sassanian Stamp Seals, in the Metro-
politan Museum of Art , New York, 1978.
18. Ghirshman R. Iran Parthians and Sassanians, printed
in France, 1987.
19. Gignoux Ph. Catalogue des Seaux, Camees et Bulles
Sassanides, II, Paris, 1978.
20. Gignoux Ph., Gyselen R. Bulles et sceaux Sassanides
de diverses collections, Studia Iranica, Cahier, 4, Paris ,
1987.
21. Gignoux Ph. Sceaux chretiens, d'époque Sassanide,
Iranica Antiqua, 15, 1980.
22. Godard A. The art of iran, London, 1961.
23. Lerner J.A. Christian Seals of the Sassanian Period,
Nederland Historische-Archaeologische Institute,
Istanbul, 1977.
24. Lukonin V. Iran, des Seleukides aus Sassanides, II,
Archaeologia Mundi, Geneve, 1967.
25. Harper Pr. O. Representational motifs on the Seal-
ings, Sassanian Remains from Quasri-Abu Nasr, ed. by
Richard En. Frey, Cambridge, Massachusetts, 1973, p.
66-87.
26. Harper Pr. O. The Royal Hunter, Art of the Sassanian
Empire, Asia House Gallery, New York City, 1978.

რომაული ხანის მოჭიქული თიხის ჭურჭელი, იშვიათ მონაპოვართა რიცხვს მიეკუთვნება. საქართველოში იგი პირველად აღმოჩენილ იქნა 1882 წელს, ფრიდრიხ ბაიერნის მიერ [11].

დღეისათვის ჩვენთვის ცნობილია 36 ასეთი ჭურჭელი. აღმოჩენილია: მცხეთა-სამთავროში - 28, ყოლოთოში - 2, ურბნისში, უინვალში, არაგვისპირში, თრიალეთში - თითო, სომხეთში, არტაშატის სამაროვანზე - 2.

15 მოჭიქული თიხის ჭურჭელი აღმოჩენდა სამარხეულ კომპლექსებში, 21 ნამოსახლარ ფენებში ან შემთხვევითი მონაპოვარია.

განსახილველი მოჭიქული ჭურჭლების თიხა მოთეთრო ფერისაა წვრილი მინარევებით. დამზადებულია ხელით, გამოწვის ხარისხი საშუალოა. მოჭიქულია მთლიანად ძირჯუსლის გარდა. ცნობილი ცენტრების ასეთ კერამიკასთნ შედარებით, მდარე ხარისხის ნაწარმია. უმეტესობა მწვანედაა მოჭიქული (სომხეთში აღმოჩენილი ცალებიც). დანარჩენი ეგზემპლარები: მომწვანო-მოცისფრო, მოცისფრო, ღურჯი, ვერცხლისფერი, მოცისფრო-მონაცრისფროა.

ამგვარ თიხის ჭურჭლებს, ქართველი და სომეხი მკვლევარები ათარილებენ ა. ნ. I-IV საუკუნეებით. ასევე განსხვავებული მოსაზრებანი არსებობს მათი წარმომავლობის შესახებ.

ადგილობრივ დამზადებულად მიაჩნიათ: ალ. კალანდაძეს, გ. ლომთათიძეს, გ. გობეჯიშვილს და ა. აფაქიძეს [11], ხოლო შემოტანილად თვლიან (სირია, დურა-ევროპოსის სამაროვანი) - ალ. ბოხოჩაძე [19], ლ. ჭილაშვილი [18], უ. ხაჩატრიანი [24].

ჩვენს მიერ შემუშავებული ქრონოლოგიის საფუძველზე შევადგინეთ ამ მასალების კატალოგი [5]. დავათარილეთ ა. ნ. III საუკუნით [7; 9; 10].

სამარხების დათარილებისათვის გამოყენებულია შემდეგი მეთოდი: მოჭიქული თიხის ჭურჭელთა კომპლექსების შემცველი ნივთების პარალელიზაცია, ჩვენს მიერ გამოყოფილ, გვიანრომაული ხანის ე. ნ. საყრდენ კომპლექსებთან. მხედველობაში გვაქვს დღეისათვის საქართველოში ცნობილი, გვიანრომაული ხანის ის სამარხეული კომპლექსები, რომლებიც შეიცავენ III და IV საუკუნეების მონეტებს. გამოქვეყნებულია 47 კომპლექსი. გამოუქვეყნებელია 5, სულ 52.

მოჭიქული თიხის ჭურჭელთა კომპლექსების დათარილებაში ჩვენ ვეყრდნობოდით აგრეთვე სამთავროს გვიანრომაული ხანის სამარხებს, რომლებიც საკნადიდატო დისერტაციაში ჩვენ ამავე საყრდენ კომპლექსებზე და კიდევ სხვა კომპონენტებზე დაყრდნიბით დავათარილეთ ა. ნ. III-IV საუკუნეებით [9]. რაც შეეხება დაკრძალვის წესს, სათანადო მტკიცებულებების საშუალებით დადგენილი გვაქვს, რომ მცხეთა-სამთავროში დაკრძალვის გაშოტილი პოზა, ა. ნ. III საუკუნეზე ძველი არ არის [10].

შევიმუშავეთ ამ კერამიკის ტიპოლოგიური კლასიფიკაცია.

გამოიყო ოთხი ტიპი (ტაბ. I).

ორყურა მსხლისებურტანიანი (31) (ტაბ. I, სურ. 1).

უყურო მსხლისებურტანიანი-კოჭობი (2) (ტაბ. I, სურ. 2).

ორყურა-კოჭობი (2) (ტაბ. I, სურ. 3).

მათარა (1) (ტაბ. I, სურ. 4).

საქართველოს ფარგლებს გარეთ აღმოჩენილ, რომაული ხანის მოჭიქულ კერამიკასთან შედარებამ (ჩრდილო-შავიზღვისპირეთი, პერგამი, როდოსი [21] (ტაბ. III), ტიგროსის სელევკია, ურუკი, სომხეთი [24], ღურა-ევროპოსი [25]), ცხადყო მათ შორის არსებითი განსხვავება: ფორმა, თიხისა და ჭიქურის ფერი, დამზადების

კატალოგი

სამარხეული კომპლექსები

ხარისხი. ახლო მსგავსება და არა იდენტურობა დადასტურდა მხოლოდ დურა-ევროპოსის (სირია) რომაული ხანის სამაროვნის მცირე ზომის მოჭიქულ კერამიკასთან (ფორმა, ჭიქურისა და თიხის ფერი). სირიული ნაწარმი ჩვენგან განსხვავებით მაღალი ხარისხისაა [25] (ტაბ. III).

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გეოლოგიის განყოფილებაში, 1983 წელს ჩატარებული თიხის მიკროსკოპიული ანალიზის შემდეგ (თ. მორჩაძე), რომელმაც დაადასტურა განსახილველი მოჭიქული ჭურჭლის თიხისა და მცხეთაში სოფელ კოდმანთან არსებული თეთრი თიხების იდენტურობა (ნიმუშებისათვის დამახასიათებელია რკინის მდიდარი შემცველობა. გამოწვის ტემპერატურა ~700°C), გაჩნდა ვარაუდი იმისა, რომ საქართველოში ცნობილი რომაული ხანის მოჭიქული კერამიკა, სირიული მცირე ზომის მოჭიქული კერამიკის მიბაძვით უნდა ყოფილიყო დამზადებული (ფორმა, თიხისა და ჭიქურის ფერი, მოჭიქვის ტექნიკა), ხარისხის გარდა.

უკანასკნელ წლებში ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგად (ნ. უგრელიძე) [17], დადასტურდა საქართველოში მინის წარმოების არსებობა ახ. ნ. IV-VIII საუკუნეებში. ამავე დროს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქიმიურ ლაბორატორიაში (რ. ბახტაძე) ჩატარებული სამთავროს სამაროვნის რომაული (I-III სს.) და ადრე ფეოდალური ხანის (IV-V სს., VI-VIII სს.) მინის ჭურჭლების ქიმიური ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ მინის ნაწარმი ადგილობრივ არის დამზადებული. აგრეთვე ამ სამი პერიოდის მინა ქიმიური შემადგენლობით იდენტურია.

თუ გავითვალისწინებთ რომ ჩვენი ქრისტოლოგიით, რომაული ხანის, ზემოთ ხსენებული გაანალიზებული მასალა, ნაცვლად ახ. ნ. I-III საუკუნეებისა, ახ. ნ. III საუკუნით თარიღდება, მაშინ იდენტური ყოფილა ქართული მინა III, IV-V, VI-VIII საუკუნეებისა.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით რეალურია მოსაზრება იმის შესახებ, რომ ახ. ნ. III საუკუნეში, მცხეთა იყო მინისა და მოჭიქული კერამიკის წარმოების ცენტრი.

1. ყოლოთო. 1939. ორმოსამარხი 10. (2) [16, გვ. 112-117] (ტაბ. I, სურ. 1).
2. არმაზისხევი. 1940. ქვაყუთი 9 [11, გვ. 113-117] (ტაბ. I, სურ. 1).
3. თრიალეთი. 1941. XXIII ყორლანის ყრილში ჩაშვებული ორმოსამარხი [20, გვ. 24, 25, 27. ტაბ. XX, 2.] (ტაბ. I, სურ. 1).
4. ურბნისი. 1960. ხის სარკოფაგი 11 [18, გვ. 64, 68, 79. სურ. 31, 34. ტაბ. XXII, 1. XXIII, 5] (ტაბ. I, სურ. 2).
5. მცხეთა 1966. ქვაყუთი 15 (ტაბ. I სურ. 1). მცხეთის მუზეუმის კოლექცია 10604-10624.
6. არაგვისპირი. 1975. ორმოსამარხი 19 [14, გვ. 85-92. ტაბ. XXV] (ტაბ. I სურ. 1).
7. სამთავრო. 1978. ქვათლილებიანი სამარხი 416. [4, გვ. 753-756; 5, გვ. 6; 6, გვ. 96, 100. სურ. 556-558] (ტაბ. I, სურ. 3).
8. სამთავრო 1978. ქვაყუთი 425 [5, გვ. 16; 6, გვ. 63, 103, სურ. 592, 553-555] (ტაბ. I, სურ. 1).
9. სამთავრო 1979. ქვაყუთი 496 [6, გვ. 64-65, 104. სურ. 359, 360, 361; 13, გვ. 192, 194. სურ. 1512; 22, ტაბ. XL, 1] (ტაბ. I, სურ. 3). (სამარხში აღმოჩნდა მოჭიქული მძივებიც).
10. სამთავრო. 1979. ქვაყუთი 501 [5, გვ. 13-15; 6, გვ. 65, 104. სურ. 362-365; 13, გვ. 194. სურ. 1513-1516; 22, ტაბ. XL, 2] (ტაბ. I, სურ. 1).
11. სამთავრო. 1983. ქვაყუთი 460 [5, გვ. 17-18] (ტაბ. I, სურ. 1).
12. სამთავრო. 1984. ქვაყუთი 754 [5, გვ. 18-19] (ტაბ. I, სურ. 1).
13. სომხეთი. არტაშატის სამაროვანი. 1977 [24, ტაბ. III, სურ. 11] (ტაბ. I, სურ. 1).
14. სომხეთი. არტაშატის სამაროვანი. 1977 [24, ტაბ. III, სურ. 12] (ტაბ. I, სურ. 1).

ნამოსახლარ ფენებში აღმოჩენილი ან შემთხვევით მონაპოვარი მასალა

1. სამთავრო. 1882. ფრიდრიხ ბაიერნის მონაპოვარი [11, გვ. 113-117] (ტაბ. I, სურ. 1).
2. სამთავრო 1946. ჩრდილოეთი უბანი (ტაბ. I, სურ. 1).
3. მცხეთა. 1958. არაგვის ქუჩა, ქვევრი №3 (ტაბ. I, სურ. 1).
4. უინვალი. 1972. I სამაროვანი. ორმო №3 [23, გვ. 34; 15, გვ. 109-110, 115-116] (ტაბ. I, სურ. 2).
5. მცხეთა. სარკინე. უბანი III [19, გვ. 108-109, 122. ტაბ. LIII, 1] (ტაბ. I, სურ. 4).
6. მცხეთა. 1978. საზაფხულო კინოთეატრის ქვაბულში [12, სურ. 648] (ტაბ. I, სურ. 1).
7. სამთავრო. 1978. ჩრდილოეთი უბანი. CX-VIII ნაკვეთი [6, სურ. 565] (ტაბ. I, სურ. 1).
8. სამთავრო. 1980. ჩრდილოეთი უბანი. CX-VIII ნაკვეთი [8, გვ. 8-22, სურ. 87] (ტაბ. I, სურ. 1).
9. სამთავრო. 1980. სამხრეთი უბანი სატელეფონო კაბელის თხრილში [5, გვ. 22] (ტაბ. I, სურ. 1).
10. მცხეთა. 1985. სვეტიცხოვლის ჩრდილოეთ კარიბჭესთან (ტაბ. I, სურ. 1).
11. სამთავრო. 1985. სამხრეთი უბანი. ყოფილი ავტოსადგურის უკან, ქვაბულში [5, გვ. 22] (ტაბ. I, სურ. 3).
12. სამთავრო. 1985. სამხრეთი უბანი. ყოფილი ავტოსადგურის უკან, ქვაბულში [5, გვ. 23] (ტაბ. I, სურ. 1).
13. მცხეთა. არმაზციხე. 1995. ნაკვ. CCLX, კვ. 3 (ტაბ. I, სურ. 1) (01/2-92).
14. მცხეთა. არმაზციხე. 1995. ნაკვ. CCLX, კვ. 2 (ტაბ. I, სურ. 1) (01/2-85).
15. მცხეთა. არმაზციხე. 1996. ნაკვ. CDXXXIX, კვ. 9 (ტაბ. I, სურ. 1) (01/2-301).
16. მცხეთა. არმაზციხე. 1996. ნაკვ. CCCXCVII, კვ. 1 ნარმართული ტაძარი (ტაბ. I, სურ. 1) (01/2-149).
17. მცხეთა. არმაზციხე. 1997. ნარმართული ტაძრის მარნის, №9 ქვევრში (ტაბ. I, სურ. 1) (01/2-340).

18. მცხეთა. არმაზციხე. 1997. ნაკვ. CCCLI კვ. 6 №3 აბანოსთან (ტაბ. I, სურ. 1). (01/3-410).
19. მცხეთა. არმაზციხე. 1997. ნაკვ. CCCLI კვ. 3-6 №3 აბანოსთან (ტაბ. I, სურ. 1). (01/2-353).
20. მცხეთა. 2002. სამედიცინო ცენტრის ქვაბულში (ტაბ. I, სურ. 1).
21. მცხეთა. 2002. სამედიცინო ცენტრის ქვაბულში (ტაბ. I, სურ. 1).d

ლიტერატურა

1. ბახტაძე რ. სამთავროს სამაროვანზე მოპოვებული მინის ჭურჭლის ქიმიური შესწავლა, სსმმ, XVIII-B, თბ., 1954.
2. ბახტაძე რ. საქართველოს უძველესი მინების შესწავლისათვის, თბ., 1964.
3. ლომთათიძე გ. მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის საველე დავთარი შედგენილი 1958 წელს. ინახება ალ. კალანდაძის არქივში. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სამთავროს ფონდი.
4. მანჯგალაძე გ., მანჯგალაძე ი., გიუნაშვილი გ., ლლოტი ნ. სამარხ ნაგებობათა ახალი სახეობა მცხეთაში, სმამ 99, №3, თბ., 1980.
5. მანჯგალაძე გ. გვიანრომაული ხანის მოჭიქული თიხის ჭურჭლი საქართველოში. თბ., 2002. ხელნაბეჭდი. წინამდებარე სტატია ამ ნაშრომის შემოკლებულ ვარიანტს წარმოადგენს.
6. მანჯგალაძე გ. სამთავროს სამაროვნის გვიანანტიკური ხანის სამარხები, 1976-1980 წლებში აღმოჩენილი სამარხეული კომპლექსები, მცხეთა VII, თბ., 1985.
7. მანჯგალაძე გ. სამთავროს ანტიკური ძეგლების ქრონოლოგიისათვის, მაცნე, ისტ. ... სერია, №3, თბ., 1988.
8. მანჯგალაძე გ. არქეოლოგიური გათხრები სამთავროზე 1980 წელს, მცხეთა IX, თბ., 1989.
9. მანჯგალაძე გ. სამთავროს სამაროვნის ქრონოლოგიისათვის ძვ.წ. I - ახ.წ. IV სს-ებში. 1938-1986 წლებში გამოვლენილი სამარხეული კომპლექსების მიხედვით. საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1990.

10. მანჯგალაძე გ. ქართლი გვიანრომაულ ხანაში (არქეოლოგიური ქრონოლოგის საკითხები), თბ., 2002.
11. მცხეთა I. თბ., 1955.
12. მცხეთა V. თბ., 1981.
13. მცხეთა VI. თბ., 1982.
14. რობაქიძე ც. არაგვისპირის სამაროვნის თიხის ჭურჭელი, არქეოლოგიური ძიებანი II-III, თბ., 1982.
15. რამიშვილი რ. ახალი უინვალის სამაროვანი და ნამოსახლარი 1971-1973 წლების განათხარის მიხედვით, უინვალი I, თბ., 1983.
16. სინაურიძე გ. გვიანანტიკური-ადრეფეოდალური ხანის სამარხები ყოლოთოდან, სსმმ, ტ. XXVII, თბ., 1967.
17. უგრელიძე ბ. ადრეულ შუასაუკუნეთა ქართლში მინის წარმოების ისტორიისათვის, თბ., 1967.
18. ჭილაშვილი ლ. ნაქალაქარი ურბნისი, თბ., 1964.
19. ხოხაძე ა. Археологические раскопки на территории городища Саркине и Грдзели Миндори, ПАИ в 1976 году, Тб., 1979.
20. კუტინ ბ. Археологические раскопки в Триалети, Тб., 1941.
21. Марченко И.Д. об античных глазурованных сосудах из музеев СССР. КСИА, № 128, М., 1971.
22. ПАИ в 1979 году, Тб., 1982.
23. Рамишвили Р., Джорбенадзе Б. Археологические исследования в зоне строительства Жинвальского гидротехнического комплекса. Археологические исследования на новостройках Грузинской ССР, Тб., 1976.
24. ხაचატրյան Ж. Античная глазурованная керамика Армении, Историко-филологический журнал, №3, Ереван, 1977.
25. Toll N.P. The excavations at Dura-Europos, II. The Necropolis, London. 1946.

3-ერთის გამოსახულებები მდ. არაგვის ხეობიდან

არაგვის აუზში 1971-1991 წლებში წარმო-ებული არქეოლოგიური გათხრების დროს, მრავალრიცხვოვან მასალასთან ერთად, აღ-მოჩნდა ბრინჯაოსა და ვერცხლის ზოომორ-ფული ფიგურების საკმაოდ მოზრდილი ჯგუ-ფი, რომელიც სამარხეული კომპლექსების მიხედვით ახ.წ.-ის II-IV საუკუნეებით დათა-რილდა. მცირე პლასტიკის ამ ნიმუშთა შო-რის, სხვა ცხოველთა ფიგურებთან ერთად, საყურადღებო ადგილზე უჭირავს ვერძის გა-მოსახულებებსაც, რომლებიც გარეგნული ნიშნების, დანიშნულებისა და დამზადების ტექნიკის მიხედვით სამ ჯგუფად დავყავით.

პირველ ჯგუფში გაერთიანებულია ვერ-ძის ერთი მინიატურული ბრინჯაოს ქანდა-კება, რომელიც ნეძინის სამაროვანზე №187 სამარხში დაკრძალულის ნელის არეში აღ-მოჩნდა (სიგრძე 4,7 სმ, სიმაღლე 3,7 სმ), (ტაბ. I, ნახ. 5). ის არის ჩამოსხმის ნესით მიღებული ვერძის სტილიზებული მომცრო საკიდი ფი-გურა, რომელსაც ზურგზე საკმაოდ მოზრდი-ლი მრგვალი ყუნწი აქვს. ამ პატარა ქანდაკე-ბას კიდურები და ტორსი სქემატურად აქვს დამუშავებული და კუთხოვანი ფორმისაა. პირობითადაა მოდელირებული ცხოველის თავი, რომელზეც ფრონტალურად გაშლი-ლი, მომრგვალებული გრეხილი რქები ადგას. მრგვალი ფორმების (რქები, საკიდი რკალი) რიტმული მონაცვლეობა და მათი შეზამება კუთხოვან ტორსთან დეკორატიულობასა და ერთგვარ დინამიზმს ანიჭებს ვერძის სტატი-კურ გამოსახულებას და მის გამომსახველო-ბას აძლიერებს.

მეორე ჯგუფში გავაერთიანეთ ვერძის თავების გამოსახულებები, რომლებიც აგ-რეთვე საკიდებად ყოფილა გამოყენებული, რაზეც კისრის არეში მოწყობილი ძენკვის გა-საყრელი რკალები მიგვითითებს (ტაბ. I, ნახ. 6,7,8). ამ შემთხვევაში აქცენტი გადატანილია

რქების, როგორც სიმბოლოს მთავარი ატრი-ბუტის მოდელირებაზე და ეს ელემენტი უფ-რო რეალისტურადაა წარმოჩენილი, ვიდრე სახე, ყურები, თვალები და დრუნხი, რომლე-ბიც სტილიზებულია და პირობითი. ხშირად რქები და შუბლი შემკულია მრგვალი რელი-ეფური დანაძერნებით (კოპებით), რომლე-ბიც მნათობის სიმბოლოებადაა მიჩნეული. ვერძის თავებს შორის შესაძლებელია სხვა-დასხვა ვარიანტების გამოყოფა, მაგრამ ძი-რითადი არსით, საერთო იერით, დამზადების ტექნიკითა და დანიშნულებით, ისინი მთლია-ნობაშია განსახილველი. ვერძის თავები ოთხი ცალია. აქედან სამი, ნეძინის სამაროვანზეა (ც. რობაქიძე) მოპოვებული, ერთი კი — უინ-ვალისაზე (ვ. ჩიხლაძე). გთავაზობთ მათ მოკ-ლე აღნერილობას:

1. ვერძის თავის ბრინჯაოს გამოსახულე-ბა (ტაბ. I, ნახ. 7), აღმოჩნდა ნეძინის სამარო-ვანზე №15 სახლის ქვაბულში, მინის ზედა-პირიდან 0,6 მ-ის სიღრმეზე. ეს არის ვერძის თავ-რქის სტილიზებული გამოსახულება, რომელსაც თვალები და ნესტორები მრგვალი რელიეფური ბურთულებით აქვს გამოსახუ-ლი. მასიური, გრეხილი რქები ფრონტალუ-რადაა გაშლილი და ნინა მხარეს აპრეხილი. კისერში, უკანა მხრიდან, მირჩილული აქვს საკიდი ყუნწი (სიგრძე 2,7 სმ).

2. ვერძის თავ-რქის ბრინჯაოს სტილიზე-ბული გამსახულება (ტაბ. I, ნახ. 6), აღმოჩნდა აგრეთვე სახლის ქვაბულში 0,7 მ-ის სიღრმე-ზე, დამზადებულია ჩამოსხმის ნესით. სქემა-ტურად წარმოდგენილ სახეზე, შუბლისარეში, დაძერწილი აქვს ორი რელიეფური ბურთულა თუ კოპი. ფრონტალურად გაშლილი გრეხილი რქები თითო ასეთივე ბურთულითაა შემკუ-ლი. თვალები და ნესტორები მსგავსი რელი-ეფური ბურთულებითაა მოდელირებული. რვა რელიეფური დანაძერნი ბურთულის არსებო-

ბა ერთ პატარა თავზე გადატვირთულობის შთაბეჭდილებას ახდენს, თუმცა მათი მონაც-ვლეობა დეკორატიულობას აძლიერებს, რაც თავის მხრივ, მეტად გამოშახველს ხდის ამ სამკაულს. უკანა მხარეს, კისერზე, მირჩილული აქვს საკიდი ყუნწი (სიგრძე 2,1 სმ).

3. მესამე ნიმუში (ტაბ. I, ნახ. 8) აღმოჩნდა ნეძიხის სამაროვნის ფართობზე, კულტურულ ფენაში და არის ვერძის თავ-რქის მთლიანად-სხმული, სტილიზებული გამოსახულება ნაგრძელებული დრუნჩით, რომელზეც დაბალი რელიეფით ნესტოებია გამოყვანილი. აქვს ჰორიზონტალურად განოლილი ფოთლისებური ყურები (შუაში თითოლარით), რომლისწვერები ფრონტალურად გაშლილი და ქვემოთ ჩაგრეხილი მასიური რქების ბოლოებზეა გადაფენილი. რქებს შორის აზის მრგვალი, რელიეფური კოპი. უკანა მხრიდან ჩაგრეხილი რქების გარეთა ნიბო ლითონის ოდნავ მოხრილი ღერაკით ერთიმეორესთანაა გაერთიანებული და ქმნის საკიდ რკალს (სიმაღლე 2,1 სმ).

4. ვერძის თავ-რქის ბრინჯაოს გამოსახულება. აღმოჩნდა უინვალში, №375 მდიდრულ სამარხში. დამზადებულია ჩამოსხმის ნესით. გამოირჩევა ნატურალისტური სიზუსტით გამოსახული ჩაგრეხილი რქებითა და სტილიზებული სახით (ინვ. №09-XXV-81-138).

მესამე ჯაფუფში გავაერთიანეთ ვერძის თავების გამოსახულებები, რომლებიც სხვადასხვა სამკაულზე, სამაჯურების გახსნილ თავებსა და მედალიონზეა განთავსებული.

ბრინჯაოსა და ვერცხლის ბრტყელლეროიან, თავგახსნილ სამაჯურებზე ნარმოდგენილი ვერძის თავები უდაოდ გამოცდილი იუველირის ნამუშევარია. დეკორატიული ხელოვნების ეს ნატივი ნიმუშები ჩამოსხმის ნესითაა დამზადებული და შემდეგაა სამაჯურის გახსნილ თავებზე დარჩილული. შესაძლოა, სამაჯურის რკალიც ჩამოსხმის ნესით იყოს დამზადებული. ეს ტექნიკურად რთულად შესასრულებელი პროცესი კი ხელოსნისგან დიდ გამოცდილებასა და სიზუსტეს მოითხოვდა. ნატურალისტურადაა გადმოცემული ვერძის სახე, სიმეტრიული, გრეხილი

რქებითა ბურთულისებური თვალებით. დეტალურადაა დამუშავებული დრუნჩი, ცხვირი და დაბერილი ნესტოები. შუბლზე ხშირად დაძერწილი აქვთ მომცრო, რელიეფური კოპები, რაც მნათობის სიმბოლოს უნდა ნარმოდგენდეს. ამგვარი ოთხი სამაჯური მოპოვებულია ნეძიხისა და ბადრიანების სამაროვნებზე და III-IV საუკუნეებითაა დათარიღებული. ოთხი სამაჯურიდან სამი ბრინჯაოსია, ერთი კი — ვერცხლისა. ორი ბრინჯაოს და ერთი ვერცხლის სამაჯური ნეძიხის სამაროვანზეა აღმოჩენილი, ერთი ბრინჯაოს ცალი კი — ბადრიანების სამაროვანზე.

1. ბრინჯაოს ბრტყელლეროიანი, გახსნილი სამაჯური, რომელიც ვერძის თავებითაა შემკული, აღმოჩნდა ნეძიხის სამაროვნის №8 ორმოსამარხში, დაკრძალულის მაჯაზე (ტაბ. I, ნახ. 2). ოვალურად მორკალული სამაჯურის ზურგი სიგრძივი და რადიალური ნაკანრებით, ასევე წრიული ნაჭდევებითაა მორთული. ვერძის მინიატურული თავები, როგორც აღნიშნეთ, ცალკეა ჩამოსხმული და შემდეგაა ბრტყელი ღეროს გახსნილ თავებზე დარჩილული. ვერძის თვალები და ნესტოები მომცრო ბურთულებითაა ნარმოდგენილი. ფოთლისებრი ყურები კი — ფრონტალურად გაშლილ და ჩაგრეხილ რქებზეა გადაფენილი, რაც ორნამენტულ რკალთან ერთად დეკორატიულ ხასიათს ანიჭებს. სამაჯურის დაზიანებული რკალი სამადაა გატეხილი (დმ - 7,5 სმ, ღეროს სიგანე - 1,5 სმ).

2. ბრინჯაოს ბრტყელლეროიანი, თავგახსნილი სამაჯური აღმოჩნდა №172 სამარხში, დაკრძალულის მარჯვენა ხელის მაჯაზე. მორკალულია ოვალურად, შემკულია ურთიერთმაცქერალი ვერძის მინიატურული თავებით. ორივე თავი სტილიზებულია. თითოეულ მათგანს ორმაგად გრეხილი რქა და განივად გაშვერილი ყურებიაქვს. თვალები და ნესტოები მცირე ბურთულებითაა ნარმოდგენილი. შუბლზეც თითო ასეთი რელიეფური ბურთულად დაძერწილი, რაც მნათობის სიმბოლო უნდა იყოს და რითაც მისი „ნანილიანობაა“ აქცენტირებული. სამაჯურის ზურგი შემკუ-

ლია ნაჭდევი სამკუთხედებით და სტილიზებულ თავებთან ერთად ნივთის დეკორატიულობას აძლიერებს (დმ - 5,5 სმ).

3. ვერცხლის სამაჯური (ტაბ. I, ნახ. 1), რომელიც წერილი სამაროვანზე №164 სამარხში დაკრძალულის მარჯვენა წინამხრის ძვალზე აღმოჩნდა, არის ბრტყელლეროიანი და ოვალურად მორკალული. მისი ზურგი სიგრძივად ნაჭდევი ხაზებითაა შემკული. გახსნილ სამაჯურზე ვერძის სტილიზებული თავებია მირჩილული. ნატურალისტური სიზუსტითაა გადმოცემული ვერძის სახე, ბურთულისებური მრგვალი, რელიეფური თვალებით. დეტალურადაა დამუშავებული დრუნჩი, გამოყვანილი ცხვირით და დაბერილი ნესტოებით. ერთი რელიეფური ბურთულა თუ კოპი შუბლზეც აქვს (მნათობის სიმბოლო). თავზე მასიური გრეხილი რქები ადგას. რკალის ზურგზე თავთან ახლოს, სიგრძივ ხაზებს გარდა, მცირე მონაკვეთზე გააჩნია განივად მორკალული ხაზები, რომლებიც, ჩვენი აზრით, ვერძის შეველიურის (მატყლის) აღმნიშვნელი უნდა იყოს. მთლიანობაში ნივთი დეკორატიული ხასიათისაა (დმ - 5,9 სმ, ღეროს სიგანე - 1,3 სმ).

4. ბრინჯაოს სამაჯური (ტაბ. I, ნახ. 4), რომელიც ბადრიანების სამაროვანზე, №4 ორმოსამარხში აღმოჩნდა, არის თავგახსნილი, ბრტყელლეროიანი და ნრიულად მორკალული. შემკულია ვერძების ურთიერთმაცქერალი თავებით. მათ ორმაგადჩახვეული რქები აქვთ, რომელთა შორის ყურებია მოქცეული. სამაჯურის ბრტყელი რკალი ზურგზე შემკულია სიგრძივი რელიეფური ხაზებით, რომლებზეც ირიბი ნაჭდევებია. როგორც ვერძის თავები, ასევე სამაჯურის ზურგის მორთულობა მთლიანობაში დეკორატიულ ხასიათს ქმნის. ვერძის ორი თავიდან ერთ-ერთს შუბლზე რელიეფური კოპი აზის.

5. მეტად საყურადღებოა ვერძისთავებიანი ბრინჯაოს მედალიონი (ტაბ. I, ნახ. 3), რომელიც აღმოჩნდა უინვალში №277 ყორეკედლიან სამარხში, სადაც შეძლებული მხედარი იყო დაკრძალული. მედალიონის ჭვირული რგოლი, შუაში ფარაკისებრი ბურცობით, შემ-

კულია ვერძის სამი თავით. თავები მედალიონის წრეზე დრუნჩით გარე ნაპირისკენაა განლაგებული. მრგვალი, რელიეფური თვალები, შემსხვილებული დრუნჩი, გრეხილი რქები მცენარეულ ორნამენტთან ერთად ნივთს დეკორატიულობას ანიჭებს. ვერძის სამი თავიდან ორს, განივად მდებარეს, ქვევიდან მირჩილული აქვს მცირე რგოლები, რომლებზეც ბრტყელლეროიანი რგოლებისაგან შედგენილი ძენკვები ყოფილა გამობმული. უკანა მხრიდან მედალიონს მიმაგრებული ჰქონია შესაბანევად განკუთვნილი რკინის ენა, რომელიც დამლილია, მხოლოდ მისი ფუძის ნაშთია შემორჩენილი. ვერძის თავები და მედალიონი ჩამოსხმის ნესითაა დამზადებული (დმ - 3,7 სმ, შემორჩენილი ძენკვის სიგრძე 34 სმ, ძენკვის ერთი რგოლის სიგრძე - 1,1 სმ).

სამაჯურების მსგავსად, მედალიონიც დეკორატიული ხასიათისაა და გამოყენებითი ხელოვნების ერთ-ერთ თვალსაჩინო ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს. თავისი გენეზისით, ისინი ძევლ რწმენა-წარმოდგენებთან და რელიგიურ რიტუალებთანაა დაკავშირებული, მაგრამ ვერძის თავებით შემკული სამაჯურები და მედალიონი, ახ.ნ. III-IV საუკუნეთა მიჯნაზე, ვფიქრობთ, უფრო ყოფითი დანიშნულებისა უნდა ყოფილიყო, ვიდრე რელიგიური, ყოველ შემთხვევაში, დეკორატიულობისაკენ სწრაფვა უეჭველია.

არქეოლოგიური მასალების მიხედვით ჩანს, რომ ჩვენს ნინაპრებს ცხვარი ენეოლითის ხანიდან ჰყოლიათ მოშინაურებული, რაზეც არა მარტო ცხვრის ძვლოვანი მასალის, არამედ შესაბამისი დროის ძეგლებზე, თიხისაგან ნაძერწი ვერძის მომცრო ქანდაკებების აღმოჩნის შემთხვევებიც მეტყველებს [6, გვ. 204; 24, გვ. 80, 82, 97, 120, 112 და სხვა; 19, გვ. 108, 171, 176 და სხვა]. როგორც მართებულადაა მიჩნეული, ამ დროისათვის ცხვარი (ვერძი) ჯერ კიდევ არ ნარმოადგენდა თაყვანისცემის ობიექტს და თუ მცირე ქანდაკებების მიხედვით ვიმსჯელებთ, იგი უფრო სამსხვერპლო ცხოველი უნდა ყოფილიყო (3, გვ. 43). როგორც ვარაუდობენ (18, გვ. 85), ენეო-

ლითის გვიანდელ საფეხურზე მეცხვარეობა საგრძნობლად წინაურდება. ამ პერიოდისათვის მნიშვნელოვანი გარდატეხა შეიმჩნევა მეცხვარეობის ზოოტექნოლოგიაში, რაც ერთი მხრივ, დოლის ხელოვნურ რეგულირებაში და, მეორე მხრივ, მთის საიალაღო საძოვრების ათვისებაში გამოიხატებოდა. ამგვარმა პროცესმა კი, საფუძველი ჩაუყარა ეკონომიკურად ძალზე მომგებიან სამომთაბარო მეცხვარეობას [36; 41, გვ. 40; 30, გვ. 132; 19, გვ. 108, 171, 176]. სწორედ ამ დროიდანაა სავარაუდებელი ვერძის კულტის ჩამოყალიბება და განვითარება, რამაც განსაკუთრებით მძლავრად შუაბრინჯაოს ხანაში იჩინა თავი.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი პროცესი მიმდინარეობდა მახლობელ აღმოსავლეთში, წინა აზიაში, ეგვიპტესა და სხვა ქვეყნებში. როგორც მახლობელ აღმოსავლეთში, ჩვენთანაც გაბატონებული იყო მზისა და ციურ სხეულთა თაყვანისცემა. მას შემდეგ, რაც მეცხვარეობა ეკონომიკური ძლიერების ერთ-ერთი უმთავრესი წყარო გახდა, ცხვარი (ვერძი) თაყვანისცემის ობიექტად იქცა, დაუკავშირდა სოლარულ კულტს და მზის ღვთაების ერთ-ერთ ინკარნაციას წარმოადგენდა. ამაზე არა მარტო არქეოლოგიური, არამედ ეთნოლოგიური და ფოლკლორული მონაცემებიც მიუთითებენ. ხალხური წარმოდგენით, ცხვარი, როგორც სააქაოშია დაკავშირებული მზესთან, ასევე საიქოში „მკვდრის მზესთან“ მიმოსვლის საშუალებადაცაა მიჩნეული [35, გვ. 133-135]. მნიშვნელოვანია, რომ ეგვიპტეში ძვ.წ. II ათასწლეულში ვერძის კულტი მჭიდროდ დაუკავშირდა როგორც მზიურ ღვთაებებს, ასევე მინისქვეშეთის მზესაც, რომელსაც ძველეგვიპტური ვერძისთავიანი ღვთაება ატუმი განასახიერებდა [32, გვ. 511-513; 40, გვ. 238; 45, გვ. 507; 15, გვ. 13, 20, 40].

ძვ.წ. II ათასწლეულის არქეოლოგიური მასალებიდან უაღრესად საინტერესოა ხოვლებორის VI ფენის ერთ-ერთ სათავსოში (რომელსაც გამოხრებებმა ვერძისთავიანი სათავსო უწოდეს) აღმოჩენილი ტერაკოტული ვერძის თავები, რომლებიც თანმხლებ მასალასთან

ერთად ძვ.წ. XIII საუკუნითაა დათარიღებული [11, გვ. 31, ტაბ. XXIV, 2383 1/4]. უფრო ადრეულია VIII ფენიში აღმოჩენილი უხეში თიხისაგან ნაძერნი ცხვრის თავი, რომელიც ერთ-ერთი სათავსოს საკურთხეველზე იყო შემოდებული [11, გვ. 10], და რომელიც ძვ.წ. XV საუკუნით თარიღდება. აშკარაა, რომ ეს სამლოცველო იყო, რადგან იქვე მდებარე ოროთახიანი ნაგებობის ერთ ოთახში იატაკზე მზის სქემატური გამოსახულებაა დაძერნილი. გამოხრელთა ვარაუდით, ხოვლებორის სამლოცველოში თაყვანს სცემდნენ აგრარულ ღვთაებას, რომელიც მინათმოქმედ და მესაქონლე ტომებს მფარველობდა [11, გვ. 31; 27, გვ. 33]. ჩვენი აზრით, ვერძის თავის უხეშ თიხაში ნაძერნი გამოსახულება აგრარული ღვთაების ინკარნაცია კი არ იყო, არამედ თვით წარმოადგენდა ღვთაების გამოსახულებას, რომელიც სამლოცველოს საკურთხეველზე დადებული იყო, როგორც მესაქონლეობისა და მათ შორის მეცხვარეობის მფარველი ღვთაების სათავანებელი ხატი და რომელიც, უფრო ფართო გაგებით, მზესთან და წაყოფიერებასთან იყო დაკავშირებული. სავარაუდოდ, რელიგიური პროცესების დროს საკურთხეველზე დაბრძანებულ ვერძის თავს მლოცველები შესანირავს საკურთხევლის ნინ მიართმევდნენ. ამ შემთხვევაში რელიგიის ისტორიის ის საფეხურია ასახული, როცა ვერძი უკვე შესულია ღვთაებათა პანთეონში, მაგრამ მისი ანთროპომორფიზაცია ჯერ არ მომხდარა.

მნიშვნელოვან მასალას შეიცავს მელი-ლელე I-ის სამლოცველო, სადაც სარიტუალო ჭურჭელთან ერთად ირმის, ცხვრისა და გველის გამოსახულებებიც აღმოჩნდა. ამ სამლოცველოს ტერიტორიაზე მოპოვებულ მასალებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იჰყორობს ბრინჯაოსა და თიხის შიშველი ქალის ფიგურები. ერთ-ერთ ჭურჭელზე მიძერნილ ქანდაკებას ადამიანის თავის ნაცვლად ვერძის თავი აქვს. სამლოცველო ძვ.წ. II და I ათასწლეულების მიჯნით თარიღდება [21, გვ. 113-115]. მელი-ლელე I-ის ტაძარი დაკავშირებულია წაყოფიერებისა და ცხო-

ველთა მფარველი ქალ-ღვთაების კულტთან. ყველა ნიშნით, ეს ქალ-ღვთაება ნადირობისა და მონადირეთა ღვთაება დალის ორეული უნდა ყოფილიყო, რაზეც იქ დამოწმებული ნადირობის სცენები და გარეულ ცხოველთა მრავალი გამოსახულება მეტყველებს [21, გვ. 115-120].

ამჟამად თითქმის შეუძლებელია ვერძისა და მისი სიმბოლური ორეულების რელიგიურ მისტერიებსა თუ კულტს მსახურებაში მონანილების სრული სურათის აღდგენა. ამ მიმართულებით გარკვეულ ინფორმაციას გვანვდის სოფ. გამდლისწყაროს განძში დაცული საღმრთო კარვისა თუ ნიშის ბრინჯაოს კომპოზიცია, სადაც სამლოცველოს ცალ მხარეს შესანირად მიყვანილი ცხვრებია გამოსახული, მეორე მხარეს კი, ანტროპომორფული ღვთაებაა ნარმოდგენილი. გამდლისწყაროს სამლოცველოს, რომელიც ღია ტიპის ნაგებობას ნარმოდგენს, ჰქონია გალავნით შემოვლებული ჭიშკრიანი ეზო და მის შიგნით რელიგიური რიტუალისათვის გამოყოფილი ფართობი, სადაც შვალომარე ღვთაების წინაშე რელიგიური აქტები სრულდებოდა. ეს კომპოზიცია ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულითა და I ათასწლეულის დამდეგით თარიღდება, რის საფუძველსაც განძში შემავალი ნივთების ანალიზი იძლევა [22, გვ. 32-40]. თუ მელილელე I-ის შემთხვევაში ღვთაების ანტროპომორფიზაციის პროცესი ჯერ არ ჩანს დასრულებული, ვინაიდან ქალ-ღვთაების ერთ ფიგურას ადამიანის თავის ნაცვლად ვერძის თავი აქვს დაძერნილი, გამდლისწყაროს კომპოზიციაში ღვთაება უკვე ადამიანის სახითაა გამოსახული, რომლის წინაშეც შესანირად გამზადებული ცხვრებია ნარმოდგენილი.

გვიანბრიჯაოს ხანაში, ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ საუკუნეებში, ვერძის ფიგურები მოპოვებულია თლიას სამაროვანზე [44, ტაბ. 73, 104, 109] და ჩრდილოეთ კავკასიაში კობანის სამაროვნებზე [47, გვ. 139-155; 37, გვ. 60]. აქვე უნდა მოვიხსენიოთ ყაზბეგში აღმოჩენილი ვერძის რეალისტური ქანდაკება. ნივთი დაზიანებულია, მაგრამ ჩანს, რომ ვერძის ეს ფიგუ-

რა ღრუ (ფუყე) ყოფილა. ცხოველის თავი, სახე, რქები და სხეულის ნაკვთები ნატურალისტური სიზუსტითაა დამუშავებული. ხელოვნებათ-მცოდნე სმირნოვს [43, ნივთი 113-114] ვერძის ეს ფიგურა აქემენიდური ხელოვნების ნიმუშად მიაჩია, რასაც ლ. წითლანაძეც იზიარებს [25, გვ. 52]. აქვე გვინდა აღვინიშნოთ ვერძის მეტად საინტერესო ფიგურა ქობულეთიდან [55, გვ. 127], რომელიც ძვ. წ. VII საუკუნით თარიღდება და სარიტუალო ჭურჭელი თრელიდან, რომელსაც ვერძის ფორმა აქვს და ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებით თარიღდება [54, გვ. 384, სურ. 319; 55, გვ. 202, სურ. 215, 216].

ნეძიხის სამაროვნის სინქრონულ ძეგლებზე ვერძის მომცრო ქანდაკებები ცნობილია კარსნისხვის სამაროვნიდან [12, გვ. 50, სურ. 261], ლიახვის ხეობიდან [42, გვ. 215-226], კლდეეთიდან [7, გვ. 87, სურ. 15] (ტაბ. I, ნახ. 10) და სხვა.

რაც შეეხება ვერძის თავ-რქა საკიდებს, მათი ყველაზე ადრეული ნიმუშები ცნობილია ბრილის სამაროვნის №31ა სამარხიდან. ისინი ძვ. წ. XVIII-XVI საუკუნეებითაა დათარიღებული [52; 18, გვ. 139-140, ტაბ. XIV, 1; 53]. ამავე სამაროვნის 12 სამარხში დადასტურებული ვერძის თავ-რქა ძვ. წ. XIII საუკუნეზე ადრეული არ უნდა იყოს [20, გვ. 43, ტაბ. III, 39, 40, 41, 42]. ბრილშივეა აღმოჩენილი სატევარ-ცული, რომელიც ვერძის თავებითაა შემკული და ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრით თარიღდება. აღსანიშნავია აგრეთვე, ბრინჯაოს საკინძი წითელგორებიდან (ძვ. წ. XIV-XIII სს.), რომელიც ნარმოდგენს ცხვრის თავით შემკულ მრგვალდეროიან სამკაულს ყუნწით.

ქართველური ტომების ღვთაებათა პანთეონისა და მისი ინკარნაციების შესახებ საინტერესო მასალებია მოპოვებული სომხეთის ტერიტორიაზე, წინაურარტული ხანის ძეგლზე ქ. დვინში, სადაც ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისის ოთხი ტაძარია აღმოჩენილი. ამ ტაძრების საკრთხევლები შემკული იყო ცხვრისა და ხარის თავებით [39, გვ. 50-61].

ასევე საინტერესო თლიას სამაროვნის სამარხებში აღმოჩენილი ვერძის თავები,

რომლებიც უახლესი გამოკვლევებით, ძვ. ნ. VIII-VII საუკუნეებით უნდა დათარიღდეს [20, გვ. 43-44].

შეტად საყურადღებოა ვერძის თავ-რქა საკიდები კობანის სამაროვნიდან, რომლებიც ძვ. ნ. I ათასწლეულის პირველი ნახევრით თარიღდება. ნეძიხში აღმოჩენილი ვერძის თავ-რქების მსგავსად, ხშირად ისინიც მრგვალი რელიფური კოპებითაა შემკული [37, სურ. 126-142].

კოლხურ მასალაში მნიშვნელოვანია ვანში აღმოჩენილი ოქროს ყელსაბამი, რომელიც ვერძისთავებიანი საკიდებისა და მძივების მონაცელეობითაა შედგენილი, თარიღდება ძვ. ნ. V-IV ს-ის პირველი ნახევრით და ა. ჭყონიას აზრით, უშუალოდ ებმაურება მითს კოლხური ოქროს საწმისის შესახებ [26, გვ. 37]. ვანშია აგრეთვე აღმოჩენილი ვერცხლის სარწყულები, რომელთა ყურის ძირები ვერძების საკმაოდ რეალისტურ გამოსახულებებს წარმოადგენენ [8, გვ. 238, სურ. 61, 211]. მნიშვნელოვანია ვანის ამგვარ გამოსახულებათა კავშირი ცნობილი „ყაზბეგის განძის“ შესაბამის ფიგურებთან, რაც ამ ორი წრის მასალათა გენეტიკურ კავშირზე მიუთითებს. გრეხილრქიანი ვერძის თავები „ყაზბეგის განძის“ მასალებში რთულ კომპოზიციაშია წარმოდგენილი, სადაც ჰორიზონტალურად გაშლილი რქები სხვადასხვა ფიგურებით გამოსახული სცენების საყრდენადაა გამოყენებული [25, ტაბ. XII-XIII]. აქვე გვინდა მოვიხსენიოთ ბრინჯაოს კვერთხისთავი ყაზბეგიდან, რომელიც ერმიტაჟში ინახება და შემკულია ორი ურთიერთსაპირისპიროდ მიმართული, გრეხილრქიანი ვერძის თავით. ნივთი ძვ. ნ. VI-V საუკუნეებითაა დათარიღებული [37, გვ. 68. სურ. XXIV].

მეტად საინტერესოა ვანში აღმოჩენილი ვერცხლის ჩამჩა, რომლის ტარი დაბოლოებულია წრიულად განლაგებული ნევილი ვერძის სკულპტურული გამოსახულებით. ნივთი გამთხრელთა აზრით (დ. კაჭარავა, გ. კვირკველია), ძვ. ნ. V საუკუნით თარიღდება და მიეკუთვნება აქემენიდური ხელოვნების კულტურულ წრეს.

აღსანიშნავია ყანჩაეთში აღმოჩენილი და ძვ. ნ. IV ს-ით დათარიღებული ძეგლი, სადაც ჩვენ ვხედავთ ვერძის თავებზე შემდგარ მხედრებს, ტრადიციულად შესრულებულ ანტროპომორფულ ღვთაებებს. ეს კომპოზიცია, როგორც ჩანს, ადგილობრივ რწმენა-ნარმოდგენებთან უნდა იყოს დაკავშირებული [28, გვ. 106].

საქართველოს მთასა და ბარში ვერძის ფიგურებისა და თავ-რქის გამოსახულებათა სიმრავლე მთელი ძვ. ნ. I ათასწლეულის მანძილზე და ახ. ნ. პირველ საუკუნეებში აშკარად მიუთითებს რელიგიურ-რიტუალურ პროცესში მათ აქტიურ მონაწილეობასა და შესაბამისად, მეცხოველეობის ამ დარგის დიდ ხედრით წონაზე. საყურადღებოა, რომ ცხოველთა თავ-რქის გამოსახულებები მოსახლეობის ყოფაში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარების შემდეგაც შემორჩია, რაზეც აღრემუასაუკუნეებით დათარიღებულ ნეძიხის სამაროვნის ქვაყუთებში თითო-ოროლა ამგვარი ნიმუშის აღმოჩენა მეტყველებს.

რაც შეეხება არაგვის ხეობაში მოპოვებულ ვერძისთავებიან სამაჯურებსა და მედალიონს, მათ უფრო ყოფითი დანიშნულება უნდა ჰქონოდა, ვიდრე რელიგიური, თუმცა ძველი რწმენის ელემენტები ამ სამკაულშიც არის შემონახული. მაგ. ზოგიერთ სამაჯურზე ვერძის თავები შემკულია მრგვალი, რელიფური კოპებით, რაც მნათობის სიმბოლოს და მათი „ნაწილიანობის“ აღმნიშვნელი უნდა იყოს. ერთ-ერთ სამაჯურზე გამოსახული ვერძის ორმაგადვეული რქები, თითქოს ორ სართულადაა განლაგებული, რაც ძლიერ მოგვაგონებს ყაზბეგის განძის შტანდარტებზე ოთხ სართულად განლაგებულ ჯიხვის თავ-რქას. რა თქმა უნდა, მათ შორის უზარმაზარი ქრონოლოგიური სხვაობაა, მაგრამ რქების ამგვარ განლაგებას შესაძლოა თავისი სიმბოლური მნიშვნელობა გააჩნდა. „ყაზბეგის განძის“ შემთხვევაში ნავარაუდევია, რომ მრავალსართულად განლაგებული რქები ერთგვარი „კიბე“ იყო შუასკნელსა და ზესკნელს შორის.

სამაჯურებთან დაკავშირებით, შეუძლებელია არ გავიხსენოთ ვანის ნაქალაქარზე №11 სამარხში აღმოჩენილი ოვალური, თავგაბასნილი ოქროს სამაჯურები, რომლებიც ვერძის თავებითაა შემკული. ღერო სადაა და მრგვალგანივევეთიანი. ვერძის თავები ნაგრძელებულია, რქები წრიულად მოხრილი. სამაჯური მიღებულია სარჩულზე (სხვა ლითონზე) ოქროს ფირფიტის გადაკვრით. ორივე სამაჯური ძვ.ნ. V ს-ის შუა ხანებითაა დათარიღებული [26, გვ. 47].

ჩვენი მედალიონის მსგავსად, ვერძის სამითავითაა შემკული ბრინჯაოს ფიბულა კობანის სამაროვნიდან. ნივთი ძვ.ნ. I ათასწლეულის შუა ხანებითაა დათარიღებული და გრავირებულია გეომეტრიული ორნამენტით [37, ილ. 56]. ისევე, როგორც თავ-რქა საკიდების შემთხვევაში, აქაც შეინიშნება გენეტიკური ურთიერთკავშირი ქრონოლოგიურად დაშორებულ მასალას შორის, რაც კავეასიონის ორივე ფერდობზე მცხოვრებ მოსახლეობას შორის რწმენა-ნარმოდგენათა და მატერიალური კულტურის ერთიანობაზე მეტყველებს. მთელი ეს მასალა კი მჭიდროდ უკავშირდება დასავლურ-ქართულ (კოლხურ) არქეოლოგიურ მასალას.

ასევე გვინდა აღვნიშნოთ ბრინჯაოს რიტონი, რომლის ბოლოც ვერძის თავითაა შემკული, ზედაპირი კი ცხოველთა გამოსახულებებითა და გეომეტრიული ორნამენტითაა გრავირებული [37, ილ. 1-2]. ნივთი მოპოვებულია გუდაუთასთან ახლოს, აფხაზეთში, და ძვ.ნ. I ათასწლეულის პირველი ნახევრით თარიღდება.

მეტად საყურადღებოა, დუშეთის რაიონში, ვარსიმანთკარისა და ბაზალეთის სამართვანზე აღმოჩენილი და ძვ.ნ. V-IV საუკუნეებით დათარიღებული ბრინჯაოს ილარები, რომლებიც ხშირად ვერძის თავებითაა შემკული. ორ შემთხვევაში ილარი ვერძის თავის წყვილი გამოსახულებითაა ნარმოდგენილი (ნ. მუხიგულაშვილის მასალებიდან) (ტაბ. II, 1).

აღსანიშნავია, ვერძისთავიანი ოქროს ყელ-საბამი არმაზისხევის სამაროვნიდან, რომე-

ლიც ავი თვალისგან იცავდა მფლობელს. ვერძის თავი ამეთვისტოსგანაა ნაქანდაკევი და ახ.ნ. II ს-ით თარიღდება. ასევე საინტერესოა არმაზისხევის სამაროვანზე მოპოვებული ვერცხლის სარეცლის ფეხები, რომელთაგან ერთ-ერთი წრიულად ვერძის თავებითაა შემკული.

ჩვენი სამაჯურებისა და მედალიონის სინქრონულია ვერძის თავების შენყვილებული გამოსახულება ქამრის აბზინდაზე დუისიდან (ტაბ. I, ნახ. 9), რომელიც ჩამოსხმის წესითაა დამზადებული და შედგება ერთმანეთთან კისრებით მიტყუჟული ვერძის ორი ურთიერთსაპირისპიროდ მიმართული თავისაგან, რომელთაგან ერთს დრუნჩი დაზიანებული აქვს. უკეთ დაცული გამოსახულება ძლიერ სტილიზებულია. აქვს ნაგრძელებული დრუნჩი, გვერდზე გაშვერილი და სპირალურად დაგრეხილი რქები. ფოთლისებრი, რქებზე მიბჯენილი ყურები ფუძით რელიეფურ, ბურთულისებურ თვალებს უერთდება. აბზინდის უკანა მხარე შეღრმავებულია და იქ ქამრის ღვედის დამჭერი ღეროებია მოწყობილი.

ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარების შემდეგ ვერძის თავებით შემკული ნივთები გამოდის ხმარებიდან, თუმცა ბრტყელლეროიანი და გეომეტრიული ორნამენტით შემკული სამაჯურები, ვერძის თავრქის გარეშე, სამარხებში კვლავ გვხვდება.

ვერძის კულტის არსებობა საქართველოში კარგად არის ასახული არამარტო არქეოლოგიურ მასალაში, არამედ ეთნოლოგიურ ყოფაშიც, რომელმაც გარკვეული სახით დღემდე შემოინახა თავი. ამ კულტთან დაკავშირებული საყურადღებო მასალაა დაცული ფშავურ ლეგენდებში, რომლის მიხედვით, ჯვარ-ხატი ცხოველის სახეს იღებდა. კოპალა სოფლის მცხოვრებთ ირმის სახით გამოეცხადა, რის შემდეგ სოფ. უძილაურთაში, ირემთკალოზე, კოპალას სალოცავი აშენდა. ნიშანდობლივია, რომ კოპალა ხშირად ვაცის ან ვერძის სახეს იღებს და ასე იბრძვის ქისტების წინააღმდეგ. აქ ირემს ვერძი ჩაანაცვლებს [9, გვ. 17].

ცხვარი (ვერძი) ძალიან ადრე გახდა სამსხვერპლო ცხოველი. თ. ოჩიაურს გამოქვეყ-

ნებული აქვს გადმოცემა იაღსარის ხატის დაარსების შესახებ. იაღსარი დევებს ტბის ფსკერზე შეებრძოლა. ტბა დევის სისხლით აივსო, რის გამოც იაღსარმა ზევით ვეღარ ამოაღნია. ხალხმა მას თოხურა და თოხრქიანი ცხვარი შესწირა. ცხვრის სისხლმა განმინდა იაღსარის სავალი გზა. უცებ ტბის ფსკერიდან ბროლის ქვა ამოტივტივდა, რომელზეც მტრედად განსახიერებული იაღსარი იჯდა. მტრედი კარატის წვერზე შემოჯდა, რის გამოც იქ იაღსარის სალოცავი ააშენეს [16, გვ. 155].

ხახმატის ჯვარში, „მწევრის საფლავის“ სიახლოვეს რჯულიან-ურჯულოთ სალოცავში, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „ქვენ ჯვართას“ უწოდებს, ათენგენობის დღესასწაულზე შესანირად თუშებს გახედნილი ულაყი მიყავდათ. შენირვის ნინ შიშველ ცხენს ხევისბერი, სათანადო კურთხევის შემდეგ, დაკლული ცხვრის სისხლს მიაპკურებდა („უწევდა“). განათლული ცხენი ხევისბერს ბარდებოდა, რომელიც მას ხატისთვის იყენებდა. გარდა ამისა, ხევსურეთში სადოლე ცხენსაც ნათლავდნენ. ამისთვის საჭირო იყო ბატყანი ან ციკანი, რომელსაც „სარემაოს“ უწოდებდნენ. განათლა „მწევრის საფლავთან“ ხდებოდა (მთხრობელი გიგია ალუდაური).

ვერძის კულტი, გარდა საქართველოსი, ფართოდ იყო გავრცელებული კავკასიის ძირძველ მოსახლეობაში და მის ფარგლებს გარეთ, კერძოდ, მახლობელ აღმოსავლეთსა და ირანში. იქ ვერძი ითვლებოდა ნარმატებისა და გამარჯვების ღვთაება ჰვარნას სიმბოლოდ, მის განსახიერებად [34, გვ. 37] და ირანის ღვთაებათა უმაღლეს წრეში შედიოდა. ვერძი მჭიდროდ იყო დაკავშირებული სასანიანთა დინასტიის ნარმომბის მითთან, ამიტომ ჰვარნა სასანელთა სამეფო დიდების სიმბოლოს ნარმოადგენდა და შესაბამის ინსიგნიებზე სამეფო ბაფთითა და ფრთებით შემკული გამოისახებოდა (იქვე). ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა 1941 წელს არმაზისხევის №23 ქვისსამარხში აღმოჩენილი

ელიფსისებრი მოყვანილობის სარდიონის საბეჭდავი, ზონარის გასაყრელი ხვრელით. საბეჭდავის წაკვეთილ სიბრტყეზე, თავით მარჯვნივ, გამოსახულია ვერძი, რომელსაც მაღალ კისერზე ბაფთა აქვს შემოვლებული. სახის მოპირდაპირე მხარეს კი — ნახევარმთვარის მსგავსი ნიშანია ნარმოდგენილი. გამოსახულება სტილის, საბეჭდავის ფორმისა და შესადარებელი მასალის მიხედვით, V-VI საუკუნეებით თარიღდება [17, გვ. 33-34, 97, სურ. 46].

სასანურ მცირე პლასტიკაში მეტად პოპულარული იყო ვერძებზე მეფეთა ნადირობის სცენებიც, რომლებიც ვერცხლის მრგვალ და ბრტყელ თასებზეა ნარმოდგენილი და IV-V საუკუნეებით თარიღდება (ტაბ. II, 2).

ძველ სამყაროში ვერძის, როგორც ღვთაებრივი ფენომენის უაღრესად ფართო პოპულარობაზე ისიც მიუთითებს, რომ ამ ღვთაება-ცხოველის სახელით მთელი ზოდიაქალური ეპოქა მოიხსენიება [3, გვ. 44].

საინტერესოა თვით სახელწოდება ვერძის გენეზისიც. ივ. ჯავახიშვილის თვალსაზრისით, უძველესხანაში მამაკაცის სახელი ვერძი უნდა ყოფილიყო, ხოლო კაცის სკამს, ტახტს თუ აღსასაყდრებელ ადგილს სავარძელი უნდა რქმეოდა [29, გვ. 97-98]. თუმცა გ. ჩიტაიას ვარაუდით, სავარძელი ნივთიერი კულტურის შემადგენელი ნანილია, რომელშიც საგნის სოციალური ბუნება ჩანს. სავარძელი ჩვეულებრივი კაცისთვის დასაჯდომ მერსს კი არ ნარმოადგენდა, არამედ გამორჩეული პირისთვის (ოჯახის უფროსის, გვარის თავკაცის, ტომის ან ქვეყნის მეთაურის) განკუთვნილ ტახტს [23]. გამოთქმულია მოსაზრება, რომ სავარძელი შეიძლებოდა სულაც სამეფო ტახტის თავდაპირველი ძველქართული სახელი ყოფილიყო [3, გვ. 44]. ამდენად, ვერძი/ვარძი ჩვეულებრივი კაცი კი არა, არამედ სოციალურად გამორჩეული პიროვნება იყო. ამ მაგალითის მიხედვით გამოდის, რომ ცხვრის ფარის სათავეში მდგომი ერკემალი იყო ისეთივე ფენომენი, როგორიც ადამიანთა საზოგადოების სათავეში მდგომი ვერძი/ვარძი.

ქართულმა ეთნოლოგიურმა სინამდვილემ ვერძთან დაკავშირებით უმდიდრესი მასალები შემოგვინახა [3, გვ. 44-45]. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარში ცხვრის მფარველად მიჩნეული ტარ-ბედნერი, იგივე მზე-ჭაბუკი, მზიური ღვთაებაა, რომელიც ბატკნის სახით გამოეცხადება ხოლმე ხალხს [1, გვ. 7; 31, გვ. 75]. ამ მასალების მიხედვით, ცხვარი (ბატკანი) მზესთან კავშირში მოიხსენიება და მზიურ ღვთაებად განიხილება. ვ. ბარდაველიძის მიერ შეკრებილი მასალების მიხედვით, ღვთაებათა სალოცავ კოშკებში ბინადრობენ ოქროსმატყლიანი წმინდა ვერძები. საგანგებო დღესასწაულების დროს ღვთის თანამედროვე მსახური, განსაკუთრებით მთიან მხარეში, ასრულებდა საგანგებო რიტუალს, როცა „ღვთის ხატად“ მიჩნეული ცხვრის (ვერძის) ქანდაკებას ღვინით განპანდა [33, გვ. 304-305]. ხევის ეთნოლოგიური მასალების მიხედვით [10, გვ. 246], ქვისაგან გამოქანდაკებულ კვირიას „ყოჩის“ მზერადაქვეითებული მლოცველები თვალის სინათლეს შესთხოვდნენ. ეთნოლოგიური მასალებიდან ცნობილია, რომ მლოცველები თვალის ჩინს მზეს ავერებდნენ ხოლმე [2, გვ. 45-50], რაც კიდევ ერთხელ თვალნათლივ მიუთითებს ვერძისა და მზის ურთიერთკავშირზე.

ქრისტიანულ რელიგიაში ცხვარი (ვერძი) აღიარებულია წმინდა ცხოველად. ეკლიანი გვირგვინით შემკული ცხვარი სიმბოლოა იესო ქრისტესი, რომელმაც კაცობრიობის ხსნისათვის სიცოცხლე მსხვერპლად გაიღო [51, გვ. 49]. სამსხვერპლო კრავი იესო ქრისტეს ორეულია [46, გვ. 185-186]. ამასთან, ცხვარი მორნმუნე ადამიანის სიმბოლური გამოსახულებაცაა [14, გვ. 102]. ამიტომ ბუნებრივია, რომ მისი გრაფიკული თუ სკულპტურული გამოსახულებები ქრისტიანულ საფლავებზე ხშირად გვხვდება.

ამრიგად, არაგვის ხეობაში აღმოჩენილი ვერძის გამოსახულებათა ის ჯგუფი, რომელიც მცირე საკიდი ფიგურის, თავ-რქა საკიდებისა თუ სამკაულის მორთულობად გამოყენებული თავების სახითაა წარმოდგენილი,

მიუთითებს, რომ ახ.ნ. III-IV საუკუნეებში მეცხვარეობას აღმოსავლეთ საქართველოს მთისწინეთისა და მთის მოსახლეობის მეურნეობაში კვლავ მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. ამასთან, ვერძი კვლავ რჩებოდა ბუნების განახლებადი ღვთაების ერთ-ერთ თანმხლებ არსებად და მის ინკარნაციას წარმოადგენდა. ქრისტიანულმა სინამდვილემ ცხვრის კულტთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები შეცვლილი სახით, საფუძვლიანად შეითვისა და ახალი სარწმუნოების ინტერესებისათვის გამოიყენა. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში მართებულადაა მითოთებული ცხვრისა და კრავის დამკვიდრება ქრისტიანულ სიმბოლიკაში (კულტმსახურებაში) ტრადიციების მდგრადობისა და კულტურათა მემკვიდრეობითობის დადასტურებაა [3, გვ. 45].

ლიტერატურა:

1. ბარდაველიძე ვ. სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, ახალი წლის ციკლი, თბ., 1939.
2. ბარდაველიძე ვ. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარ-ბარ - ბაბარ), თბ., 1941.
3. ბრეგაძე ნ. ცხვრის კულტთან დაკავშირებით, ანალები, 2, 2002, გვ. 43-48.
4. ბრეგაძე ნ. ბერიკათა ნილბები, მაცნე, ისტ.... სერია, 4, 1985.
5. გორგაძე გ. „საწმისი“ ხეთურ წყაროებში და მისი ანტიკური პარალელები, ისტორია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია, თბ., 1982.
6. კიკვიძე ი. მინათმოქმედება და სამინათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, თბ., 1976.
7. ლომთათიძე გ. კლდეეთის სამაროვანი, თბ., 1957.
8. ლორთქიფანიძე ოთ. და სხვა არქეოლოგიური გათხრები ვანში 1969 წელს, ვანი I, თბ., 1972.
9. მაკალათია მ. მესაქონლეობა აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 1985.
10. მაკალათია ს. ხევი, ტფ., 1934.
11. მუსხელიშვილი დ. ხოვლეს ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა, თბ., 1978.

12. მცხეთა II, თბ., 1978.
13. ნადირაძე ე. საქართველოს ზოომორფული ძეგლები, თბ., 1996.
14. ნადირაძე ე. მემორიალურ ძეგლთა სიმბოლიკა, თბ., 1998.
15. ნოზაძე ვ. ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება, სანტიაგო, 1957.
16. ოჩიაური თ. მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., 1967.
17. რამიშვილი ქ. ი. სასანური გემები საქართველოში, თბ., 1979.
18. საქართველოს არქეოლოგია, რედ. ა. აფაქიძე, თბ., 1959.
19. საქართველოს არქეოლოგია, II, თბ., 1992.
20. ფანცხვავა ლ., მაისურაძე ბ., გობეჯიშვილი გ. ბრილის სამართვანზე 1939 წელს გათხრილ №12 სამარხის დათარიღებისათვის, ძიებანი, №8, 2001, გვ. 39-48.
21. ფიცხელაური კ. აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები, თბ., 1973.
22. ქორიძე დ. დავიცვათ და გადავარჩინოთ შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლები, ძმ. №15, თბ., 1968.
23. ჩიტაია გ. სვანური „საკურცხალი“, სსმმ, ტ. II, ტფ., 1925.
24. ჩუბინაშვილი ტ. მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთის უძველესი კულტურა, თბ., 1965.
25. ნიოლანაძე ლ. ხევის არქეოლოგიური ძეგლები (ყაზბეგის რაიონი), თბ., 1976.
26. ჭყონია ა. ვანი VI, თბ., 1981.
27. ხახუტაშვილი დ. უფლისციხე, I, თბ., 1964.
28. ხიდაშელი მ. სამყაროს სურათი არქაულ საქართველოში, თბ., 2001.
29. ჯავახიშვილი ივ. საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული პრობლემები, თბ., 1950.
30. ჯაფარიძე თთ. საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1991.
31. აბაკელია ნ. მიф и ритуал в Западной Грузии, Тб., 1991.
32. ავდიევ ვ. История Древнего Востока, М., 1953.
33. ბარძელიძე ვ. Главное божество древнегрузинского пантеона Гмерти, ВЭК, Тб. 1952.
34. Борисов А., Луконин В. Сасанидские геммы, Л., 1963.
35. Брегадзе Н. Фантастика сказки и этнография , Мацне, серия истории... N 2, Тб., 1971.
36. Брегадзе Н. Из истории народной зоотехники, Изв. АН Грузии, т. 88, N 2. Тб., 1977.
37. Доманский Я. Древняя художественная бронза Кавказа в собрании Гос. Эрмитажа, М., 1984.
38. Кушнарева К., Чубинашвили Т. Древние культуры Южного Кавказа. Л., 1970.
39. Кушнарева К. Древние памятники Двина. Ереван, 1977.
40. Мифы народов Мира, т. II, М., 1982.
41. Пиотровский Б. Археология Закавказья, Л., 1949.
42. Сланов А. Итоги Археологического исследования Сохтинского и Ливанского могильников, ПАИ в 1977 году, Тб., 1980.
43. Смирнов Я. Восточное серебро, М., 1909.
44. Техов Б. Тлийский могильник (комплексы XVI-X в. до н.э.), Тб., 1980.
45. Тэйлор Эд. Первобытная культура, М., 1939.
46. Уваров А. Христианская символика, часть I, символика древнехристианского периода, М., 1908.
47. Уварова П. Могильники Северного Кавказа, МАК, т.8, 1900.
48. Урушадзе Н. К семантике прикладного искусства древнего Закавказья - СА, N 1, 1973.
49. Урушадзе Н. Древнегрузинское пластическое искусство, Тб., 1988.
50. Урушадзе Н. Бронзовая летопись древней Грузии, Тб., 1984.
51. Фоли Дж. Энциклопедия знаков и символов, М., 1998.
52. Gagoshidze I. In Unter wegs zum Goldenen Vlies, Archeologische funde aus Georgien, Saarbrucken, 1995.
53. Koridze I. In National Treasures of Georgia, Catalog. Philip Wilson Publishens, London, 1999.
54. Georgien Schätze aus dem Land des Goldenen Vlies, Bochum, 2001.
55. Unter wegs zum Goldenen Vlies, Saarbrucken, 1995.

მინაცრიანი ფიგურები საქართველოში

XIX ს-ის ბოლოს, კავკასიაში გვიანბრინჯა-ო-ადრერკინის ხანის ბრინჯაოს ბრწყინვალე ნაწარმის აღმოჩენებთან ერთად, დროდადრო ჩნდებოდა ისეთი ნივთებიც, რომელიც სულ სხვა ეპოქისა და რეგიონის გემოვნებისა და ტექნოლოგიური მიღწევების ამსახველი იყო. მხედველობაში გვაქვს მინანქრიანი ფიბულები, რომელებიც მზადდებოდა დასავლეთის პროვინციების დიდ სახელოსნოებში (პანონია, გალია, რაინის მხარე) და შავიზლვის პირეთშიც შემოდიოდა. ეს ფიბულები ვრცელდებოდა კავკასიაშიც [6, გვ. 93].

კავკასიაში გავრცელებული მინანქრიანი ფიბულებიდან ერთი სახეობა — მინანქრით შემკული ბრინჯაოს ფიბულა-ბროშები, რომელებიც ჩამოსხმით მზადდებოდა და ტანსაცმელზე ფარავის უკანა მხარეს არსებული ნემსით მაგრდებოდა, წარმომავლობით გაღის სახელოსნოებთანაა დაკავშირებული. ამგვარი ნივთების სახელოსნო ბელგიის გაღიამი — ვილა ანტეშია აღმოჩენილი. ვილა ანტესაგან 4 კმ-ის დაშორებით გამოვლენილია ახ.ნ. II ს-ის კრემაციული სამაროვანი 80 ცალი ამგვარი ბროშით. შედარებით ნაკლები რაოდენობითაა ცნობილი მინანქრიანი ფიბულა-ბროშები საფრანგეთიდან, ლუქსემბურგიდან, რაინის სანაპიროს პროვინციებიდან, იტალიიდან, რუსთის სამხრეთიდან და კავკასიოდან. მ. ტენიშევას აზრით, კავკასიაში აღმოჩენილი მინანქრიანი ფიბულების გაღიური წარმოშობა ეჭვსგარეშეა. მათ დუბლიკატებიც კი ეძებნებათ სენ-ჟერმენისა და ნამიურის მუზეუმებში. ახ.ნ. III ს-ის მეორე ნახევარში მინანქრიანი ნივთების წარმოება ანტეს სახელოსნოში ფრანკების შემოსევის შედეგად წყდება [16, გვ. 71-85].

საქართველოში ამგვარი ნივთების გამოჩენა XX ს-ის დასაწყისში ბორის აღმოჩენებთანაა დაკავშირებული [14, გვ. 103, ტაბ. VI,

8]. მათი მთავარი დამახასიათებელი ნიშანია სხვადასხვაგვარი გეომეტრიული ფორმის ან ზოომორფული ფარავი, რომელთა სასურათო სიბრტყე შემკულია სხვადასხვა ფერის მინანქრის ნაჭრებით.

საქართველოში აღმოჩენილი მინანქრიანი ფიბულები (12 ცალი, თუმცა შესაძლოა ეს ციფრი გაიზარდოს რეგიონალურ მუზეუმებში დაცული, ჩვენთვის ამჟამად უცნობი მასალის ხარჯზე) ტექნოლოგიის მიხედვით ერთი სახისაა — ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული. შესაძლოა იყენებდნენ ჭედვასაც [6, გვ. 11]. ფარავი, ზოგჯერ ტიბრების გარეშე შემკული იყო მწვანე, წითელი, ცისფერი, შავი, თეთრი მინანქრის ნაჭრებით. ფორმისა და კონსტრუქციის მიხედვით ისინი იყოფა ორ ჯგუფად: I - ფიბულა-ბროშები (თავისი ქვეტიპებით) და II - შარნირიანი რკალისებური ფიბულები.

ფიბულა-ბროშები (I ჯგუფი) ფარავის ფორმისა და შემკულობის მიხედვით იყოფა:

I A ტიპი — მრგვალი ფორმის, მრგვალი შვერილებით;

I Aa ტიპი — მრგვალი ფორმის, რქისებრი შვერილებით;

IB ტიპი — რქისებრი ფორმის;

IC ტიპი — რომბისებრი ფორმის, მრგვალი შვერილებით;

ID ტიპი — ზოომორფული;

IA (ჩვენს მიერ გამოყოილი I ჯგუფის ფიბულები შეესაბამება ა. ამბროზის მე-8 ჯგუფ [6, გვ. 30-35]) ტიპის ფიბულა-ბროშისათვის დამახასიათებელია მრგვალი ფორმის ფირფიტისებური ფარავი ცენტრში ლურსმნისებური შვერილით. კიდევებზე ორი ან რამდენიმე სიმეტრიულად განლაგებული მრგვალი ფორმის ნაკვთით. სასურათო სიბრტყე, ლურსმნისებური შვერილი და კიდევებზე განლაგებული მრგვალი ფორმის ნაკვთები ამო-

ლარულია და შემკულია სხვადასხვა ფერის (ლურჯი, მწვანე, წითელი, თეთრი) მინანქრის ნაჭრებით შედგენილი სარტყლებით. ფარავის უკანა მხარეს ორსაყრდენიანი შარნირიანი შესაკრავია.

ამ სახის მინანქრიანი ფიბულები აღმოჩენილია: სტირფაზის სამაროვნის №19 სამარხში, ნ. აფხაზავას მიხედვით №23 სამარხში [1, გვ. 29, ტაბ. I, 17] (თანმხლები ინვენტარი: თიხის დოქი, ფარაკიანი ბეჭედი, სპირალურად თავდახვეულისავინი). თარიღდება II-III სს-ით [17, გვ. 268, სურ. 1034; 1, გვ. 29, ტაბ. I, 17] (ტაბ. 11); შოშეთში, №1 ქვის სამარხში (თანმხლები ინვენტარი: ცილინდრული ფორმის ცალყურა სასმისი, ბრინჯაოს ჭვირული ბალთა და ცხოველთა ფიგურა-საკიდები). თარიღდება II-III სს-ით [5]; ცხეთაში, №15 ორმოსამარხში (თანმხლები ინვენტარი: მძივები — სარდიონის, მინის პოლიქრომიული, ეგვიპტური ფაიანსის — მნოლირე ლომის გამოსახულება; რკინის დანის ფრაგმენტი და რაღაც ნივთი). თარიღდება II-III სს-ით [4, გვ. 30, ტაბ. 1979] (ტაბ. 12).

IA ტიპის ფიბულა-ბროშები, დაახლოებით 30 ცალი, ცნობილია ჩრდილო კავკასიის მასალებიდან (კამუნთა, კუმბულთა) და დაცულია ერმიტაჟსა და მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში [18, ტაბ. CXVI, 8-12, 14-18]. ამგვარი ფიბულა-ბროშები მომდინარეობს ყირიმის მასალებიდან (პანტიკაპეონი, ოლბია, ჩერნორეჩიე, ქერსონესი) [6, გვ. 32, ტაბ. 1420, 22, 26, ტაბ. 152-4, 6, ტაბ. 273; 7, გვ. 241, ტაბ. CLIV, 32], მინგეჩაურიდან [8, სურ. 2716; 19, გვ. 101, ტაბ. LVII, 24, 25]. ანალოგიური ფიბულა-ბროშები ცნობილია პანონიდან, მდ. დუნაისა და ტისას ორმდინარეთიდან, შვეციიდან [24, ტაბ. XVI, 12, 14, 15; 25, ტაბ. IX, 2; 26, გვ. 118, სურ. 16, 18; 22, გვ. 516, 517, სურ. 11210, 11, სურ. 1154, 5].

IAa ტიპის ფიბულა ანალოგიურია IA ტიპის ფიბულისა, ოღონდ მრგვალი ნაკვთების მაგივრად შემკულია „რქისებური“ შვერილებით, რომლებშიც მწვანე, ცისფერი და ნითელი მინანქრია ჩასმული. შუა, მრგვალი ფარაკი შემკულია მწვანე და ცისფერი მინანქრის კონცენტრული სარტყლებით.

ამ სახის მინანქრიანი ფიბულა ცნობილია კლდეეთიდან (ტაბ. I, 3). ის აღმოჩენდა №2 ქვაყრილიან ორმოსამარხში (თანმხლები ინვენტარი: ოქრო — თვლიანი ბალთა, საყურები, საკინძის თავი, საკიდები, მონეტა — ლისიმაქეს სტატერი; ვერცხლი — მონეტები, გოტარზეს დრაქმები, საკიდი; ბრინჯაო — ბუდეაბმული ფიბულა, რქისებრი მინანქრიანი ფიბულა, საკიდი, ფიგურა, ზარაკები, ფირფიტა; რკინა — დანა, გემიანი ბეჭედი; 7 ცალი ნითელი თვალი; მძივები — ქარვის, სარდიონის, გიშრის; მინის ჭურჭლისა და კერამიკის ფრაგმენტები). თარიღდება II ს-ით [3, გვ. 103-119, ტაბ. III, 1; 1, გვ. 29].

IB ტიპის ფიბულა რქისებური ფორმის ფირფიტისებური ფარაკია, შემკული მწვანე მინანქრით (ტაბ. I, 4). ისიც კლდეეთის №2 ქვაყრილიან ორმოსამარხშია აღმოჩენილი [3, გვ. 103-119, ტაბ. III, 2]. ანალოგიური ფიბულები ჩვენთვის ხელმისაწვდომი ლიტერატურის მიხედვით უცნობია.

IC ტიპის ფიბულებისათვის დამახასიათებელია რომბული ფორმის ფირფიტისებრი ფარაკი, ცენტრში ლურსმნისებური შვერილით ან ამოჭრილი შუა ნაწილით, წვეროებზე და კიდეებზე მრგვალი ფორმის ნაკვთებით. სასურათო სიბრტყე, ლურსმნისებური შვერილი და კიდეებზე განლაგებული მრგვალი ნაკვთები ამოღარულია და შემკულია სხვადასხვა ფერის (ცისფერი, წითელი) მინანქრის ნაჭრებით. ფარაკის უკანა მხარეს ორსაყრდენიანი შარნირიანი შესაკრავია.

ამ სახის მინანქრიანი ფიბულები აღმოჩენილია მცხეთაში (ტაბ. I, 5), №1 ინდივიდუალურ კრამიტსამარხში (თანმხლები ინვენტარი: ოქრო — საყურები კამეებით, ბეჭედი, ბრინჯაოს ფირფიტები; ბრინჯაოს რგოლი; რკინის დანა; მინის სურა; სანელსაცხებლები; თიხის ხელადა; ლურჯი მინის ნახნაგვანი მძივები). თარიღდება I-III სს-ით [2, გვ. 270-273, ტაბ. IX, სურ. 2557; 1, გვ. 29, ტაბ. I, 12]. კიკეთის სამაროვნიდან მომდინარე ამგვარი მინანქრიანი ფიბულა (ტაბ. I, 6) (სსმარქეოლოგიის განყოფილების „ძირითადი“

ფონდი, კოლ. №86-977) II-III სს-ით თარიღ-დება [1, გვ. 29, ტაბ. I, 11].

IC ტიპის ფიბულები ცნობილია: ჩრდილო-ეთ კავკასიიდან (კამუნთა, კუმბულთა) [18, ტაბ. CXXVI, 7], პანტიკაპეონიდან, ოლბიდან, სარატოვის მხარის სოფ. კანოდან [6, გვ. 33, ტაბ. 157; 7, გვ. 241, ტაბ. CLIV, 31], მინგეჩაუ-რიდან [8, სურ. 2713]. უსტ-ალმადან (ყირიმი) ცნობილ რომბული ფორმის ფიბულას ერთი ბოლო ზომორფული გამოსახულებით აქვს შემკული [10, გვ. 101, ტაბ. 1616]. ანალოგიუ-რი ფიბულები ზაალბურგიდან თარიღდება II ს-ის პირველი ნახევრით [21, ტაბ. 6343, 344; 22, გვ. 516, 517, სურ. 11212].

ID ტიპის ფიბულებისათვის დამახასია-თებელია ზომორფული (ხარი-ბორი, ჰიპო-კამფი-სოხთა) ფირფიტისებური ფარაკი. სა-სურათო სიბრტყე შევსებულია სხვადასხვა ფერის (ცისფერი, ლურჯი, ნითელი) მინან-ქრით. ფარაკის უკანა მხარეს ორსაყრდენიანი შარნირიანი შესაკრავია.

ამ სახის მინანქრიანი ფიბულები ცნობი-ლია სოხთას სამარვნის №1 ქვის სამარხი-დან [11, გვ. 21, 22, სურ. 21a, 1B, ტაბ. I, 14; 15, გვ. 134, ტაბ. I, 15; 1, გვ. 29] (ტაბ. I, 7) და ბორის დანგრეული სამაროვნიდან (ტაბ. 18). კოლექ-ცია, რომელიც საკმაოდ მრავალრიცხოვანია, შეიცავს ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს სამკაულს, ჭურჭელს, მონეტებს, ტანსაც-მელთან დაკავშირებულ ნივთებს [29, გვ. 201; 12, გვ. 182-184; 13, გვ. 216; 14, გვ. 103, ტაბ. VI, 8].

ხარის ფორმის ფიბულა-ბროში ცნობილია პანტიკაპეონიდან [6, გვ. 34, ტაბ. 1514].

ჰიპოკამფის ფიბულა-ბროში ალმოჩენი-ლია უსტ-ალმას სამარვანზე [10, გვ. 101, ტაბ. 430]. გარდა ხარისა და ჰიპოკამფისა, ზომორფულფარაკიანი ფიბულა-ბროშების (პანტიკა, კურდლელი, თხა, ფანტისტიკური ცხველები, მამალი, ფარშევანგი, მტრედი) ნიმუშები ძირითადად ჩრდილო შავიზლვის-პირეთისა (პანტიკაპეონი, ოლბია, ტანაისი, ქერსონესი) და ჩრდილო კავკასიის (კამუნთა ან კუმბულთა, 18, ტაბ. CXXVI, 19) ძეგლები-

დანაა ცნობილი. ფარშევანგის გამოსახუ-ლებიანი ბროში აღმოჩენილია წებელდის №1 სამარვანზე, თუმცა ანგარიშში აღნიშნული არა ნივთი მინანქრითაა შემკული თუ არა [9, გვ. 25, ტაბ. 2918].

ჰიპოკამფის ანალოგები აღმოჩენილია ირანში. რ. გირშმანი მათ II-III სს-ით ათარი-დებს [23, ტაბ. XXXI, 3]. დასავლეთის რომაულ პროვინციებში იგივე გამოსახულება გვიანი I და II ს-ით თარიღდება [22, გვ. 517].

II ჯგუფის მინანქრით შემკული ფიბულები (3 ცალი) მიღისებური შარნირითა და რკალი-სებური ზურგით, საქართველოს ძეგლებიდან მხოლოდ ბორიდანაა ცნობილი (ტაბ. I, 9, 10, 11). მათ განიერი, მართკუთხა ფორმის კორ-პუსი აქვთ. შარნირი მიღავისებურია [14, გვ. 103, 104, ტაბ. VI, 4, 6, 10]. ანალოგიური ფიბუ-ლები ჩრდილო კავკასიიდან (კამუნთა ან კუმ-ბულთა) [18, ტაბ. CXXVI, 7] და მინგეჩაურიდან [19, გვ. 101, ტაბ. VII, 21] არის ცნობილი. ისინი აღმოჩენილია ყირიმის ძეგლებზე (ოლბია) და კრასნოდარის მხარეში. თარიღდებიან II ს-ით ან მისი მეორე ნახევრით [6, გვ. 29, ტაბ. 1410; 7, გვ. 241, ტაბ. CLIV, 34]. ხოლო ევროპის ძეგ-ლებიდან მომდინარე ამგვარი ფიბულები გვი-ანი I ს-ითა და II ს-ითა დათარიღდებული [22, გვ. 516, 517, სურ. 1127, 8, 9].

ამგვარად, თუ თვალს გადავავლებთ, მი-ნანქრიანი ფიბულების საქართველოში გავ-რცელების რუკას (ტაბ. II), ვნახავთ, რომ ისი-ნი ძირითადად კავკასიონის მთისწინეთის ძეგლებისთვისაა დამახასიათებელი. საქარ-თველოს შავიზლვისპირეთის ძეგლებიდან ამ სახის მასალა უცნობია. შეიძლება ვივარაუ-დოთ, რომ მინანქრიანი ფიბულები აქ ჩრდი-ლო კავკასიიდან ვრცელდებოდა საუღელტე-ხილო გზებითა და გადასასვლელებით.

რაღაც მათი წარმოების დაწყება I ს-ის მეორე ნახევრიდან ივარაუდება, ხოლო წარ-მოების შეწყვეტა ფრანკების შემოსევის გამო III ს-ის მეორე ნახევარში შეწყდა, უნდა ვი-ფიქროთ, რომ ჩვენში ისინი II-III სს-ში ყოფი-ლა გავრცელებული.

ლიტერატურა

1. აფხაზავა ნ. ადრეული შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ნივთიერი კულტურა, თბ., 1979.
2. კალანდაძე ალ. ახლად აღმოჩენილი სამაროვანი მცხეთაში, მიმომხილველი, ტ. I, თბ., 1949.
3. ლომთათიძე გ. კლდეეთის სამაროვანი, თბ., 1957.
4. სულავა ნ. მთიანი კოლხეთი ანტიკურ ხანაში, თბ., 1996.
5. ფანცხავა ლ. მინანქრიანი ფიბულა რაჭიდან (მოხსენება წაკითხულია აკად. შ. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სამეცნიერო სესიაზე), თბ., 2001.
6. Амбродз А. К. Фибулы юга Европейской части СССР, САИ, вып. D1-3, 1966.
7. Амбродз А. К. Фибулы, Археология СССР, М, 1984.
8. Асланов Г. М. К изучению раннесредневековых памятников Мингечаура, КСИИМК, вып. 60, 1955.
9. Воронов Ю. Н., Бгажба Н. К., Шенкао В. А., Логинов В. А. Исследования в Цебельде, АО 1980 года в Абхазии, Тб., 1982.
10. Высотская Т. Н. Усть-Альминское городище и некрополь, Киев, 1994.
11. Куфтин Б. А. Археологическая маршрутная экспедиция в Юго-Осетию и Имеретию, Тб., 1949.
12. ОАК за 1908 г., Санкт-Петербург, 1912.
13. ОАК за 1909-1910 гг., Санкт-Петербург, 1913.
14. Придик Е. А. Новые кавказские клады, МАР, №34, Петроград, 1914.
15. Пчелина Е. Г. Погребальные комплексы из Сохта, Урс-дзуар и Рук Юго-Осетии, Изв. ЮОННИ, XV, Цхинвали, 1969.
16. Тенишева М. К. Эмаль и инкрустация, Seminarium Kondakovianum, Прага, 1930.
17. Техов Б. В. Очерки древнейшей истории и археологии Юго-Осетии, Тб., 1971.
18. Уварова П. С. Могильники Северного Кавказа, МАК, т. VIII, СПб., 1900.
19. Халилов Д. А. Кавказская Албания, Археология СССР, М, 1985.
20. Archäologischer Anzeiger, Beiblatt zum Jahrbuch des Archäologischen Instituts, 2, Berlin, 1910.
21. Böhme A. Die Fibeln der Kastelle Saalburg und Zugmantel, Saalburg-Jahrbuch, 29, 1972.
22. Böhme-Schönberger A. Fibel und Fibeltracht, Reallexikon der Germanischen Altertumskunde, 8, Berlin-New York, 1994.
23. Ghirshman R. Fibule en Iran, Iranica antiqua, IV, 1964.
24. Pátek E. Verbreitung und Herkunft der römischen Fibeltypen von Panonien, Budapest, 1942.
25. Párducz M. Denkmäler der Sarmatenzeit Ungarns, II, Budapest, 1944.
26. Silven U. Provinzialromerska emaljspären. Svenska fynd och deras kontinentala relationer. – Tor, VII, Stockholm, 1961.

დეტალებს. სამკაულის დატანა ხდებოდა მზა ჭურჭელზე. ოსტატი სველი ჩარხით ან ხელით ამოხეხვა-ამოკანვრის საშუალებით უკვე ცივ ჭურჭელზე დაიტანდა სასურველ სამკაულს. ჩარხი მოწყობილი იყო მარტივად: ჰორიზონტალურ ღერძზე ჩამოცმებოდა სალესი, რომელიც ფეხის მოძრაობით იწყებდა ტრიალს. ჩარხის ტრიალისას მინის ჭურჭელი ეხებოდა სალესის პირს, რომელიც სხვადასხვა მოყვანილობის ყოფილა: ბრტყელი, ამოზნექილი, ჩაზნექილი, ბლაგვი ან ბასრი. როგორც წესი, ამ ტექნიკით ჩამოსხმული მინის ჭურჭელი უფერულია. ზოგჯერ მოყვითალოც; იშვიათად - ლურჯი ფერის [3,გვ. 87; 8,გვ. 31-32].

ე.ნ. ცივი ხერხით დამუშავების შედეგად მიღებული სხვადასხვა ორნამენტიანი სასმისები ცნობილია ა.ნ. I საუკუნიდან. ფართოდ ვრცელდება III საუკუნეში სირიაში, ნინა აზიაში, ხმელთაშუაზღვისპირა ქვეყნებში, დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპაში, სკანდინავიაში და ა.შ. [10,გვ. 232; 11,გვ. 106; 16,გვ. 95-96].

პირველ რიგში ყურადღებას გავამახვილებთ გონიო-აფსაროსის სასმისთა ფრაგმენტებზე, რომლებიც შემკული არიან ოვალურ-ნიული ჩაღრმავებებით. ვფიქრობთ, რომ ეს მონაპოვარი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ერთ-ერთ უადრეს ნიმუშს უნდა წარმოადგენდეს. საერთოდ კი, ამ სახის სასმისები ფართოდა გავრცელებული რომაულ სამყაროში. მათ შესახებ სიტყვას აღარ გავავრცობთ. აღვნიშნავთ რომ ჩვენი მონაპოვრის მსგავსი ფრაგმენტი განხილული აქვს გერმანელ მეცნიერს პ. რუტს. მკვლევარს ფაცეტებით შემკული მინის ჭურჭლის დიდი ჯგუფი აქვს გამოყოფილი. ჩვენთვის საინტერესო ნიმუშები AAvariantSia გაერთიანებული. ისინი ემსაგავსებიან როგორც ფორმით, ისე ორნამენტით. ოღონდაც ოვალები ამათზე პირს ქვემოთ დატანილი რელიეფური ზოლის შემდეგ უშუალოდ იწყება, ჩვენთან კიოდნავ მოშორებით. დათარიღებულია I-II საუკუნეებით. მკვლევარი ამ სახეობის ჭურჭლის ქრონოლოგიურ ჩარჩოს ფლავიუსებისა და

ადრიანეს (69-79 წნ. -117-138 წნ.) დინასტიების ზეობის ხანით შემოფარგლავს [25, გვ. 58, 264, სურ. 52/1200]. სხვა პარელების მიხედვითაც გონიო-აფსაროსის ამ სახის ნანარმი საკმაოდ ადრეული პერიოდით თარიღდება. ჩვენი მონაპოვრებიც ა.ნ. I საუკუნის ნაკეთობანი უნდა იყოს.

უფრო მოგვიანებით მსგავს სასმისებზე შეინიშნება ორნამენტაციის მოტივების გამარტივების ტენდენცია. ჩვენი ჭურჭლისაგან განსხვავებით ტანის დასაწყისსა და ბოლოში ოვალებს შორის აღარ გვხვდება შემავსებელი პატარა ზომის წრისებრი ჩაღრმავებები. სწორედ ამ სახეობის მინის სასმისის ნატეხი აღმოჩენილია ფიჭვნარში (ტაბ. II). მინის ცნობილი სპეციალისტი ნ. სოროკინა მიუთითებდა, რომ ჩრდილო შავიზღვისპირეთის ქალაქ-სახელმწიფოებში ამ სახის ნანარმი მაინცდამანც არ ჩანს გავრცელებული. პანტიკეაპერნის მონაპოვრებიდან განიხილავს ერთადერთ ნატეხს [10,გვ. 232, სურ. 13/6; 16/5]. მიუთითებს, რომ ესენი უფრო ხშირად გვხვდება ჩერნიახოვის კულტურაში — დამონმებულია მ. ტიხონოვასა [10,გვ. 92-99] და ე. სიმონოვის [13,გვ. 86] აღმოჩენები. ჩვენს მიერაც მოზიდული იქნა გამარტივებული ორნამენტით შემკული სასმისების არაერთი პარალელი. პირველ რიგში აღსანიშნავია პოპენკაში აღმოჩენილი ცილინდრული თუ კონუსური მოყვანილობის მინის სასმისები [9,გვ. 92-93; სურ. 5/2]. ე. რიკმანის მიერ მოტანილია გ. ეპხოლომის შეხედულებანი ამ სახის სასმისების ევოლუციასთან დაკავშირებით; კერძოდ, გამოყოფს ცილინდრულ, კონუსურ და წამახვილებულძირიან სასმისებს. ამ უკანასკნელზე ორნამენტი თანდათანობით ქრება. დათარიღებულია ა.ნ. III-IV საუკუნეებით. ასევე ითქმის უშუროვაის ნიმუშების შესახებაც [14,გვ. 9, სურ. 2] — ანალოგები მოტანილია ავტორის ზემოთ დასახელებულ ნაშრომში. აკუთვნებს III-IV საუკუნეებს. ფიქრობენ, რომ მსგავსი სასმისები დამახასიათებელი იყო ჩერნიახოვის კულტურის გვიანდელი ეტაპისთვისაც — მხედველობაშია ა.ნ. IV—V საუკუნეები

[15,გვ. 181-182, სურ. 1/21]. ამ პერიოდის ჩანს ფიქვნარის მონაპოვარიც.

პირველი სახეობის თანადროული და ფორმის მიხედვით ანალოგიური არიან გონიო-აფსაროსის გეომეტრიული სახეებით შემკული მინის სასმისები. ამათაც ეძებნებათ არაერთი პარალელი. პირველ რიგში აღსანიშნავია პ. რუტის მიერ შესწავლილი ცალები [25, გვ. 59, 264, ტაბ. 52/1203]. პირველი სახეობის მსგავსად, ჩერნიახოვის კულტურაში ფართო გავრცელებას პოვებს ამ სახეობის გამარტივებულ ორნამენტიანი სასმისებიც. აღმოჩენილია ე.ნ. პრიდნეპროვესკის მეურნეობაში [13, გვ. 177, სურ. 1/23], რანქევესკის სამაროვანზე [7, გვ. 79-80, სურ. 3/6] და ა.შ.

ამოტვიფრულსამკაულიანი მინის ჭურჭლის დამზადების ცენტრის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. საერთოდ გამოიყოფა ორი ჯგუფი. I ჯგუფში ერთიანდება სქელკედლიანი ცილინდრული ფორმის სასმისები, რომელთაც აქვთ მომწვანო ელფერი. II ჯგუფის სასმისები კონუსური ფორმისაა და შედარებით თხელკედლიანებია. მათ სხვადასხვა სახელოსნოში დამზადებულად მიიჩნევენ. მინის ცნობილი სპეციალისტები დ. ფრემერსდორფი და ს. ალტხინი ოვალურორნამენტიან სასმისებს რეინის სახელოსნოებში დამზადებულად მიიჩნევენ [19, გვ. 263-265; 17, გვ. 260-265, სურ. 2]. ხოლო გ. ეკხოლმი, ჰ. ეგერსი და დ. ჰარდენი თვლიან, რომ ევროპაში ამ ჭურჭლების გავრცელება ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ქალაქების გავლით ხდებოდა რომის აღმოსავლეთი მიჰერის ცენტრებიდან, კერძოდ, ალექსანდრიდან, ტირიდან თუ სიდონიდან [20; 21; 23].

გონიო-აფსაროსის თანადროული ფაცეტებით შემკული მინის ჭურჭელი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთიდან ჯერჯერობით ჩვენთვის უცნობია. მ. ჩხატარაშვილი მიუთითებს, რომ ბიჭვინთაში აღმოჩენილი ფაცეტებიანი კედლის ერთი ნატეხი გამოირჩევა კარგი ხარისხის მოყვითალო მინით. იგი მიჩნეულია ბიზანტიიდან შემოტანილად და უკავშირებს ნაქალაქარის ბოლო პერიოდს —

VI საუკუნეს. ახ.ნ. IV და V ს. პირველი ნახევრითაა დათარიღებული ციხისძირში აღმოჩენილი ფიქისებრორნამენტიანი ჭურჭლის ტანის მცირე ფრაგმენტი, რომელიც მოყვითალო—მომწვანო ფერისაა [1, გვ. 74, სურ. 29/4]. საერთოდაც, ადრეშუასაუკუნეების ფაცეტებიანი მინის ჭურჭელი მეტად ფართოდ ჩანს გავრცელებული, ოლონდაცან-სხვავებით ადრინდელი ფორმებისაგან, ნამყვან ადგილს იკავებს ფიალისებური თასები. ამ სახის ნაწარმი აღმოჩენილია დასავლეთ საქართველოში კერძოდ წებელდაში [12, გვ. 58-59, სურ. 1/26]. უფრო მეტია აღმოსავლეთ საქართველოდან: რუსთავი, მცხეთა, სამთავრო, ურბნისი [5, გვ. 14-17, ტაბ. III/1; 6, გვ. 118-119, სურ. 53]. ასევე ითქმის როგორც შავი, ისე ხმელთაშუაზღვისპირეთისა და განსაკუთრებით, დასავლეთ ევროპის მონაპოვართა შესახებ [25, გვ. 59, 264, ტაბ. 52/1203; 24, გვ. 37, სურ. 21; 18, გვ. 27, 43, სურ. 53, 54].

როგორც ვხედავთ, რიგი სხვა სახეობების მსგავსად ფაცეტებიანი მინის ჭურჭლის უადრესი ნიმუშები გონიო-აფსაროსიდან მომდინარეობენ. მათ პარალელები დასავლეთ ევროპის ახ.ნ. I-II საუკუნეებით დათარიღებულ მონაპოვრებს შორის ეძებნებათ. შედარებით ფართო გავრცელებას პოვებს გამარტივებულსამკაულიანი ნიმუშები, რომლებიც III-IV საუკუნეებით თარიღდებიან. რომაული ხანისათვის ნამყვანი ჩანს ცილინდრული კონუსისებრ-დაბრისებური თუ ნამახვილებულძირიანი სასმისები; ადრეშუასაუკუნეებისათვის შემკობის ეს მოტივი შემორჩენილია უპირატესად მინის ფიალებზე.

ლიტერატურა

1. ინაიშვილი ნ. ციხისძირის ახ.ნ. I-VI სს. არქეოლოგიური ძეგლები, სდსd, XXI, თბ., 1993.
2. საგინაშვილი მ., გაგოშიძე ი. აღგეთის ფიალა, მაცნე, ისტ. სერია, 4, 1973, გვ. 8-89.
3. უგრელიძე ნ. ადრეული შუასაუკუნეების მინის ნარმოების ისტორიისათვის, თბ., 1967.

4. შალიკაძე თ. გვიანანტიქური და ადრემუსაუკუნეების მინის ნაწარმი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირეთიდან, გონიო-აფსაროსი, V, ბათუმი, 2004.
5. ჩხეთარაშვილი მ. მინის ჭურჭელი შუასაუკუნეთა საქართველოში, თბ., 1978.
6. ჭილაშვილი ლ. ნაქალაქარი ურბისი, თბ., 1964.
7. Гей О.А. О времени возникновения Черняховской культуры в Северном Причерноморье, СА, 1, 1986, с. 77-86.
8. Кунина Н.З. Античное Стекло в собрании Эрмитажа, СПб, 1997.
9. Рыкман Э.А. Вопрос датировки импортных вещей в памятниках племен Черняховской культуры Днестровско-Прутского междуречья, СА, 4, 1972, с. 84-100.
10. Сорокина Н.П. Стекло из раскопок Пантикопея (1949-1959 гг), МИА, 103, 1962, с. 210-236.
11. Сорокина Н.П. Стекляный сосуд из Нижнего Поднепровья, КСИА, 89, 1962, с. 106-110.
12. Сорокина Н.П. Стеклянные сосуды IV-V вв. и хронология Цебельдинских могильников, КСИА, 158, 1979, с. 57-67.
13. Сымонович Э.А. Стеклянная посуда из Поднепровско-Причерноморских памятников Черняховской культуры, СА, 1, 1977, с. 176-186.
14. Сымонович Э.А. Стеклянная посуда середины I тысячелетия нашей эры с нижнего Днепра, КСИА, 69, 1957, с. 23-25.
15. Сымонович Э.А. Стеклянные кубки из Журовки, КСИА, 102, 1964, с. 8-12.
16. Тихонова М.А. Из материалов Дубосарского отряда Молдавской экспедиции, КСИИМК, 57, 1955, с. 92-99.
17. Althin C.A. Zwei Glasbecher mit eingeschliffenen ovalen in schonischen Privatsammlungen, Arsberättelse, Lund, 1953.
18. Borel B.F. Le verre dyepoque Romaine ay Avenches-Aventicum. Documents du Musye romain dy Avenches 3, Avenches. 1997.
19. Fremmersdorf D. Figürlich geschliffene Gläser Eine Kölner Werkstatt des 3 jahrhunderts. Röm.-Germ. Forschungen, Bd. 19, Berlin, 1951.
20. Ekholm G. Orientalische Glasgefäße in Skandinavien, ESA, X, 1936.
21. Eggers H.G. Der römische import im freien Germanien, 1951.
22. Grose D.F. The Toledo Museum of Art, Early Ancient Glass, Core-Formed, Rod-formed, and Cast Vessels and Objects from the late Bronze Age to the Early Roman Empire, 1600 B.C, New York, 1989.
23. Harden D.B. Roman Glass from Karanis Found by the University of Michigan Archaeological Expedition in Egypt. 1924-29, University of Michigan Studies, Humanistic Series 41 (Ann Arbor). 1936.
24. Isings C. Roman Glass from Dated Finds, Groningen/Djakarta, 1957.
25. Rütti B. Die römischen Glaser aus Augst und Kaiserburg (Katalog und Tafeln), Augst, 1991.

საქართველოს აღრიული სამეცნიერო გაზიშიკაბის ტიპოლოგია-კლასიფიკაციის საკითხისათვის

საქართველოს ქრისტიანული ხუროთმოძღვრების თემატურ რეპერტუარში გამოიყოფა სამეცნიერო ბაზილიკად წოდებული ტაძრების ცალკე ჯგუფი, რომელიც სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია VI ს-ში გაჩენილ ბაზილიკის თავისებურ, ქართულ ვარიანტად, ხოლო მისი წარმოშობის მიზეზად კი სახელდება დღის განმავლობაში რამდენიმე წირვის გადახდის საჭიროებისათვის ცალკე საკურთხევლების გამოყოფის აუცილებლობა [41, გვ. 141; 32, გვ. 11].

ქრისტიანული საკულტო არქიტექტურის აღნიშნული ტიპის საკულევ ბოლოდროინდელ ნაშრომებში თვით ამ ჯგუფის ნაგებობათა აღმნიშნელი ტერმინი გახდა მსჯელობის საგანი: „ტერმინ „სამეცნიერო ბაზილიკას“ აქ გარკვეულად ჰირობითად ვხმარობთ, არა იმდენად ფუნქციური, რამდენადაც სივრცობრივ-მოცულობითი სპეციფიკის აღსანიშნავად“ [27, გვ. 77]. ახალი კლასიფიკით, რაც კომპოზიციის ცენტრალური ბირთვის მომიჯნავე გვერდითი სათავსების დანიშნულების ადრეულისაგან განსხვავებულ გააზრებას ემყარება, მსგავს ნაგებობებს სულ უფრო ხშირად „გარშემოსავლელიან დარბაზულ ეკლესიას“ უნოდებენ [19, გვ. 113; 20, გვ. 75; 38, გვ. 30, 40; 31, გვ. 4-7; 45, გვ. 39-43]. რ. მეფისაშვილი, ეხება რა სამეცნიერო ბაზილიკაში თემის წარმოშობის საკითხს, მიუთითებს, რომ: „აღნიშნულ დროს (VI ს-ის პირველ ნახევარში - კ. ნ.) დარბაზულ ეკლესიას გაუჩნდა გვერდის სათავსები საკუთარი აბსიდებით და ნაგებობაშ სამეცნიერო ანუ სამსაკურთხევლიანი სახე მიღოდ; VI ს-ში ხდება გვერდითი ეკლესიების დაკავშირება დასავლეთის სათავსოთი და საბოლოოდ ყალიბდება სამეცნიერო ბაზილიკის თემა, რომელიც იღებს მეორე სახელწოდებას დარბაზული ეკლესისა სამმხრივი გარშემოსავლელით“ [11, გვ. 5] და აღნიშნუ-

ლი თვალსაზრისის არგუმენტად მოიხმობს გ. ჩუბინაშვილის ერთ ნაშრომს [42, გვ. 108-115], თუმცა გ. ჩუბინაშვილი ეკლესიის განსახილველი ტიპის ხუროთმოძღვრულ ფორმათა ამოსავლად არა დარბაზულ (იგივე ერთნავიან) ეკლესიას, არამედ სამნავიან ბაზილიკას მიიჩნევს, ხოლო სამეცნიერო ნანილს დარბაზს უნოდებს იმდენად, რამდენადაც მისი გრძივი კედლები თაღებით არ იხსნებიან [41, გვ. 141].

როგორც სამეცნიერო ბაზილიკასთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურის მოკლე ექსკურსით ირკვევა, ამ ჯგუფის ნაგებობათა არქიტექტურული კომპოზიციის პირველწყაროდ ქრისტიანული ტაძრის ორ ტიპს - სამნავიან ბაზილიკასა და ერთნავიან ეკლესიას განიხილავენ. სტრუქტურული თვალსაზრისით ანუ არქიტექტურული კომპოზიციის ცენტრალური ბირთვის მომიჯნავე სათავსოთა განლაგების პრინციპით, სამეცნიერო ტაძრები ერთმანეთისაგან დიდად არ განსხვავდებიან და ამ ნიშნით მათი დიფერენციაცია - კლასიფიკაციის საფუძველი არ ჩანს; ისიც გასარკვევია თუ რამდენად მისაღებია დებულება, რომლის თანახმადაც სამეცნიერო ტიპი დარბაზული სტრუქტურის დამატებითი სათავსებით აღჭურვის შედეგადაა წარმოშობილი. მაგრამ, ამ კონკრეტულ თუ სტატიის სათაურში გამოტანილ საკითხთა გარკვევის მცდელობამდე, აუცილებელია სამეცნიერო ტაძრების გენეზისისა და ქრონოლოგიის თაობაზე უახლეს სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული იმ თვალსაზრისის გაცნობა, რომელიც, საზოგადოდ, ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების წარმოშობის ახალი კონცეფციის ფარგლებში განიხილება.

კერძოდ, აღნიშნული კონცეფციის ავტორი გ. ყიფიანი დაასკვნის, რომ აქემენიდური კულტურული ნრიდან მომდინარე ზოროას-

ტრული ნაგებობის მოდელის - „აიადანას“ სა-ფუძველზე ადრექტინისტიანული ხანის სირიაში კვადრატული ბაზილიკები [47, გვ. 91], ირან-სა და აღმოსავლეთში სასანური და შემდგომ ისლამური ტაძრები იგება [48, გვ. 7-79], ხოლო იძერიასა და კოლხეთში „ცეცხლის ტაძრების“ არქიტექტურა აღმოცენდა, რომელ-მაც ბაზილიკის ზოგადი სახის ფორმირებაზე გადამწყვეტი გავლენა იქონია, რისი მკაფიო ილუსტრაციაა არქიტექტურული კომპოზი-ციის ცენტრალური ბირთვის ირგვლივ გარშე-მოსავლელიანი (ან გვერდითი გრძივი მინაშე-ნების მქონე), თითქმის კვადრატული გეგმის მატნის ცხრაკარასა თუ ძელი შუამთის ე. წ. „სათუო“ ანუ იგივე „ცრუ“ ბაზილიკები [19, გვ. 85-86, 88-90]. რაც შეეხება გრძივი ბაზილიკის საქართველოში ცნობილ ყველაზე ადრეულ ნიმუშს, გ. ყიფიანი ასეთად ნასტაკისში არქე-ოლოგიური გათხრებისას გამოვლენილ ანტი-კური (გვიანრომაული) ხანის წარმართულ და არაუგვიანეს III-IV სს-ში ეკლესიად გადაკე-თებულ ბაზილიკას მიიჩნევს (ტაბ. I,1) [19, გვ. 109-110; 4, გვ. 42-48], რომელიც: „გეგმარები-თი კომპოზიციით არ განსხვავდება საქართვე-ლოს გრძივი ბაზილიკებისაგან და... მათთვის მოდელი ერთ-ერთი რომაული არქიტექტუ-რის პერიფერიული სკოლის მიერაა შექმნი-ლი... ურბნისის, კანარეთის სამების, კონდო-ლის, ნატკორის, ხირსის, ანჩისხატისა და სხვა გრძივი ბაზილიკები, ან, უფრო სწორად, მათი საწყისი სქემა, საქართველოში აღარ განვი-თარებულა... გრძივმა სტრუქტურამ ვერ დას-ძლია წინააღმდეგობა საუკუნეთა მანძილზე შემუშავებული ტრადიციული კომპოზიცი-ისა, მათ შემდგომ გაგრძელებას არ გააჩნდა ის მძღავრი იმპულსი „ლვთის სახლისა“, რაც ჰქონდა კვადრატულ ბაზილიკებს. როგორც ჩანს, ამ ფაქტორებმა განაპირობა გრძივ ბა-ზილიკათა მცირერიცხოვნება და საბოლოოდ გაქრობა“ [19, გვ. 87, 89, 197, 110]. გ. ყიფია-ნის დაკვირვებით, სამეცნიერებლის ბაზილიკის უადრესი ნიმუში სწორედ ნასტაკისის გრძივ ბაზილიკასთანაა უშუალოდ დაკავშირებული, რაც სამეცნიერებლის კომპოზიციური სქემის

ჩასახვა-ფორმირების საწყის ეტაპს გული-ხმობს. კერძოდ იგი მიიჩნევს, რომ გრძივი ბა-ზილიკის „ცეცხლის ტაძრის“ ტრადიციული სქემის ფარგლებში მოქცევის მიზნით, ქარ-თლის ოფიციალურ გაქრისტიანებამდე (არა-უგვიანეს IV საუკუნის პირველი მეოთხედისა) ნასტაკისის ბაზილიკამ მნიშვნელოვანი სა-ხეცვლილება განიცადა: „დამოკლდა გეგმა, ბურჯებზე კედლებმა გადაიარა და მთლია-ნად გამიჯნა ცენტრალური ნავი გვერდები-საგან, ცენტრალური სივრცე შემოიფარგლა დასავლეთიდან, რითაც ეკლესიამ სამმხრივი გარშემოსავლელი შეიძინა და ეს გადაკეთე-ბა ლვთისმსახურებით კი არ იყო გამოწვეული (გვერდითი ნაწილების ლიტურგიულ მოთხ-ოვნილებათა შესაბამისად დანაწევრება მოგ-ვიანებით და არაერთგვაროვნად განხორცი-ელდა), არამედ იმ მიზნით, რომ მომხდარიყო ცენტრალური ბირთვის გამხოლება, რითაც რომაულ ბაზილიკას ადგილობრივი, ტრადი-ციული იერი მიენიჭა“; ვინრო გვერდითი ნა-ვები ანუ გარშემოსავლელის ჩრდილოეთი და სამხრეთი მხარეები ლიტურგიისთვის სავსე-ბით შეუფერებელია არა მხოლოდ ნასტაკისის უადრეს სამეცნიერებლის ბაზილიკაში, არამედ მთელ რიგ ამ ტიპის ძეგლებში (საყდრის ყუ-რი, ჭერემის მამადავითი, კლიკისჯვარი და სხვ.); „სამეცნიერებლის ბაზილიკათა გვერდითი ნავების დანაწევრება, რომელიც რთულად და არაერთგვაროვნად მიმდინარეობდა, ქრისტი-ანული ლიტურგიული ნორმების ამ ტიპთან შეთავსების ცდა იყო“ [19, გვ. 11-115]. აღნიშ-ნული კონცეფციის ავტორის დასკვნით, ქარ-თულ ხელოვნებათმცოდნეობით ლიტერატუ-რაში დამკვიდრებულ იმ აზრს, რომ ბაზილიკა, როგორც ეკლესიის დაკანონებული ტიპი სა-ქართველოსთვის თავსმოხვეული იყო, V საუ-კუნის მატნის ცხრაკარას თუ ძელი შუამთის ჯგუფის „სათუო“, „ცენტრულ“ ბაზილიკებზე გავრცელების საფუძველი არა აქვს [19, გვ. 108-108].

ნინამდებარე სტატიაში მიზნად არ ვისა-ხავთ სამეცნიერებლის, მით უფრო სამნავიანი ბაზილიკების ხუროთმოძღვრულ ფორმათა

ნარმოშობა-განვითარების, აგრეთვე მათფუნქციურ ასპექტებთან და კავშირებულ საკითხთა განხილვას; მაგრამ ვინაიდან სამეცნიერო ლიტერატურაში ქრისტიანული საკულტო არქიტექტურის აღნიშნულ ტიპთა გენეტიკურ კავშირზე მახვილდება ყურადღება, შევეცდებით, ზემოხსენებულ უაღრესად საყურადღებო კონცეფციაში ჩამოყალიბებულ და ჩვენთვის საინტერესო ცალკეულ დებულებებზე ერთგვარად განსხვავებული თვალთახედვის წარმოდგენას. კერძოდ, საკამათო ჩანს მოსაზრება, რომლის თანახმად „სათუო“, „ცრუ“ თუ იგივე ცენტრული გეგმარების ბაზილიკებზე დაყრდნობით, ქრისტიანული საღვთისმსახურო ნაგებობის აღნიშნული სახესხვაობა, როგორც ეკლესიის დაკანონებული ტიპი, საქართველოსთვის უცხოდ და თავსმოხვეულად არ უნდა განიხილებოდეს. ვფიქრობთ, რომ „სათუო“ და საზოგადოდ კლასიკური სქემის ბაზილიკათა ურთიერთმიმართების საკითხზე მსჯელობისას ყურადღების მიღმა არ უნდა მოექცეს ე.ნ. ცენტრული გეგმარების ადრეულ ბაზილიკათა სტრუქტურის ის ცალკეული მახასიათებლები, რომლებიც ცხადჰყოფენ, რომ მშენებლებმა მოდელად თუ „ცეცხლის ტაძრის“ არქიტექტურული ფორმა მოიხმეს, არც ბაზილიკის დაკანონებული ტიპი დარჩენილა მათი ყურადღების მიღმა. წინააღმდეგ შემთხვევაში ახლადნარმოქმნილი სატაძრო ნაგებობის კომპოზიციური ბირთვი - ცენტრული ნავი - შეინარჩუნებდა „ცეცხლის ტაძრისთვის“ ჩვეულებრივ, კედლებით იზოლირებულ, გამხოლოებულ სივრცით-მოცულობითი ერთეულის ფორმას და მისი გვერდის ნავებთან, მართალია, ნაკლებად შესამჩნევი, მაგრამ ბაზილიკისთვის მაინც ტიპიური თაღოვანი ღიობებით დაკავშირების არანაირი მოთხოვნილება არგაჩნდებოდა, ხოლო მატნის ჩრდილოეთი ნავის აღმოსავლეთით იმთავით ვე გამოყოფილი პასტოფორიუმი (რომელიც საქართველოს ბაზილიკებში ამ ელემენტის გამოყენების ყველაზე ადრეული ნიმუშია [29, გვ. 110]), კლასიკური ბაზილიკური სქემის „სათუო“ ბაზილიკათა ხუროთმოძღვრული სახის

ფორმირების პროცესში გარკვეულ და ფრიად სარწმუნო ზეგავლენის ფაქტად აღიქმება. ამრიგად, მატნის ცხრაკარა თუ ძველი შუამთა იმ წინააღმდეგობათა ურთიერთშეთავსების მკაფიო ილუსტრაციაა, რომლებიც საქართველოს ხუროთმოძღვრულ ტრადიციებსა და მისთვის უცხო ბაზილიკის ტიპის მოთხოვნებს შორის წარმოიშვა [29, გვ. 110], რის შედეგადაც წარმოქმნილი ცენტრული გეგმარების ქრისტიანული ეკლესიის სახე იმდენადაა დაშორებული კლასიკური სქემის გრძივი ბაზილიკის დაკანონებულ ტიპს, რომ გ. ყიფიანი მათ სრულიად სამართლიანად „სათუო“ ან „ცრუ“ ბაზილიკებად განიხილავს. ამგვარად, სამეცნიერო ლიტერატურაში გაზიარებული თვალსაზრისი ქართულ არქიტექტურაში მისი ტრადიციებისათვის უცხო ბაზილიკის ტიპის შემოტანის თაობაზე გრძივ ბაზილიკებთან მიმართებაში ეჭვს თუ არ აღძრავს [22, გვ. 23-24; 43, გვ. 32; 2, გვ. 19; 23, გვ. 53], აშკარად ადგილობრივი ტრადიციებით აღბეჭდილ ადრეულ ცენტრული გეგმარების ბაზილიკებში, სახელდობრი მატანსა და ცხრაკარაში, ცალკეული არაორგანული, შემოტანილი და რთულად ადაპტირებული ელემენტების არსებობაც მკაფიოდ საცნაურია. ისიც აღსანიშნავია, რომ მატნის თუ შუამთის ბაზილიკები, მათი სტრუქტურის სპეციფიკიდან გამომდინარე, საქართველოს ამ თემის ეკლესიებს შორის ერთგვარად უნიკალურად გამოიყურებიან, ხოლო ადრეული პერიოდის ბაზილიკებში ყველაზე მრავალრიცხოვანი და მნიშვნელოვანია ე.ნ. დიდი ბაზილიკების ჯგუფი [29, გვ. 114], რომელთა შორის გრძივი გეგმის ბაზილიკები ჭარბობენ.

გ. ყიფიანი გამოჰყოფს ნასტაკისის ბაზილიკის მშენებლობა-გადაკეთების სამ ეტაპს: 1. წარმართული სამნავიანი ბაზილიკა, 2. ქრისტიანული სამნავიანი ბაზილიკა და 3. სამეცნიეროანი ბაზილიკა (ტაბ. 1,2). ვფიქრობთ, ასენას საჭიროებს ის ფაქტი, თუ რა აუცილებლობამ განაპირობა ღვთისმსახურების ნორმათა სრულად შესატყვისი სამნავიანი ბაზილიკის მალევე იმგვარი ტრანსფორმაცია, რის შედეგადაც კლასიკური სქემის ნაგებობამ შეიძინა

ნარმართული ტაძრის იერი, ხოლო გვერდითი ნავები ლიტურგიისთვის სავსებით შეუფერებელ ვიწრო დერეფნებად გარდაიქმნენ. ამ რიგის სახეცვლილება ხომ ქრისტიანობას დაპირისპირებულ ნარმართულ ტრადიციასთან ერთგვარ კომპრომისსა და შეგუებას ნიშნავს, რაც ძნელად წარმოსადგენია მომხდარიყო ქართლის პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ და კულტურულ-იდეოლოგიურ ცენტრში თუ უშუალოდ მის სიახლოვეს, სადაც ყველაზე ძველი და მრავალრიცხოვანი ქრისტიანული თემი სახლობდა და საიდანაც ქრისტიანული სარწმუნოებისა და დოგმატის ჯერ პროპაგანდა, შემდგომ კი სახელმწიფოებრივ დონეზე ოფიციალურად დანერგვა ხორციელდებოდა. წარმართული, ე.ნ. ცეცხლის ტაძრის ქრისტიანული ეკლესიისათვის ნიმუშად გამოყენება და ამ გზით წარმართობასთან ერთგვარი თანხმობის ძეგბა თითქოსდა მოულოდნელი არ უნდა იყოს ქართლის სამეფოს პერიფერიულ რეგიონებში, კერძოდ კი მატანსა და ძველ შუამთაში, რომელთაგან არც ისე შორს: „ხევსა მას ლოპოტისასა ქვეყანას მას კლდეთა მოზღუდულთა... იყუნეს სოფელსა მის კაცნი წყლისა და ცეცხლის მსახურნი“ [18, გვ. 98]; მაგრამ კვლავ გავიმეორებთ, - ნასტაკისის ძეგლის მცხეთასთან ახლოს მდებარეობიდან გაშომდინარე, სამნავიანი ბაზილიკის სახეცვლილების მიზეზის მხოლოდ წარმართულ ტაძართან მიმსგავსების სურვილით ახსნა, ერთობ საპრობლემოდ გვესახება. ნასტაკისისა და სხვა ადრეული თუ მოვიანო სამეცლესიანი ბაზილიკების გვერდის ნავების ანუ გარშემოსავლელის სამხრეთი და ჩრდილოეთი მხარეების სივიწროვე ტაძრის ამ ელემენტთა უფრენტულისას, უფრო სწორად ქრისტიანული ღვთისმსახურების მოთხოვნილებებთან კავშირის არქონას არ უნდა ნიშნავდეს ჯერ ერთი იმიტომ, რომ, ასეთ შემთხვევაში, ქრისტიანული ეკლესიის არქიტექტურულ ორგანიზმი მათ ჩართვას, მოკიდებული IV საუკუნის და-საწყისიდან (ნასტაკისი) VII-VIII საუკუნეების ჩათვლით (კლიკისჯვარი), არანაირი რაციონალური ახსნა არ ეძებნება, მეორეს მხრივ კი,

ქრისტიანული ეკლესიის კანონიკიდან გამომდინარე: „ამგვარი არქიტექტურული ფორმების (მინაშენებისა თუ გვერდითი ფრთების - კ.ნ.) არსებობა, უთუოდ, გარკვეული ფუნქციონალური დანიშნულებით იყო ნაკარნახევი. შესაძლოა, კათაკმეველთა ან საეკლესიო წესებით მათთან გათანაბრებულ პირთა სადგომად იყო გამოყენებული“ [29, გვ. 112]. გ. ყიფიანის დაკვირვებით: „ადრექრისტიანული ეკლესია იმართებოდა ნებისმიერი სიდიდის შენობაში. ასეთი სურათი გვაქვს ნასტაკისშიც. გვერდიგვერდ არსებობდა მცირე დარბაზული და საკმაოდ მოზრდილი სამნავიანი ბაზილიკა. ეს ფაქტი იმას ნიშნავს, რომ ეკლესიის ზომებს აპირობებდა კონკრეტული რეგიონის და, თუ გნებავთ, უბნის მოთხოვნები, მრევლის რაოდენობა. ზომებს განსაზღვრავდა ალბათ და-სახლებული გარემოც და ისიც, თუ რამდენად შეესაბამებოდა იგი ცენტრს თავისი ყველაზე ზოგადი გაგებით“ [19, გვ. 110]. სამნავიანი ბაზილიკის ცენტრალური სივრცით-მოცულობითი ბირთვის გამხოლოებისა და გვერდის ნავების საღვთისმსახურო ფუნქციის დაკარგვის შედეგად, გადაკეთების შემდგომ ისე-დაც საგრძნობლად დამოკლებულ ტაძარში, მლოცველთათვის განკუთვნილი ფართი მნიშვნელოვნად შეიზღუდებოდა და ეს მაშინ, როდესაც IV საუკუნის საწყის ეტაპზე ქრისტიანთა რიცხვი ქართლში და მით უფრო მცხეთასა თუ მის მახლობლად განუხრელად მატულობს. ამიტომაც ნასტაკისის სამეცლესიან ბაზილიკაში ქრისტიანული ღვთისმსახურებისათვის გამოსადეგი სივრცის მხოლოდ განმხოლოებული დარბაზით შემოფარგვლა არადამაჯერებლად გამოიყურება. აქედან გამომდინარე, სწორედ კონკრეტული რეგიონის, მრევლის რაოდენობის, დასახლებული გარემოს და ცენტრთან შესაბამისობის გათვალისწინებით, ნაკლებად რეალური ჩანს ნასტაკისის სამნავიანი ბაზილიკის სამეცლესიანად გადაკეთებისა და გვერდითი ნავების ფუნქციის დაკარგვის გამომნვევი მიზეზის მხოლოდ რომაული ბაზილიკისთვის ადგილობრივი ტრადიციული წარმართული იერის მინიჭების სურვილთან

დაკავშირება, მით უმეტეს, რომ სრულიად დაუნაწევრებელი გარშემოსავლელის მქონე ადრეული ხანის სამეცნიერებლის მქონე ადრეული გარშემოსავლელი გარდა ნასტაკისისა, ჩევნთვის უცნობია. ამიტომ, ნასტაკისის სამნავიანი ბაზილიკის სამეცნიერებლისანად გადაკეთებისას, გამხოლებული ცენტრალური ნავის გვერდითი ფრთების ლიტურგიული ფუნქციაციების დაგათვალისწინებული და, იქნებ, სწორედ საღვთისმსახურო მოთხოვნილებებმა განაპირობა ცენტრალური ნავის გვერდითებისაგან სივრცობრივი გამოყოფა, ანუ ქართლში ქრისტიანული სარწმუნოების მოძღვავრება-განმტკიცების და დოგმატის ფორმირების კვალობაზე, საჭირო შეიქნა კათაკემეველთა თუ მათთან გათანაბრებულ პირთათვის ტაძარში იზოლირებული სადგომების გამოცალევება.

მართალია, სამეცნიერებლის კომპოზიცია წარმოიშვა გრძივი სამნავიანი სტრუქტურის გადაკეთების შედეგად, მაგრამ უკვე ითქვა, რომ ნასტაკისის ბაზილიკის ეს სახეცვლილება განხორციელდა მალევე, ალბათ არაუგვინეს „ცენტრული“ ბაზილიკის გაჩენისა. მაშასადამე, სპეციალურ ლიტერატურაში სამეცნიერებლის გენეზის თაობაზე ურყევ ჭეშმარიტებად მიღებული აზრი, რომ უმარტივესი სქემის სამეცნიერებლის ბაზილიკები (ქვემო ბოლნისი, ვანათი), გართულებული საკულტო რიტუალის მოთხოვნილებათა კვალობაზე, VI საუკუნის პირველი ნახევრიდან იგება, ხოლო გარშემოსავლელის დასავლეთი ფრთით აღჭურვილი ამ ტიპის ძეგლების მშენებლობა VI საუკუნის შუა პერიოდზე მოდის და არქიტექტურული კომპოზიციის ეს კომპონენტი მატნის ცხრაკარასა და შუამთის ბაზილიკებიდანაა დასესხებული [42, გვ. 104-115; 2, გვ. 25-26], ბოლოდროინდელ კვლევათა შედეგების გათვალისწინებით უარსაყოფია და ქრისტიანული საკულტო ხუროთმოძღვრების აღნიშნული ტიპის მკვეთრად განსხვავებულ ქრონოლოგიასა და ევოლუციურ გეზს სახავს. ზემოთ ქმულთან დაკავშირებით ფრიად მნიშვნელოვანია, რომ ერთ-ერთ უასლეს პუბლიკაციაში გარშემოსავლელის დასავლეთი ფრთის სამ-

ნავიან და სამეცნიერებლის ტაძართა კომპოზიციაში გაჩენის, სრულიად არგუმენტირებულად, ქრისტიანობამდელი ხანის ცენტრული გეგმარების ტაძრებს (მაგ.: ციხიაგორა, დედოფლის მინდორი) უკავშირებენ [29, გვ. 110].

როგორც უკვე ითქვა, არქიტექტურული კომპოზიციის ცენტრალური ბირთვის მომიჯნავე სათავსების განლაგების პრინციპით, სამეცნიერებლის ტაძრები ერთმანეთისაგან ბევრით არ განსხვავდებიან, ხოლო სამეცნიერებლის კომპოზიციური სქემა, ამ ეტაპზე ცნობილ მისი პირველი ნიმუშიდან (ნასტაკისი) გამომდინარე, სამმხრივ გარშემოსავლელ დერეფანს იმთავითვე ითვალისწინებდა და ამ ტიპის ძეგლებში ის მატნის თუ შუამთის ბაზილიკებიდან მოგვიანებით გადაღებული კი არ უნდა იყოს, არამედ პირიქით, - ალბათ გარშემოსავლელის დასავლეთი ფრთის საერთო სქემიდან დროდადრო გამოთიშვის ვარაუდია უფრო სარწმუნო.

ფუნქციური მოთხოვნილებებიდან გამომდინარე, სათავსოთა ანუ დამატებითი მოცულობების ნაგებობათა სტრუქტურაში ჩართვის ტენდენცია საქართველოში ცნობილ ყველა ქსრიტიანულ სატაძრო თემას მეტნაკლებად შეეხო. რ. მეფისაშვილი X საუკუნის „ბერის საყდრის“ განხილვისას შენიშნავს: „გარშემოსავლელის ასეთი გამარტივებული (დაუნაწევრებული - კ.ნ.) სახე გვიანდელ ხანაზე უნდა მიგვითითებდეს, ე.ო. იმ პერიოდზე, როდესაც ძიება მიმართული იყო არა სამეცნიერებლის ტემის შემდგომი განვითარებისაკენ, არამედ მთავარი ყურადღება არქიტექტურულ ელემენტთა დამუშავებასა და ნაგებობის დეკორატიულ მორთულობას ექცევდა“ [12, გვ. 98]. ამავე დროს მთლიანი, განუყოფელი აგებულების გარშემოსავლელი გააჩნია სხვა არქიტექტურული თემის „ბერის საყდარზე“ გაცილებით ადრეულ, VI საუკუნით დათარიღებულ ვაზისუბნის სამნავიან ბაზილიკას, რომლის შესახებ მსჯელობისას გ. ჩუბინაშვილი დასკვნის: “Сама тема обхода, по видемому, веками держалась в Грузии, меняясь только в самих формах выявления в разные эпохи; при-

чем судя по уцелевшим примерам, тема обхода применялась в относительно редких случаях, т. е. в сооружениях подчеркнутой значительности (Болниесский Сион, Свети Цховели во Мцхета и т. п.)" [41, гл. 83]¹. Романескаци გ. ჩუბინაშვილი გარშემოსავლელის თემის იშვიათ გამოყენებას უსვამს ხაზს, იგი, რასაკვირველია, სამეკლესიან ბაზილიკას არ გულისხმობს, სადაც ეს ელემენტი ჩვეულებრივი, უფრო ზუსტად ამ ტიპის ტაძართა სტრუქტურის აუცილებელი, ორგანული ელემენტია და, მისგან განსხვავებით, სამნავიანსა თუ გუმბათოვან კომპოზიციებში გარშემოსავლელი დერეფნის ზოგ შემთხვევებში ჩართვა, რაიმე არსებით სტრუქტურულ ცვლილებებს არ ინვევს. რაც შეეხება ერთნავიან ეკლესიას, მისი მარტივი ფორმა-აგებულება (ოთხმხრივ დახმული კუბური მოცულობა), გვერდითი სათავსებით აღჭურვის შემთხვევაში, გარე მასათა აღნაგობით და მთლიანობაში სტრუქტურით ძლიერ მსგავსია, შეიძლება ითქვას იდენტურიც კი სამეკლესიანებისა.

ფშავის არაგვის ხეობის ქრისტიანული საკულტო არქიტექტურის კვლევის პროცესში ჩვენი ყურადღება მიიპყრო VIII-IX საუკუნეების კუდოს და საყვირალის სამმხრივ გარშემოსავლელიანმა ერთნავიანმა ეკლესიებმა; კერძოდ კი იმ მკევთრმა სხვაობამ, რომელიც ამ ძეგლებისა და მათ თანადროულ, კომპოზიციური სქემით არც თუ დიდად განსხვავებულ, ზოგიერთი სამეკლესიანი ბაზილიკის ცენტრალური ნავის აბსიდა-დარბაზის სიგრძეთა შეფარდებაში წარმოჩნდა. მაშინ გამოითქვა ვარაუდი, რომ სამეკლესიანი თემა ითვალისწინებს სტრუქტურულად მსგავს, ოღონდ აბსიდა-დარბაზის სიგრძეთა შეფარდების თვალსაზრისით ორ განსხვავებულ - მოკლე და დაგრძელებული ეკლესიების ჯგუფებს [24, гл. 63-70], თუმცა აღნიშნული სპეციფიკის გამომწვევი მიზეზი მაშინ ჩვენთვის ამოუხსნელ ამოცანად დარჩა.

გ. ჩუბინაშვილმა, მის ხელთ არსებულ რეალურ მასალაზე დაყრდნობით, ჩამოაყალიბა ქართული ქრისტიანული არქიტექტურის ევო-

ლუციური კონცეფცია, რომელიც თავდაპირველად მცირე ზომის ეკლესიების ცალკეულ ტიპთა, მათ შორის ბაზილიკების, დროთაგან-მავლობაში გაპარიტების ზრდას გულისხმობს [22, гл. 25-27; 41, гл. 37]. როგორც უკვე ითქვა, არსებობს განსხვავებული თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც საქართველოში სხვადასხვა ხუროთმოძღვრულ ტრადიციათა საფუძველზე წარმოშობილი ცენტრული და გრძივი გეგმარების ბაზილიკათა გაჩენა თანადროულად ივარაუდება [19, гл. 107-115]. იმისდამიუხედავად თუ ბაზილიკის რომელი სახესხვაობა ჩნდება უფრო ადრე და რამდენად ზუსტია ნასტაკისის ბაზილიკის მშენებლობა-გადაკეთების თარიღი, ერთი ცხადია, რომ ადრე შუასაუკუნეთა სამნავიანი ბაზილიკების საწყისი პერიოდის ცალკე ჯგუფს ქმნის თავის მასშტაბებით და არქიტექტურული ღირებულებებით გამორჩეული ე.წ. დიდი ბაზილიკების ჯგუფი [22, гл. 32-50], რაც იმას ნიშნავს, რომ უთუოდ ამ ჯგუფის კუთვნილი ნასტაკისის ბაზილიკის გადასხვაფერებით ადრევე უნდა წარმოშობილიყო სამეკლესიანი სტრუქტურა. აქედან გამომდინარე, არც თუ უსაფუძვლო ჩანს ვარაუდი, რომ ადრეული გრძივი ბაზილიკის ერთგვარად სპეციფიკური ექსპერიმენტირების გზით, ვაზისუბნის დარად არა მხოლოდ გარშემოსავლელის დამატებით, არამედ ნანილობრივ მის სტრუქტურაში შეჭრითა და რეორგანიზაციით, ნასტაკისისაგან გარკვეული ნიშნით, სახელდობრ ძეგლის განმსაზღვრელი არქიტექტურული აქცენტის, - დარბაზის პროპორციებით განსხვავებული სამეკლესიანი ტაძრების ცალკე ჯგუფი ჩამოყალიბებულიყო. ამ შემთხვევაშიაც, აღბათ, ლიტურგიული პრაქტიკის მოთხოვნილებათა გათვალისწინებით, გრძივი გეგმარების სამნავიანი ბაზილიკის სტრუქტურული ტრანსფორმაცია უნდა განხორციელებულიყო შეგა სივრცის ერთმანეთისაგან პრაქტიკულად განცალევებულ მოცულობით ერთეულებად დიფერენცირებით, ანუ ბურჯებს შორისი ღიობების უარყოფის შედეგად ცენტრალური ნავის გამხოლოებით, ოღონდ მისი გეგმის

პროპორციების შენარჩუნებითა და გვერდითი ნავების დერეფნებად თუ სამმხრივ გარშემო-სავლელად გარდაქმნის გზით.

როგორც აღინიშნა, ფუნქციური ასპექტების ახლებური თვალთახედიდან გამომდინარე, ტერმინ სამეკლესიანი ბაზილიკის ნაცვლად, მკვიდრდება საკვლევი არქიტექტურული თემის ახალი დეფინიცია - „დარბაზული ეკლესია გვერდითი მინაშენებით“, - რაც, ლოგიკურად, მოცემული ტიპის დარბაზულ (ანუ ერთნავიან) ეკლესიასთან გენეტიკურ კავშირსაც უნდა გულისხმობდეს. ერთდროულად სამეკლესიანი ბაზილიკის წარმოშობას სამნავიანი ბაზილიკის გარკვეული მიზნით სტრუქტურულ ცვლილებას უკავშირებენ. ისიც ითქვა, რომ სამეკლესიანი ბაზილიკები გეგმის პროპორციების, უფრო ზუსტად კი აბსიდისა და ორატორიუმის სიგრძეთა არაერთგვაროვანი შეფარდების მიხედვით განვასხვავეთ და ორ - მოკლე და გრძელი გეგმარების ეკლესიათა ჯგუფებად დაყყავით; ამიტომ გასარკვევია, აღნიშნული მონაცემების თანახმად თუ რა სპეციფიკური სურათია საქართველოს სხვადასხვა პერიოდის მარტივი კომპოზიციური სქემის ერთნავიან ეკლესიებსა და სამნავიან ბაზილიკებში და ამ ნიშნით სამეკლესიანებთან კორელაცია როგორ სურათს იძლევა.

აბსიდისა და დარბაზის ისეთი შეფარდება, როდესაც აბსიდა შიგა სივრცის მნიშვნელოვან ფართობს იკავებს, ადრე შუასაუკუნეების ერთნავიანი ეკლესიებისთვისაა ნიშანდობლივი (მაგ.: IV საუკუნის უჯარმაში - 1:2,4; V საუკუნის ჭერემის ბარბარეს ეკლესიაში - 1:2,3 [45, გვ. 52-54, ტაბ. 2 2,3]; V საუკუნის მოსაბრუნის ეკლესიაში - 1:2,7 [37, გვ. 13, ტაბ. 4]; არეშის ნაქალაქარის IV საუკუნის უსახელო ბორცვის ეკლესიაში - 1:2,4; ტყის უბნის IV საუკუნის №2 ეკლესიაში - 1:2,6; ტყის უბნის IV საუკუნის №3 ეკლესიაში - 1:2,7 [25, გვ. 48-62, 111-114, 118-123, სურ. 17, 18, 38, 40]; V-VI სს. მიჯნის აკვანებაში - 1:2,6; ძველ ოლთისში - 1:2,7; თეთრინყაროში - 1:2,7 [33, გვ. 36, ნახ. 1]), სპორადულად მსგავსი შეფარდება X საუკუნეშიაც გვხვდება [38, გვ. 53], მაგრამ X საუკუნის ბოლოს და XI

საუკუნის პირველი ნახევრის ძეგლებისათვის უცნობია და ეს მონაცემი 1:3-1:5 შორის მერყეობს (მაგ.: X საუკუნის კოშკების ლვთისმშობელში - 1:3,8, იმავე სოფლის X-XI საუკუნეთა მიჯნის „შალიკაშვილების ეკლესიაში“ - 1:3,7, X საუკუნის მეორე ნახევრის შეპიაკში - 1:3,4, X-XI საუკუნეთა გარდატეხის გოსტიბეში - 1:4, X საუკუნის დისევში - 1:3, 1002 წლის ხცისში - 1:3, 1046 წლის სავანეში - 1:4,2, X-XI საუკუნეთა მიჯნის ზემო ყარაბულაბში - 1:5)². მომდევნო ხანის, XII-XIII საუკუნეების ძეგლები ამ მონაცემით VI-VII საუკუნეების ერთნავიანი ეკლესიების ფარგლებს უბრუნდებიან.

სამეკლესიან ბაზილიკებში შესაძლებელია გამოიყოს, ასე ვთქვათ, კლასიკური სქემის იმგვარი ტაძრები, რომელთაც მეტნაკლებად დანაწევრებული სამმხრივი გარშემოსავლელები გააჩნიათ. ასეთია VI საუკუნის საბუის ნიმინდა შიო, რომლის სამხრეთი ფრთა აღმოსავლეთით აბსიდითა დასრულებული, ჩრდილო აღმოსავლეთით კი ძირითად დარბაზულ სივრცეს საკურთხევლის ნინ გაჭრილი კარით დაკავშირებული სათავსი გამოიყოფა. ამ ტაძარში აბსიდა-დარბაზის შეფარდება ტოლია 1:2,6 [41, გვ. 154-156], იგივე პერიოდისა და ანალოგიური სტრუქტურის ველისციხეში - 1:3,3 [41, გვ. 153-154], ხოლო VI-VII საუკუნეების საბუის ნათლისმცემელში და ჭერემის მამადავითში შესაბამისად - 1:3,5, 1:2,7 [41, გვ. 178-181; 6, გვ. 22-28]. შედარებით გართულებული კომპოზიციური სქემის, უფრო მეტად დანაწევრებული გვერდითი სათავსებიანი არეშის VI საუკუნის საყდრის ყურის ეკლესიაში ამ შეფარდების რიცხვითი მაჩვენებელია - 1:2,8 [25, გვ. 84-101, სურ. 26], VI-VII საუკუნეთა მიჯნის ნეკრესში - 1:3,8 (ტაბ. I,3), ვაჩინაძიანის „ამიდასტურში“ - 1:5,1 (ტაბ. I,4), ზეგანის ყველანმინდაში - 1:5,4, ვარდისუბნის „დეკანოზურში“ - 1:5,9 (ტაბ. I,5) [45, გვ. 81-88; 30, გვ. 5-12].³

6. ჩუბინაშვილი შაშიანის სამების ტაძრის არქიტექტურული ანალიზის პროცესში გამოარჩევს მსგავსი სტრუქტურის ისეთ ერთნავიან ეკლესიებს, რომელთაც დასავლეთის გარშემოსავლელი არ გააჩნიათ, ხოლო გვერდითი

მინაშენი ნაგებობის მთელ სიგრძეზეა განვითარებული. ასეთია VI საუკუნის რუსპირის წმინდა თევდორეს ეკლესია, რომლის აბსიდა-დარბაზის სიგრძეთა შეფარდება უდრის 1:2,9 [41, გვ. 147-149]; VI-VII საუკუნეების შაშიანის სამებაში იგივე სურათია (ტაბ. I,6). VI საუკუნის კონდამიანში და საგურამოს ეკლესია „ქასური გიორგიში“ ეს შეფარდება შესაბამისად ტოლია - 1:4,4, 1:4,1 [41, გვ. 150-153, 157], IX საუკუნის ნედვის ეკლესიაში - 1:4,1 [13, გვ. 233-241, ტაბ. I, VII], ხოლო VI საუკუნის იყალთოს წმინდა სტეფანეში აბსიდისა და დარბაზის სიგრძეთა შეფარდება მკვეთრ სხვაობაშია გამოხატული - 1:4,9 [41, გვ. 160].

რაც შეეხება გვერდითი მინაშენების მქონე, მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილ ძეგლებთან შედარებით გაცილებით მარტივი სტრუქტურის ერთნავიან ეკლსიებს, აქაც ანალოგიური სურათია. მაგ., გ. ჩუბინაშვილის ადრეული დათარიღებისაგან განსხვავებით (X-XI საუკუნეები), ნ. ჩუბინაშვილის მიერ არქეოლოგიურად შესნავლილ და V საუკუნის მინურულს მიკუთვნებულ ჭერემის „წვეროდაბალში“, რომელსაც დარბაზთან კარით დაკავშირებული ჩრდილო-აღმოსავლეთის მოკლე სათავსი გააჩნია, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთიდან აღჭურვილია ასევე მოკლე, ღია საკურთხევლისთვის გამოყოფილი ნაკვეთურით, იგივე სამლოცველო ნიში-სასანთლით, აბსიდა-დარბაზის შეფარდება უდრის 1:3 (ტაბ. II,1), ხოლო ანალოგიური აღნაგობის VII-VIII საუკუნეთა მიჯნის ხვლიშასა და ყვარშაში ეს შეფარდება შესაბამისად - 1:4,8 და 1:4,2 რიცხვით მაჩვენებელში გამოისახება [45, გვ. 63-67, 92-95; 46, გვ. 39-43]. გადაკეთებამდე ამ ძეგლების მსგავსი არეშის VI საუკუნის მდინარისპირის ეკლესიაში ეს მონაცემი ასე გამოიყურება - 1:2,7 [25, გვ. 77-83, სურ. 24]; სტრუქტურული თვალსაზრისით პრაქტიკულად იდენტურ VI საუკუნის მეორე ნახევრის ტამალაში, VII საუკუნის ვაზისუბანში და VII-VIII საუკუნეთა გარდატეხის საროში (ტაბ. II,2) შესაბამისად: 1:3, 1:3,2 და 1:4 [41, გვ. 159; 45, გვ. 77-81, 95-98], V-VI საუკუნეებით დათარიღებულ საერთო კომპოზიციური სქე-

მის მანხუტის ზედა ეკლესიასა და უკანგორში (ტაბ. II,3) ეს შეფარდება შესაბამისად ტოლია 1:2,4 და 1:3,4 [45, გვ. 56-60; 14, გვ. 84-85; 35, გვ. 108-109].⁴ VIII-IX საუკუნეების ბრეოს „მამა პიროსში“ აბსიდა-დარბაზის შეფარდებაა 1:2,8 [17, გვ. 48-57], IX-X საუკუნეების საზღვრის გარბანში - 1:4,8 [7, გვ. 57-93, ტაბ. 4-5], ამ უკანასკნელისაგან სტრუქტურულად უმნიშვნელო ნიუანსებში განსხვავებულ X საუკუნის ავენისში - 1:3,6 [9, გვ. 32-33], ხოლო იგივე პერიოდის ლელიანის წმინდა თევდორეში - 1:4,9 [41, გვ. 193-195].

ნარმოდგენილი ვრცელი ტაბულა სხვადასხვა დროის ძეგლთა აბსიდა-დარბაზის სიგრძეთა შეფარდების განსხვავებულ რიცხვით მონაცემს ასახავს. ნ. ჩუბინაშვილის აზრით: „Некоторые авторы только по наличию тех или иных дополнительных помещений и по примерам их сочетания с основным корпусом строят типологию зальных церквей, т.е. строят графическую схему якобы “закономерности” развития этих сооружений. Типология зальных церквей, основанная только на планах, не дает никаких хронологических показателей а тем самым, не дает, - что особенно важно для науки грузинского искусствознания, - картины процесса развития”, т.უმცა ძეგლების კლასიფიკირების საკითხთან დაკავშირებით იქვე შენიშნავს: „Таким образом, полагаю, так как классификация должна служить конкретной цели - анализу развития архитектурного творчества, то для классификации должна быть принята во внимание совокупность характерных черт сооружений: структура внутреннего пространства (и план), сочетание внешних масс - объемов и архитектурно-декоративного оформление интерьера и фасадов“ [46, გვ. 6]. როგორც მოხმობილი ციტატიდან ირკვევა, ნ. ჩუბინაშვილი, მიუხედავად იმისა, რომ უარყოფს გეგმაზე დაყრდნობით დარბაზული ეკლესიების განვითარების კანონზომიერებათა და ტიპოლოგიის, ასევე ქრონოლოგიის საკითხთა კვლევის მეთოდს, კლასიფიკაციის პროცესში იგი გეგმას მაინც გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებს.

რადგან ბოლოდროინდელი კლასიფიკაციით სამეცნიეროანი ბაზილიკები გვერდითი მინაშენებიან დარბაზულ ეკლესიებად განიხილება, უმარტივესი სტრუქტურის ერთნავიანი ეკლესიების მოკლე მიმოხილვისას ყურადღება სწორედ მათ გეგმაზე გავამახვილეთ და გამოვყავით ადრე შუასაუკუნეთა ამ ტიპის სპეციფიკური ნიშანი, რაც გეგმის სიმოკლეში, კერძოდ აბსიდა-დარბაზის ეპოქისათვის დამახასიათებელ შეფარდებაში გამოისახება და რაც მათ განვითარებული შუა საუკუნეების ძეგლებისაგან მკვეთრად განასხვავებს. ერთდროულად, საქართველოს სამეცნიეროანი ბაზილიკების ერთ-ერთ განმასხვავებელ ნიშნად ასევე ამ ტიპის ტაძართა კომპოზიციის ძირითადი არქიტექტურული აქცენტის - ცენტრალური დარბაზის გეგმის პროპორციულ მაჩვენებელზე გავამახვილეთ ყურადღება. აქედან გამომდინარე, ფუნქციური ასპექტების გვერდის ავლით, სამეცნიეროანი ბაზილიკების მხოლოდ ფორმალურ მხარეს შევეხეთ და ამ მიმართულებით ძიებამ შეიძლება ზედმეტადაც გაგვიტაცა; მაგრამ სამეცნიეროანი ბაზილიკების გამოცალკევებულად გარეგნულ ნიშნებზე, სახელდობრ გეგმის პროპორციებზე ყურადღების აქცენტირება ცხად-ჰქონდა, რომ აღნიშნული მონაცემის სახით გარკვეული კანონზომიერება იკვეთება, რაც მოცემული ტიპის გენეზისისა და ფორმირების ნიშანდობლივი სპეციფიკით თუ აიხსნება. აღნიშნულიდან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ დასახული კუთხით კვლევა გარკვეულად შექს მოჰყენს საკითხს, - სამეცნიეროანი ტიპის გაჩენა თუ რამდენადაა დამოკიდებული მარტივ ერთნავიან სტრუქტურაზე და ამ ნიშნით როგორია ურთიერთმიმართება უშუალოდ სამეცნიეროან ანუ, ახალი კლასიფიკაციით, იგივე გვერდითი მინაშენებიან დარბაზულ ეკლესიათა ცალკეულ ჯგუფებს შორის. ერთდროულად, ნ. ჩუბინაშვილის თვალსაზრისისაგან განსხვავებით, შევეცდებით ნარმოვაჩინოთ გარკვეული კანონზომიერება, რომელიც ერთნავიანი ეკლესიის ცალკე ჯგუფის კლასიფიკისას, განმსაზღვრელად სწორედ

სამეცნიეროანი ბაზილიკების ერთი ნაწილის ცენტრალური დარბაზის გეგმის პროპორციებს და, მნიშვნელოვანნილად, გვერდების მინაშენთა ძირითად სივრცესთან კავშირის სპეციფიკას სახავს.

ე.ნ. კლასიკური კომპოზიციური სქემის, სამხრივგარშემოსავლელიანი ეკლესიებიდან ჩვენთვის საინტერესო სპეციფიკური მაჩვენებლით საბუის წმინდა შიოს ტაძარი, არეშის საყდრის ყურის სამეცნიეროანი ბაზილიკა და ჭერემის „ნვეროდაბალი“ ადრეულ ერთნავიან ეკლესიებს ემხრობიან. ველისციხეში, საბუის ნათლისმცემელსა და წმინდა შედარებით დარბაზის თანდათანობით დაგრძელებას ვადევნებთ თვალს, ხოლო ვაჩინაძიანის „ამიდასტურში“, ზეგანის ყველანმინდაში და ვარდისუბნის „დეკანოზურში“ აღნიშნული ტენდენცია იმდენად საცნაურია, რომ ამ ნიშნით მათ თანადროულ დარბაზულ ეკლესიებთან კავშირზე მსჯელობის არანაირი საფუძველი არ ჩანს.

გარშემოსავლელის დასავლეთ ფრთას მოკლებული სამეცნიეროანი ტაძრებიდან აბსიდა-დარბაზის სიგრძეთა ურთიერთშეფარდებით მხოლოდ რუისპირის წმინდა თევდორეს და შაშიანის სამების ეკლესიები პოულობენ საერთოს ადრე შუასაუკუნეთა დარბაზულ ეკლესიებთან. ამ მონაცემით კონდამიანი და საგურამოს ეკლესია „ქასური გიორგი“, მით უფრო იყალთოს წმინდა სტეფანე ძნელად თუ განიხილება გვერდითი მინაშენებიან დარბაზულ ეკლესიებად.

ზემოთ დასახელებულ, მნიშვნელოვნად გამარტივებული სტრუქტურის გვერდითი მინაშენებიან ეკლესიებს შორის, ადრეული დარბაზული ეკლესიების აბსიდა-დარბაზის სიგრძეთა შეფარდების ანალოგიური, ან მასთან მიახლოებული მაჩვენებელია VI საუკუნის არეშის მდინარისპირის ეკლესიაში, V საუკუნის დასასრულის ჭერემის „ნვეროდაბალში“, VI საუკუნის ტამალაში, V-VI საუკუნეთა მიჯნის მანეუტის ზედა ეკლესიაში. როგორც ზემოთ ნარმოდგენილი ტაბულიდან ჩანს, VIII-IX საუკუნეთა ბრეთის „მამაპიროსი“, X საუკუნის

ავენისის წმინდა გიორგი და XI-XII საუკუნეების გარდატეხის ლელიანის წმინდა თევდორე დარბაზის პროპორციებით თუ თანადროულ დარბაზულ ეკლესიებს ემსრობიან, იგივე ნამ-დვილად არ ითქმის V-VI საუკუნეების უკანგორის, VII-VIII საუკუნეთა მიჯნის საროს, იგივე პერიოდის ხვილიშასა და ყვარშას, აგრეთვე IX-X საუკუნეების გარბაზის ეკლესიებზე.

დამონმებული მონაცემები ცხადჰყოფს, რომ ე.წ. კლასიკური სქემის თუ შედარებით გამარტივებული სტრუქტურის სამეცნიერო ბაზილიკათა ცენტრალური ნაწილის ანუ ძირითადი სივრცით-მოცულობით ბირთვის ორატორიუმისა და აბსიდის სიგრძეთა შეფარდება, დროის ერთსა და იმავე მონაცემთში განსხვავებულ რიცხვით მაჩვენებელშია გამოხატული. აქედან გამომდინარე, თუ სამეცნიერო ტიპის გაჩენისას მშენებლებმა ამოსავალ ფორმად მარტივი სქემის დარბაზული ეკლესია აიღეს და დამატებითი გვერდითი მინაშენებით გაართულეს, მაშინ ახლადნარმოქმნილი სტრუქტურის მაორგანიზებელი ცენტრის, ე.ი. დარბაზის მოცულობა, გეგმაში მაინც, ნიმუშის პროპორციებს უნდა ემსრობოდეს. მაგრამ, როგორც გაირკვა, ხშირ შემთხვევაში საპირისპირო სურათია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სამეცნიერო ტიპის გაჩენას დარბაზული ფორმის მხოლოდ გვერდითი მინაშენებით გართულებით ვერ ავხსნით; თუმცა როგორც ვხედავთ, ადრეული დარბაზული ეკლესიების ნიშანდობლივი პროპორციები რიგ სამეცნიერო ბაზილიკებშიაც გვხვდება. სახელდობრ, ნასტაკისის ძეგლის მაგალითზე ადგილი აქვს ტიპიური გრძივი სამნავიანი სტრუქტურის იმგვარ გადაკეთებას, რის შედეგადაც ცენტრალური ნავის ადგილზე ნარმოქმნილი დარბაზი, რომელიც სამმხრივი გარშემოსავლებით აღიჭურვა, აბსიდი-დარბაზის სიგრძეთა შეფარდებით (1:2,1) ადრეული ერთნავიანი ეკლესიების მსგავსი გამოდგა. მაგრამ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, უკვე არსებული სამნავიანი ბაზილიკური სტრუქტურის სამეცნიეროად ტრანსფორმაცია ერთგვარად მექანიკურად განხორციელდა, რის შედე-

გად ცენტრალური ნავი და მთლიანად გეგმა 3,5 მეტრით დამოკლდა, თაღოვანი ღიობების ამოშენების შემდგომ ჯვრის მოყვანილობის ბურჯების ინტერიერისკენ მიმართულმა მკვლავებმა პილასტრების სახე მიიღო, ხოლო ამ ტექტონიკური ელემენტის აღმოსავლეთის წყვილმა ღრმა აბსიდა გამოჰყო ისე, რომ პილასტრები, თავდაპირველი გეგმარების შესაბამისად, დარბაზის სივრცეში თავისუფლად შეჭრილი დარჩენენ, რამაც აბსიდის დარბაზთან დაკავშირების უჩვეულო კონსტრუქციული გადაწყვეტა ნარმოშვა და სწორად აქ გამულადვნდა მექანიკური გადაკეთების კვალი. ასე რომ, ნასტაკისის სამეცნიერო ბაზილიკის ცენტრალური დარბაზის ინტერიერი სრულად, ისევე როგორც ცალკე აღებული დარბაზის პროპორციები, ამგვარი გადასხვა-ფერების პროდუქცია და, ამ თვალსაზრისით, სამეცნიერო ტაძართა მთლიან რიგში იგი უნიკალურად გამოიყურება.

მოკლე, მარტივი გეგმარების დარბაზულ ეკლესიათა გვერდითი მინაშენების დამატების მეშვეობით ადრევე თუ როგორ განხორციელდა სამეცნიერო სტრუქტურის ფორმირება, ამის თვალსაჩინო ილუსტრაციაა არეშის უსახელო ბორცვის IV საუკუნის განათხარი ეკლესია, რომელსაც არაუგვიანეს VI საუკუნისა დასავლეთი დერეფნით დაკავშირებული აბსიდიანი სამხრეთისა და ძირითად სივრცეში კარით გახსნილი, ჩრდილოეთის სწორკუთხა ოთახიანი გარშემოსავლელი დაემატა. უსახელო ბორცვის ტაძრის ანალოგიური სახეცვლილება განიცადა მისმა სინქრონულმა არეშის ტყის უბნის N 3 ეკლესიამაც (ტაბ. II,4) [25, გვ. 118-123]. ამგვარად, ესაა სამეცნიერო ტიპის, ნასტაკისისაგან განსხვავებული, უკვე არსებული ნაგებობის დამატებითი სათავსებით აღჭურვის შედეგად გაჩენის გზა. მაშასადამე, ამ კონკრეტული ძეგლების მაგალითზე დადასტურებას პოვებს თეზისი, რომელიც სამეცნიერო ტიპის გაჩენის მიზეზს დარბაზული ეკლესიის გვერდითი მინაშენების დამატებით ხსნის; ორივე ეკლესიას მოგვიანებით მართლაც გვერდითი მინაშენები გაუჩნდა და

ახალი კლასიფიკაცია - „დარბაზული ეკლესია გვერდითი მინაშენებით“ - პირდაპირი მნიშვნელობით ესადაგება არქიტექტურული ძალისა და ტყის უბნის №3 ეკლესიების არქიტექტურულ არსას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სარწმუნოდ გვესახება არქიტექტურულ ტაძართა ანალოგიური კომპოზიციური სქემის, ოღონდ თანადროული სამმხრივი გარშემოსავლელით აღჭურვილი საბუის წმინდა შიომს, ჭერემის „მამა დავითის“ და არქიტექტურის ყურის სამეცნიერო ბაზილიკების ცენტრალური დარბაზის ნიმუშად მათივე სინქრონული ერთნავიანი ეკლესიები რომ გამოეყენებინათ. იგივე მოსაზრება გარშემოსავლელის დასავლეთი ფრთის არქიონე რუისპირისა და შაშიანის სამების, აგრეთვე გაცილებით მარტივი კომპოზიციური სქემის, საკურთხევლის ერთ ან ორივე მხარეს მომიჯნავე მოკლე სათავსებიან ვაზისუბნის, ტაძალას, ჭერემის „წვეროდაბლის“, მანხუტის ზედა და არქის მდინარისპირის ეკლესიებზეც ვრცელდება. ბრეთის „მამა პიროსის“, ლელიანის, ავენისის, X საუკუნის შუახანების გუჯრისხევის, მინის საყდრის, სანარიას, X საუკუნის შუახანების მომდევნო ათწლეულების საკირქს, ტაძრისის [27, გვ. 135-155, ნახ. 5,7-9; 39, გვ. 7] და XII საუკუნის წინანდლის გიორგი საფარისაში [41, გვ. 195-198] აბსიდა დარბაზის სიგრძეთა შეფარდება ასევე თანადროული დარბაზული ეკლესიების იდენტურია. ამრიგად, ჩამოთვლილ სამეცნიერო ბაზილიკათა არქიტექტურული კომპოზიციის მაორგანიზებელი ბირთვის, - ცენტრალური დარბაზის გეგმის პარამეტრები მათსავე სინქრონულ დარბაზულ ეკლესიებს უნდა განესაზღვრა. საერთოდ კი, მიუხედავად არაერთგვაროვანი პროპორციული თანაფარდობისა, ადრე თუ განვითარებულ შუასაუკუნისათვის დარბაზული ეკლესიების გეგმა სიგრძივობით მაინცდამაინც არ გამოირჩევა. ეს არცაა მოულოდნელი, რადგან აღმოსავლეთ საქართველოს ქრისტიანული არქიტექტურისათვის ზოგადად და ერთნავიანი ეკლესიისათვის კერძოდ, უცხოა ბრტყელი ხის გადა-

ხურვის კონსტრუქცია, რომელიც ნაგებობის სიგრძეში მკვეთრი განვითარების შესაძლებლობას პრაქტიკულად გამორიცხავს. ქართული დარბაზული ეკლესია კონსტრუქციული თვალსაზრისით და, ნაწილობრივ, სტრუქტურულადაც ბაზილიკაა, ერთნავიანი ბაზილიკა, რომლის მოდელიც მრავალი ნიშნით I-II საუკუნეების მცხეთის მავზოლეუმის კამარვანი ტიპის აკლდამაა [1, გვ. 107-108; 36, გვ. 86-87; 10, გვ. 12-13, ტაბ. LXV-LXXII; 21, გვ. 198-191]. სრულიად განსხვავებული სურათია სომხეთში, სადაც ქრისტიანული არქიტექტურის განვითარების ადრეულ ეტაპზე ხის გადახურვის კონსტრუქცია ჩვეულებრივი მოვლენაა და, შესაბამისად, გრძივი გეგმის ტაძრების მშენებლობას ხელს არაფერი უშლიდა. ამიტომაც IV საუკუნის დირაკლირის თუ V საუკუნის შირვანჯუგისა და დვინის დარბაზული ეკლესიების გეგმები, იგივე ტიპის ქართული ძეგლებისაგან განსხვავებით, მნიშვნელოვნად დაგრძელებულია [40, გვ. 207, ნახ. 5, 1-3].

ზემოთ გამოვყავით ერთი ჯუფი გეგმაში დაგრძელებული სამეცნიერო ბაზილიკებისა და გამოვთქვით ვარაუდი, რომ მათი გართულებული სტრუქტურის, ანუ გვერდის მინაშენების მქონე დარბაზულ ეკლესიებად მიჩნევა საპრობლემო უნდა იყოს, რადგან ნარმოდგენილი ტაძლის მონაცემები არკვევს, რომ ადრეული, ყოველ შემთხვევაში X საუკუნემდელი ისეთი ერთნავიანი ეკლესიები, სადაც აბსიდა-დარბაზის სიგრძეთა შეფარდება 1:4 უახლოვდება, პრაქტიკულად უცნობია; აქედან გამომდინარე, რეალურად გვესახება მეტი საერთოს სამნავიან ბაზილიკებთან ძიება. მართალია, საქართველოს გრძივი სამნავიანი ბაზილიკებისაგან განსხვავებით (გამონაკლისია VI საუკუნის ვაზისუბნის სამნავიანი ბაზილიკა), ამ ჯუფის ძეგლებში გვერდითი ფრთები ხშირად ერთმანეთს დასავლეთი დერეფნით უკავშირდებიან, მაგრამ საჭიროდ ვთვლით კვლავ გავიმეოროთ, რომ ეს ელემენტი ადრეულ მატნის და შუამთის ბაზილიკებშია გამოყენებული, ხოლო ჩამოყალიბებული სამეცნიერო ნასტაკისის სტრუქტურის ნასტაკისის ზემოხსენებული

თარიღი თუ რეალურია, მაშინ იგი მომდევნო ხანის სამეცნიერო ტაძართა ნიმუშად იქნებოდა გამოყენებული. ზემოთითქვა, რომ დაგრძელებული გეგმის ცენტრალური ნაწილის შემნენე სამეცნიერო კომპოზიციის ფორმირება გრძივ სამნავიან სტრუქტურაში „შექრით“ და მისი ერთგვარი რეორგანიზაციის გზით უნდა განხორციელებულიყო (ცენტრალური ნავის სივრცობრივი იზოლაცია, გვერდის ნავების ცალკეულ ნაკვეთურებად დანაწევრება) და ამ პროცესში დარბაზად ტრანსფორმირებულ ცენტრალური ნავის გეგმის პროპორციებს რამე არსებითი ცვლილება არ უნდა განეცადა. საქართველოს გრძივ სამნავიან ბაზილიკებში ცენტრალური ნავის აბსიდა-დარბაზის სიგრძეთა შეფარდების ასეთი სურათია: V საუკუნის არქში - 1:5,9 [25, სურ.2], V-VI საუკუნეთა მიჯნის ხაშმის კანარეთის სამება - 1:4,2; VI საუკუნის დამდეგის ბაზილიკები: ნატკორა - 1:5,5, კონდოლის ნათლისმცემელი - 1:4,4; ხირსის სტეფანემინდა - 1:8,4, ვაზისუბანი - 1:7,2, ახშანის გორისჯვარი - 1:4 [41, ნახ. გვ.: 56,66,68,70,81,82], ურბნისი - 1:6 [8, გვ. 87-127], თბილისის ანჩისხატი - 1:5,9 [5, ნახ.50]. თუმცა ისეთ „განელილ“ პროპორციებს, როგორიც ვაზისუბნის და ხირსის სამნავიან ბაზილიკებშია, დაგრძელებული ცენტრალური დარბაზის შემნენე სამეცნიერო ვერ ვხვდებით, ამ მონაცემით, ანუ გრძივი გეგმარებით, ვაჩინაძიანის „ამიდასტურის“, ზეგანის ყველანმინდის, ვარდისუბნის „დეკანოზურის“, კონდამიანის, საგურამოს ეკლესია „ქასური გიორგის“ და იყალთოს წმინდა სტეფანეს სამეცნიერო ბაზილიკების სხვა დასახელებულ სამნავიანებთან მსგავსება და აშკარა დამთხვევაც უთუოდ საცნაურია.

თეორიულ ასპექტში არც ე. ნ. გრძივი გეგმარების სამეცნიერო ბაზილიკის საქართველოში ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ადრეულ ეტაპზევე, ეკლესიის რომელიმე კონკრეტული ტიპის ნიმუშად მოხმობის გარეშე, დამოუკიდებელ თემად შექმნა-ჩამოყალიბების შესაძლებლობაა გამოსარიცხი. მაგრამ აქ, ზემოთქმულის ერთგვარი პერიოდით,

შევნიშნავთ, რომ თუ გრძივი გეგმარების სამეცნიერო ბაზილიკა ქართული ქრისტიანული საკულტო არქიტაქტურის განვითარების პროცესის იმანენტური მოვლენა, მაშინ საეჭვოა ახსნა მოეძებნოს იდენტური სტრუქტურის და თანადროულ (მაგ., ნეკრესი და ვაჩინაძიანის „ამიდასტური“) ამ ტიპის ძეგლებში თუ რა ფაქტორმა განაპირობა ნავებობის კომპოზიციური ცენტრის, - ძირითადი დარბაზის არაერთგვაროვანი პროპორციები. ყველა ადრეულ დარბაზული ეკლესიის გეგმის პროპორციები გრძივი ბაზილიკის ცენტრალურ ნანილს იმავე ნიშნით მკვეთრად სხვაობს; თუმცა, როგორც გაირკვა, საკულტო ნაგებობის საკველევი ტიპის ერთ ნანილში ცენტრალური მოცულობის სიმოკლე, მათ ნიმუშად გეგმის იგივე პროპორციების მქონე დარბაზული ეკლესიის გამოყენებამ განაპირობა. აქედან გამომდინარე, სამეცნიერო ბაზილიკის აღნიშნული ჯგუფის ძეგლთა ნიშანდობლივი სპეციფიკის, კონკრეტულად კი სიგრძივობის განმსაზღვრელი იმპულსი მასთან ხუროთმოძღვრები კომპოზიციითა და საერთო აღნაგობით ძალზე მსგავს საქართველოს გრძივი სამნავიანი ბაზილიკებიდან უნდა მომდინარეობდეს. გრძივი სტრუქტურა ქართული არქიტექტურული ტრადიციებისათვის უცხო რომ იყო, ამ სახის სამნავიანი ბაზილიკების არასიცოცხლისუნარიანობაც მონმობს და, როგორც ჩანს, მათ გაქრობასთან ერთად გრძივ სამეცნიერო ბაზილიკასაც უნდა შეეწყვიტა არსებობა. ეს ასეცაა, რადგან როტული კომპოზიციური სქემის გრძივი სამეცნიერო ბაზილიკები VI-VII საუკუნეების მიჯნის შემდგომ არ შენდება.

მომდევნო ხანის (VII საუკუნის მიწურულიდან IX-X საუკუნეების გარდატეხამდე) დარბაზული ეკლესიებისა და სამნავიანი ბაზილიკების გეგმის სიგრძივობა უცხოა; მეტიც, - ამ პერიოდის სამნავიან ბაზილიკები აშკარაა გეგმის კვადრატთან დახსლობის და სპეციფიკური ბაზილიკური სივრცის უარყოფის ტენდენცია [2, გვ. 25]. ამავე პერიოდში დაუფრო გვიან იგება ცენტრალურ სივრცესთან

კარით დაკავშირებული მოკლე მინაშენებიანი ელექსიების ერთი ჯგუფი. ამ რიგის ცალკეულ ძეგლებთან დაკავშირებით ზემოთ უკვე გამოითქვა აზრი, რომ ისინი მეტ-ნაკლებად გართულებული სტრუქტურის ერთნავიანი ეკლესიებია და მათი დარბაზის გეგმის პროპორციები თანადროული უმარტივესი სქემის ერთნავიანი ეკლესიების ანალოგიური უნდა იყოს. რაც შეეხება დასახელებული მარტივი სქემის ძეგლების შედარებით მცირერიცხოვან ჯგუფს, - საროს, ყვარშას, უკანგორს და უფრო მეტად ხვილოშასა და გარბანს, ისინი იმ რთული სტრუქტურის სამეცნიერებიანი ბაზილიკების თანადროულ გამარტივებული კომპოზიციური წყობის ნიმუშებსა თუ გვიან რემინისცენციას უნდა ნარმოადგენდნენ, რომელთა სივრცით-მოცულობითი ცენტრის მოდელად გრძივი სამნავიანი ბაზილიკის ძირითადი დარბაზია გამოყენებული.

თითქოს კიდევ ერთ ცალკე ჯგუფს ქმნიან ის სამეცნიერების ბაზილიკები, რომელთა დარბაზისა და აბსიდის სიგრძის შეფარდება 1:3,3-1:3,7 შუალედში მერყეობს. ესენია: IV საუკუნის ველისციხე, VI-VII საუკუნეთა მიჯნის საბუის ნათლისმცემელი და ნეკრესი, ავრეთვე VIII-IX საუკუნეების ცხვარიჭამია (1:3,3); მათვე შეიძლება მიეკუთვნოს IX საუკუნის ჩითახევი (1:3,3) და ფოთოლეთი (1:3,7) [39, გვ. 6-7; 26, გვ. 71; 28, გვ. 144]. ეკლესიის ჩვენთვის საინტერესო ნანილთა მსგავსი თანაფარდობა დასახელებული პერიოდების არც დარბაზულ ეკლესიებსა და არც გრძივი გეგმარების სამნავიან ბაზილიკებში არ გვხვდება. ძალაუნებურად ჩნდება ცდუნება ანალოგიების ადრეულ ცენტრული გეგმარების ბაზილიკებთან ძიებისა და თუ შუამთის ბაზილიკაში აბსიდა-დარბაზის სიგრძეთა შეფარდება აღრეულ დარბაზულ ეკლესიებისათვის ტიპიურ მონაცემებს შეიცავს (1:2,8), მისსავე თანადროულ, V საუკუნით დათარიღებულ მატნის ცხრაკარაში ეს შეფარდება უდრის 1:3,7 [41, გვ. 45-48, 48-55]. ისიც ანგარიშგასანევია, რომ VIII-IX საუკუნეების ალვანის ნათლისმცემელის და მის თანადროულ ზედაზნის სამნავიან ბაზილიკებში

აბსიდისა და დარბაზის სიგრძეთა შეფარდება შესაბამისად ტოლია: 1:3,4, 1:3,9 [41, გვ. 95, 98]. აქედან გამომდინარე, ბოლოს დასახელებულ სამეცნიერებიან ბაზილიკათა ნიმუშად, მხოლოდ პოსტულატის დონეზე, ადრეულთათვის მატნის ცხრაკარის, ხოლო შედარებით მოგვიანეულისათვის ალვანისა და ზედაზნის ბაზილიკების გამოყენების ვარაუდს არ გამოვრიცხავთ. თუ აღნიშნულ მოსაზრებას საფუძველი გააჩნია, მაშინ სამეცნიერებიან ბაზილიკათა დასახელებულ ჯგუფშრითავსიჩენს ძველი ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების პროცესის ის უმთავრესი ტენდენცია, რომელიც მთლიანი სტრუქტურის უმნიშვნელო სიგრძივობაშია გამულავნებული.

დავასკვნით:

გეგმათა პროპორციული ანალიზის შედეგად მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, ერთიანი სტრუქტურის ფარგლებში, სამეცნიერებიანი ბაზილიკების ცალკეულ ჯგუფებს გამოყოფთ, რაც, თავისთავად, ამ სახის ქრისტიანულ საკულტო ნაგებობათა კლასიფიკაციას გულისხმობს. ვიზიარებთ რა ქართულ სახელოვნებათმცოდნეო ლიტერატურაში დამკვიდრებულ იმ თვალსაზრისს, რომ სამეცნიერებიანი ბაზილიკა ჩნდება სამნავიან ბაზილიკური სქემის გარკვეული ცვლილების შედეგად და მყარად ინარჩუნებს თვითმყოფად არქიტექტურულ ფორმებს და სტრუქტურულ ერთიანობას [44, გვ. 311], კვლავ გავიმეორებთ, რომ ტიპოლოგიურად ერთიანი სტრუქტურის ფარგლებში სამეცნიერებიანი ტაძრების ცალკეული ჯგუფები გამოიყოფა: 1. უპირველესად განვიხილეთ სამეცნიერებიანი ბაზილიკის ერთერთი ადრეული ნიმუში - ნასტაკისის ძეგლი, რომლის გეგმის სხვა ამ ტიპის ეკლესიათაგან მნიშვნელოვნად განსხვავებული პროპორციები, მისივე წინამორბედი სამნავიანი ბაზილიკის სპეციფიკურმა შეცვლა-გადაკეთებამ განაპირობა; 2. ცალკე ჯგუფში გაერთიანდა სამეცნიერებიანი ბაზილიკები, რომელთა კომპოზიციური ცენტრის, - ძირითადი დარბაზის აბსიდა-ორატორიუმის სიგრძეთა შეფარდება საქართველოს ადრეულ გრძივი სამნავიანი ბაზილიკე-

ბის ცენტრალურ ნავთა პროპორციებს ძლიერ უახლოვდება ან სულაც მათი იდენტურია. ამიტომაც ამ რიგის სამეცნიერო ტაძრების ნიმუშს სწორედ მათი თანადროული სამნავიანი ბაზილიკები უნდა წარმოადგენდნენ; 3. სხვა რიგის სამეცნიერო ტაზილიკების ნიმუშად კი, შემოლოდ ვარაუდის ფარგლებში, ადრეული ჰერიოდის და შედარებით მოგვიანო ცენტრული გეგმარების სამნავიანი ბაზილიკები მივიჩნიოთ; 4. ამავე დროს არის ისეთი ძეგლები, რომელთა სამეცნიერო სტრუქტურა ადრეული, უკვე არსებული მარტივი გეგმის ერთნავიანი ეკლესიის შემდგომ სამმხრივი გარშემოსავლელით აღჭურვის შედეგად შეიქმნა და მათი „ცენტრალური ეკლესიის“ გეგმის პროპორციები, რასაკვირველია, ადრეული დარბაზული ეკლესიების შესაბამისია; ე.ი. ეს ძეგლები უკვე არსებულ ნაგებობათა გადაკეთების შედეგს წარმოადგენენ და არა დამოუკიდებელი ძიების გზით გაჩენილ არქიტექტურულ ფორმას. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ დარბაზული ეკლესია სამეცნიერო ტემის ფორმირების პროცესში ყურადღების მიღმა დარჩა; პირიქით; 5. რიგი ძეგლებისა ცხადჰყოფს, რომ მათი ცენტრალური დარბაზის ნიმუში სწორედ თანადროული დარბაზული ეკლესიებია, რაც კვლავ გეგმის მსგავს პროპორციებში მუდავნდება და, ამ ნიშნით, ისინი სამეცნიერო ტაზილიკების კიდევ ერთ ჯგუფს ქმნიან; 6. ცალკე შეიძლება გამოიყოს ცენტრალურ სივრცესთან აბსიდის მახლობლად გაჭრილი კარით დაკავშირებული მინაშენების მქონე დარბაზული ეკლესიები, რომლებიც მსგავსი კომპოზიციური სქემის და მათ სინქრონულ ძეგლებისაგან დარბაზის „განელილი“ პროპორციებით განსხვავდებიან და, სავარაუდო, ისინი გრძივი სამეცნიერო სტრუქტურის გამარტივების შედეგად უნდა იყვნენ წარმოშობილი. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ სტრუქტურული თანხვედრის მიუხედავად, საქართველოში სამეცნიერო ტემის ჩასახვა-განვითარების განსხვავებული გზები არსებულა, ანუ მას საერთო მოდელი თუ ნიმუში არ გააჩნდა, რაც ქართულ სამეცნიერო ტაზილიკებს

არსებითად განახსვავებს ე.ნ. აღმოსავლური ტიპის დარბაზული ეკლესიის სტრუქტურას-თან ძირეულად დაკავშირებულ სომხეთის სამეცნიერო ტაზილიკებისაგან [31, გვ. 10].⁵

შენიშვნები:

1. 564 წლით დათარიღებულ კასრ-იბნ-ვარდანის გუმბათიანი ბაზილიკის გვერდის ნავები, შუამთისა და მატინის მსგავსად, დასავლეთით გრძელდება და უწყვეტ გარშემოსავლელს წარმოქმნის [34, გვ. 68, ნახ. 33]; სამმხრივი გარშემოსავლელი აკრავს VII-VIII საუკუნეების უზუნლარის (ოძუნის) გუმბათოვან ბაზილიკას [40, გვ. 208, 212]. უთუოდ აღსანიშნავია, რომ ასევე სამმხრივი გარშემოსავლელი გაჩინია IV-V საუკუნეებს მიუჟოვნებულ ვაშნარის სამნავიან ბაზილიკასაც [16, გვ. 50-80], რომელიც დასავლეთ საქართველოს ამ ტიპის გამოკვეთილად სიგრძივი გეგმარების ტაძართა რიგში ერთობ უჩვეულოდ გამოიყურება და კომპოზიციური სქემით თითქოს ძევლი შუამთისა და მატინის სამმხრივ გარშემოსავლელიან ბაზილიკებთან პოულობს საერთოს, მაგრამ აბსოლუტური ზომების, აგრეთვე შიგა სივრცის ორგანიზაციის გათვალისწინებით ვაშნარში, ისევე როგორც ბიჭვინთასა და ციხესიმირში, „ბიზანტიური გავლენა უფრო თვალსაჩინო და არსებითია; რაც, უთუოდ, სხვა ფაქტურებთან ერთად შავიზღვისპირა ამ ცენტრებში ბიზანტიის პოლიტიკურ-კულტურული გავლენის სიძლიერით უნდა აიხსნას“ [29, გვ. 113].
2. გვხვდება გამონაკლისებიც; კერძოდ კი არეშის ტყის უბნის IV საუკუნის N5 ეკლესიას სამი - სამხრეთის, დასავლეთისა და ჩრდილოეთის კარი, აგრეთვე სამხრეთის თანადროული მინაშენი გააჩნია. აქ აბსიდა-დარბაზის შეფარდება უდრის - 1:4; მაგრამ თვით ძეგლი იმდენად გაურკვეველი სტრუქტურისაა, რომ ლ. ჭილაშვილი მას, სავარაუდო, ორეულესიან ბაზილიკა-დაც კი მიიჩნევს [25, გვ. 132-135, ნახ. 45]. გარდა ამისა, IX-X საუკუნეთა მიჯნის სწორი ერთნავიან ეკლესიაში აბსიდა დარბაზში 3,2-ჯერ თავსდება [37, ტაბ. 83], ხოლო X საუკუნის მეორე ნახევრისა და XI საუკუნის დასაწყისის ეხვევის „დედა ღვთისაში“ აბსიდა-დარბაზის შეფარდება 1:2,6 ტოლია [3, გვ. 41, სურ. 1].
3. საბუის წმინდა შიომას, ვარდისუბნის „დეკანზურს“ და ზეგანის ყველანმინდას ნ. ჩუბინაშვილი დარბა-

ზულ ტიპს აკუთვნებს, მაგრამ ამ ძეგლების კომპოზიციური სქემა-ძირითადი დარბაზული მოცულობა სამმხრივი გარშემოსავლელით, გვერდითი ფრთების არაერთგვაროვანი დანაწევრების მოუხდავად, ბევრი არაფრით განსხვავდებიან მის მიერვე სამეცნიერებიანი „ამიდასტურის“ ეკლესიებისაგან.

4. ამ ორ ძეგლს განასხვავებს დარბაზთან კარით დაკავშირებული მოკლე სწორკუთხა სათავსის მდებარეობა - მანჩუტის ზედა ეკლესიაში ჩრდილოეთით, უკანგორში კი სამხრეთით. გარდა ამისა, უკანგორს სამხრეთი პორტიკიც გააჩნია. ორივე ძეგლის შედარებით ადრეული დათარილებაც არაა გამოსარიცხი. მაგ., ლ. მუსხელიშვილი უკანგორის ეკლესის მშენებლობას IV-VI საუკუნეების შუალედში ვარაუდობს [14, გვ. 84-85]. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ XI საუკუნის კაბერის ეკლესიაში, რომელსაც ცენტრალურ სივრცესთან კარით დაკავშირებული ჩრდილო-აღმოსავლეთის მოკლე სათავსი გააჩნია, დარბაზი აბსიდის სიგრძეს მხოლოდ 2,2-ჯერ აღემატება. მაგრამ ეს ძეგლი მთელი რიგი არქაზმებითაა აღმატდილი (სამშენებლო მასალა და წყობის ხასიათი, მკვეთრად გამოსახული ნალისებური აბრისის აბსიდი), რაც მოცემული პერიოდისათვის ატიპიურ, წარსული ტრადიციების ნიშანდობლივ გადმოაშენებს ნარმოადგენენ [38, გვ. 48-57, სურ. 1]; და კიდევ, - დასახელებული ძეგლების რიგში თითქოსდა შესაძლებელია VII- VIII საუკუნეების კიზილ დერესის [46, გვ. 98-103, ტაბ. 11,2] და არაუგიანეს X საუკუნის დამდევის „კოხტა ღვთისმშობლის“ [15, გვ. 2-26, ნახ.4] ეკლესიებიც განვეხილა, რის საბაძაც ნაგებობის სამხრეთის მხარეს მთელ სიგრძეზე განვითარებული და ორ ნაკვეთურად დანაწევრებული მინაშენები იძლევა, მაგრამ, ამ შემთხვევაში, აკვანების, ოლთისასა და თეთრინყაროს დარად, გართულებული სტრუქტურის ტიპიურ დარბაზულ ეკლესიებთან უნდა გვქონდეს საქმე.
5. როდესაც ხმარებაში შემოდის და მკვიდრდება სამეცნიერებიანი თემის აღმნიშვნელი ახალი განმარტებითი ტერმინი - „დარბაზული ეკლესია გვერდითი მინაშენებით“, ის, რიგი ძეგლების მაგალითზე, ზუსტად ასახავს მოცემული საუკუნო ნაგებობის არსს და, ამ შემთხვევაში, თვით ტიპი უმჭიდროესად უკავშირდება საქართველოში ყველაზე პოპულარულ სატაძრო ნაგებობას - დარბაზულ ეკლესიას; ამიტომაც, გარ-

კვეული ჯგუფის ძეგლებისათვის აღნიშნული დეფონიცია სავსებით მისაღები ჩანს. ამასთანავე, როგორც ირკვევა, სამეცნიერების სტრუქტურა ცალკეულ ჯგუფებს მოიცავს, რომელთა ფორმისებული პროცესში დარბაზულისაგან განსხვავებული საკულტო ძეგლები იქნა ნიმუშად გამოყენებული (მაგ., ცენტრული და გრძივი გეგმარების ბაზილიკები) და ამიტომ მათ სახელწოდებად იქნებ კვლავინდებურად „სამეცნიერების ბაზილიკეს“ დატოვება ჯობდეს, ანდაც სხვა რომელიმე უფრო შესაფერისი კლასიფიკაციური ტერმინის შერჩევა გამოდგეს უპრიანი.

ლიტერატურა:

1. აფაქიძე ა. ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, თბ., 1963.
2. ბერიძე ვ. ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974.
3. ბერიძე ვ. ეხვევის ტაძარი „დედა ღვთისა“, ქართული ხელოვნება, ტ. 1, თბ., 1042.
4. ბოხოჩაძე ალ. ნასტაკისი, სარკინე, ძალისი. უურ. „ძეგლის მეგობარი“, №33, 1977.
5. გვერდნითელი რ. „მ. მარიამის“ ეკლესია თბილისში ანჩისხატი, თბ., 2001.
6. გიორგაძე მ. „მამა-დავითის“ ეკლესია სოფ. ჭერემში, ძმ, №67, 1984.
7. დოლიძე ვ. გარბანი, თბ., 1958.
8. ზაქარაია ვ. ნაქალაქარ ურბნისის ხუროთმოძღვრება, თბ., 1965.
9. კალანდაძე ზ. ავენისის წმ. გიორგის ეკლესია. უინვალის არქეოლოგიური ექსპედიცია, III სამეცნიერო სესიის მასალების კრებული, თბ., 2003.
10. ლეჟავა გ. ანტიკური ხანის საქართველოს არქიტექტურული ძეგლები, თბ., 1979.
11. მეფისაშვილი რ. VIII-IX საუკუნეების სამეცნიერების ბაზილიკა სოფ. ცხვარიჭამიაში, ძმ, №62, 1983.
12. მეფისაშვილი რ. ბერის საყდარი, ქართული ხელოვნება, ტ. 7-А, თბ., 1971.
13. მეფისაშვილი რ. გრიგოლ ხანძთელის მონაფეთა სააღმშენებლო მოღვაწეობა ქართლში, სმამ, ტ. 4, თბ., 1963.

14. მუსხელიშვილი ლ. არქეოლოგიური ექსკურსიები მაშავრის ხელმაში, თბ., 1941.
15. რჩეულიშვილი ლ. „კოხტა ღვთისმშობელი“. ქართული ხელოვნება, ტ. 8-А, თბ., 1979.
16. სადრაძე ვ. ვაშნარი „სპონიეთი-გურიანი“, თბ., 2003.
17. სანიკოძე თ. ბრეთის „მამა პიროსი“, ძმ, №35, 1976.
18. ქართლის ცხოვრება, ტ. I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხ-ჩიშვილის მიერ, თბ., 1955.
19. ყიფიანი გ. კოლხეთისადა იბერიის ნარმართული ტაძრები და ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ნარმოშობის საკითხები, თბ., 2000.
20. ყიფიანი გ. უფლისციხე, თბ., 2002.
21. ყიფიანი გ. მცხეთის მავზოლეუმის ტიპის აკლდამის არქიტექტურული მოდელი, სმამ, 136, №1, 1989.
22. ჩუბინაშვილი გ. ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. 1, ტფ., 1936.
23. ციციშვილი ირ. ქართული არქიტექტურის ისტორია, თბ., 1955.
24. ნერეთელი კ. ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ძეგლები კუდოს და საყვირალის ნასოფლარებზე. შუასაუკუნეთა ხანის ქართული სოფელი არქეოლოგიური მასალების მიხედვით, II კონფერენცია, მოხსენებათა მოკლე შინაარსები, თბ., 2003.
25. ჭილაშვილი ლ. არქში, თბ., 1991.
26. ხოშტარია დ. კვირიკენმინდის მდებარეობის საკითხისათვის, მაცნე, ისტ. ... სერია, №1, 1985.
27. ხოშტარია დ. X საუკუნის სამონასტრო ეკლესიები ტაძრის - საკირეს მიდამოებში, მაცნე, ისტ. ... სერია, №3, 1986.
28. ხოშტარია დ. ჩითახვის მონასტრის ეკლესია (IX საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი). მაცნე, მაცნე, ისტ. ... სერია, №4, 1983.
29. ჯაბუა ნ. სამნავიანი ბაზილიკები ადრეული შუა საუკუნეების საქართველოში. იბერია-კოლხეთი, საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევანი, №3, 2007.
30. ჯანიაშვილი დ. „თეთრი გიორგის“ სამეკლესიანი ბაზილიკა. ძმ, №60, 1982.
31. ასრათან მ. Раннесредневековые зальные церкви с обходом Грузии и Армении. IV Международный симпозиум по грузинскому искусству, Тб., 1983.
32. ბერიძე ვ. Грузинская культовая архитектура IV-VII веков. II Международный симпозиум по грузинскому искусству, Тб., 1977.
33. ბერიძე ვ. Архитектура Тао-Кларджети, Тб., 1981.
34. ბრუნოვ ნ. Архитектура Византии. Всеобщая история архитектуры, т.3, М., 1966.
35. ჯაპარიძე ვ., კოპალიანი დ., ბუგიანიშვილი თ., ბოლკვაძე გ., გოჩაშვილი მ., მელაძე ნ., აბრამიშვილი რ. О работе Дманиской экспедиции. ПАИ в 1986 г., Тб., 1991.
36. ლომთაძე გ. Археологические раскопки в Мцхете, Тб., 1955.
37. მეპიაშვილი რ., ცინცაძე ვ. Архитектура нагорной части исторической провинции Грузии Шида-Картли, Тб., 1975.
38. მეპიაშვილი რ. Памятники X-XI вв. в сел. Кабери и Гостибе. ქართული ხელოვნება, ტ. 9-А, თბ., 1979.
39. მეპიაშვილი რ. Основные особенности развития трехцерковных базилик Грузии. II Международный симпозиум по грузинскому искусству, Тб., 1977.
40. ხალაპახչյան օ. Архитектура Армении. Всеобщая история архитектуры, т. 3, М., 1966.
41. ჭუბინაშვილი გ. Архитектура Кахетии, Тб., 1959.
42. ჭუბინაშვილი გ. Вопросы истории искусства, т. I, Тб., 1970.
43. ჭუბინაშვილი გ. Болниssкий Сион (исследование по истории грузинской архитектуры). Известия института языка, истории и материальной культуры им. акад. Н.Я. Марра, т. 9, Тб., 1940.
44. ჭუბინაშვილი გ. Архитектура Грузии. Всеобщая история архитектуры, т. 3, М., 1966.
45. ჭუბინაშვილი ნ. შაшианис Самеба. Композиция Зальной церкви осложненная вспомогательными помещениями, Тб., 1988.
46. ჭუბინაშვილი ნ. Церовани. Храмы сводчатой архитектуры с конструктивно-декоративными нишами на восточном фасаде, Тб., 1976.
47. Butler H. The Nabatean Temple plans and the plan of the Surian Churches. Studien zur Kunstgeschichte des Osten. Festschr. G. Strzygowski, Wien, 1923.
48. Godart A. Monument die Feu. Althare Iran t. III, 1938.

ქვედა გორას „განძი“

ვანის რაიონში, სოფ. ქვედა გორაში, 1958 წელს ადგილობრივი მოსახლის საკარმიდამო ნაკვეთში (სოფლის სამხრეთი ნაწილი, «ენუ-ქიძების უბანი»), მინის სამუშაოების დროს უპოვნიათ ოქროს ნივთი და სარდიონის მძივები, რომელიც განძად იყო ჩალაგებული თიხის ჭურჭელში. 1965 წელს ამ „განძის“ ნაწილი (მპოვნელის ცნობით: ოქროს ნივთი (ბალთა) შედგებოდა ორი ერთნაირი ნაწილი-საგან, იგი მას გაუყვია შუაზე შვილებისათვის, ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ ერთმა ნაწილმა, ხოლო სარდიონის მძივები რამდენიმე ათეული ცალი ყოფილა და ყველა ერთნაირი (თოთხმეტნახნაგა), მხოლოდ ზომებში განსხვავებული. როგორც ჩანს, ყელსაბამს შეადგენდა) შეიძინა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა (დაცულია ამავე მუზეუმის არქეოლოგიური განყოფილების ძირითად ფონდში №118-65/1, 2).

ნაშრომის მიზანია ამ მონაპოვრის სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა და ქრონოლოგიური ჩარჩოს განსაზღვრა ზოგადად მაინც.

ქვედა გორას „განძი“ შედგება შემდეგი ნივთებისაგან:

1. ბალთა (118-65/1) ოქროსი (ტაბ. I, 1). შედგება რომბისებური ფირფიტისაგან, რომელიც დარჩილულია სამმაგი მავთულისაგან გამოყვანილ ჰერაკლეს კვანძზე. ფირფიტის ზედაპირის ცენტრში ნახევარსფერული ბურცობია, დაფარული ცვარათი, რომელსაც ძირში გარშემო მავთული აქვს შემოვლებული; კუთხებში ოთხი მსხლისებრი ბუდეა, რომელთაც გარშემო ცვარას რიგი გასდევს, ბუდეებში ზის სარდიონის თვლები (ორი თვალი აკლია, ერთი ბუდე ნაკლულია); ფირფიტის ზედაპირის თავისუფალი სივრცე შემკულია ცვარათი გამოყვანილი პირამიდებით (სამ ბურთულაზე ზემოდან ერთი ბურთულა ზის. პირამიდების ნაწილს ზედა ცვარა აკ-

ლია). უკანა მხარეზე ცენტრში ფოსოა; უკანა მხრიდან ფირფიტას გვერდებზე მირჩილული აქვს ოთხი დეტალი, რომელიც სპირალურად ბოლოებდახვეულ მავთულს ნარმოადგენს (სამი ნაკლულია, ერთის მხოლოდ ფრაგმენტია შემორჩენილი); სპირალურ ხვიებზე ქვემოდან დარჩილულია ოთხკუთხა ფირფიტები (სიმტკიცისათვის?). კვანძზე მირჩილულია ვიწრო ფირფიტა (ყუნწის ნაწილი). ფირფიტის სიგანე 3 სმ, სიმაღლე 2,5 სმ.

ცალკეა ვიწრო ფირფიტისაგან გამოყვანილი ყუნწი (ტაბ. I, 2), რომელზეც მირჩილულია ისეთივე სპირალურად ბოლოებდახვეული მავთული, როგორიც რომბული ფირფიტის გვერდებზე (სპირალურად ბოლოებდახვეული მავთული ნაკლულია).

კიდევ ერთი ფრაგმენტია სპირალურხვი-იანი (ტაბ. I, 3); შერჩენილი აქვს რკალი; ზედ მირჩილული ფირფიტა და გრეხილი მავთულის ფრაგმენტი.

2. მძივები (118-65/2) სარდიონის, თოთხმეტნახნაგა (ტაბ. I, 5-6). ორი ცალი, სხვადასხვა ზომის. დიდი მძივი ქარვისფერია, პატარა - მოყავისფრო. ერთი მხრიდანაა გახვრეტილი. არხის სიგრძე 1,8 – 1,3 სმ, სიგანე 1,2 – 0,9 სმ, სიმაღლე 0,65 – 0,5 სმ.

როგორც ვნახეთ, „განძის“ შემადგენელი ნივთები მცირერიცხოვანია.

ოქროს ბალთას ანალოგი არ ეძებნება. ოქროს სამკაულის ბრტყელი ზედაპირის ცვარათი გამოყვანილი პირამიდებით მორთვა ძველკოლხურ ოქრომჭედლობაში ფართოდ გავრცელებული წესია მთელი ანტიკური ხანის განმავლობაში [6, გვ. 22]. ჰერაკლეს კვანძი პირველად ეგვიპტეში გაჩნდა ძვ. წ. II ათასწლეულში და გამოყენებული იყო როგორც მეორე ხარისხოვანი ამულეტური მნიშვნელობის მქონე ელემენტი. ანტიკურ სამყაროში ალექსანდრე მაკედონელის ხანამდე

ლიტერატურა

არ იყო ცნობილი. ელინისტურსა და რომაულ ხანაში კი ჰერაკლეს კვანძი გვევლინება ძლიერებისა და სიყვარულის განსაკუთრებულად პოპულარულ სიმბოლოდ [11, გვ. 66, 84]. ელინისტურ ხანაში ჰერაკლეს კვანძი დიადემებისა და ქ.ნ. პერისკელისის (მუხლზემოთ ფეხზე გასაკეთებელი სამკაულის) ცენტრალურ ნაწილს ნარმოადგენს. ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილია ჰერაკლეს კვანძიანი სამკაულის ელემენტი (ძვ.ნ. III-II სს.) [9, გვ. 63-67, 113, სურ. 40-41]. ნივთი ზოგადი ნიშნებით (გავარსის შეხამება ფერად ინკრუსტაციასთან, ზედაპირის შემკობა) ემსგავსება ახ.ნ. I-III სს-ში გავრცელებულ სამკაულთა რიგს და როგორც ჩანს ადგილობრივი ნახელავია.

გვიან ანტიკური ხანისათვის სარდიონის თოთხმეტნახნაგა მძივები განსაკუთრებით ტიპიურია. იგი ჩნდება ახ.ნ. I ს-ში და გვხვდება ახ.ნ. V ს-მდე, მაგრამ მათი ძირითადი ნაწილი აღმოჩენილია ახ.ნ. I-III სს-ის კომპლექსებში, მინისა და სხვა ნახევრადძვირფასი ქვების ასეთივე ფორმის მძივებთან ერთად, შემდგომ ჰერიოდში კი ამ ფორმის მძივები ძირითადად მინისაა. საქართველოს ტერიტორიაზე სარდიონის თოთხმეტნახნაგა მძივები აღმოჩენილია: სამთავროს სამაროვაზე ახ.ნ. II ს-ით (№144, 348; [10, გვ. 10, 12, 130]), ახ.ნ. II ს-ის მეორე ნახევარი – ახ.ნ. III ს-ის პირველი ნახევარით (№89, 136, 905; [10, გვ. 11-12, 130; 4, გვ. 39, 41, ტაბ. LVI, 11]), ახ.ნ. III-IV სს-ით (№533; [3, გვ. 194-196, სურ. 1525, 1528]); კარსნისხევის სამაროვაზე ახ.ნ. I-II სს-ით (№4; [2, გვ. 34, 53, სურ. 167]); ბაიათხევის ახ.ნ. I ს-ით (№4; [7, გვ. 108-110, სურ. 894, 1156-1158]); ცხეთის სამაროვნის აგ.ნ. II-I სს-ით (№13; [8 გვ. 19, 42, ტაბ. XVII, 26]), ახ.ნ. II-III სს-ით (№15; [8, გვ. 19, 45, ტაბ. XVII, 27]); ნოქალაქევში ახ.ნ. V-VII სს-ით (№5; [5, გვ. 109, ტაბ. XXIII, 2]) დათარიღებულ სამარხებში და ბორში [1, გვ. 443, სურ. 1].

ამრიგად, შესაძლებლად მიგვაჩნია ქვედა გორას „განძი“ ახ. ნ. I-III სს-ით დათარიღდეს.

1. აფაქიძე ა. ახალი არქეოლოგიური მასალები სოფ. ბორიდან, სსმმ, ტ. XII-B, თბ., 1944, გვ. 441-448.
2. აფაქიძე ა., კალანდაძე ა., ნიკოლაიშვილი ვ. მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1975 წლის მუშაობისა ანგარიში, მცხეთა, ტ. II, თბ., 1978, გვ. 8-80.
3. აფაქიძე ა., ნიკოლაიშვილი ვ., მელითაური კ., სიხარულიძე ა., სადრაძე ვ., ძნელაძე მ., მანჯგალაძე გ., ხეცურიანი ლ., ჭანიშვილი თ., გიუნაშვილი გ., დავლიანიძე რ., გავაშელი ე., ირემაშვილი შ., ბიბილური თ., ლლონტი ნ. დიდი მცხეთის ტერიტორიაზე 1979 წელს ჩატარებული კვლევა-ძიების შედეგები, მცხეთა, ტ. VI, თბ., 1982, გვ. 191-218.
4. აფაქიძე ა., ნიკოლაიშვილი ვ. მცხეთის ნარჩინებულთა განსასვენებელი ახ.ნ. I-III საუკუნისა – აკლდამა 905, მცხეთა, ტ. XI, თბ., 1966, გვ. 5-80.
5. ზაქარაია პ., ლომოური ნ., ლექვინაძე ვ., გვინჩიძე გ. ნოქალაქევის ექსპედიციის დიდი 1974-1975 წელებისა მოვალე ანგარიში, სსმაე, ტ. V, თბ., 1977, გვ. 103-113.
6. ლორთქიფანიძე თო. გონიოს განძი, თბ., 1980.
7. ნიკოლაიშვილი ვ., გიუნაშვილი გ. ბაიათხევი, მცხეთა, ტ. X, თბ., 1995, გვ. 97-134.
8. სულავა ნ. მთიანი კოლხეთი ანტიკურ ხანაში, თბ., 1996.
9. ჭყანია ა. ოქროს სამკაულები ვანის ნაქალაქარიდან, ვანი, ტ. VI, თბ., 1981.
10. Иващенко М., М. Самтаврские погребения первых трех веков н. э., მცხეთა, ტ. III, თბ., 1980, გვ. 8-231.
11. Hackens, T., Winkes, R. (eds.) Gold jewelry. Craft, style and meaning from Mycenae to Constantinopolis, Louvan-la-Neuve, 1983

კავკასია და „კართაგენიური“

თითქმის ექვსი ათეული წლის წინ ექ. თაყაიშვილი აღნიშნავდა, რომ ბერძენ-რომაელთა ისტორიულსები და საზოგადოდ უცხოელი მემატიანენი და მწერლები აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მხოლოდ იბერთა სახელმწიფოს იცნობენ, იბერთა მეფეებს და იბერებს იხსენიებენ, ხოლო ქართლის სამეფო, სახელი „ქართლი“ და „საქართველო“ მათთვის უცნობია; მეორე მხრივ, საქართველოს და ქართლის ისტორიულსთა არცერთ თხზულებასა და მატიანეში სიტყვა „იბერია“, „იბერი“ ანუ „იბერნი“ არ გვხვდება [1, გვ. 97]. იგი იქვე დასძენს, რომ არსებობს ერთი გამონაკლისი, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის მედალთა განცყოფილებაში დაცული ონიქსის საუცხოო ბეჭედი პროფილში მამაკაცის ბიუსტის გამოსახულებით, რომლის გარშემო ამოტვიფრულ ნარჩერაზე, იბერებთან ერთად – დამახიჯებულად, მაგრამ მაინც – მოიხსენიებიან „ქართლელებიც“; კერძოდ, ბეჭედს ბერძნულად ანერია: *OYCAC ΠΙΤΙΑΞΗC IBΗΡΩΝ KAPXΗΔΩΝ*. ამ ოთხ სიტყვაში ექ. თაყაიშვილის განცხადებით, ორი მათგანი ნათელია და არავითარ ეჭვს არ იწვევს. ეს არის – „იბერთა პიტიახში“ [1, გვ. 97-98]. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ნერილის გამოქვეყნებიდან თითქმის სამოცი წელია გასული, დღესაც გაურკვეველია, თუ ვინ უნდა ყოფილიყო ბეჭდის პატრონი – პიტიახშის ხელისუფლების მქონე პირი, სახელად უსა და რას უნდა ნიშნავდეს სიტყვა „კარხედონ“.

განცყოფილებას, სადაც ბეჭედია დაცული, ამჟამად ენოდება მონეტების, მედალიონთა და სიძველეთა დეპარტამენტი და აქ აღნიშნული ბეჭედი რეგისტრირებულია №1385-ით (სურ. 1). ბეჭდის თვალი ნარმოადგენს გემას (ინტალიო) და ბ. ჩოლოყაშვილის ცნობით, რომელმაც ჩემი თხოვნით მოიძია იქ აღნიშნული ბეჭედი [ვსარგებლობ შემთხვევით და

ბ-ნ ბიძინა ჩოლოყაშვილს გულითად მადლობას მოვახსენებ დიდი დახმარებისათვის.], იგი სარდიონისაა და არა ონიქსის. ამას თუნდაც ის მოწმობს, რომ იგი სამფეროვანია – პიტიახშის გამოსახულება ნაბლის ფერია, მას გარშემო ცისფერი სივრცე შემოყვავება, ხოლო ცისფერ სივრცეს თავის მხრივ შავი ფერი, რომელზედაც ზემონახსენები ბერძნული ნარჩერაა შესრულებული. პიტიახშის თავი შემკულია ნაწილებად დაშვებული გრძელი თმით და აქვს ხშირი ნვერი; ტანსაცმელი მჭიდროდ აკრავს ტანზე [2, გვ. 198]. მისივე აზრით, ამ საგნის ზომები (40 x 32 მმ) ცხადყოფს, რომ იგი უნდა ყოფილიყო არათითზე ნამოსაცმელი ბეჭედი, არამედ სატვიფარი ბეჭედი, საბეჭდავი. ამ საბეჭდავის ანატვიფრი საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფონდებში ინახება.

პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის იმავე დეპარტამენტში რეგისტრირებული ყოფილა უფრო მცირე ზომის (20 x 15 მმ) კიდევ ერთი, ასევე სარდიონის, ოღონდ თითზე გასაკეთებელი ბეჭედი (№1386), ოღონდ უნარჩერო, რომელსაც იმავე პიტიახში აკუთვნებდნენ უდავო პორტრეტული მსგავსების გამო [2, გვ. 199]. სამნუხაროდ ამჟამად ეს ბეჭედი დაკარგულად ითვლება.

პიტიახშის სახელწოდებას – უსა – მეცნიერთა დიდი ნაწილი არშუშად აღადგენდა და ამ პიროვნებას უკავშირებდა „შუშანიკის მარტვილობასა“ და ღაზარ ფარპეცის „ისტორიაში“ მოხსენიებულ არშუშა პიტიახშის [3, გვ. 169; 4, გვ. 276 შენ. 2; 5, გვ. 184, 188, 189]. გამოთქმული იყო მოსაზრება, არშუშას სახელწოდების ფალაური და ქართული დამნერლობის ჩვეულებისამებრ დაქარაგმებაშემოკლების შედეგად ფორმა „უსას“ მიღების შესახებ [6, გვ. 274-275]. ექ. თაყაიშვილი ამის საპასუხოდ განმარტავდა, რომ ქართულ დამ-

წერლობაში არსად არ შეიმჩნევა, რომ ქარაგ-მით შემოკლებულ სიტყვას პირველი ნაწილი, თუნდაც პრეფიქსი, სრულიად მოშორებული ჰქონდეს; შემოკლებული სიტყვა ყოველთვის იწყება იმ ასოთი, რომლითაც უნდა იწყებოდეს ქარაგმით გამოსახული შეუმოკლებელი სიტყვაც. ამიტომ, მისი აზრით, პიტიახშის სახელი ბეჭედზე უცვლელად, უნაკლოდ არის წარმოდგენილი და ეს სახელია უშა ან უჩა, ვინაიდან, ბერძნულ ენაში არც ბგერა „ში-ნი“ მოიპოვება და არც „ჩინი“; ორივე ბგერას უცხო ენიდან ნასესხებ სიტყვებში ბერძნული ენა „სანით“ გამოხატავს. ამის გამო, ექ. თაყაიშვილის აზრით, სრულიად ზედმეტი და მიუღებელი იქნებოდა, ბეჭედზე მოხსენიებული პიტიახშის არშუშად მიჩნევა [1, გვ. 98].

კ. კეკელიძის განმარტებით, ამ შემთხვევაში ლაპარაკი უნდა გვქონდეს არა დაქარაგმებაზე, არამედ ქართულისათვის დამახასიათებელ უბრალო შემოკლებაზე; მაგ.: იოვანე-ვანე, ემანუელ-მანუელ, ონისიმე-ნისიმა [7, გვ. 125]. თუმცა, მისი აზრით, ბეჭდის წარწერაში მოხსენიებული აშუშა, ვერ იქნებოდა V საუკუნის აშუშა, მამა ვარსექნისა, რადგანაც მის დროს იბერიაში ორმეფობას უკვე ადგილი აღარა აქვს, ბეჭდის წარწერა კი, მისი გაგებით, ორმეფობას გულისხმობს. აშუშას გვარი და შესაბამისად ამ სახელწოდების მატარებელი პიტიახშები, მისივე ვარაუდით, არსებობდნენ V საუკუნეზე უფრო ადრეც, IV საუკუნეში, ისე როგორც უფრო გვიან – VI საუკუნეში, როგორც ამას ადასტურებს «ევსტათი მცხეთელის მარტვილობის» ტექსტი [7, გვ. 131]. ა. ბოგვერაძემ და, როგორც ჩანს, მ. ბახტაძემაც, გაიზიარეს კ. კეკელიძის შეხედულება [8, გვ. 66; 9, გვ. 46, 51, 54, 56, 58, 60, 62, 71, 82, 83].

აღნიშნული საბეჭდავის V საუკუნით დათარიღებას არც მისი ტიპოლოგიური მონაცემები უწყობს ხელს. ბ. კუფტინი ხაზგასმით შენიშნავდა, რომ ბეჭედზე ამოკვეთილი პორტრეტის სტილისტური თავისებურებანი და მისი ბერძნული და არა ფალაური წარწერა უფლებას არ გვაძლევს ეს ბეჭედი მივაწეროთ

V საუკუნის დამლევის სასანიანთა მეფის მოხელეს, თუნდაც ადგილობრივი ეროვნული გარემოდან [10, გვ. 318]. მისი განმარტებით, ამ ეპოქის სასანურ პორტრეტულ გემებში ჭარბობს კონტურული მონახაზი, მაშინ როდესაც უსას ბეჭედს სახის გადმოცემაში ჯერ კიდევ შენარჩუნებული აქვს ანტიკური ხანისათვის დამახასიათებელი პლასტიკური შეგრძნება, რითაც იგი ახლოს დგას სასანიანთა დინასტიის ფუძემდებლის არდაშირ I-ის (226-241 წწ.) გემასთან ყულახიდან, ისევე როგორც არმაზის ნეკროპოლის ქალის №2 სამარხის ვერცხლის ლანგარზე დატანილ გამოსახულებასთან [10, გვ. 318-320]. იგი იმოწმებს აღ. ჯავახიშვილის დაკვირვებასაც, ბეჭედზე გამოხატული სახის შესამჩნევი პორტრეტული მსგავსების შესახებ არმაზის ნეკროპოლის IV საუკუნის დასაწყისის ერთი გემის გამოსახულებასთან [10, გვ. 320]. ბ. კუფტინის განცხადებით, თვით ის გარემოება, რომ არსებობს სავსებით დასრულებული წარწერის უშუალო მითითება იმის შესახებ, რომ ბეჭედი ეკუთვნის პირს, სახელწოდებით *Օսიაς* (ე. ი. უსა, უშა, უჩა, ან შესაძლოა უსას), არავითარ საფუძველს არ იძლევა იმისათვის, რომ ეს სახელი გადავაკეთოთ «აშუშად» ან «არშუშად» [10, გვ. 318]. სწორედ იმის გამო, რომ უსას საბეჭდავის გემაზე წარმოდგენილია აშკარად სასანურ ყაიდაზე ამოკვეთილი პორტრეტი, ამას ექ. თაყაიშვილიც ხაზგასმით აღნიშნავს [1, გვ. 98], მისი დათარიღება III საუკუნის მეორე მეოთხედზე უფრო ადრეული ხანით გამორიცხულად უნდა ჩაითვალოს და მისი სავარაუდო თარიღი ძირითადად III საუკუნის მეორე ნახევარსა და IV საუკუნის საწყის ხანებში ექცეოდეს ანუ სასანიანთა ეპოქის ადრეულ პერიოდს ემთხვეოდეს.

არც თ. ყაუხჩიშვილი თვლის სახელს – „აშუშას“ შემოკლებად. ბერძნული ეპიგრაფიკა-პალეოგრაფიის მონაცემების გათვალისწინების საფუძველზე იგი აცხადებს, რომ, როდესაც მოკლდება ბერძნული (ან ბერძნულად დაწერილი) სიტყვა, შემოკლება ჩვეულებრივ არ ხდება სიტყვის დასაწყისის ხარ-

ჯზე. მისი აზრით, თვით სახელი *Օսიაς* უნდა გადმოსცემდეს იბერი პიტიახშის სახელს და იგი არ უნდა მივიჩნიოთ „აშშას“ ან რომელი-მე სხვა სახელის დაბოლოებად [11, გვ. 254].

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ყურადღებას იპყრობს 2001 წლის გაზაფხულზე სვეტიცხოვლის ეზოში, ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს აღმოჩენილი აკლდამის (სამარხი 14) გათხრის შედეგად ნაპოვნი ოქროს საწერი მოწყობილობა – პენალი, რომელზეც მრავლად მოიპოვება ბერძნული წარწერები, ძირითადად ბერძნულ ლვთაება-მუზებისა და გამოჩენილ პირთა – პომეროსის, დემოსთენეს, მენანდრეს – სახელები. აქვე აღმოჩნდა წარწერა, სადაც ნახსენებია მეფე უსტამოსი. წარწერა შემდეგნაირად იკითხება: „მეფე უსტამოსისა და ევგენიოსისა“ [იხ. 12, გვ. 83; 13, გვ. 368]. მკვლევრები აღნიშნავენ რომ მთლად ნათელი არ არის, ეს ორი სახელი ერთ მეფეს ეკუთვნის თუ ორ სხვადასხვა მეფეს და თვლიან, რომ ამ სახელით მოხსენიებულია აქამდე უცნობი ქართლის მეფე [იხ., მაგ., 14, გვ. 63]. სახელწოდება უსტამოსი ბერძნული ფორმა უნდა იყოს „ევსტათი მცხეთელის მარტვილობის“ ტექსტიდან ცნობილი სპარსული სახელის – უსტამისა („უსტამ, ციხისთავი მცხეთისა“). თვითამ სახელწოდების – უსტამოსი – სპარსულ-ბერძნული ხასიათი თითქოს კიდევაც ასახავს სასანური ხანის ცენტრალური ამიერკავკასიისათვის დამახასიათებელ გაორებულ, დასავლური და აღმოსავლური ზეგავლენის შედეგად ჩამოყალიბებულ კულტურულ-პოლიტიკურ სინამდვილეს. სახელწოდება ოდნავ განსხვავებული ფორმით – უსტანოსი – დადასტურებულია მდ. დონის ქვემო დინებასთან და აღმოსავლეთ ყირიმში, ტანაისა და პანტიკეონში მიკვლეულ III (ახ. ნ. 220 ნ.) და IV საუკუნის ბერძნულ წარწერებში და იგი სიცოცხლის სისავსისა და ცხოველმყოფელობის აღმიშვნელი ავესტური სიტყვიდან წარმომდგარად არის მიჩნეული [13, გვ. 368f.].

სახელწოდება უსტამოსიდან შემოკლება-დაქარაგმების შედეგად *Օსიაς* მიღების დამაბრკოლებელი თითქოს არაფერი არ უნდა

ჩანდეს. აქ სულ სხვა სახის წინააღმდეგობა გვაქვს, უსტამოსი მეფეა – ბასილეოსი, ხოლო უსა პიტიახში – პიტიაქსეს. ამასთან დაკავშირებით, აღბათ შეიძლება გავიხსენოთ კ. თუ-მანოვის შენიშვნა, რომ მხოლოდ გოგარენეს პიტიახშებმა შესძლეს გამოეღწიათ არშაკი-დული მონარქიის დაცემის შემდგომ ეპოქაში, ოღონდ უკვე როგორც იბერიის სამეფო წრის კუთვნილმა წევრებმა [5, გვ. 192]. ნიშანდობლივია, რომ საბეჭდავის წარწერაში ბერძნული სიტყვა „პიტიაკსეს“ ქართული „პიტიახშის“ ფორმით არის წარმოდგენილი და არა სომხური „ბდებს“-ის, ან ბერძნულ-ლათინური „vitax“, „vitaxa“-ს სახით [1, გვ. 98]. აღბათ არ არის გამორიცხული, რომ ქართლის პიტიახში უფრო გვიან მეფობისათვისაც მიეღნია; გარდა ამისა, აღბათ გასათვალისწინებელია, სომეხი მემატიანების მიერ, საკუთარი მსოფლმხედველობიდან თუ თავისი ქვეყნის პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე, ან სულაც ისტორიული ტრადიციის შედეგად, ქართლის მეფეების „ბდებსებად“ არცოთ იშვიათად მოხსენიება.

მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ ზემოხსენებული სამარხის გამორჩეულად მდიდრული ინვენტარი II-III საუკუნეებით თარიღდება, მოიპოვება რიგი ნიშნებისა, რომლებიც სამარხის მოწყობის ხანად III-IV საუკუნეების მიჯნას განსაზღვრავენ და შესაბამისად სწორედ ეს ზღვარი უნდა ჩაითვალოს *terminus post quem-ad* აღნიშნული სამარხის დათარიღებისას; რაც იმას ნიშნავს, რომ ეს სამარხი აღნიშნულ ხანაზე უფრო ადრეულად ვერ ჩაითვლება, მიუხედავად იმისა თუ რამდენად უფრო ადრეული ხანით შეიძლება თარიღდებოდნენ მასში ნაპოვნი ცალკეული ნივთები. აღბათ დაახლოებით ამავე ხანით უნდა განისაზღვროს უსტამოსის ზეობის ნლებიც. მხედველობაში მაქვს ის გარემოება, რომ რომსა და სპარსეთს შორის დადებულ 298 ნლის ნიზიბინის ხელშეკრულების თანახმად იბერიის მეფეს, მისი ძალაუფლების დამატებიცებული სიმბოლოები რომიდან უნდა მიეღო, ხოლო სამარხის ინვენტარი აშკარად

ავლენს მათი მფლობელის სტატუსის გამორჩეულ ხასიათს. როგორც ცნობილია, რომი თავის კლიენტ-მეფეებს აღიარებასთან ერთად უძღვნიდა ხოლმე წარჩინების ნიშნებს - ინსიგნიებს და უზვადაც ასაჩუქრებდა [15, გვ. 245]. მირიან მეფის ზეობისადმი მიწერილი მეტად ხანგრძლივი დროის მონაცემთი თითქოს შესაძლებლობას უნდა გვაძლევდეს სადღაც იმავე ეპოქის განმავლობაში ვივარაუდოთ უსტამოსის მეფობის ხანაც [შდრ. 16, გვ. 58-64].

კიდევ უფრო რთული დასადგენია, თუ რას უნდა ნიშნავდეს პარიზის საბეჭდავის წარწერაში ნახსენები კარხედონი, რომელიც აშერად იბერიის მსაზღვრელად არის გამოყენებული.

მართალია, წარწერაში სავსებით ნათლად ისმის კართაგენის სახელი, მაგრამ მკვლევრები ერთავად გამორიცხავენ მასში ჩრდილოეთ აფრიკაში მდებარე ქალაქის დანახვის შესაძლებლობას და არც იქვე მოხსენიებულ იბერებს უკავშირებენ პირინეის ნახევარკუნძულზე მცხოვრებ იბერებს. ამას თუნდაც ის გარემოება უშლის ხელს, რომ პიტიახშის ინსტიტუტის არსებობა მხოლოდ ირანსა და მის მომიჯნავე ტერიტორიებზეა საგულვებელი და დასტურდება კიდევაც ამიერკავკასიაში.

„კართაგენელი“ იბერების იდენტიფიცირების საკითხთან დაკავშირებით არაერთი აზრი არის გამოთქმული: პ. პეტერსი შემდეგნაირად თარგმნიდა წარწერას: „აშშა პიტიახში კოლხელი იბერებისა“ [6, გვ. 275-279], პ. ინგოროვა: „აშშა პიტიახში იბერთა-კარქედისა (ანუ კლდევარის)“ [7, გვ. 125-132], ექ. თაყაიშვილი: „უშა, პიტიახში იბერთა-ქართლელთა“. ბ. კუფტინი: „უშა პიტიახში იბერთა ქართთა“ [10, გვ. 315-322]. ბ. კუფტინის აზრით, სიტყვა *Kart Hadašt* უნდა ამოიხსნას კართაგენის ბერძნული დასახელების შესაძლო წარმოშობის მსგავსად როგორც კართედონ ან კიდევ როგორც კართელონ. ამრიგად, წარწერა ბეჭედზე უნდა იყითხებოდეს: „უშა პიტიახში იბერთა-ქართთა“ (აზრით „იბერიისა-ქართლისა“) და მასში უნდა ვხედავდეთ

მოწმობას, რომ უკვე ჩვენი წელთაღრიცხვის მესამე საუკუნის დამლევს სახელმწიფო იბერია ატარებდა მეორე ეროვნულ სახელწოდებას - ქართლის ქვეყნისას [10, გვ. 321].

საინტერესო, რომ პერსეპოლისის წარწერებში მოხენიებულია გაურკვეველი წარმომავლობის *Karka-ს* ხალხი; ჯერ კიდევ XIX ს. შუა ხანებში დანიელი ორიენტალისტი ნ. ლ. ვესტერგარდი მათ ქართველებს უკავშირებდა: „გრუზიელებს (*Grusien*), რომელთაც სპარსელები ქურჯისტანს უწოდებენ“, ხოლო ი. ოპერტი — კართაგენელების სომხური სახელწოდების (კარქედოვმაზეცი) გათვალისწინებით — კართაგენელებს. ტერმინ კარქედონის წარმომავლობის საკითხთან დაკავშირებით, მართლაც მხედველობაში ჩანს მისაღები კართაგენის აღმნიშვნელი სომხური ტერმინი კარქედოვმაზეცი რომელიც დადასტურებულია ძველ სომხურ წერილობით წყაროებში.

ა.ნ. V ს. პირველი ნახევრის სომხეთში მომხდარი ამბების აღნერისას, VII ს. სომები ისტორიკოსი სეპეოსი თითქოს მიგვანიშნებს მის ქვეყანაში კართაგენელთა ხანმოკლე გაბატონებაზე; კერძოდ სეპეოსის ისტორიის მიხედვით (თავი 7), არმაკიდების ბატონობისა და ვარამ შაპუჟის ხანის დამთავრების შემდეგ სომხეთში გაბატონებულა ხალხი კარქედოვმაზეცის სამთავროდან. სომხური სახელწოდება — „კარქედოვმაზეცი“ წარმოდგება ბერძნულიდან, რომელიც, თავის მხრივ, სათავეს იღებს კართაგენის ფინიკიურ-პუნიკური სახელიდან — *Kart Hadašt* („ქალაქი ახალი“).

სეპეოსის ცნობით, დიდ მოგვებთან და სამეფოს უმთავრეს ნახარარებთან ერთად შემუშავებულა სომხეთში ქრისტიანობის ამოძირების გეგმა. სეპეოსი იქვე განმარტავს, რომ ეს ამბავი შეეხება „ბოროტი იაზკერტის“ მეფობის ხანას. „ბოროტი იაზკერტში“ ირანის სასანიანი შაპი იეზდიგერდ II ივულისხმება, რომლის ზეობის ნლები (438-457 წწ.) ქრისტიანთა და სხვა არაზოროასტრელთა განსაკუთრებული ჩაგვრით იყო გამორჩეული. თუ სეპეოსის ცნობას დავეყრდნობით, სომხეთში

კარქედოვმაზეცის სამთავროს ხალხის გაბატონების ხანა მოქცეული უნდა იყოს ვარამ შაპუჰის გარდაცვალების ხანიდან იეზდი-გერდ II-ის მეფობის დამთავრების ხანამდე ანუ უნდა განისაზღვროს დაახლ. 417-457 წწ. შუალედით.

სეპეოსის ტექსტის კომენტატორების აზრით, კარქედოვმაზეცელებში სასანიანი სპარსელები იგულისხმებიან, ვინაიდან უშუალოდ მომდევნო წინადადებაში ნახსენებია დიდ მოგვებთან და სამეფოს უმთავრეს ნახარარებთან ერთად სომხეთში ღვთისმოსაობის მოსპობის მცდელობა. სეპეოსის რუსულად მთარგმნელი კ. პატეანიანი (პატეანოვი) შენიშნავდა, რომ მან ვერ შეძლო ამ სახელის განსაზღვრა, თუმცა კი იგი სპარსელებს უნდა აღნიშნავდეს [17, გვ. 22-23]. ამ ტერმინის წარმომავლობის დადგენა ვერც ტექსტის მეორე მთარგმნელმა, ს. მალხასიანცმა მოხერხა, რომელმაც, V ს. სომები ისტორიკოსის ელიშეს ცნობასთან შეთანაპირებით, სადაც ზემოხსენებულის შესატყვის ადგილას, სასან სპარსის შთამომავლობის მიერ სომხეთის დაპყრობის შესახებ არის საუბარი [18, გვ. 148, შენ. 38], სეპეოსის მიერ მოხსენიებული „კარქედოვმაზეცის სამთავროს ხალხი“, და კ. პატეანიანის მიერ რუსულად ასევე თარგმნილი („народ Кархедомского княжества“), შეცვალა „კარქედოვმაზეცის დინასტიის გვარით“ (‘род Карк’едомской династии“) და მასში სასანიანთა დინასტია იგულისხმა. ს. მალხასიანციც, კ. პატეანიანის მსგავსად, შენიშნავდა, რომ მისთვის გაურკვეველია, თუ რატომ უნდა შერქმეოდათ სასანიანებს ეს სახელი [18, გვ. 26, 148, შენ. 38]. სეპეოსის ტექსტის ახალი ინგლისურენოვანი თარგმნის ავტორი რ. თომსონი, რომელსაც არ ეეჭვება კარქედოვმაზეცელების კავშირი სპარსელებთან, სომხური იშხანუთეან (სათავადო/საერისთავო) უკვე „იმპერიად“ თარგმნა — “the race of the Kark’edovmayi empire“ [19, გვ. 64]. ამავე დროს, სომხური წარმომავლობის ამერიკელი წყაროთმცოდნე და მთარგმნელი რ. გ. ბედროსიანი ამ ადგილს ინგლისურ ენაზე

ისევ „სამთავროს ხალხად“ თარგმნის: “*the people of the Kark’edovmayets’i principality*“ [20].

როგორც ჩანს, „კარქედოვმაზეცელების“ უშუალოდ სპარსელებთან გაიგივებას ხელს უნდა უმლიდეს სწორედ ეს გარემოება, რომ სეპეოსთან ეს „ხალხი“ (ერი, people) მხოლოდ „სამთავროს“ (იშხანუთეან — სათავადო/საერისთავო, principality) მფლობელია, სასანიანთა ძლევამოსილი იმპერიისაგან განხვავებით, რომელსაც უფრო შეესაბამება მომდევნო წინადადება, სადაც საუბარი შეეხება, სომხეთში ღვთისმოსაობის განადგურების განზრახვის დაგეგმვას მოგვებთან და „სამეფოს“ (თაგავორუთეან — kingdom) (და არა „სამთავროს“ — გ. ქ.) დიდებულებთან (ნახარარებთან) ერთად. ვინაიდან, თვით სეპეოსი აცხადებს, რომ სხვა ავტორების მონაცემების მიხედვით, ეს ამბავი (კარქედოვმაზეცის სამთავროს ხალხის გაბატონებისა და სომხეთში ღვთისმოსაობის მოსპობის გეგმის) შეეხება „ბოროტი იაზკერტის“ მეფობას, სავარაუდოა, რომ მოხდა ორი განსხვავებული ამბავის ერთმანეთში აღრევა: 1. კარქედოვმაზეცის „სამთავროს“ ხალხის გაბატონებისა; 2. „ბოროტი იაზკერტის“ მიერ ძლევამოსილი მოგვებისა და მისი „სამეფოს“ უმთავრესი დიდებულების თანადგომით სომხეთში ღვთისმოსაობის აღმოფხვრისა. სხვა შემთხვევაში, ძნელი ასახსნელია ერთმანეთის მომდევნო ორ წინადადებაში და ერთიდაიმავე კონტექსტში ჯერ „სამთავროსა“ (იშხანუთეან) და შემდეგ „სამეფოს“ (თაგავორუთეან) მოხსენიება.

შეხედულება სპარსელებთან კარქედოვმაზეცელების იგივეობის შესახებ მნიშვნელოვანნილად დაფუძნებული ჩანს ბიბლიაში შემავალი წიგნის, „წინასწარმეტყველება დანიელისას“ მეშვიდე ხილვის აპოკრიფული დამატებების სომხური ვერსიის ტექსტში (Ankanon Girk’ I, 244), სიტყვა კარქედოვნის „სპარსეთის“ მნიშვნელობით გამოყენებაზე [21, გვ. 156-157]. დანიელის ხილვა ასახავს ოკეანიდან (ზღვა დიდი) ოთხი საზარელი მხეცის ამოსვლას, რომლებიც ცოდვილი სოფ-

ლის დასასჯელად იყვნენ ღვთით მოვლენილნი. თეოლოგთა აზრით, ეს მხეცები: მსგავსნი ლომისა, დათვის, ვეფხის და გველეშაპის, განასახიერებდნენ შესაბამისად მსოფლიოს ოთხ ძლევამოსილ იმპერიას: ბაბილონს, მიდია-სპარსეთს, საბერძნეთსა და რომს. მიჩნეულია, რომ დათვში (დანიელი 7:5) ნაგულისხმევია მიდიელ და სპარს მეომართა მძვინვარება [22; 23]. ამდენად, ჩვენთვის სასანტერესო ტერმინი აქ სულაც არ უკავშირდება სასანიანებს და ზოგადად მიდიურ-სპარსული სამყაროს გამოსახატავად იხმარება. როგორც ჩანს, სებეოსთან აღნერილი ამბავის ზეგავლენით, სიტყვა კარქედოვმა-ეცი ზოგიერთ სომხურ თხზულებაში გადაიქცა სპარსელების აღმნიშვნელ სახელად; აღსანიშნავია, რომ „დანიელის წინასწარმეტყველების“ აპოკრიფული დამატებების სომხური ვერსიის შექმნის ხანა დაახლოებით სებეოსის თანადროულად არის მიჩნეული [5, გვ. 189 შენ. 190].

გ. აბგარიანი ამ ტერმინის ახსნის ყველა ადრეულ ცდას შეცდომად მიიჩნევს და თვლის, რომ მასში უნდა იმაღებოდეს შერყვნილად წარმოდგენილი „ჩარ ედოვმა-ეცი“ (*char k'awdeayts*) ანუ „ბოროტი ქალდეველები“, რაც შინაარსობრივ კავშირშია თვით სებეოსთან აღნერილ ამბავთან, სადაც „ბოროტიაზკერტის“ ავი ზრახვების განხორციელებაში „შხამიანი ქალდეველები“ ეხმარებიან [24, შენ. 118]. მისგან განსხვევებით დ. ფრენდონ განსახილველ ტერმინს კარქემიშისა და კართაგენის დამახინჯებად მიიჩნევს [25, გვ. 6 შენ. 12].

რით უნდა ყოფილიყო გამოწვეული სპარსელთა კართაგენელებად მოხსენიება? სომხეთში ხომ კარგად უწყოდნენ თუ სად იყო კართაგენი. დიდი კართაგენელი მხედართმთავარი და საზოგადო მოღვაწე ჰანიბალი (ძვ. წ. 247/246-183 წწ.) საკმაო ხანს თავს აფარებდა სომხეთის მეფის არტაშეს (არტაქსია) I-ის კარს; პლუტარქეს ცნობით, ჰანიბალი სომხეთის მეფეს ეხმარებოდა „არმენიის კართაგენად“ (εν Αρμενιοις Καρχεδών) წოდებული სატახტო ქალაქის არტაშატის (არტაქ-

სატა, არტაქსიასატა) დაგეგმარებაში (Plut., *Lucullus* 32, 3, 31; Strabo, XI, 14, 6).

ჩვენთვის საინტერესო საბეჭდავის წარნერის „კარქედონთან“ სებეოსის ისტორიაში მოხსენიებული „კარქედოვმა-ეცის“ შესაძლო კავშირზე ყურადღება, პირველად კ. კეკელიძემ გაამახვილა [7, გვ. 125-132]. მის მიერ ტერმინ „იბერონ კარქედონის“ ე.წ. სასანიანთა იბერებად ინტერპრეტირება, ძირითადად დაფუძნებული იყო სებეოსისეული ტექსტის „კარქედოვმა-ეცის“ სასანიანებთან გაიგივებაზე და ბუნებრივია პიტიახშის საბეჭდავის წარნერაშიც მას სასანიანთა დინასტია ჰქონდა ნაგულისხმევი; შესაბამისად წარნერა შემდეგნაირად გაიშიფრა: „აშუშა, სასანელთა (ანუ სპარსეთის) იბერების პიტიახში“ [7, გვ. 128]. ა. ბოგვერაძეც, იმას გავითვალისწინებთ, რომ აშუშას წინაპარი ფეროზი სასანიანთა საგვარეულოს ეკუთვნოდა, აღნიშნულ წარნერას ასე კითხულობს: „აშუშა (უსა), იბერიელთა პიტიახში, კარქედონინი (სასანიანი)“ [8, გვ. 66]. აღსანიშნავია, რომ კ. თუმანოვი დასაშვებად მიიჩნევს წარნერის კეკელიძისეულ ინტერპრეტაციას: „იბერიის სასანიანი პიტიახში“. როგორც ვხედავთ, ზემოთ ჩამოთვლილ ყველა შემთხვევაში, გაურკვეველი რჩება ტერმინების კარქედონისა და კარქედოვმა-ეცის ეტიმოლოგია. ამგვარად, ძირითადი წინააღმდეგობა აღნიშნული საკითხის გარკვევისას ეტიმოლოგიური ხასიათისაა.

უპირველეს ყოვლისა, გასათვალისწინებელია, რომ, თუ სომხურ ენაში კართაგენელების აღმნიშვნელი ტერმინი კარქედოვმა-ეცი სპარსელთა უკეთურად მოსახსენიებელად არის ნახმარი, რაც თითქოს სომხური წყაროების მონაცემებიდან ჩანს, გამორიცხული იქნებოდა ამ ტერმინის ბერძნული შესატყვისის – კარქედონის – გამოყენება სპარსეთის იბერიის აღსანიშნავად პიტიახშის საბეჭდავზე; ეს საბეჭდავი ხომ მისი მფლობელი პიტიახშის განსაღილებლად იყო დამზადებული და არა დასამცირებლად.

რაც შეეხება, მკვლევართა მიერ, პიტიახშის საბეჭდავის წარწერაში ჩრდილოაფრიკული ქალაქის, კართაგენის დანახვის შესაძლებლობის უარყოფას, მაინც ვფიქრობ, გამორიცხული არ უნდა იყოს მასში მართლაც კართაგენის გამოძახილი ყოფილიყო ასახული. კერძოდ, შესაძლოა აქ თავი გამოევლინა იმ ტრადიციას, რომელიც კ. კეკელიძის განმარტებით, ამა თუ იმ დაწინაურებული გვარის გენეალოგიას იწყებს ხოლმე რომელიმე გამოჩენილი და ცნობილი ადგილიდან ან პირისაგან, როგორც, მაგ., ბაგრატიონები „დავითიან-სოლომონიანს“ უწოდებდნენ თავის თავს და იერუსალიმიდან გამოჰყავდათ საკუთარი გვარი [7, გვ. 130]. ამ მხრივ, „იბერონ“ და „კარხედონ“ ტერმინებთან მიმართებაში, გასათვალისწინებელია ძვ. წ. IV-III სს. ისტორიკოსისა და პოლიტიკური მოღვაწის, „ინდოეთის ისტორიის“ ავტორის, მეგასთენესადმი მიწერილი და კლასიკურ და მომდევნო ხანების თხზულებებში ფართოდ გავრცელებული ლეგენდარული ცნობა, პონტოსთან მცხოვრები იბერების დასავლეთის იბერიიდან და ლიბიიდან გადმოსახლების თაობაზე (უსებ., *Praep. Evang.*, IX, 41, 1) და სავსებით მოსალოდნელია მას იბერთა პიტიახშის ერთ-ერთ ძირითად ინსიგნიაზეც ეჩინა თავი. ვინაიდან, მოვსეს ხორენაციც შენიშნავს, რომ ივერია (ვერია) ქვეყნიერების დასავლეთ საზღვარზე მდებარეობს (*Mos. Xor.*, II, 8-9), აშკარა ხდება, რომ ივერიაში იგი პირინეის ნახევარკუნძულს გულისხმობდა. ალსანიშნავია, რომ გ. მელიქიშვილი არ გამორიცხავდა, მოქცევად ქართლისას „არიან-ქართლის“ არიანის მიღების შესაძლებლობას „პერენეს“ (პირენეის) დამახინჯების შედეგად [26, გვ. 16].

პირინეის იბერიის კავკასიის იბერიასთან კავშირის თაობაზე ძველთაგანვე არსებული ნარმოდგენა ძირითადად ამ სახელწოდებების იდენტურობით იყო განპირობებული. ეს იდენტურობა, ადგილობრივი სახელების ბერძნულ-რომაულ სამყაროსათვის უფრო ჩვეულ სახელებთან მიმსგავსებისა თუ თარგმნის შედეგად იქმნებოდა ხოლმე. ამგვარად

უნდა აღმოဖენებულიყო კავკასიაში ჯერ კიდევ ძვ. წ. IV საუკუნეში სახელწოდება „იბერია“, კავკასიაშივე, აღბათ უფრო გვიან, „ალბანია“ და ა. შ. შესაძლოა ადგილობრივი ტერმინის უცხო ენაზე გააზრების იმავე მოდელს ჰქონდა ადგილი კართაგენის აღმნიშვნელი ტერმინის — „კარხედონის“ — ეთნონიმ „იბერის“ მსაზღვრელად გამოყენების დროსაც.

ლიბიისა და იბერიის მოსახლეობის პონტოს აღმოსავლეთით გადმოსახლების შესახებ ზემომოყვანილი ლეგენდარული ცნობის საბეჭდავის წარწერაში შესაძლო ასახვის შუქზე, დასასვები უნდა ჩანდეს „კარხედონით“ „ლიბიის“ ჩანაცვლება. ამის შესაძლებლობას უნდა იძლეოდეს თვით კართაგენის მოსახლეობის მიმართ ტერმინ „ლიბიელის“ გამოყენების კარგად ცნობილი ფაქტი: კართაგენელების ალსანიშნავად, რომლებიც ფინიკიელთა და ავტოქტონთა ნაჯვარს ნარმოადგენდნენ, ფართოდ იხმარებოდა ტერმინი — „ლიბიელი ფინიკიელი“, საპირისპიროდ ლევანტიელი ანუ „სირიელი ფინიკიელისა“ [27, გვ. 479, 763].

საკითხავია რომელი იბერიული სახელწოდება შეიძლება მივიჩნიოთ საბეჭდავის წარწერის „კარხედონის“ პროტოტიპად თუ წინაფორმად?

თუ გავითვალისწინებთ, რომ კართაგენის ფინიკიურ სახელწოდებაში — შემავალი სიტყვა «kart» ალნიშნავს „ქალაქს“, ხოლო ტერმინი „ქართლი“ დაკავშირებულია არმაზციხის ძველ სახელწოდებასთან — ქართლი ანუ მთა ქართლი [ძდრ. 28, გვ. 25 : 11-12], ამ ორ სიტყვას შორის კავშირი თვალში საცემი გახდება. საინტერესოა, ამ მხრივ, ე. თაყაიშვილის ხედვა, იგი თვლიდა, რომ მცხეთა იყო იბერთა თავი ქალაქი, ხოლო არმაზი ქართლის ტერიტორიას ეკუთვნოდა და უძველესი დროიდან მას თვითონ ენოდებოდა ქართლი, ვიდრე იქ არ აღუმართავთ არმაზის კერპი [1, გვ. 101]. სიტყვა „ქართლი“, მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, ნარმომდგარი უნდა იყოს ინდოევროპული სუბსტრატის

ნიშნად მიჩნეულ სიტყვა «karta»-საგან, რო-
მელიც თავდაპირველად აღნიშნავდა „შემო-
ლობილ ადგილს“, ხოლო შემდეგ — გალა-
ვანს, ნაგებობას, ციხე-სიმაგრეს [ეთნონიმ
ქართველის შესახებ სამეცნიერო ლიტერა-
ტურის ვრცელი მიმოხილვა, იხ. 29, გვ. 160-
181]. თუმცა არსებობს უფრო „ეკონომიური“
ვარაუდის გამოთქმის შესაძლებლობაც: რამ-
დენადც „ქალაქის“ აღმნიშვნელი არამეული
სიტყვაა «karda» [30, გვ. 176*], ხოლო ფინკი-
ურთან ახლომონათესავე ეს ენა ერთ-ერთი
ძირითადი სახელმწიფო ენა იყო არმაზციხის
ადრეულ ბინადართათვის, ვფიქრობ, სავ-
სებით დასაშვებია, სწორედ სიტყვა «karda»
დასდებოდა საფუძვლად ტერმინ ქართ-ლ-ს.
„მთა ქართლის“ აღმნიშვნელად არამეული
სიტყვა «karda»-ს გამოყენება, აქემენიანთა
და მომდევნო ხანებში ჩამოყალიბებული პო-
ლიტიკური კონიუნქტურით უნდა ყოფილიყო
განპირობებული. სავარაუდოა, რომ ამ შემ-
თხვევაში -ლ- დეტერმინანტ სუფიქსს უნდა
ნარმოადგენდეს. ვითვალისწინებთ იმ გარე-
მოებას, რომ ნარმომავლობის, თვისებისა და
მქონებლობის აღმნიშვნელ -ან-, -ურ-, -ელ-
სუფიქსების უფრო ძველ ფუნქციურ ვარი-
ანტს, ტ. ფუნქციარაძის აზრით, ნარმოადგენს
-ლ/რ- სუფიქსი, მაგ.: თოვ-ს — თოვ-ლ-ი,
მამა — მამ-რ-ი, ქართი — ქართ-ლ-ი და ა.შ.
(პირადი ინფორმაცია, რომლისთვისაც ბ-ნ
ტარიელ ფუნქციარაძეს დიდ მადლობას მოვახ-
სენებ).

ამავე დროს, თითქოს უფრო ისე ჩანს,
რომ ქართულში ადრეულ ხანებშივე არსე-
ბულ ციხე-სიმაგრის აღმნიშვნელ ხურიტულ
ტერმინს «ard»-ს ანალოგიური მნიშვნელობი-
სა და ულერადობის მქონე არამეული სიტყვის
ზეგავლენის შედეგად შეეძინა ანლაუტში ვე-
ლარული ფონემა. ამ უკანასკნელ შესაძლებ-
ლობაზე ისიც უნდა მიგვანიშნებდეს, რომ
ქართულ სინამდვილეში დასტურდება არა-
ერთი ციხე-სიმაგრის აღმნიშვნელი და „ართ/
არტ/არდ“-ძირიანი ტოპონიმი: „ართვინი/არ-
თვანი“, „არტაანი“ „არტანუჯი“ და სხვ. გარ-
და ურარტული ქალაქი მუსასირის სახელნო-

დებისა — „არდინი“, მსგავსი სახელწოდებების
ქალაქები ცნობილია რუსახინილის მახლობ-
ლად მდებარე მხარიდან და ეტიუნის ქვეყ-
ნიდანაც [იხ. 31, გვ. 106 შენ. 127]. არამეული
ტერმინი «karda» თავის მხრივ ასევე დაკავში-
რებული უნდა იყოს ხურიტულ «ard»-თან.

არამეულ ტერმინს კიდევ იმის გამო უნდა
მიენიჭოს განსაკუთრებული მნიშვნელობა,
რომ სავარაუდოა მცხეთის ერთ-ერთი უმ-
ნიშვნელოვანესი სიმაგრის, არაგვისპირთან
მდებარე „ბელტის ციხის“ სახელიც (ამჟამად
ცნობილი ბებრის/ბერის ციხედ), რომელიც
მცხეთა-არმაზციხის საერთო საფორტიფი-
კაციონ სისტემის ნაწილს წარმოადგენდა და
კეტავდა ჩრდილოეთის შესასვლელს, წარ-
მომდგარი იყოს ასევე ციხე-სიმაგრის (Burg)
აღმნიშვნელი არამეული სიტყვიდან — «bir-
ta» [30, გვ. 154*; შდრ. 32, გვ. 85, 173 შენ.
361. საინტერესოა, რომ იმავე შინაარსისა
და ულერადობის სახელწოდება — *birtha* —
გვხვდება კართაგენშიც, ადგილობრივი აკ-
როპოლისის აღმნიშვნელად.]. იქნებ გასათვა-
ლისწინებელი იყოს, „ქართლის ცხოვრების“
ცნობის, მტკვარგამოღმა (არმაზციხის, იგივე
„მთა ქართლის“) და მტკვარგაღმა (მცხეთის)
მხარეთა მეფეების, ქართამისა და ბარტომის
სახელთა შესაძლო კავშირიც ციხე-სიმაგრე-
ების აღმნიშვნელ არამეულ სიტყვებთან —
«karda» და «birtha» და, შესაბამისად, ამ სიტყ-
ვებით მოხსენიებულ მათ რეზიდენციებთან
თუ უმთავრეს საფორტიფიკაციო ნაგებო-
ბებთან — არმაზციხესთან („მთა ქართლი“)
და მცხეთა-ბებრის („ბელტის“) ციხესთან.

ამრიგად, პიტიახშის საბეჭდავის წარწერა-
ში ასახული ტერმინი — „იბერონ კარხედონი“,
გარდა ლიბიელთა და დასავლეთის იბერიელ-
თა კავკასიაში გადმოსახლების ლეგენდარულ
ცნობასთან მისი სავარაუდო კავშირისა, შე-
საძლებლობას გვაძლევს მასში კონკრეტუ-
ლი გეოგრაფიული და ამავე დროს გარკვეულ
ხანებში პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე
ცნება დავინახოთ, „მთა ქართლის“ (ანუ არ-
მაზციხის) იბერიის სახით და, შესაბამისად,
ადრინდელზე უფრო მეტი საფუძვლიანობით

მივიჩნიოთ საბეჭდავზე გამოსახული პიტიახშიც არმაზციხის ანუ იგივე „მთა ქართლის“ იძერის გამგებლად; ამ ხელისუფალთ სომხური მატიანეგბი სხვადასხვაგვარად მოიხსენიებენ, ფავსტოს ბუზანდისათვის იგი გუგარქის ბდეშია, ლაზარ ფარპეცის მიხედვით, ქართველების პიტიახშია (ვრაცების ბდეშია) თუ მთავარი (ვრაცების იშხანი), ხოლო მოვსეს ხორენაცი კონკრეტულად მირიან მეფის შესახებ შენიშნავს, რომ იგი ქართველთა მეფე (უფროსი) და გუგარელების პიტიახშია (ბდეში), ხოლო საკუთრივ ეს მხარე, ჩვეულებრივ მტკვრის მარჯვენა ნაპირის ქართლის (იბერიის) სახელით არის ცნობილი, ხოლო სომხურ და ბერძნულ წყაროებში დასტურდება გუგარქისა და გოგარენეს სახელწოდებით.

რადგან უშა (უსა) „სპარსეთის იბერთა პიტიახშად“ მიაჩნია, ხოლო მტკვრის სამხრეთით მდებარე ქვემო ქართლი (370 ნ. შემდეგ ხანებში) რომაელთა პროტეჟე საურმავ მეფის სამფლობელოდ, მ. ბახტაძე თვლის, რომ უშას პიტიახშობა მხოლოდ მას შემდეგ შეეძლო მიეღო, რაც IV საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს ქართლის სამეფოს ერთიანობა აღდგა, ანუ IV საუკუნის 80-90-იან წლებში [9, გვ. 58]. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ქართლის სამეფო კარზე არმაზისხევის პიტიახშის თანამდებობა III საუკუნის ბოლომდე ჯერ კიდევ არსებობდა, ამას თვით მ. ბახტაძეც საგანგებოდ აღნიშნავს [9, გვ. 50], ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, თითქოს უფრო დასაშვები ჩანს, რომ უშას პიტიახშობის ხანა III საუკუნის მეორე ნახევრის ფარგლებში ექცეოდეს. იქნებ სწორედ მეფისა და პიტიახშის ძალაუფლების ერთ პიროვნებაში თავმოყრის შედეგად უნდა გაუქმდებულიყო არმაზისხევის პიტიახშის ინსტიტუტი.

რაც შეეხება სეპონსთან და საერთოდ ძველ სომხურ წერილობით წყაროებში სპარსელთა აღსანიშნავად გამოყენებულ ტერმინს – კარქედოვმარეცი, არ არის გამორიცხული იგი ფარსმან მეფის ძმის – მითრიდატესა – და ძმის – რადამისტის – I საუკუნის 30-იანი წლების მეორე ნახევრისა და 40-იან წლების

სომხეთში ხანმოკლე გაბატონების (Tac., Ann. VI, 33-36, XII, 45-51; Dio, LVIII, 26, 1-4) გამოძახილი იყოს. ახალმა გარემოებებმა შესაძლოა გამოიწვიეს ამ უარყოფითი მნიშვნელობის მქონე ტერმინის დაფიქსირება უფრო ძლიერ და დაუნდობელ მტერზე – სასანიანთა სპარსეთის იმპერიაზე, რომლისგანაც მომდინარე საფრთხე ძალზე აქტუალური იყო III-VII საუკუნეების სომხეთისათვის და საფიქრებელია ამის შედეგად მომხდარიყო სხვადასხვა ეპოქებისადმი მისადაგებული ცნებებისა და განსხვავებული ხასიათის მქონე ისტორიული მოვლენების ზემონავარაუდევი აღრევა.

ლიტერატურა:

1. თაყაიშვილი ეპ. როდის შეიცვალა იბერთა სახელმწიფო ქართველთა სახელმწიფოდ? ჭურ. მნათობი, 1948, №8, გვ. 89-106.
2. Chabouillet M. Catalogue général et raisonné des camées. Paris, 1885.
3. Marquart J. Érānsahr nach der Geographie des Ps. Moses Xorenac'i. Mit historisch-kritischem Kommentar und historischen und topographischen Excursen. Abhandlungen der königlichen Gesellschaft der Wissenschaften zu Göttingen. Philologisch-Historische Klasse. Neue Folge Band III. Nro. 2, Berlin, 1901.
4. Hübschmann H. Die altarmenischen Ortsnamen (mit Beiträgen zur historischen Topographie Armeniens und einer Karte), – Indogermanischen Forschungen, Zeitschrift für indogermanische Sprach- und Altertumskunde, Bd XVI. Strassburg, 1904.
5. Toumanoff C. Studies in Christian Caucasian History, Georgetown Univ., 1963.
6. Peeters P. "Sainte Sousanik, matrire en Armeno-Géorgie", Analecta Bollandiana, t. 53, fasc. III-IV. Bruxelles, 1935, pp. 274-279.
7. კაველიძე კ. აშუშა პიტიახშის ბეჭდის ნარჩერის გაგებისათვის, კრებ. ლიტერატურული ძიებანი, ტ. V, 1949, გვ. 125-132.
8. ბოგვერაძე ა. ქართლის პიტიახშთა ხელისუფლებისა და ვინაობის საკითხისათვის, კრებ.

- მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 35, 1963, გვ. 59-66.
9. ბახტაძე მ. ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში, თბ., 2003.
 10. კულტინი ბ. საქართველოს ძველი ეთნო- და ტოპონიმიკის ზოგიერთ გაურკვეველ შემთხვევაზე უცხო წყაროებით, – საქართველოს მცხოვრებათა აკადემიის მოამბე, ტ. X, №5, გვ. 1949. 315-322.
 11. ყაუხჩიშვილი თ. საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, თბ., 1976.
 12. აფაქიძე ა., ყიფიანი გ., ნიკოლაიშვილი ვ., მანჯგალაძე გ., კაპანაძე მ. სვეტიცხოვლის ეზოში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოები, კრებ. VI სამცნოერო სესია. 2001 და 2002 წწ. სავლე-არქეოლოგიური კვლევის შედეგები, თბ., 2003.
 13. ყაუხჩიშვილი თ. საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი. თბილისი, 2004.
 14. ბერაძე თ., სანაძე მ. საქართველოს ისტორია, წიგნი I (ანტიკური ხანა და შუა საუკუნეები), თბ., 2003.
 15. Braund D. Georgia in Antiquity. A History of Colchis and Transcaucasian Iberia 550 BC - AD 562. Oxford, 1994.
 16. ჯანაშია ლ. ქართლი IV ს. პირველ ნახევარში, წერ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II. თბ., 1973.
 17. История императора Иракла. Сочинение епископа Себеоса, писателя VII века. (пер. К. Патканьяна). СПб. 1862.
 18. История Епископа Себеоса. Перевел с четвертого исправленного армянского издания Ст. Малхасянц. Ереван, 1939.
 19. The Armenian History attributed to Sebeos, translated, with notes by R. W. Thomson. Historical commentary by James Howard-Johnston (Assistance from Tim Greenwood), Part I. Translation and Notes. Translated Texts for Historians, Volume 31. Liverpool, 1999.
 20. Bedrosian R. Sebeos. Patmut'iwn i Herakln. np1985.
 21. Macler F. Historie d'Heraclius par l'évêque Sebêos. Paris, 1904.
 22. Collins J. J. Daniel. With an Introduction to Apocalyptic Literature. The Anchor Bible Dictionary, Vol. 1. New York, 1992.
 23. Archer G. L. Daniel. The Expositor's Bible Commentary (Gen. Ed.: F. E. Gaebelein), Vol. 7. Grand Rapids, 1985.
 24. Sebeos. Patmut'iwn Sebêosi, ed. G. V. Abgaryan. Erevan, 1979.
 25. Frendo D. Sebeos and the Armenian Historiographical Tradition in the Context of Byzantine-Iranian Relations, – Periteia, 4, 1985, pp. 1-20.
 26. მელიქიშვილი გ. საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965.
 27. Benselers Griechisch-Deutsches Wörterbuch. Bearbeitet von A. Kaegi. Leipzig, 1981.
 28. ქართლის ცხოვრება, ტ. I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955.
 29. ფუტკარაძე ტ. ქართველები, ნაწილი I (ქრისტიანობამდელი ეპოქა), ქუთაისი, 2005.
 30. Brockelmann C. Syrische Grammatik mit Paradigmen, Literatur, Chrestomathie und Glossar. Neunte Auflage. Leipzig, 1962.
 31. ქავთარაძე გ. ტაოხთა უძველესი ქვეყანა და ქართული სახელმწიფოებრიბის საწყისები, კრებ. ენა და კულტურა, №5. თბ., 2005, 83-92-114.
 32. ქავთარაძე გ. ანატოლიაში ქართველურ ტომთა განსახლების საკითხისათვის, თბ., 1985.

ლათინური წარმოადგენის მეფის შესახებ ოსტიილან

გთავაზობთ, ცნობილი ფილოლოგის, ბერძნულ-ლათინური წერილობითი წყაროების სპეციალისტის ალექსანდრე გამყრელიძის (1918-1971 წ.).) სტატიას, რომელიც ჯერ კიდევ 1958 წელს დაიწერა და 1959 წელს უურნალ „ცისკარში“ დაიბეჭდა. სტატიას ამჟამადაც არ დაუკარგავს სამეცნიერო ღირებულება.



საქართველოს ძველი ისტორიის წყაროებს, ჩვენდა სასიხარულოდ, კიდევ ერთი საინტერესო ეპიგრაფიკული ძეგლი შეემატა – იტალიაში აღმოჩნდა ახ. წ. II საუკუნის ლათინური წარწერა, რომელშიაც მოხსენიებუ-

ლია ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი სახელმწიფო მოღვაწე ფარსმან მეფე. თუმცა წარწერა ძალიან ფრაგმენტულია, მასში გადმოცემული თუნდაც ძუნნი ცნობები მაინც ფრიად მნიშვნელოვნად ამდიდრებს ჩვენს ცოდნას იმ ეპოქის შესახებ, უფრო მეტ სისრულესა და დამაჯერებლობას ანიჭებს და ამასთანავე აზუსტებს ჩვენი ისტორიის აქამდე ცნობილ ზოგ ფაქტს.

წარწერის ფაქტიმილე სათანადო კომენტარითურთ გამოაქვეყნა ფრაიბურგელმა მეცნიერმა პ. ნესელჰაუფმა პავიის (იტალია) უნივერსიტეტის სამეცნიერო უურნალ „ათენეუმში“ [იხ. 7, გვ. 219-228].

დაზიანებული ტექსტი შემდეგნაირია:

[.....] SIAN[US (ან... STAN[US)
[... L. ANNIUS?] FABIANUS,
[(თარიღი)] PHARASMAN [ES REX IBERORUM ...CUM FILIO]	
[(სახელი)] E ET UXORE PHR....
.....REDDIDIT. V K. APR.
.....I NON. MAI. DIEM, [QUA]
.....VIT GLADIA [TOR(UM)]
.....MXI
.....S
ქართულად:	
[.....] სიან [უს (ან. სტან [უს)
[ლუციუს ანიუს?] ფაბიანუს,
[(თარიღი)] ფარსმანი [მეფე იბერთა ... შვილით]	...
[(სახელი) ...]ით და მეუღლით ფრ.....
....მისცა (დაუბრუნა). აპრილის კალენდებამდე 5..
....დღით ადრე მაისის ნონებამდე ერთი
....დღით ადრე გლადია [ტორთა
.....1011
.....ს

ფრაგმენტი უპოვნიათ ოსტიაში (ოსტია წარმოადგენდა რომის სანავსადგურო ქალაქს მდ. ტიბრის შესართავში, მის მარცხენა ნაპირ-

ზე) და მოხვედრილა ერთი გერმანელი სიძეველეთა მოყვარულისა და კოლექციონერის ხელში. სამწუხაროდ, მომპოვებლის მაღავე

გარდაცვალების გამო, ძეგლის აღმოჩენის სხვა დაწვრილებითი გარემოებანი და ზუსტი ადგილი უცნობია.

ის წარმოადგენს ყოველმხრივ უსწორმას-ნოროდ შემომტკრეულ 17 სმ სიმაღლის, 14,5 სმ სიგანისა და 2,2 სმ სისქის მარმარილოს და-ფას. წარწერა შესრულებულია სრულიად მკა-ფიო და საკმაოდ ლამაზი ასომთავრულით, I-II საუკუნეთა ეპოქის დამახასიათებელი ხელით (იხ. გამყრელიძე ალ. ჭაბ. I).

ფილა შემომსხვრეულია გარშემო და ტექ-სტი ყოველ მხარეს აკლია. სულ მოღწეულია მეტ-ნაკლები რაოდენობის ასოების შემცველი 7 სტრიქონი, თავსა და ბოლოში კი შეინიშნება თითო სტრიქონის ნარჩენები, რომელთაგან პირველ სტრიქონში, S და A მკაფიოდ ჩანს, ბო-ლო სტრიქონში პატარა ნაგლეჯილაა და აღა-რაფრის აღდგენა არ შეიძლება.

ბარემ აქვე გვინდა მოვითავოთ ბოლო და პირველი სტრიქონების ამბავი და დავსძენთ, რომ ბოლო სტრიქონიდან გადარჩენილი ერ-თადერთი ასოს ფრაგმენტი, საკმაოდ დაბე-ჯითებით შეიძლება აღინიშნოს – S-ის თავს წააგავს, რაც შეეხება პირველი სტრიქონის ნარჩენს, იქ ასოების ქვემო ნანილის ბოლო-ებილა ჩანს, რომელთაგან პირველი ასო მარ-თლაც S-ის ნანილი უნდა იყოს; მეორე – რო-მელილაც სწორბუნიანი ასოს ნანილია, უფრო – I-ის ან T-ის (ამ უკანასკნელის ასომთავრული დაწერილობა ძალიან წააგავს I-ს), შეიძლება აგრეთვე P-ც ვივარაუდოთ. მესამე ასო – A-ა აშკარად; მაგრამ მეოთხე მეორეზე კიდევ უფ-რო ძნელად ამოსაკითხია. ისიც სწორბუნიანი, ოლონდ თითქოს ცოტა გადახრილი ასოს ნაშ-თი ჩანს და შეიძლება იყოს N-ის, M-ის ანდა სულაც აგრეთვე I-ს, T-ს ანდა P-ს ნანილი.

მარმარილოს ფრაგმენტი წარმოადგენს ამ ქალაქის ე.ნ. ფასტების ნანილს. ფასტები თა-ვისებურ კალენდარს აღნიშნავდა რომში. თავ-დაპირველად მას აწარმოებდნენ პონტიფექსე-ბი – ქურუმები და აღნუსხავდნენ იმ დღეებს, როცა შეიძლებოდა სამართლის წარმოება და საჯარო გამოსვლები ხალხში. შემდგომ ამას მიემატა ყოველწლიურად არჩეულ თანამდე-ბობის პირთა სიებიც, განსაკუთრებით კონ-

სულებისა. ასე წარმოიშვა, მაგალითად, ე.ნ. კონსულთა ფასტები (Fasti consulares). მერე ფასტებში ძალიან მოკლედ აღინუსხებოდა აგ-რეთვე ამა თუ იმ წელს მომხდარი უმნიშვნე-ლოვანესი ამბები. ეს ფასტები ძალიან ნაწყ-ვეტ-ნაწყვეტად არის მოღწეული ჩვენამდე, მაგრამ რაც მოღწეულია, როგორც ჯერ კი-დევ რომის სახელგანთქმულმა მეისტორიებ-თ. მომზენმა დაამტკიცა, პირველხარისხოვან და ფრიად სარწმუნო წყაროს წარმოადგენს. კიდევ მოუყარა მან თავი გადარჩენილ მასა-ლას და გამოსცა „ლათინურ წარწერათა კრე-ბულის“ | ტომში.

პირველივე თვალის გადავლებით მკვლევა-რისათვის ცხადია, რომ აქ გადმოცემულია რო-მის საქალაქო ცხოვრების უმთავრესი ამბები და რომ ტექსტში გლადიატორთა შეჯიბრებე-ბის მოხსენიებაც ნიშანდობლივი მოვლენაა – ოსტიის ფასტებში ასეთი ამბების შეტანა ა.ნ. მეორე საუკუნიდან ხდება და, მაშასადამე, ეს წარწერა ამაზე ადრინდელი არ შეიძლება იყოს.

ჰ. წესელჰაუფს „ფაბიანუსი“, რომლის შემ-დეგ იმდენი ადგილია წარწერაში დარჩენილი, რომ აღარ არის სავარაუდო სხვა სახელი მოს-დევნებოდა კიდევ, მიაჩნია იმ წლის ერთ-ერ-თი მოქმედი კონსულის (consul suffectus) ე.ნ. კოგნომენად (რომაელები ჩვეულებრივ სამი სახელით იხსენიებოდნენ, რომელთაგან პირ-ველი იყო ე.ნ. „პერნომენ“ – ნინასახელი, ანუ საკუთარი, პირადი სახელი, რომელთა რიცხვი ძალიან განსაზღვრული იყო და ჩვეულებრივ მარტი ინიციალებით ინერებოდა; მეორე იყო „ნომენ“ – საგვარეულო, ანუ სატომო სახელი; მესამე „კოგნომენ“ კი – საგვარეულოს ნანი-ლის ანუ ოჯახის აღმიშვნელი. ასე, მაგალი-თად, პუბლიუს ვერგილიუს მარო ანუ მარონი რომ ეწოდება დიდ რომაელ პოეტს, აქ პუბლი-უს არის პერნომენ, ვერგილიუს – ნომენ, მარო კი – კოგნომენ).

თუ გავითვალისწინებთ, რომ კონსულებად უკვე ასე თუ ისე სახელიანი და წარჩინებული პირები შეიძლებოდა ყოფილიყვნენ, ეს სახე-ლი (“ფაბიანუს”) კი საკმაოდ იშვიათია. იგი შე-იძლება გაიგივებულ იქნას იმ ლუციუს ანიუს ფაბიანუსთან (L. Annius Fabianus), რომელიც

ახ.ნ. 135 წლიდან დაახლოებით 167 წლამდე დაკიის (რომის იმპერიის ერთ-ერთი პროვინცია შავი ზღვის ჩრდილო-დასავლეთით, დაახლოებით ახლანდელი რუმინეთის ტერიტორიას მოიცავდა) გამგებლად (ე.ნ. *legatus pro praetore*) ჩანს სხვა წყაროებით.

ფაბიანუსის ზემოთ, პირველ სტრიქონში, მისი წინამორბედი კონსულის აგრეთვე კონსულენის ნაშთი უნდა იყოს, რომელიც შეიძლება ბოლოვდებოდა, როგორც ...*sian[us]* ანდა ...*stan[us]*. მაგრამ, ვინაიდან ამ ეპოქის კონსულთა სია საერთოდ ძალიან ფრაგმენტულადა ცნობილი, მისი ამოცნობა ჯერჯერობით ძნელდება.

ჩვეულებისამებრ კონსულების დასახელების შემდეგ, რომის იმდროინდელი უმთავრესი ამბებიდან პირველ რიგში შეტანილია სწორედ ფარსმან მეფის რომს სტუმრობის ცნობა, რამაც სხვა რომაულ-ბერძნული წერილობითი წყაროების ცნობათა უტყუარობა შესანიშნავად დაადასტურა. ამასთანავე ამ აღმოჩენამ კიდევ ერთხელ გვიჩვენა თვალნათლივ, რომ როგორც უცხოური, ისე ქართული უძველესი წერილობითი წყაროები ჩვენი ისტორიისა ბევრ შემთხვევაში უძვირფასეს მასალას შეიცავენ ჩვენი ერის წარსულის შესასწავლად და რომ მათდამი გადაჭარბებულ სკეპტიკურ დამოკიდებულებას თავისთვად ეცლება თანდათან საფუძველი.

ეს ფარსმანი რომის ბერძენი ისტორიოსის დიონ კასიოსის (დაახლოებით ახ.ნ. 150-235 წ.) ე.ნ. „ავგუსტუსების ისტორიის მწერლების“ (წარმოადგენს სხვადასხვა დროს – არაუგიანეს IV ს-ის პირველი წარმოებისა – სხვადასხვა პირთაგან შედგენილ რომის იმპერატორთა ბიოგრაფიებს, როგორც ირკვევა, საკმაოდ სანდო წყაროებზე დამყარებულს) და რომაელი სახელმწიფო მოღვაწის ბერძენი ფლავიუს არიანეს (ახ.ნ. II ს-ის პირველ წარმოები ცხოვრობდა; 131-137 წლებში კაპადოკიას განაგებდა. ადრიანე კეისრის ბრძანებით 134 წელს შემოიარა შავი ზღვის სანაპიროები და აქაური მდგომარეობის ამბავი მთავრობას მოახსენა წერილობით) ცნობებით, ნიჭიერ,

დაკვირვებულ, ძლევამოსილ სახელმწიფო კაცად წარმოგვიდგება.

ფარსმანის საბრძანებელი არიანეს მოწმობით (“შავი ზღვის გარშემო მოგზაურობა”, თ. 15), რომელიც სწორედ ფარსმანის თანამედროვე ჩანს, შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროებამდე აღწევდა. იგი ღირსეულად განაგრძობდა თავისი ქვეყნის გაძლიერებისა და დანინაურების იმ საქმეს, რომელიც ჯერ კიდევ ახ.ნ. I საუკუნეში იწყება მისი სესხიას, აგრეთვე ძლიერი და გამჭრიახი სახელმწიფო მოღვაწის დროს და ეტყობა, თანდათანი აღმავლობით გრძელდება მთელი I-III საუკუნეების მანძილზე. ამ სოციალურ-პოლიტიკურსა და კულტურულ აღმავლობას კარგად ადასტურებს წერილობითი ძეგლების გარდა მცხეთასა და მის მიდამოებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგებიც.

ქართლის მესვეურებმა, ჯერ ფარსმან პირველმა და მისმა უშუალო მემკვიდრეებმა, მერე კი ფარსმან მეორემ, მოხერხებულად გამოიყენეს იმდროინდელი ორი დიდი სახელმწიფოს – რომისა და პართიის ქიშპობა, აგრეთვე რომის ძლიერების თანდათან დაქვეითება და რომის მეგობრობისა და მოკავშირეობის გარეგნულ საფარქვეშ ფაქტიურად დამოუკიდებელი აქტიური პოლიტიკის წარმოებას შეუდგნენ.

მკვლევარების ერთი ნაწილი იმ აზრისაა, რომ ეს ფარსმანი (II) ქართულ წერილობით წყაროებში (“მოქცევაი ქართლისაი” და ლეონტი მროველის თხზულება) მოხსენიებული ფარსმან ქველი უნდა იყოს, რომელიც აგრეთვე ძალიან მორქმულ ხელმწიფედ არის ქართულ წერილობით წყაროებში გამოყვანილი. ეს ფარსმანივე უნდა იყოს მოხსენიებული არმაზის ცნობილ ორენოვან წარწერაში, რომლის აღმოჩენასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ქვეყნის უძველესი ისტორიის ბევრი საკითხის ახლებურად გაშუქებისათვის [იხ. 3, გვ. 23-24].

ფარსმანი რომ რომის იყო და რომ იქ დიდის პატივით მიიღეს, ამას რომაული და ბერძნული წყაროები ერთხმად აღიარებენ, მაგრამ ჩვენს ისტორიოგრაფიაში ბოლო ხანებამდე შემცდარი აზრი არსებობდა მისი რომის სტუმ-

რად ჩასულის დროის შესახებ. მას ურთიერთობა ჰქონდა რომის ორ იმპერატორთან – ადრიანესთან (იმპერატორბდა 117-138 წწ.) და ანტონინუს პიუსთან (138-161 წწ.), მაგრამ ამ ამბების გადმომცემი ერთ-ერთი მთავარი წყარო, დიონ კასიოსის რომის ისტორიის ეს ნაწილი, მხოლოდ ნაწყვეტების სახითაა ჩვენამდე მოღწეული და პირველი გამომცემლების მიერ შეცდომით დალაგებულია ისე, რომ ანტონინუს პიუსის შესახებ ამბავი ადრიანეს შესახებ მომთხობ ფრაგმენტებში მოუთავსებით, ამიტომ ასევე გადმოიღო არა მარტო ვ. ლატიშევმა თავის ცნობილ კრებულში [იხ. 4, გვ. 622], არამედ ამავე კრებულის გამოცემაშიც [იხ. 5, გვ. 277] უცვლელად და უკომენტაროდ იქნა გამეორებული. მაშინ როცა, ჯერ კიდევ 1885 წელს თ. მომზენმა [იხ. 6, გვ. 365] გაასწორა და შემდეგ კი დიონ კასიოსის საუკეთესო კრიტიკული გამოცემის ავტორმა ბოისევანმა და სხვებმა ერთხმად ცნეს ეს შესწორება. როგორც ნესელპაუფიც აღნიშნავს, ეს ახლა საერთოდ მიღებული აზრია და საკამათოდ აღარ ითვლება.

ჩვენში ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია მ. ინაძემ თავის შრომაში „იბერიისა და რომის ურთიერთობა II საუკუნის პირველ ნახევარში“ [1, გვ. 313-328], რომელშიაც იგი სამართლიანად მხარს უჭერს თ. მომზენის მიერ ადრევე გამოთქმულ მოსაზრებას და საინტერესოდ აშუქებს ფარსმანისა და, საერთოდ, იბერიის მაშინდელი ხელისუფლების პოლიტიკას რომისა და პართიის მიმართ.

საქმე ის არის, რომ ადრიანე კეისრის მეისტორიე ელიუს სპარტიანუსი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ადრიანემ „სამეგოპროდ მოინვია გამგებლები და მეფეები...“ და „როცა ზოგი მეფე ეახლა, ისე მოეპყრო მათ, რომ ვინც მოსვლაზე უარი თქვა, იმათ ინანეს. ასე მოიქცა განსაკუთრებით ფარსმანის გულისთვის, რომელმაც მისი მინვევა ქედმაღლურად უკუაგდო“ (ადრიანეს ცხოვრება, თ. XIII, 8-9). მერეც არის განმეორებული, რომ „აღბანები და იბერები ძალიან მეგობრულად იყვნენ მასთან, რადგან მათი მეფეები საჩუქრებით აავსო, თუმცა მასთან მისვლა ზიშლით უკუაგ-

დესო“ (იქვე, თ. XXI, 13). მაშასადამე, ფარსმანი ადრიანესთან მართლაც არ ჩასულა, და რომ არ ჩასულა, საფიქრებელია, საამისო საბუთიც ჰქონდა აღბათ.

ადრიანემ, როგორც ჩანს, თავისი მოგზაურობის დროს კაპადოკიაში რომ ჩავიდა, მაშინ დაიბარა ამ შხარეთა მესვეურები. სხვათა შორის, ჩვენს მკვლევართა შრომებში ან ბუნდოვნადა ლაპარაკი ამ მინვევის თარიღზე, ან ჰეროინით, რომ ეს მოხდა ადრიანეს პირველი მოგზაურობის დროს, ე.ი. 123-124 წლებში, მაშინ როცა, ამ მინვევაზე ბიოგრაფიაში ამკარად ლაპარაკია სწორედ მეორე მოგზაურობის დროს, დაახლოებით 128 წელს, როცა იგი, ეტყობა, მელიტენეში იდგა, ზემო ევფრატის ახლოს.

ძალიან საინტერესოა და ახსნას მოითხოვს აგრეთვე ბიოგრაფის შემდეგი ნათქვამი: ადრიანემ „ბევრ მეფეს უბოძა დიდადალი საჩუქარი, მაგრამ იბერთა მეფეზე მეტი კი არავისთვის მიუცია, რომელსაც სხვა დიდებულ საჩუქრებთან ერთად სპილო და მცირე რაზმი გაუგზავნა. ხოლო როცა ფარსმანისაგანაც მიიღო დიდალი საჩუქარი და ამათ შორის ოქროქსოვილის მოსასხამები, მისი საჩუქრების გასამასხარავებლად იმ ოქროქსოვილიანი ნამოსასხამებით სამასი დამნაშავე შეგზავნა ცირკის ასპარეზზეო“ (იქვე, თ. XXI, 13).

თავისთავად უცნაური ამბავი გამოდის: რატომ უნდა მოქცეოდა ასე უპატიოდ ფარსმანის ძლვენს და, მაშასადამე, ამით თვითონ ფარსმანს? აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგ შრომაში ისეც არის ნარმოდებენილი, თითქოს ფარსმანმა უძღვნა საჩუქრები და მერე მიიღო ის საპასუხო სამაგალითო საჩუქრები იმპერატორისაგან, მაშინ როცა ნამდვილად პირიქით მომხდარა ეს ამბავი – ჯერ ადრიანეს გაუგზავნია საჩუქრები და მერე ფარსმანს მოუძღვნია. არ შეიძლებოდა შერიგების შემდეგ გაეგზავნა იმპერატორს საჩუქრები, როგორც ზოგი შრომის ავტორი ვარაუდობს, რადგან ელიუს სპარტიანუსი, ადრიანეს ბიოგრაფი, სრულიად გარკვევით აღნიშნავს ფარსმანის საჩუქრების უპატიოდ მიღებას (იქვე, თ. XVII, 12); ხოლო თუ შერიგებული იქნებოდნენ, რა-

ტომლა უნდა ჩაედინა ასეთი წინდაუხედავი და უთავბოლო საქციელი ადრიანეს და ტყუილად ისევ გაემწვავებინა ურთიერთობა?

ჩვენის აზრით, უფრო ლოგიკური იქნება თუ ვიფიქრებთ, რომ ფარსმანისათვის საჩუქრების გაგზავნა მაშინ უნდა მომხდარიყო, როცა მეფე-მთავრების კაპადოკიაში მიწვევის დროს ფარსმანიც იქნა მიწვეული და, როგორც განსაკუთრებით საპატიო მოკავშირე მეფეს, საჩუქრებიც უფრო საპატიო გაეგზავნა. მაგრამ ფარსმანი, რასაკვირველია, რომის იმპერატორის ნინაშე თავისი ქედმაღლობის აშკარად გამოცხადებას ვერ გაბედავდა, და თავისი ნამდვილი განწყობილების დასაფარავად და თანაც თავისი მორჭმულობის საჩვენებლად, რაც კი შეიძლებოდა, მართლაც დიდებულ საპასუხო ძლვენს გამოუგზავნიდა რაიმე მობიდიშებითურთ. თუმცა, როგორც ვნახეთ, ოფიციალურ მეისტორიეს და, ეტყობა, თვით იმპერატორსაც მაინც ქედმაღლობაში ჩამოურთმევიათ პირადად გამოუცხადებლობა და მისი საჩუქრებიც უპატიონდ გაუწიავებიათ.

ეს ამბავი, რა თქმა უნდა, ფარსმანს არ გამოეპარებოდა და, მაშასადამე, მისი ხელის-შეწყობით ალანების გადმოსვლას და პართიის (რომელსაც მაშინ მეგობრული განწყობილება ჰქონდა რომთან), არმენიისა და მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთი მხარების დარბევას, რაც იუდეველთა აჯანყების ჩაქრობის შემდეგ (ე.ი. 135 წ.) მოხდა, სრულიად საკმაო გამამართლებელი საბუთი ექნებოდა. ამით ფარსმანს შეეძლო ეგრძნობინებინა რომისათვის თავისი ძლიერებაც.

ჰ. ნესელჰაუფი ყურადღებას აქცევს ალანთა შემოსევის თარიღის საკითხს. ეს შესევა იუდეველთა აჯანყების ჩაქრობის შემდეგ მალევე მოხდა (იხ. დიონ კასიოსი, 69, 15, 1). მაგრამ როდის დაიწყო და როდემდე გაგრძელდა ეს ამბავი, ამის შესახებ კი გარკვეული აზრი თითქოს არ არსებობდა. საქმე ის არის, რომ დიონ კასიოსის იმავე ფრაგმენტში დაცულია ისეთი მითითება, რაც აადვილებს ალანთა შემოსევის ხანგრძლივობის მიახლოებით მაინც დადგენას. იქვე ნათქვამი აქვს დიონს: „ალანების შემოსევა მას შემდეგ შეწყდა, რაც, ერთის

მხრივ, პართების მეფე ვოლოგეზმა საჩუქრებით დაიყოლია ისინი, ხოლო, მეორეს მხრივ, კი კაპადოკიის გამგებელმა ფლავიუს არიანემ შეაშინაო. არიანე კი, როგორც ცნობილია, 131-137 წლებში იყო კაპადოკიის მმართველად”; ასე, რომ ალანებს იგი 137 წლამდე თუ „შეაშინებდა“ და, მაშასადამე, ალანთა შემოსევის დროც 135-137 წლებში უნდა დავდოთ.

